ნატო კვეზერელი-კოპაძე

ძველი საბერძნეთის ისტორია

(ლექციების მოკლე კურსი)

მეორე გამოცემა

თბილისი
2004

ძველი საბერძნეთის ისტორიის ლექციების კურსში ასახულია ძველი საბერძნეთის ისტორია კრეტა-მიკენის პერიოდიდან ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლამდე და გაშუქებულია ძველი საბერძნეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების უმთავრესი მოვლენები. ნაშრომში უხვად არის გამოყენებული ანტიკურ ავტორთა: ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, ქსენოფონტეს, პლუტარქეს, პოლიბიოსისა და არისტოტელეს ისტორიული ცნობები.

კურსი შეიქმნა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, - ძველი საბერძნეთის ისტორიის წაკითხული ლექციების მიხედვით.

წიგნი განკუთვნილია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ძველი საბერძნეთის ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **რუსუდან დაუშვილი**

რეცენზენტი: **ზოია ჩიმაკაძე**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ვახტანგ ხარებავა**

ISBN 99928-0-313-4

© ნატალია კვეზერელი-კოპაძე

შესავალი

კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ხანას წარმოადგენს ანტიკური ქვეყნების: ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია (სიტყვა „ანტიკუს" ლათინურია და ძველს ნიშნავს), ანტიკური ისტორია მოიცავს ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან ახ. წ. 476 წლამდე პერიოდს, ბარბაროსთა ტომების მიერ დასავლეთ რომის იმპერიის განადგურებამდე. იგი მონათმფლობელური სისტემის ისტორიაა, რომელიც საბერძნეთში პირველყოფილი თემური წყობილების დაშლიდან იწყება და თავისი განვითარების კლასიკურ ფორმას აღწევს. ხოლო ამ ქვეყნების კულტურა თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის საფუძველია. ძველი მსოფლიოს ისტორია პირველი კლასობრივი წყობის, მონათმფლობელური საზოგადოების ისტორიაა, რომელიც ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს — თითქმის 50 საუკუნეს მოიცავს. ანტიკური ქვეყნებიდან მონათმფლობელური კულტურის ყველაზე კლასიკური სახეობა ძველმა საბერძნეთმა დაამკვიდრა.

ძველი საბერძნეთის ისტორია ხუთ ძირითად პერიოდად იყოფა:

1. ეგეოსის ანუ კრეტა-მიკენის ხანა, რომელიც ძვ.წ. III-II ათასწლეულებს მოიცავს. ამ დროს კუნძულ კრეტაზე, პელოპონესის ცალკეულ ცენტრებში (მიკენში, პილოსში), ტროას ტერიტორიაზე და კიკლადებზე გვაროვნული წყობილება იშლება და ადრემონათმფლობელური სახელმწიფოები ყალიბდება. ძვ. წ. XIII ს. დორიელთა შემოსევამ დაანგრია ეს ცენტრები, მოსპო აღნიშნული სახელმწიფოები და ბერძნული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე კვლავ გვაროვნული წყობილება დამყარდა.

2. ძვ. წ. XI-IX ს. ჰომეროსის ეპოქას მიაკუთვნებენ. ეს არის გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის ხანა.

3. არქაულ პერიოდში (ძვ. წ. VIII-V სს.) კი საბერძნეთის წამყვან ოლქებში მთავრდება კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება, იქმნება ქალაქ - სახელმწიფოები ან პოლისები. იწყება ე. წ. „დიდი ბერძნული კოლონიზაცია", ხოლო პოლისებში მიმდინარეობს მწვავე კლასობრივი ბრძოლა გვაროვნულ არისტოკრატიასა და დემოსს შორის.

4. კლასიკური ეპოქა (ძვ. წ. V-IV სს.), როდესაც საბერძნეთში უმაღლეს საფეხურს აღწევს მონათმფლობელური ურთიერთობის განვითარება, ამავე დროს უკიდურესობამდე მწვავდება კლასობრივი ბრძოლა და ბერძნულ პოლისებში იწყება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი.

5. მაკედონიის მიერ საბერძნეთის დამორჩილება ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარში, ბერძენ-მაკედონელთა ლაშქრობა სპარსეთის წინააღმდეგ, მისი განადგურება და ძველი მსოფლიოს ისტორიაში ახალი ელინისტური ეპოქის დასაწყისი.

ძველი საბერძნეთის ბუნება და მოსახლეობა

აკროპოლისი დღეს

ბერძენი ხალხის ყოფაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მას საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ცხოვრება. საბერძნეთის რელიეფი მრავალფეროვანია, ზოგან ხრიოკი, ზოგან ხშირი ტყით დაფარული მთის კალთები, მთების ფერდობებზე შესანიშნავი საძოვრებია. მთაგორიანი ადგილები თანდათან ზეგნებსა და დაბლობებში გადადის და მებაღეობა-მევენახეობისათვის საოცარ კლიმატს ქმნის, ამიტომ ბერძნები მიწათმოქმედების სწორედ ამ სახეობას მისდევდნენ. განვითარდა ზეთისხილის მოყვანაც, ხორბალს კი მხოლოდ ოთხ დაბლობში თესავდნენ.

ბერძნები დასახლებული იყვნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. ბალკანეთის ნახევარკუნძულს დასავლეთიდან იონიის ზღვა ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი ეგეოსის ზღვა, რომელიც ჩრდილოეთში ჰელესპონტის სრუტით (თანამედროვე დარდანელით) უერთდება პროპონტიდას (მარმარილოს) ზღვას. ეგეოსის ზღვაში რვაასამდე კუნძულია, ჩრდილოეთით: თასოსი, სამოთრაკია და იმბროსი; მცირე აზიის გასწვრივ კი სპორადების სახელით ცნობილი კუნძულებია: ლესბოსი, ქიოსი, სამოსი და როდოსი, მცირე აზიიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ მიემართება კიკლადებად წოდებული კუნძულების წრე: ფაროსი, კეოსი, დელოსი და სხვ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით მდებარეობს კუნძული ევბეა, რომელიც მოსაზღვრე კუნძულებს შორის ყველაზე დიდია. ხოლო მის დასავლეთით — ზაკინთო, სიკეთალენია, ითაკა და კერკირა. ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთით ქალკიდიკაა, ხოლო სამხრეთით კი პელოპონესის ნახევარკუნძული, რომელიც შუა საბერძნეთთან დაკავშირებულია ისთმოსის ანუ კორინთოს ყელით. საბერძნეთში ჰავა სუბტროპიკულია ზამთარი კი თბილი და წვიმიანი.

ეგეოსის ზღვის კუნძულების სიმრავლე და ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბუნებრივი ყურეების არსებობა ძალიან ხელსაყრელი იყო პრიმიტიული ნაოსნობისათვის, ამიტომაც აქ ნაოსნობა და მეთევზეობა განვითარებული ყოფილა უძველესი დროიდან. თევზი ბერძნების ძირითად საკვებს წარმოადგენდა.

ძველ ფინიკიური	რიგითი შესაბამისი ასო	ძველ სპარული	რიგითი შესაბამისი ასო	ქართული	რიგითი შესაბამისი ასო
𐤀	1	𐎠 𐎡 𐎢	1	ა	1
𐤁	2	𐎣 𐎤 𐎥	2	ბ	2
𐤂	3	𐎦 𐎧	3	გ	3
𐤃	4	𐎨 𐎩	4	დ	4
𐤄	5	𐎪 𐎫	5	ე	5
𐤅	6	𐎬 𐎭 𐎮	6	ვ	6
𐤆	7	𐎯 𐎰 𐎱	7	ზ	7

ანბანი

საბერძნეთი და მისი მომიჯნავე მხარეები მდიდარი იყო წიაღისეულით: მეზობელ თრაკიაში ოქროს ქვიშა მოიპოვებოდა, ატიკაში ვერცხლის მადანი, ქალკიდიკის ნახევარკუნძულსა და კუნძულ ევბეაზე სპილენძის მადანი, ლაკონიკაში კი რკინა. რაც შეეხება სამშენებლო მასალას, საბერძნეთი მდიდარი იყო სხვადასხვა ფერის საუკეთესო ხარისხის მარმარილოთი და კირქვით, ხოლო კუნძულმა ფაროსმა სახელი გაითქვა ყველაზე საუკეთესო თეთრი მარმარილოთი.

ბალკანეთის საბერძნეთი სამ ნაწილად იყოფოდა. ჩრდილო საბერძნეთში ორი ოლქი იყო: დასავლეთით — მთიანი ეპირის, ხოლო აღმოსავლეთით — თესალიის ნაყოფიერი მხარე. საბერძნეთს ჩრდილოეთიდან მთები იცავდა და ჩრდილო საბერძნეთთან მისი დაკავშირება შეიძლებოდა მხოლოდ თერმოპილის ვიწრო გასასვლელით, ისიც მხოლოდ ზღვის მოქცევის დროს. შუა საბერძნეთში შვიდი ოლქი იყო: აკარნანია, ეტოლია, ფოკიდა, დორიდა,

ლოკრიდა, ბეოტია და ატიკა. შუა საბერძნეთიდან პელოპონესის ნახევარკუნძულზე გადასვლა შეიძლებოდა ისთმოსის ყელით. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში აბორიგენები ნეოლითის დროიდან დასახლდნენ. ბერძენ ისტორიკოსთა და მითოლოგიურ ნაწარმოებთა მიხედვით ესენი ბერძენთა მონათესავე — კარიელები, ლელეგები და პელასგებია. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით მნიშვნელოვან და მრავალრიცხოვან ჯგუფებს შეადგენენ, მაგრამ მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი დღემდე არაა გარკვეული. ასევე არაა დადგენილი კუნძულ კრეტის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა.

ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან საბერძნეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია აქაველთა ტომების დამკვიდრება. ძვ.წ. II ათასწლეულში ეს ტომები გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდნენ. ძვ.წ. XIII-XII ს. მიჯნაზე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადაიარა მომთაბარე ტომთა მძლავრმა ტალღამ. ბერძნული ტრადიციის თანახმად ძველი ესენი იყვნენ დორიელები, რომელთაც გაანადგურეს აქაველთა ადრემონათმფლობელური ცენტრები, აღადგინეს გვაროვნული წყობილება და ბიძგი მისცეს ტომთა შემდგომ მიგრაციას.

ძვ.წ. I ათასწლეულში ბერძნული ტომები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ტომთა დიდ ჯგუფებად და შემდეგნაირად დასახლდნენ: ა) ეოლიელები — საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილში — თესალიაში, შუა საბერძნეთის ბეოტიის ოლქში, ეგეოსიის ზღვის ჩრდილოეთის კუნძულებზე და მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. ბ) იონიელები — შუა საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაწილში, კუნძულ ევბეასა და ეგეოსის ზღვის ცენტრალური ნაწილის კუნძულებზე. გ) აქაველები — პელოპონესის ჩრდილოეთ ნაწილში. დ) დორიელები — სამხრეთ პელოპონესში, ეგეოსის ზღვის სამხრეთი ნაწილის კუნძულებზე, მათ შორის კუნძულ კრეტაზე და მცირე აზიის სახრეთ სანაპიროზე.

ბერძნებს ელინისტურ ხანამდე არ გააჩნდათ ერთიანი ბერძნული ენა. ისინი სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ, თუმცა ერთმანეთისა კარგად ესმოდათ. ამ მრავალრიცხოვან

დიალექტთაგან სამი უმთავრესი იყო: იონური, ეოლიური და დორიული, სწორედ ეს სამი დიალექტი განვითარდა და მიაღწია ლიტერატურული ენის დონეს, ამიტომაც საბერძნეთის მწერლები რომელიმე ამ დიალექტზე წერდნენ.



მწერალი, ლარნაკწერა

ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროები

ძველი საბერძნეთის ისტორია შეისწავლება როგორც წერილობითი წყაროების, ისე მატერიალური კულტურის ძეგლთა საფუძველზე. წერილობითი წყაროები თავის მხრივ იყოფა დოკუმენტურ და ლიტერატურულ წყაროებად. პირველი ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა ხასიათის წარწერებს (ქვაზე, ლითონზე, თიხის ფირფიტებზე და სხვ.), რომელთაც სწავლობს მეცნიერების საგანგებო დარგი — ეპიგრაფიკა; დოკუმენტური წყაროების გარკვეული ნაწილი შემონახულია ძველ პაპირუსებზე, თუმცა მათი უმეტესობა ელინისტურ ხანას განეკუთვნება. ისინი შეიცავენ სახელმწიფოებრივ დადგენილებებს, სამეცნიერო და ფინანსურ ანგარიშებს, ყიდვა-გაყიდვის აქტებს, სავალო თამასუქებს, მოხელეთა ნუსხებს და სხვ. ამდენად მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ საბერძნეთის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ლიტერატურული ძეგლებია, სადაც განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშველოვანი ცნობებია წარმოდგენილი საბერძნეთის ისტორიის შესახებ. მასალა მრავალფეროვანია: მათ განეკუთვნება ბერძენ ისტორიკოსთა, პოეტთა და დრამატურგთა თხზულებები, ორატორთა სიტყვები, აგრეთვე ეპიკური პოემები და მითები, რომლებიც უფრო გვიან არის ჩაწერილი და მხატვრულად წარმოსახული. უძველეს ლიტერატურულ ნაწარმოებებს ისტორიკოსები საბერძნეთის წარსულის გასაცოცხლებლად იყენებენ. ჰომეროსის პოემებია „ილიადა“ და „ოდისეა“. ეს პოემები შეიქმნა არა უადრეს ძვ.წ. VIII ს. დასაწყისისა,

თუმცა მასში აღწერილია უფრო ადრეული მოვლენები ძვ.წ. XI-IX სს. საზოგადოებივი წყობილება, ეკონომიკა და იდეოლოგია. დღეისათვის ამ ეპოქის შესასწავლად მეცნიერებას მოეპოვება საკმაოდ უხვი არქეოლოგიური მასალა, მაგრამ ჰომეროსის პოემები დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას, ძვ.წ. XI-IX სს. საბერძნეთის ისტორიის შესწავლისათვის.

ჰესიოდე

მომდევნო პერიოდის — ე.წ. ადრეარქაული ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ბეოტიელი პოეტის ჰესიოდეს ორი პოემა: „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“ („ღმერთების წარმომავლობა“). „თეოგონია“ ძვირფას ცნობებს შეიცავს ბერძნული რელიგიის შესახებ, ხოლო „სამუშაონი და დღენის“ კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არქაული საბერძნეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

რაც შეეხება წმინდა ისტორიული ხასიათის თხზულებებს, მათი შექმნა თანდათან ხდებოდა. ჯერ კიდევ ძვ.წ. VI-V სს. გაჩნდა პროზაული თხზულებები, რომლებიც თავისი შინაარსითა და ხასიათით მჭიდროდ იყო დაკავშირებული უძველეს ეპიკურ პოეზიასთან; მათი სიუჟეტი ძირითადად მითოლოგიური იყო, სადაც ავტორი წარმოადგენდა მითიურ გმირთა ან ღმერთების ცხოვრებას, აღწერდა მსოფლიოს, ან საბერძნეთის რომელიმე კონკრეტული ოლქის გეოგრაფიულ მდებარეობას, იძლეოდა ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს. ზოგიერთი თხზულება შეიცავდა ამა თუ იმ ბერძნული ქალაქის ისტორიასაც. ბერძნები თხზულებათა ავტორებს „ლოგოგრაფოსებს“ უწოდებდნენ (ბერძნულად „ლოგოს“ — სიტყვა, „გრაფო“ — ვწერ) და ამ სახელწოდებაში „პროზით მწერალს“ გულისხმობდნენ. ლოგოგრაფოსთა შემოქმედება ერთგვარი

ჰეროდოტე

გარდამავალი ეტაპი იყო ეპიკური პოეზიიდან ისტორიოგრაფიაზე. ცნობილი ლოგოგრაფოსები არიან ჰეკატეოს მილეთელი (დაახლ. ძვ.წ. 546-480 წწ.), რომელსაც ეკუთვნოდა „დედამიწის აღწერილობა“ და „გენეალოგია“. ჰელანიკე მიტილენელი (დაახლ. ძვ.წ. 431-404 წწ.), ათენის ისტორიის შესახებ თხზულებისა და რამდენიმე „გენეალოგიის“ ავტორი. ლოგოგრაფოსთა თხზულებები ჩვენამდე მხოლოდ ნაწყვეტების სახითაა მოღწეული.

ისტორიული ხასიათის ნაწარმოებად ითვლება ჰეროდოტე ჰალიკარნასელის (ძვ.წ. 484-425 წწ.) „ისტორია“. ეს თხზულება ეძღვნება კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას — ბერძენ-სპარსელთა ომს. თხრობა ფართო ისტორიულ ფონზეა გაშლილი. ავტორი ცდილობს გვაჩვენოს, რა მიზეზებმა გამოიწვია ეს ომი და აღწერს ერთი მხრივ საბერძნეთის, მეორე მხრივ სპარსეთის ისტორიას უძველესი დროიდან ომის დაწყებამდე. ამიტომაც მის თხზულებაში უამრავი ცნობებია წარმოდგენილი არა მარტო საბერძნეთის, არამედ ეგვიპტის, მესოპოტამიის, მცირე აზიის, ამიერკავკასიის, სკვითეთის და სხვა ქვეყნების შესახებ. ჰეროდოტე ბევრს მოგზაურობდა, ამიტომ მის ნაშრომებში გვხვდება უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი პირადი დაკვირვებები და აღწერილობები. ჰეროდოტე ცდილობს მოვლენათა ანალიზს, მის „ისტორიაში“ შეიმჩნევა ისტორიული კრიტიკის ჩანასახი. ავტორი მოვლენების განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზებუნებრივ ძალებს, კერძოდ, ბედისწერის გარდუვალობას. ძველი სწავლულები მას პირველ ისტორიკოსად მიიჩნევდნენ, ციცერონმა კი მას „ისტორიის მამა“ უწოდა.

ძველი ბერძნული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელი იყო თუკიდიდე ოლორეს ძე (ძვ.წ. 460-396 წწ.), ათენელი მოქალაქე და სახელმწიფო მოღვაწე. პელოპონესის ომის დროს იგი ათენის ერთ-ერთი სტრატეგიოსი იყო, მაგრამ დამარცხდა ქალკიდიკის ნახევარკუნძულთან სპარტელებთან ბრძოლაში, რის გამოც ათენიდან განდევნეს. თუმცა იქვე თრაკიაში დასახლდა და იქიდან ადევნებდა თვალს ომის მსვლელობას. თუკიდიდეს „ისტორია“ ეძღვნება სწორედ საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას — პელოპონესის ომს, მაგრამ მისი ისტორია იწყება საკმაოდ შორეული წარსულიდან — ტროას ომიდან, თუმცა ძვ.წ. V ს.

წინადროინდელი მოვლენები მას მოკლედ აქვს აღწერილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თუკიდიდეს ცნობებს ძვ.წ. V ს. ათენის საშინაო ვითარებისა და თვით ომის მსვლელობის შესახებ. თუკიდიდემ, პირველმა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში, გამოიყენა ისტორიული ანალიზის მეთოდი. იგი ზედმიწევნით ამოწმებდა ისტორიულ წყაროებს და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებდა მათ. არ ივიწყებდა პირად დაკვირვებას, ან ომის მონაწილეთა მონათხრობებს. ყველა ამ ცნობის შეკრების შემდეგ აღწერდა ამა თუ იმ მოვლენას. სამწუხაროდ, თუკიდიდე ძვ.წ. 411 წ. მოვლენათა აღწერას მოულოდნელად წყვეტს. თუკიდიდეს თხზულება ჰეროდოტეს ნაშრომთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია ბერძნული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

თუკიდიდე

თუკიდიდეს თხზულება გააგრძელა ისტორიკოსმა ქსენოფონტემ (ძვ.წ. 430-355 წწ.). იგი ათენელი იყო და ეკუთვნოდა იქაური ოლიგარქიის მემარჯვენე ფრთას, მონაწილეობდა ძვ.წ. 404 წ. ოლიგარქიულ გადატრიალებაში და მსახურობდა სპარსეთის მეფის ძმის კიროს უმცროსის კარზე ბერძენ მოქირავნეთა ერთ-ერთ მეთაურად. ქსენოფონტემ მონაწილეობა მიიღო კიროს უმცროსის აჯანყებაში ძმის არტაქსერქსე II წინააღმდეგ 10.000 ბერძენთან ერთად. კიროსის დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთი მესოპოტამიიდან ბრძოლით დაბრუნდა საბერძნეთში სამხრეთ ამიერკავკასიისა და შავიზღვისპირეთის გავლით. ეს ლაშქრობა, ან „უკუსვლა“ მან აღწერა თავის ნაწარმოებში „ანაბაზისი“ („აღმასვლა“). მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებაა „ჰელენიკა“, რომელშიც იგი აგრძელებს თუკიდიდეს „ისტორიას“ ძვ.წ. 362 წლამდე. საერთოდ ქსენოფონტე მეტად ნაყოფიერი ისტორიკოსია, გადმოცემით მას 120-მდე ნაწარმოები დაუწერია. წარმოშობით არისტოკრატი, სოკრატეს მოწაფე და დემოკრატიული წყობილების თავგამოდებული მოწინააღმდეგე, ქსენოფონტე მეტად ტენდენციური ისტორიკოსია, ცდილობს აჩვენოს სპარტის სახელმწიფოებრივი წყობის უპირატესობა დემოკრატიულ

ათენთან შედარებით. ამასთან იგი ვერ იძლევა მოვლენათა ღრმა ანალიზსა და შეფასებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი თხზულებები შეიცავენ უხვ ფაქტობრივ მასალას და გადმოგვცემენ ძვირფას ცნობებს მისი თანამედროვე საბერძნეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის შესახებ. გარკვეულ დრომდე ქსენოფონტეს ნაწარმოებად მიიჩნევდნენ „ათენის პოლიტეას" ანუ „ათენის სახელმწიფო წყობილებას", რომელიც თავისი შინაარსით ანტიდემოკრატიულ პამფლეტს წარმოადგენს. დღეს დამტკიცებულია, რომ იგი არ ეკუთვნოდა ქსენოფონტეს და სპეციალურ ლიტერატურაში იგი ცნობილია ფსევდო-ქსენოფონტეს „პოლიტეას" სახელწოდებით. მიუხედავად თავისი ტენდენციური ხასიათისა, ეს ძეგლი შეიცავს ფრიად მნიშვნელოვან მონაცემებს ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრის ათენის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ძველი საბერძნეთისა და კერძოდ, ათენის ისტორიისათვის ანტიკური ეპოქის უდიდესი მოაზროვნის არისტოტელე სტაგირელის (ძვ.წ. 384-322 წწ.) „ათენელთა პოლიტეა". არისტოტელემ მიზნად დაისახა შეექმნა „პოლიტეა" — განზოგადებული ნაშრომი სახელმწიფოს შესახებ, ამიტომაც წინასწარ შეისწავლა სხვადასხვა სახელმწიფოთა წყობილება. მან და მისმა მოწაფეებმა შეადგინეს 158 ე. წ. „პოლიტეა", მაგრამ ამათგან სრული სახით ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ „ათენელთა პოლიტეამ", დანარჩენთაგან შემონახულია ცალკეული ფრაგმენტები, ან მხოლოდ სათაურები. „ათენელთა პოლიტეა" ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში მოცემულია ათენის ისტორია ძვ.წ. VII ს. პელოპონესის ომის დამთავრებამდე, ხოლო მეორეში — ათენის სახელმწიფო სისტემის მმართველობის აღწერა. ეს თხზულება წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს არქაული ხანისა და ძვ.წ. V-IV სს. ათენის დემოკრატიის ისტორიისათვის, თუმცა ავტორის პრო-ოლიგარქიული სიმპატიები ამ ნაწარმოებს გარკვეულ დაღს ასვამს.

ძვ. წ. II ს. მოღვაწეობდა ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი (ძვ.წ. 204-122 წწ.). წარმოშობით იგი არკადიის ქ. მეგალოპოლისიდან იყო (პელოპონესი), მაგრამ ძვ.წ. 166 წ., როდესაც რომმა

დაამარცხა ე.წ. აქაიის კავშირი და დაიმორჩილა საბერძნეთი, პოლიბიოსი 1000 წარჩინებულ აქაველთან ერთად მძევლად წაიყვანეს რომში და იქ 16 წ. დაჰყო. მის კალამს ეკუთვნის „მსოფლიო ისტორია“ 40 წიგნად, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა მესამედმა. პოლიბიოსის ისტორიაში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი მასალები რომისა და ელინისტური ხანის საბერძნეთის ისტორიის შესწავლისათვის. პოლიბიოსისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ჭეშმარიტი მოვლენების აღწერა. იგი თვლიდა, რომ არც ერთ სახელმწიფოს ისტორია არ შეიძლება დაიწეროს იზოლირებულად. იგი უთუოდ სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდა იქნას შესწავლილი. ამასთან „ისტორიაში“ მოცემული მოვლენების აღწერასა და შეფასებაზე დიდ გავლენას ახდენდა მისი პოლიტიკური შეხედულებები და არისტოკრატიული მრწამსი.

ძველი საბერძნეთის ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ძვ.წ. I ს. ისტორიკოსმა დიოდორე სიცილიელმა (ძვ.წ. 90-21 წწ.). იგი ფრიად განათლებული პიროვნება იყო, ბევრსაც მოგზაურობდა. მან ფართო საზოგადოების ინტერესთა დასაკმაყოფილებლად შეადგინა ვრცელი კომპილაციური ნაშრომი „ისტორიული ბიბლიოთეკა“ 40 წიგნად. აქ მოთხრობილი იყო ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორია. სამწუხაროდ, მისი ნაშრომიდან მხოლოდ I-V და XI-XX წიგნები შემორჩა სრული სახით, დანარჩენებიდან კი — მხოლოდ ფრაგმენტები. მაგრამ ის, რაც გადაურჩა საუკუნეებს დიდ ღირებულებას წარმოადგენს საბერძნეთის ისტორიისათვის.

საკმაოდ ძვირფას ცნობებს შეიცავენ ბერძენი მწერლის პლუტარქეს (ძვ.წ. 46-126 წწ.) თხზულებები, განსაკუთრებით მისი „პარალელური ბიოგრაფიები“. ამ თავისებური ხასიათის ნაშრომში ავტორი აღწერდა ჯერ რომელიმე ბერძენი მოღვაწის ბიოგრაფიას, შემდეგ მისი მსგავსი რომაელი მოღვაწის ცხოვრებასა და ბოლოს ადარებდა ერთმანეთს. თავისთავად გასაგებია, რომ ისტორიულ პირთა ბიოგრაფიებში უხვად იყო მოცემული საბერძნეთის და რომის პოლიტიკური მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების აღწერილობა.

ყველა იმ ისტორიკოსთა და მწერალთა ჩამოთვლა, ვისაც კი

საბერძნეთის ისტორიის შესახებ ცნობები დაუტოვებია, შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საბერძნეთის ისტორიის კვლევისას სპეციალისტები იყენებდნენ ძ.წ. IW ს. ისტორიკოსების ეფორესა და ტიმეოსის ნაწარმოებებს, ცნობილი ბერძენი ორატორების დემოსთენეს, ისოკრატეს და ლისიას რიტორიკულ მემკვიდრეობას, ანტიკურ გეოგრაფოსთა (სტრაბონის, პავსანიას და სხვ.) თხზულებებს და ა. შ.

პლუტარქე

ძველი საბერძნეთის ისტორიის კვლევისთვის უმნიშვნელოვანესია მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა ნაწილი ბერძნული სამყაროს სხვადასხვა კუთხეში იყო გაფანტული, მაგრამ უმეტესობა არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა მოპოვებული. გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები საბერძნეთში XIX ს. 70-იან წწ. დაიწყო, რაც დაკავშირებულია თვითნასწავლი არქეოლოგის ჰაინრიხ შლიმანის სახელთან. ღარიბი პომერანიელი პასტორის ოჯახში დაბადებული შლიმანი (1822-1890 წწ.), შემდგომში მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად იქცა და მთელი თავისი უზარმაზარი ქონება მოახმარა ჰომეროსის პოემებში მოხსენიებული უძველესი ბერძნული ქალაქების მიკვლევასა და შესწავლას. შლიმანს სჯეროდა, რომ ჰომეროსის პოემებში აღწერილი ამბები სრულ რეალობას წარმოადგენს და უპირველეს მიზნად დაისახა ქ. ტროას მოძებნა და არქეოლოგიური შესწავლა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ მან მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სოფ. ჰისარლიკის მახლობლად



შლიმანი

მიაგნო ბორცვს, რომლის მდებარეობა ზუსტად შეეფერებოდა ჰომეროსის „ილიადაში“ აღწერილ ქალაქ ტროას ანუ იგივე ილიონის მდებარეობას.

დიორპფელდი

ჰისარლიკის ბორცვის გათხრამ დაადასტურა, რომ აქ მართლაც ლეგენდარული ტროა მდებარეობდა და ლეგენდა რეალობად იქცა. გათხრებმა რეალური ქალაქი აღმოაჩინა. მაგრამ როგორც დილეტანტს, შლიმანს ტროას გათხრების დროს მრავალი შეცდომა მოუვიდა. საქმე ისაა, რომ ჰისარლიკის ბორცვი მრავალფენიანი ძეგლი აღმოჩნდა და შლიმანი ვერ გაერკვა თუ რომელი ფენა რომელ ეპოქას ეკუთვნოდა; კერძოდ, ჰომეროსის პოემებში აღწერილ ტროად მან მიიჩნია ქვემოდან მეორე ფენა. ტროად მიჩნეული კი უნდა ყოფილიყო მერვე ფენა.

შლიმანის შეცდომები ნაწილობრივ გამოასწორა არქიტექტორმა და არქეოლოგმა ვილჰელმ დიორპფელდმა (1853-1940 წწ.), რომელიც მხარში ამოუდგა შლიმანს და მის არქეოლოგიურ სამუშაოებს მეცნიერული სახე მისცა. შლიმანის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე გათხრები მიკენში და ტირინთოში (პელოპონესი), ორქომენში (შუა საბერძნეთი) და კუნძულ ითაკაზე. დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა კუნძულ კრეტაზეც, სადაც მასთან ახალგაზრდა ინგლისელი არქეოლოგი არტურ ევანსი თანამშრომლობდა.

არტურ ევანსმა (1851-1941 წწ.) განსაკუთრებით ნაყოფიერად გააგრძელა ძველი საბერძნეთის ისტორიის არქეოლოგიური კვლევა და კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა ამ კუნძულის უძველესი მოსახლეობის (ძვ.წ. III-II ათასწლეულების) უმდიდრესი კულტურა.

შლიმანის, დიორპფელდისა და ევანსის გათხრებმა სრულიად

ახალი ერა შექმნეს ძველი საბერძნეთის ისტორიის შესწავლაში. თუ მანამდე საბერძნეთის ისტორიას მხოლოდ ძვ.წ. XII ს. ე.ი. არქაული ეპოქიდან იწყებდნენ, აღნიშნულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად საბერძნეთის ისტორიას შეემატა ორი ახალი ეპოქა ე.წ. ჰომეროსის ეპოქა (ძვ.წ. XI-IX სს.), ხოლო შემდეგ ე.წ. კრეტა-მიკენის ეპოქა (ძვ.წ. XVIII-XIIსს.).

არქეოლოგიური გათხრები შემდგომშიც ინტენსიურად გრძელდებოდა, როგორც საბერძნეთში, ისე ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და იმ ადგილებში, სადაც ბერძნული კოლონიები არსებობდა. ამ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა (უძველესი საფორტიფიკაციო, საკულტო საცხოვრებელი ნაგებობები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, საყოფაცხოვრებო ინვენტარი, სამკაულები და სხვ.) — უძველესი საბერძნეთის სხვადასხვა ეპოქების სამეურნეო, სოციალური და კულტურული ცხოვრების საკმაოდ სრული და დამაჯერებელი სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა.

ტროას დაცემა, ლარნაკწერა

ფესტოსის დისკო

კრეტა-მიკენის პერიოდი

ბერძნული სამყაროს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ირკვევა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში ადამიანი უკვე პალეოლითის ეპოქაში დასახლდა, ხოლო ძვ.წ. VI ათასწლეულიდან აქ იწყება ნეოლითის ეპოქა. ამავე პერიოდში ჩნდება მოსახლეობა კუნძულ კრეტასა და ზოგიერთ სხვა კუნძულზეც.

ჰაინრიხ შლიმანისა და არტურ ევანსის მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს სრულიად თავისებური კულტურა, რომელიც დამოწმებული იყო კრეტაზე, პელოპონესში, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე (კიკლადებზე) და მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიაც (ტროა). ეს ახლადაღმოჩენილი კულტურა ზოგადად მოიცავდა ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან II ათასწლეულის თითქმის ბოლომდე (ძვ.წ. XII ს-მდე) პერიოდს, თუმცა ეგეოსის აუზის სხვადასხვა ოლქებში მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები განსხვავებულია. რამდენადაც ეგეოსური კულტურის პირველი ძეგლები კუნძულ კრეტასა და მიკენში აღმოჩნდა, ამ პერიოდს ხშირად კრეტა-მიკენის პერიოდსაც უწოდებენ.

ხანჯლები მიკენიდან, ძვ.წ. XVI ს.

ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში კუნძულ

კრეტაზე ქ. კნოსოსის გათხრების დროს ევანსმა აღმოაჩინა თიხის ფირფიტები, რომლებიც უცნობი დამწერლობის ნიშნებით იყო დაფარული; შემდგომში ასეთივე ფირფიტები აღმოჩნდა კუნძულ კრეტას სხვა ადგილებშიც. მიკვლეული იქნა პიქტოგრაფიული და იეროგლიფური ნიშნებით დაფარული საბეჭდავები. ფესტოსში კი თიხის დისკო პიქტოგრაფიული ნიშნებით. სწორედ ამ სურათოვანი დამწერლობის საფუძველზე დაახლოებით ძვ.წ. XVIII-XVII სს. კრეტაზე ჩამოყალიბდა მარცვლოვანი ხაზოვანი დამწერლობა, რომელმაც კრეტაზე ძვ.წ. XV ს-მდე იარსება. ამ დროს იგი შეიცვალა ახალი სისტემით, რომელიც ნიშნების ნაკლებ რაოდენობას შეიცავდა. ევანსმა უფრო ადრეულ კრეტულ დამწერლობას **A** ხაზოვანი, ხოლო უფრო გვიანდელს **B** ხაზოვანი დამწერლობა უწოდა. ევანსის ცდამ გაეშიფრა ეს დამწერლობა უშედეგოდ ჩაიარა. მან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ციფრობრივი ნიშნები და ათობითი თვლის სისტემა დაადგინა.



კნოსოსის სასახლის გეგმა

შემდგომი წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად **A** ხაზოვანი დამწერლობით დაფარული ფირფიტები აღმოჩნდა პელოპონესში, კერძოდ, მის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე ქ. პილოსში, მიკენში, ტირინთოში და სხვა ადგილებში. ცხადი გახდა, რომ ხაზოვანი დამწერლობა იხმარებოდა მხოლოდ კუნძულ კრეტაზე, ხოლო **B** ხაზოვანი დამწერლობა კი კრეტის გარდა გავრცელებული იყო ეგეოსური კულტურის სხვა ცენტრებშიაც. **B** ხაზოვანი დამწერლობით დაფარული ფირფიტების რაოდენობა დღეისათვის უკვე რამდენიმე ათასს აღწევს. მეცნიერებმა არაერთგზის სცადეს **B** ხაზოვანი დამწერლობის გაშიფრვა. მაგრამ ყველა ეს ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა, რადგან

მკვლევართა უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ამ ფირფიტათა ენა არაა ბერძნული. მხოლოდ გამოჩენილი ბულგარელი ენათმეცნიერი ვ. გეორგიევი მიუახლოვდა ჭეშმარიტებას, რომ B ხაზოვანი დამწერლობის ენა უახლოვდება ძველ ბერძნულს, მაგრამ დამწერლობის გაშიფრვა ბოლომდე მაინც ვერ შეძლო. მხოლოდ 1952-53 წ.წ. ამოხსნა ამ დამწერლობის საიდუმლო ახალგაზრდა ინგლისელმა არქიტექტორმა მაიკლ ვენტრისმა, რომელიც ბავშვობიდან გატაცებული იყო პიქტოგრამებისა და საიდუმლო შიფრების ამოხსნით, არა მარტო მიაკვლია ამ დამწერლობის გაშიფრვის მეთოდს, არამედ მივიდა სრულიად სწორ დასკვნამდე, რომ ამ წარწერათა ენა ბერძნულია, მხოლოდ ძველბერძნულის არქაული დიალექტი. შემდგომ კი ვენტრისმა და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტმა ჯონ ჩედვიკმა შეძლეს საბოლოოდ გაეშიფრათ B ხაზოვანი დამწერლობა და წაეკითხათ ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტები. ამის შემდეგ მეცნიერების განკარგულებაში აღმოჩნდა სრულიად ახალი ეპიგრაფიკული წყაროები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ბევრად უფრო ღრმად და მრავალმხრივ წარმოვიდგინოთ კრეტა-მიკენის ეპოქის საზოგადოების ისტორია ამ დამწერლობის დასაბამიდან. B დამწერლობის და ენის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა მეცნიერს ს.ი.ლურიეს. სამწუხაროდ, დღემდე გაუშიფრავი რჩება A ხაზოვანი დამწერლობა და გაურკვეველია ისიც, თუ რა ენაზეა შესრულებული ამ დამწერლობით შედგენილი ტექსტები, ამდენად გაურკვეველია კუნძულ კრეტას იმ მოსახლეობის ეთნიკურობაც, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ტექსტები.

ოქროს ნიღაბი მიკენიდან, ძ.წ. XVII ს.

ეგეოსის ზღვის აუზში ყველაზე ადრე დაწინაურდა კუნძული კრეტა. იგი ნოყიერი ნიადაგითა და წიაღისეული სიმდიდრით იყო ცნობილი. მაგრამ, რაც მთავარია, მას მეტად მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ

ნაწილში უძველეს სავაჭრო გზაზე, სირია-ფინიკიიდან დასავლეთისაკენ, ეგვიპტიდან, ბალკანეთიდან მცირე აზიისაკენ მიმავალ ხომალდთათვის შეუძლებელი იყო მისი გვერდის ავლა, ამიტომაც აქაური მოსახლეობა ადრევე ჩაება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საალებმიცემო ურთიერთობაში, რაც ძველეგვიპტურ წყაროებშია დამოწმებული. იქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ეგვიპტური ნაწარმი, ხოლო ეგვიპტეში პირიქით — კრეტული. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჯერ კიდევ არტურ ევანსმა შეიმუშავა კრეტის ისტორიის პერიოდიზაცია, რომელიც დღესაც მიღებულია ისტორიოგრაფიაში. მითიური მეფის მინოსის სახელის მიხედვით ა. ევანსმა კრეტის ისტორია სამ პერიოდად დაჰყო: ადრემინოსური, შუამინოსური და გვიანმინოსური პერიოდები. თითოეული პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები სადღეისოდ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

1) ადრემინოსური პერიოდი — ძვ.წ. 2800-2200 წწ.
2) შუამინოსური პერიოდი — ძვ.წ. 2200-1600 წწ.
3) გვიანმინოსური პერიოდი — ძვ.წ. 1600-1100 წწ.

ადრემინოსურ პერიოდში კრეტაზე ხდება პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლა, რის შედეგადაც მიმდინარეობს ქონებრივი დიფერენციაცია. საერთო საგვარეულო სასაფლაოების ნაცვლად ჩნდება მდიდრული აკლდამები და ღარიბული სამარხები, მდიდრული ქვის შენობები და ღარიბთა ქოხმახები. ყალიბდება ტომთა კავშირები თავისი ცენტრებით: კნოსში, მალიასა და ფესტოსში. ეს ტომთა კავშირები უკვე შუამინოსური პერიოდის დასაწყისისთვის გარდაიქმნებიან პრიმიტიულ, ადრეკლასობრივ სახელმწიფოებად. ამ დროს ვითარდება ბრინჯაოს მეტალურგია. კრეტა იქცა სპილენძისა და ბრინჯაოს ნაწარმით ვაჭრობის შუამავლად ეგვიპტეს, კვიპროსს,

ლარნაკი კამარისიდან, ძვ.წ. XIV ს.

სამხრეთ ბალკანეთს, ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროს შორის.

ამავე დროს ვითარდება ადგილობრივი ხელოსნობა. განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს კერამიკული წარმოება. კრეტული თიხის ჭურჭელი გამოირჩევა ფორმების სინატიფით, დახვეწილი მცენარეული ორნამენტით, ამგვარი ჭურჭლის განსაკუთრებით გამორჩეული სახეობა დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გამოქვაბულ კამარესში. აქვე მზადდება ტერაკოტის სკულპტურული გამოსახულებები, ქვისა და სპილოს ძვლის პირადი საბეჭდავები, რომელთა არსებობა კერძო საკუთრების ჩამოყალიბებაზე მიუთითებს. დაახლოებით ძვ.წ. 2000 წ. კნოსოსში შენდება უზარმაზარი მრავალსართულიანი ბრწყინვალე სასახლე, საცხოვრებელი პალატებით, დარბაზებით, სამეურნეო სათავსოებით. სასახლის საზეიმო დარბაზების კედლები შემკული იყო მრავალფეროვანი ფრესკებით.

დაახლოებით ძვ.წ. 1750 წ. კუნძულ კრეტაზე დაინგრა კნოსოსისა და ფესტოსის სასახლეები, დაზიანდა სხვა დასახლებებიც. რამ გამოიწვია ეს ნგრევა, დიდხანს არ იყო ცნობილი, თუმცა მეცნიერთა უმეტესობა ვარაუდობდა ძლიერ მიწისძვრას. ამჟამად ეს საკითხი გარკვეულია მეცნიერული კვლევის დღევანდელი დონის წყალობით. დანიელმა მეცნიერებმა გრელანდიაში მიაგნეს ყინულის უძველეს ფენებს, რომლებიც უხვად შეიცავენ ვულკანურ ფერფლს. მათ მეცნიერულად (რადიაქტიულ ნახშირბად C-14 მეთოდით) დაამტკიცეს, რომ ეს არის ხმელთაშუა ზღვის კუნძულ სანტორინზე (კუნძულ კრეტას ოდნავ ჩრდილოეთით, დღეს კუნძული თერა) მომხდარი ვულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოშობილი ფერფლის ნალექი. დამტკიცდა აგრეთვე, რომ ეს კატასტროფული ვულკანური

კნოსოსის სასახლე, პირველი სართულის სვეტები

ამოფრქვევა მოხდა ძვ. წ. 1645 წ. (თითქმის მთელი საუკუნე ნახევრით ადრე, ვიდრე ისტორიოგრაფიაშია მიღებული). ამოფრქვევის ტალღა 90 მეტრს აღწევდა, ხოლო ატმოსფეროში ამოიფრქვა 60 მილიონი კუბური მეტრი ფერფლი, რომელმაც ირგვლივ ყველაფერი დაფარა და გრელანდიამდეც კი გავრცელდა. ვულკანურმა ამოფრქვევამ, რა თქმა უნდა, ირგვლივ დიდი ნგრევა გამოიწვია, მას ემსხვერპლა მინოსის კულტურაც.

მალე დანგრეული სასახლეები აღდგენილ იქნა და ძვ.წ. XVIII ს. მეორე ნახევრიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქ. კნოსოსი. სწორედ მისი მეთაურობით მოხდა კრეტაზე ერთიანი ძლიერი სამეფოს წარმოქმნა. ძვ.წ. XVIII-XV სს. პერიოდი არის კრეტას სახელმწიფოს ძლიერების უმაღლესი ხანა, რომელიც ბერძნული მითოლოგიის თანახმად, კნოსის მეფის მინოსის სახელთანაა დაკავშირებული. თუკიდიდეს თანახმად ეს იყო კრეტას „თალასოკრატიის“ ანუ „ზღვაზე ბატონობის“ ეპოქა, როდესაც კრეტამ დაიმორჩილა ეგეოსის ზღვის ზოგიერთი კუნძული, ცალკეული დასახლებული პუნქტები მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროზე, ბალკანეთზე და მათ შორის ატიკაც.

კრეტაზე დიდ განვითარებას აღწევს მეურნეობის სხვადასხვა დარგები — მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა. ამავე დროს მკვეთრად იზრდება ქონებრივი და კლასობრივი დიფერენციაცია. სასახლის მეურნეობას აწარმოებდნენ დიდი რაოდენობის ხელოსნები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ მონებიც. სათემო მფლობელობაში მყოფი მიწის გარდა, აქ იყო საიჯარო მფლობელობისა და კერძო მიწის ნაკვეთებიც. ძლიერი ფლოტის გარდა კრეტის მეფეებს გააჩნდათ სახმელეთო არმიაც, რომელშიაც დიდ როლს თამაშობდნენ სამხედრო ეტლების რაზმები. კრეტის სახელმწიფო იყოფოდა ადმინისტრაციულ ოლქებად, რომელთაც მეფის ნაცვლები განაგებდნენ. თუ ვიმსჯელებთ ჰომეროსის ოდისეაში შემონახული გადმოცემებით მეფე

ფრესკა კნოსოსიდან, ძვ.წ. XVI ს.

მინოსზე, კრეტას მეფეებს გარდა საერო ხელისუფლებისა, ეპყრათ უმაღლესი ქურუმის ხელისუფლებაც. დაპყრობილი მხარეები კრეტას მეფეებს ხარკს უხდიდნენ, რაც აისახა ბერძნულ მითოლოგიაში, ათენის მიერ, მეფე მინოსისადმი დროის გარკვეულ მონაკვეთში ქალიშვილებისა და ვაჟების გაგზავნის ვალდებულებაში.

კრეტის უძველესი მოსახლეობის რელიგიის შესწავლისათვის უმთავრეს ცნობებს ისევ არქეოლოგიური მასალა იძლევა. როგორც ირკვევა, კუნძულის უზენაეს ღვთაებას წარმოადგენდა ქალღმერთი - დიდი ქალღმერთი, დედა ღვთაება, როგორც სიცოცხლის მიმნიჭებელი, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. მას ჩვეულებრივ გამოსახავდნენ მდიდრულად მორთული ქალის სახით, რომელსაც ორივე ხელში თითო გველი ეპყრა. გარკვეულ როლს თამაშობდა მამრობითი ღვთაებაც, რომელიც ზოგჯერ ორმაგი საბრძოლო ცულის (ლაბრისის), ზოგჯერ კი ხარის სახით გამოისახებოდა. რელიგიურ რიტუალს კრეტაზე ჩვეულებრივ ქალები ასრულებდნენ.

ხარის თავი კრეტიდან

ძვ.წ. XV ს. ბოლოს კრეტა და ზოგიერთი სხვა კუნძული დაიპყრეს აქაველთა ტომებმა, რომლებიც მანამდე ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ოლქებში იყვნენ დამკვიდრებული. აქაველები მანამდეც იყვნენ მჭიდრო ურთიერთობაში კრეტელებთან, კერძოდ, მათ გადაიღეს მათგან B ხაზოვანი დამწერლობა, რის შედეგადაც ეს დამწერლობა გავრცელდა პელოპონესის აქაველთა სამეფოებშიაც.

რას წარმოადგენდა ამ პერიოდში დანარჩენი ბერძნული სამყარო? ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული ტექსტების წაკითხვით, არქეოლოგიური მასალისა და ხეთური წყაროების მონაცემთა საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების ისტორიის პერიოდიზაციაც ძვ.წ. III ათასწლეულებში. ბალკანეთის ნახევარკუნძულისათვის ეს ეპოქა „ელადურად“ იწოდა, ხოლო

ეგეოსის ზღვის კუნძულებისათვის კი „კიკლადურად". ეს ეპოქა თავის მხრივ იყოფა პერიოდებად შემდეგი ქრონოლოგიით:

1) ადრეელადური — ძვ.წ. 2600-2000 წწ. 1) ადრეკიკლადური — ძვ.წ. 2600-2200 წწ.

2) შუაელადური — ძვ.წ. 2000-1650 წწ. 2) შუაკიკლადური — ძვ.წ. 2200-1500 წწ.

3) გვიანელადური — ძვ.წ. 1650-1100 წწ. 3) გვიანკიკლადურ — ძვ.წ. 1500-1200 წწ.

კუნძულ კრეტასთან შედარებით კონტინენტურ საბერძნეთსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება შენელებული ტემპით მიდიოდა. ადრეელადურ — ადრეკიკლადურ პერიოდის უმთავრეს მონაკვეთზე ეს მხარეები, როგორც ჩანს, წინაბერძნულ მოსახლეობას ეკავა და აქ მთლიანად გაბატონებული იყო პირველყოფილი თემური წყობილება. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ოლქებიდან მოხდა ბერძნული ტომების საკმაოდ დიდი ტალღის ჩამოსახლება პელოპონესში, ხოლო შემდეგ ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და მცირე აზიის სანაპიროზედაც. ბერძნულ ტომთა ამ ჯგუფს აქაველთა საბერძნეთის სახელი დაუმკვიდრდა. ჩამოსახლებულმა აქაველებმა ნაწილობრივ გაანადგურეს წინარე მოსახლეობის დასახლებანი, ხოლო ძველი მცხოვრებლების ნაწილი შეერწყა აქაველებს.



ატრევსის აკლდამა ტირინთოდან, ძვ.წ. XIV ს.

უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში პელოპონესში, შუა საბერძნეთსა და ეგეოსის კუნძულებზე ჩამოყალიბდა აქაველთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცენტრი. პელეპონესში ასეთები იყო მიკენი, ტირინთო და პილოსი, შუა საბერძნეთში — ორქომენი და თებე, თესალიაში —

იოლკოსი. არქეოლოგიური გათხრების წყალობით ყველაზე უკეთ ცნობილია მიკენი და პილოსი, ამასთან სწორედ იქ აღმოჩნდა ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტების დიდი რაოდენობა, რაც ბერძნულ მითებში შენახულ ცალკეულ მითებთან ერთად საშუალებას გვაძლევს საკმაოდ კარგად წარმოვიდგინოთ აქაველთა აღნიშნული ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

განვითარებულ და ძლიერ ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოდ წარმოგვიდგება მიკენი, სადაც არსებობდა მძლავრი თავდაცვითი სისტემა, მდიდრული სასახლეები, განვითარებული ხელოსნური წარმოება. ასეთივე ცენტრებს წარმოადგენდნენ პილოსი და ტირინთოც. აქ ყველგან დამოწმებულია ძლიერი სამეფო ხელისუფლება, საკმაოდ განვითარებული სამოხელეო აპარატი, მეთემე მიწათმოქმედთა გვერდით მონამხევალთა შრომის გამოყენება, მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა. ძვ. წ. XV ს. როგორც აღვნიშნეთ, აქაველებმა დაიპყრეს კუნძული კრეტაც. მაგრამ ამგვარი განვითარებული სახელმწიფოებრივი ცენტრები მხოლოდ გარკვეულ ადგილებში აღმოცენდა, ძირითადად ზღვის სანაპიროზე, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა, როგორც კონტინენტურ საბერძნეთში, ისე კუნძულებზე, რჩებოდა პირველყოფილი — თემური წყობილების დონეზე. აქაველმა ბერძნებმა ვერ შექმნეს ერთიანი სახელმწიფო გაერთიანება, მითებში აისახა აქაველთა ცენტრებს შორის მიმდინარე ბრძოლები, ამასთან აქაველები აწყობდნენ საკმაოდ შორეულ ლაშქრობებსაც. ძვ. წ. XIII ს. ისინი ე.წ. „ზღვის ხალხის“ შემადგენლობაში თავს ესხმოდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ეგვიპტეს. აქაველებმა გარკვეული მონაწილეობა მიიღეს ხეთების სახელ-

მიკენის ლომებიანი კარიბჭე. ძვ.წ. XIV ს.

მწიფოს დასუსტებასა და დამხობაში. მათი ერთ-ერთი უკანასკნელი სამხედრო ლაშქრობა იყო ტროას ომი, რომელიც აისახა ბერძნულ მითოლოგიაში და აღწერილ იქნა ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“. აქაველებმა დაახლოებით ძვ.წ. 1220 წ. დალაშქრეს მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული სავაჭრო სახელოსნო ცენტრი ქ. ტროა, რომელიც საკმაოდ მდიდარ ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ აქაველთა სახელმწიფოებმა თავისი ძალები გააერთიანეს, ტროას აღებას მათ, თუ „ილიადას“ ვენდობით, ათი წელი მოანდომეს.

ძვ.წ. XIII-XII სს. ჩრდილოეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე დაიწყო შემოსვლა ბერძენ ტომთა ახალმა ტალღამ, რადგან აქაველთა სახელმწიფოები იზოლირებულ, განცალკევებულ ცენტრებს წარმოადგენდნენ, მათ ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ამ შემოსევას და ეს სახელმწიფოები პირწმინდად განადგურდნენ. ბერძნული ტრადიცია ამ ტომებს დორიელებს უწოდებს, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ამ მიგრაციის შემადგენლობაში სხვა ინდოევროპული ტომებიც შედიოდნენ. დორიელები გვაროვნული წყობილების საფეხურზე იყვნენ და აქაური სახელმწიფოების განადგურების შემდეგ მთელ საბერძნეთში განუყოფლად გაბატონდა პირველყოფილი-თემური წყობილება.



ჰომეროსი

საბერძნეთი ძვ.წ. XI-IX საუკუნეებში ანუ ჰომეროსის საბერძნეთი

დორიელთა შემოსევის შემდეგ, როგორც აღნიშნული იყო, განადგურდა აქაველთა ადრემონათმფლობელური ტიპის სახელმწიფო ცენტრები და მთელ საბერძნეთში დამკვიდრდა პირველყოფილი-თემური წყობილება. ამდენად კლასთა წარმოქმნის პროცესი აქ თავიდან უნდა დაწყებულიყო, ოღონდ ახლა ეს პროცესი მხოლოდ ცალკეულ ზღვისპირა ცენტრებში კი აღარ მიმდინარეობდა, როგორც ეს კრეტა-მიკენის ეპოქაში იყო, არამედ პრაქტიკულად მთელ საბერძნეთში. საბერძნეთის ისტორიის იმ პერიოდს, რომელიც დორიელთა შემოსევას მოჰყვა, ე.ი. ძვ.წ. XI-IX სს. ტრადიციულად „ჰომეროსის ეპოქას“ უწოდებენ, რადგან დიდი ხნის მანძილზე ამ პერიოდის ასახვისთვის მეცნიერების განკარგულებაში მხოლოდ ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ შემონახული ცნობები იყო.

ჰომეროსი ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ ბრმა სახალხო მომღერლად (რაფსოდად), რომელიც ორი გენიალური პოემის — „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორი იყო. თავდაპირველად ეს პოემები ზეპირი გზით გადადიოდა თაობიდან თაობაში და მხოლოდ ძვ.წ. VI ს. ათენის ტირანის პისისტრატეს დროს მოხდა მათი ტექსტების ჩაწერა. პოემების წარმოშობის, აღნაგობის და ჰომეროსის ავტორობის საკითხი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იპყრობდა მკვლევართა

ყურადღებას, განსაკუთრებული ინტერესი გამოვლინდა XVII-XVIII სს. როდესაც დასაბამი მიეცა მეცნიერების ახალ მიმართულებას — ე. წ. „ჰომეროსის პრობლემა“.

XVII ს. იტალიელმა ისტორიკოსმა ჯანბატისტა ვიკომ, ხოლო XVIII ს. ბოლოს გერმანელმა ფილოლოგმა ფრიდრიხ ვოლფმა უარყვეს ჰომეროსის რეალურობა და ორივე პოემა ხალხური შემოქმედების ნაყოფად გამოაცხადეს. ამ კონცეფციის დამცველებს „ვოლფიანელებს“ უწოდებენ. XIX ს. მათ დაუპირისპირდნენ შილერი და გოეთე, - ე. წ. „უნიტარიების“ მიმდინარეობა; ისინი ამტკიცებენ, რომ ორივე პოემა ერთი და იგივე პოეტის ჰომეროსის მიერ არის შექმნილი. ამავე საუკუნეში ჩამოყალიბდა კიდევ ორი მიმართულება: ერთის თანახმად, თავდაპირველად შეიქმნა ცალკეული სიმღერები, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ, ესაა ე. წ. „მცირე სიმღერათა თეორია“, მეორეს მიხედვით — ორივე პოემას თავდაპირველად საფუძვლად ედო მცირე პოემა, რომელშიაც ძირითადი ეპიზოდები იყო შესული და ეს თავდაპირველი „ძირითადი მარცვალი“ ერთ პოეტს, შესაძლოა მართლაც ჰომეროსს ეკუთვნოდა, მაგრამ შემდგომში ამ „ძირითად მარცვალს“ მომდევნო თაობების მომღერალ-რაფსოდთა წყალობით ახალი ეპიზოდები და ცალკეული წვრილმანები ემატებოდა.

აქილევსი და აიაქსი თამაშობენ კამთელს, ლარნაკწერა

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში შეიქმნა ე. წ.



აქილევსისა და მემნონის ბრძოლა, ლარნაკწერა

„სინთეტიკური თეორიები“, რომელთა მიმდევრების აზრით „ილია-

და“ და „ოდისეა“ წარმოადგენდნენ ხალხური ეპოსის ქმნილებებს, რომლებიც შემდგომში ერთმა (ან ორმა) გენიალურმა პოეტმა გადაამუშავა და მისცა დაახლოებით ის სახე, რომელიც მათ დღეს აქვთ. დღეისათვის მიღებულია და ეს კომპიუტერმაც დაამტკიცა, რომ პოემები ერთი ავტორის შექმნილია. როგორც არ უნდა გადაწყდეს ჰომეროსის საკითხი, ერთი რამ ცხადია, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ იმ სახით, როგორც ისინი ძვ.წ. VI ს. იქნენ ჩაწერილი, შეიქმნა ძვ.წ. VIII ს. დასაწყისში, მაგრამ მათი სიუჟეტი მიკენის ხანას (ძვ.წ. XIII-XII სს.) განეკუთვნება. პოემებმა შემოინახა მრავალი ცნობა იმ პერიოდიდან, რომელსაც განეკუთვნება მათში მოთხრობილი მოვლენები, ამას გარდა მათში აისახა ძვ.წ. XI-IX სს. და თვით ძვ.წ. VIII-VII სს. ამბებიც. მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ პოემაში აღწერილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი დამახასიათებელია ძირითადად დორიელთა შემოსევის შემდგომდროინდელ ეპოქისათვის.



ოდისევსი და სირენები, ლარნაკწერა

„ილიადას“ ძირითად სიუჟეტს შეადგენს თესალიელი გმირის აქილევსის რისხვა, მიმართული ბერძენთა ლაშქრის მხედართმთავრის აგამემნონის წინააღმდეგ. პოემის მოქმედება რამდენიმე დღეს მიმდინარეობს, მაგრამ მასში ჩართული მონათხრობებიდან ჩვენ ვგებულობთ როგორც აქილევს-აგამემნონის კონფლიქტის წინამორბედ, ისე შემდეგ დროინდელ ამბებსაც. რაც შეეხება „ოდისეას“, მისი ძირითადი სიუჟეტიც მხოლოდ რამდენიმე დღეს მოიცავს — კერძოდ, ოდისევსის ითაკაზე დაბრუნების უკანასკნელი წლის რამდენიმე დღეს. მაგრამ აქაც სხვადასხვა ჩართულ მონათხრობ-მოგონებათა საშუალებით აღწერილია ოდისევსის მოგზაურობის და ტროას ომის ზოგიერთი სხვა მონაწილის ომიდან სახლში დაბრუნების ამბები.

დორიელთა შემოსევამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია:

ბრინჯაოს ეპოქა შეიცვალა რკინის ხანით, სათიბ-საძოვრები საერთო-სათემო საკუთრებაში და კოლექტიურ სარგებლობაში რჩებოდა. სახლები, ოჯახები გვაროვნულ თემებად — „გენოსებად" ერთიანდებოდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი კი სისხლით ნათესაობის პრინციპით „ფრატრიებად" (საძმოებად), შემდეგ კი „ფილეებად". რამდენიმე გვაროვნული ფილე ტომს ქმნიდა. სწორედ ასეთი ტომების სათავეში იდგნენ ბასილევსები, არჩევითი ხელისუფალნი, რომელნიც მშვიდობიან პირობებში უმაღლესი ქურუმების, ხოლო ომის დროს შეიარაღებულ თანამეტომეთა ლაშქრის მხედართმთავრის ფუნქციებს ასრულებდნენ. ამრიგად საზოგადოების სტრუქტურა გვაროვნულ-პატრიარქალურ პრინციპზე იყო აგებული.

მაგრამ ძ.წ. X-IX სს. აშკარად შეიმჩნევა ამ სტრუქტურის დაშლის ნიშნები. საოჯახო ნაკვეთის — „კლეროსის" ოჯახის უფროს ვაუზე მემკვიდრეობით გადაცემის წესი წარმოშობდა თემის შიგნით უმიწო და მცირემიწიან ფენას, მეორეს მხრივ, მეთემეთაგან გამოიყოფოდა შეძლებული გვაროვნული არისტოკრატია, რომელიც ქონებასთან ერთად გარკვეულ უფლებრივ უპირატესობასაც იძენდა. ბასილევსებსა და მათ ნათესავებს სათემო მიწიდან უყოფდნენ საგანგებო ნაკვეთებს — „ტემენოსებს", რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა და მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენდა. ამავე დროს, როგორც ეს ჰომეროსის პოემებიდან ჩანს, ზოგიერთ ტომებში ბასილევსის თანამდებობა არჩევითიდან თანდათან მემკვიდრეობით ხელისუფლებად გადაქცევის ტენდენციას ამჟღავნებდა. ტომის ყველა საქმეებს ძველებურად სახალხო კრება განაგებდა. მაგრამ ჰომეროსის პოემებიდან კარგად ჩანს, რომ ხალხის კოლექტიური ხელისუფლების ეს ორგანო თანდათან კარგავდა თავის გავლენასა და რეალურ ძალას. იგი სულ უფრო ექცეოდა გვაროვნული არისტოკრატიის გავლენის ქვეშ და ემორჩილებოდა ტომის

ოქროს თასი ვაპიოდან, ძ.წ. XV ს.

შეიარაღებულ მოლაშქრეთა და მათ სათავეში მდგომ ბასილევსის ნება-სურვილს.

როგორც ჰომეროსის პოემათა ანალიზი და არქეოლოგიური მასალა მოწმობს ძვ.წ. XI-IX სს. საბერძნეთში განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. როგორც რიგითი მეთემეები თავის „კლეროსებზე", ისე ბასილევსები და მათი ნათესავები თავის „ტემენოსებზე" თესავდნენ ქერსა და შვრიას, აშენებდნენ ხილის ბაღებსა და ვენახს. მეთემეებს ჰყავდათ შინაური საქონელი, ხოლო გვაროვნული არისტოკრატია ჯოგებსა და ცხვრის ფარებს ფლობდა. დორიელთა შემოსევამ ხელოსნური წარმოების ერთგვარი დაცემა გამოიწვია. თუმცა მოსახლეობის მოთხოვნილებამ მათ ნაწარმზე, ხელოსნობის რაოდენობრივი ზრდა და შინაგანი დიფერენციაცია წარმოშვა. სულ უფრო იზრდებოდა მოხეტიალე ხელოსანთა რაოდენობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ როგორც, სოფლის მეურნეობაში, ისე ხელოსნურ წარმოებაში ჩაბმულნი იყვნენ გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები და თვით ბასილევსებიც. შრომა ჯერ კიდევ სათაკილო არ იყო მაღალი წოდებისათვის, ვაჭრების მიმართ კი ჰომეროსი უარყოფითად იყო განწყობილი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ჰომეროსის ეპოქაში ჯერ კიდევ ბატონობდა ნატურალური მეურნეობა.

ჰომეროსის საზოგადოებაში არსებობდა მონობაც; მისი ძირითადი წყარო იყო ომი და მეკობრეობა, მაგრამ მონობა ჯერ კიდევ პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. მონები უმთავრესად ჰყავდათ ბასილევსებს და საოჯახო საქმიანობაში იყენებდნენ. მხევალი ქალები ხელზე მოსამსახურეებად, ძიძებად, მქსოველებად, მზარეულებად მუშაობდნენ, მონა-მამაკაცები კი — მწყემსებად, მეღორეებად, მებაღეებად. თავისთავად მონობა გვაროვნული წყობილების დაშლის მაჩვენებელია, მაგრამ მონობის პატრიარქალური ხასიათი ცხადჰყოფს, რომ ჯერ კიდევ შორს იყვნენ მონათმფლობელური სისტემისგან.

ამრიგად, ძვ.წ. XI-IX სს. საბერძნეთში არსებობდა პატრიარქალური პირველყოფილი-თემური ურთიერთობიდან კლასობრივზე გარდამავალი საზოგადოება. ამ პერიოდში საბოლოოდ მოხდა ბერძნული ტომობრივი ჯგუფების განსახლება და დამკვიდრება ბერძნული სამყაროს სხვადასხვა რაიონებში. ჩრდილოეთ საბერძნეთსა და მცირე

აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე დასახლდნენ ეოლიური ტომები; ცენტრალური საბერძნეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ეგეოსის ზღვის კუნძულების დიდი ნაწილი და მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროს შუა ზოლი დაიკავეს იონიელებმა, ხოლო პელოპონესი, კუნძული კრეტა, ეგეოსის ზღვის სამხრეთის და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთის სანაპირო დაიმკვიდრეს დორიელებმა. აქაველებმა შეინარჩუნეს პელოპონესის ჩრდილოეთი და ცენტრალური ოლქები, მათვე დაიკავეს კუნძული კვიპროსი.



ტროას ცხენი

გეომეტრიული სტილის ამფორა ათენიდან, ძვ.წ. VIII ს.

ქალაქ-სახელმწიფოების (პოლისების) ჩამოყალიბება და ბერძნული კოლონიზაცია

ძვ.წ. XI-VIII სს. ჰომეროსის დროს საბერძნეთში თემურ-გვაროვნული ურთიერთობის რღვევის შედეგად საგვარეულო თემებს გვაროვნული არისტოკრატია გამოეყო, რომელიც თემის საუკეთესო მიწებსა და საძოვრებს ისაკუთრებდა და მსხვილი ჯოგებისა და საქონლის მფლობელი ხდებოდა. თემის ამ პრივილეგირებულმა წევრებმა რიგითი მეთემეების ჩაგვრა დაიწყეს, რის შედეგადაც ძვ.წ. VIII-VII სს. საბერძნეთში საფუძველი ჩაეყარა ადრეკლასობრივ საზოგადოებას. ამ დროს საბერძნეთში ვითარდება კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენა: ქალაქ სახელმწიფოების — პოლისების წარმოქმნა.

ჯერ კიდევ კრეტა-მიკენის ეპოქაში არსებობდა საბერძნეთში, კორინთოში, არგოსში, მილეთში, სმირნაში, ეფესოში და სხვ. საკაჭრო-სახელოსნო ცენტრები, სადაც მოსახლეობის ინტერესები დაკავშირებული იყო ვაჭრობა-ხელოსნობასთან, სახმელეთო და საზღვაო გზებთან. ეს ცენტრები ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების შედეგად წარმოიქმნენ, მაგრამ დორიელთა შემოსევამ მოსპო ან დააკნინა ეს ძველი ქალაქები. ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოების (პოლისების) წარმოქმნა სრულიად ახალი, კლასობრივი პრინციპების საფუძველზე მოხდა. ისინი მონათმფლობელების მიერ მონების კოლექტიური ჩაგვრის აუცილებლობამ წარმოქმნა. ანტიკური ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) მონათმფლობელების თავისებური კოლექტიური იყო, ანუ მონათმფლობელთა თემი.

სახელმწიფო ორგანიზაციის ამ თავისებურ ფორმას პოლისი იმიტომ ერქვა, რომ იგი იყო საქალაქო თემიც და სახელმწიფოც. ზოგიერთი პოლისი ვაჭრობა-ხელოსნობის გარეშეც იქმნებოდა, მაგალითად, სპარტა. მაგრამ იმ პოლისებში, სადაც ვაჭრობა-ხელოსნობაც არსებობდა, ქალაქ-სახელმწიფოს განვითარება უფრო ჩქარი ტემპით წარმოებდა. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების დაარსების კიდევ ერთი პირობა არსებობდა: ეს იყო რამდენიმე დასახლებული ადგილის შერწყმა, რასაც „სინოიკიზმი" ეწოდებოდა. ასე მოხდა ქალაქ ათენის ჩამოყალიბების დროს.

ქალაქ-სახელმწიფოების შექმნის გარდა, ძვ.წ. VIII ს. საბერძნეთში ადგილი აქვს მეორე მნიშვნელოვან მოვლენას — დიდ ბერძნულ კოლონიზაციას. დორიელების გადმოსახლების შემდეგ ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სხვა ბერძნულმა ტომებმაც იწყეს მოძრაობა, კერძოდ, ეოლიელებმა და იონიელებმა, რომლებმაც მოახდინეს ეგეოსის ზღვის კუნძულების და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია. გვაროვნული არისტოკრატიის უფლებების ზრდამ, მათ მიერ სათემო საუკეთესო მიწების მისაკუთრებამ, ამ მიწების კერძო მფლობელობაში მოქცევამ



ბერძნული საომარი და სამხედრო ხომალდები

გამოიწვია თემების თავისუფალი მოსახლეობის დიდი ნაწილის უმიწოდ დარჩენა და სრული გაღატაკება. ამავე ხანებში სოფლის მეურნეობას გამოეყო ხელოსნობა და ვაჭრობა. ეკონომიურად გავლენიანი და პოლიტიკურად ძლიერი გვაროვნული არისტოკრატია უპირისპირდება გაღატაკებულ, უუფლებო, ეკონომიურად და პოლიტიკურად დამცირებულ ფენას და იძულებულს ხდის მონური შრომა გასწიოს ან მიატოვოს სამშობლო, ცოლშვილიანად გადაიხვეწოს საბერძნეთიდან ხმელთაშუა ზღვის რომელიმე მხარეში. გარდა ამისა, ბერძნების ბუნებრივმა გამრავლებამ და ბალკანეთის უნაყოფობამაც აიძულა მოსახლეობა მოეძებნათ დასასახლებლად ახალი მიდამოები.

ბერძნების კოლონიზაციის ძირითადი მიზეზი იყო: თემურ-

გვაროვნული წყობილების რღვევის შედეგად გვაროვნული არისტოკრატიის მიერ დაჩაგრული და შევიწროებული, გაღატაკებული თავისუფალი მოსახლეობის ნებაყოფლობითი განსახლება სხვა მხარეში, ან კლასობრივი ბრძოლის დროს დამარცხებული ღატაკები იძულებული იყვნენ აყრილიყვნენ და სხვაგან გადასახლებულიყვნენ. სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბებამ გამოიწვია ვაჭრობა-ხელოსნობის შემდგომი განვითარება, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ბერძნული კოლონიზაცია. სამხრეთ ბალკანეთის საბერძნეთის ტერიტორიის უნაყოფობამ (კლდოვანი, მწირი და ხრიოკი იყო) და მოსახლეობის ბუნებრივმა გამრავლებამაც წარმოშვა კოლონიზაცია. ბერძნებს პური და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები არ ჰყოფნიდათ და შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, იძულებული იყვნენ გადასახლებულიყვნენ უფრო ნაყოფიერ ტერიტორიებზე.

ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში ყველაზე ნაყოფიერ ტერიტორიას წარმოადგენდა აპენინის ნახევარკუნძული, იტალია და კუნძული სიცილია, ამიტომ ბერძნები ძ.წ. VIII ს. იტალიისაკენ მიისწრაფიან. პირველი ახალშენი კუნძულ ევბეას მცხოვრებლებმა დაარსეს იტალიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, — ახალშენი კუმე, შემდეგ ნეაპოლი, სიბარისი, კროტონი. სპარტელებისა და პერიეკთა უკანონო შვილებმა კი — ტარენტი. იტალიის ნაყოფიერ მიწაზე დაარსებული ეს ბერძნული ახალშენები მალე მნიშვნელოვან, მდიდარ ქალაქ-სახელმწიფოებად გადაიქცნენ და მათი ხელმძღვანელობით ბევრი ბერძნული ქალაქი აშენდა, რის შედეგადაც სამხრეთ იტალიას „დიდი საბერძნეთი" უწოდეს. ახალშენები დაარსდა კუნძულ სიცილიის მიდამოებშიც. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: მესენა, სირაკუზი, აგრიგენტი და სხვები. იტალია, სიცილიაში დაარსებულ ბერძნულ ახალშენებში არა მარტო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას ეწეოდნენ, არამედ ხე-ტყით, პურითა და მატყლითაც ვაჭრობდნენ. მცირეაზიელ ბერძნებმა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე, მდ. რონის შესართავთან დაარსეს



ძველი ეგვიპტე

ახალშენი მასილია (თანამედროვე მარსელი) და ესპანეთში ქალაქი საგუნტი.

ბერძნების შემდგომ განსახლებას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე კართაგენელებმა შეუშალეს ხელი და ამიტომ ბერძნული კოლონიზაციის მიმართულებამ აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე, ნილოსის დელტასა და ლიბიის სანაპიროზე გადაინაცვლა. ნილოსის დელტაში მილეთელებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალშენებს: ნავკრატისსა და დაფნას, აგრეთვე ლიბიის სანაპიროზე 12 ბერძნულმა ქალაქმა დაარსა ახალშენი კვირენა. ამ ახალშენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნავკრატისი და კვირენა. ბერძნებს ეგვიპტიდან გაჰქონდათ: პური, მარილი, პაპირუსი, სპილოს ძვალი, სამკურნალო მცენარეულობანი და სანელებლები. ბერძნები ეგვიპტის მეფის ჯარში მსახურობდნენ მოქირავნეებად. ეგვიპტის ტერიტორიაზე დაარსებულმა ბერძნულმა ახალშენებმა მალე გაითქვეს სახელი და ყველაზე ცნობილ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებად გადაიქცნენ. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ ახალშენებმა ძველი ეგვიპტური კულტურის საბერძნეთში გავრცელების საქმეში.

იაზონი იმორჩილებს ცეცხლისმფრქველ ხარებს, ლარნაკი

ბერძნული კოლონიზაციის მესამე მიმართულება იყო ეგეოსის ზღვის ჩრდილო სანაპირო, ქალქიდიკის ნახევარკუნძული და თრაკიის სანაპირები, სადაც დაფუძნებული იქნა: პოტიდეა, ამფიპოლისი, აბდერა და ოლინთო. შავი ზღვის მიმართულებით, ჰელესპონტის მიდამოებში შეიქმნა სიგეიონი და კიზიკი. დარდანელის სანაპიროზე კი — ბიზანტია და ქალკედონი. ბერძნები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების კოლონიზაციასაც აწარმოებენ. იქ ჩამოაყალიბეს: ჰერაკლია, სინპი, ტრაპეზონი და კერასუნტი. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი დაარსეს ახალშენები:

იაზონი და მედეა იტაცებენ ოქროს საწმისს, ლარნაკი

ფაზისი, გიენოსი, დიოსკურია, პიტიუნტი და არქეოპოლისი. ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ გემებისათვის საჭირო ხე-ტყე, თაფლი, სანთელი, სელი, ფისი და ოქრო. თქმულება არგონავტების შესახებ მოგვითხრობს ბერძენ ბედისმაძიებელ მეფისწულის იასონის შესახებ, რომელიც გემი „არგოთი" კოლხეთში მივიდა და კოლხეთის მეფის ასულ მედეას დახმარებით ოქროს საწმისი გაიტაცა. ბერძნების წარმოდგენით კოლხეთი მდიდარ სამეფოს წარმოადგენდა და ბერძნების მისწრაფება კოლხეთისაკენ სავსებით გასაგები იყო.

ბერძნებმა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და ყირიმის ნახევარკუნძულზე დაარსეს ახალშენები: პანტიკაპეა, ოლიბია, ფანაგორია, ხერსონესი, ფეოდოსია და სხვ. ბერძნებს შავი ზღვის ჩრდილო მიდამოებიდან გაჰქონდათ: პური, თევზი, ბეწვეული, თაფლი, მატყლი, სანთელი. გაჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და მონები. შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს მიდამოებში ძვ.წ. 480 წ. ბერძნული ახალშენების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა ბოსფორის დამოუკიდებელი სამეფო. შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს მიდამოებში შეიქმნა ბერძნული ახალშენები: ისტრია, ტომი, აპოლონია და ოდესური.

ბერძნების დიდი კოლონიზაცია ძვ.წ. VIII-VII ს.ს. მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბერძნეთისათვის. ბერძნებმა მრავალრიცხოვანი ახალშენების მეოხებით თითქმის მთელ ხმელთაშუა ზღვის მიდამოში გაავრცელეს თავიანთი გავლენა. ფილოსოფოსი პლატონი ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში ბერძნულ ახალშენების არსებობას ადარებდა ტბის გარშემო შემომჯდარ ბაყაყებს. ახლადდაარსებული ბერძნული ახალშენები თავდაპირველად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწეოდნენ. თანდათან სავაჭრო ურთიერთობაც დაამყარეს იტალიის, სიცილიის, ეგვიპტის, თრაკიის და შავიზღვისპირეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან. პირველ რიგში, ისინი ცდილობდნენ კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ ადგილობრივი მოსახლეობის წინამძღოლებთან, რომლებსაც ძვირფას საჩუქრებით ქრთამავენ, რათა ადგილობივ ხელისუფალთ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ მათთვის.

ამფორა

ბერძნული ახალშენები სისტემატურად ამარაგებდნენ საბერძნეთის პოლისებს პურით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ხე-ტყით,



ოლიმპია. რეკონსტრუქცია

თაფლით, სანთლით, ბეწვეულით, მონებით და სხვა მრავალი საავჭრო იაფი საქონლით. სამაგიეროდ ახალშენებს დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ ხელოსნური ნაწარმი: თიხის ჭურჭელი, ქსოვილები, ბრინჯაოს, რკინის სამუშაო და საბრძოლო იარაღები, მარმარილოსაგან გაკეთებული ღმერთების გამოსახულება და სხვა მრავალი საქონელი. ბერძნული ახალშენების დაარსებამ ხელი შეუწყო ბერძნული ზღვაოსნობის და ვაჭრობის განვითარებას, რომელიც თანდათან საერთაშორისო მნიშვნელობის გახდა. საბერძნეთში ახალშენებიდან შემოტანილმა იაფმა პურმა საბერძნეთის ზოგიერთ ოლქს ხელი ააღებინა პურის თესვა-მოყვანაზე. ბერძნები დაინტერესებული იყვნენ უფრო ძვირფასი კულტურების მოშენებით: ზეთისხილის, ვაზის და ხილის ბაღებითა და სხვა.

საბერძნეთის პოლისებში ფართოდ წარმოებდა სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმის დამზადება, საბერძნეთის ზოგიერთ პოლისში საერთო შეთანხმების საფუძველზე სპეციალიზაცია ხდებოდა: ერთი პოლისის ხელოსნები ერთი ტიპის სახელოსნო ნაწარმს ქმნიდნენ, მეორე პოლისის — მეორე ტიპისას. ვითარდებოდა მონებით ვაჭრობა, მევახშეობა, სავალო კაბალაც. ვალების გამო ბევრი გაჭირვებული ბერძენი მონობაში ვარდება და პირიქით, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებამ ზოგიერთი ყოფილი ღარიბი თავისუფალი ბერძენი ვაჭრობის მეოხებით გამდიდრდა. ახლადგამდიდრებულები ფუფუნებით ცხოვრებაში ეტოლებოდნენ გვაროვნულ არისტოკრატიას. გამდიდრებული ბერძენი ხელოსნებისა და ვაჭრების ეკონომიურმა გაძლიერებამ წარჩინებულთა პოლიტიკური გავლენა ნაწილობრივად შეასუსტა. ბერძნულმა კოლონიზაციამ გვაროვნული არისტოკრატიის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერეც შეარყია ნაწილობრივ, მაგრამ გვაროვნული არისტოკრატიის გავლენა მაინც დიდი იყო, რადგან მთელი პოლიტიკური ძალაუფლება მათ ეკუთვნოდათ.

წარჩინებულთა და ღარიბ, უუფლებო ბერძენთა წინააღმდეგობის შესახებ ცნობას გვაწვდის ძვ.წ. VIII ს. გლეხი პოეტი ჰესიოდე

თავის პოემაში „სამუშაონი და დღენი“. ჰესიოდე ცხოვრობდა ძვ.წ. VIII ს. ბოლოს და VII ს. დასაწყისში. მას 4 პოემა ეკუთვნის: „სამუშაონი და დღენი“, „თეოგონია“, „ჰერაკლეს ფარი“ და „ქალთა კატალოგი“. ამ ოთხი პოემიდან შედარებით სრული სახით მოაღწია პირველმა სამმა პოემამ. „ქალთა კატალოგის“ მხოლოდ ფრაგმენტია გადარჩენილი. ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“ ავტობიოგრაფიული შინაარსისაა. მისი მამა ბეოტიელი გლეხი იყო. მცირე აზიაში ვაჭრობით შეიძინა ქონება. სიკვდილის წინ ბეოტიაში დასახლდა და შემდეგ თავის ორ ვაჟიშვილს ჰესიოდეს და პერსეოსს დაუტოვა მთელი ქონება. უმცროსი ვაჟი პერსეოსი ფუქსავატი ადამიანი აღმოჩნდა, მან თავისი წილი მამის ქონება გაფლანგა და შემდეგ ისევ თავის უფროს ძმას ჰესიოდეს მოსთხოვა ქონების ახალი გაყოფა. მან წარჩინებულ მსაჯულთა მოქრთამვით მიაღწია კიდეც მიზანს.

ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“ დიდაქტიკური ნაწარმოებია და ძმას, პერსეოს ეძღვნება. ნათლადაა ასახული წარჩინებულთა ძალმომრეობა. ამ პოემაში ჰესიოდეს მოჰყავს არაკი ქორსა და ბულბულზე: აი რა უთხრა ერთხელ ქორმა მგალობელ ბულბულს, რომლისთვისაც მას ბრჭყალები ჩაერჭო და ღრუბლებში მიაქანებდა: „რას ჭყივი შე ბედშაო! ხომ ხედავ შენზე უფრო ძლიერს ჰყავხარ ხელში, სადაც მინდა იქ წაგიღებ, მინდა შეგჭამ, მინდა გაგიშვებ. უგუნურია ის, ვინც მოისურვებს წინააღმდეგობა გაუწიოს თავისზე ძლიერს, ვერც გამარჯვებას მოიპოვებს და სირცხვილსაც სჭამს“. ჰესიოდეს დროს შრომა საპატიო საქმიანობად ითვლებოდა, ხოლო ბრძოლა დიდგვაროვანთა წინააღმდეგ შეუგნებელ საქციელად. ამიტომ ჰესიოდე თავის ძმას პერსეოსს ურჩევს უსაქმურ, ფუქსავატურ ცხოვრებას თავი გაანებოს და პატიოსან შრომას მოჰკიდოს ხელი. ამისათვის იგი სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევს ძმას თუ რა საშუალებით შეიძლება გამდიდრება და როგორი შრომა უნდა გასწიოს მიწათმოქმედმა, ხელოსანმა და ვაჭარმა.

ოლიმპიური ამანათრბენა, ლარნაკწერა

ასეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი ძვ.წ. VIII-VII სს. საბერძნეთში, ქალაქ-სახელმწიფო, პოლისების ჩამოყალიბებას და დიდ

ბერძნულ კოლონიზაციას. კოლონიზაციასა და კლასობრივი საზოგადოების ერთმანეთთან დაპირისპირებას. ბერძნული კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად ვითარდება ყველაზე პოპულარული ღვთაებების ტაძრების დღეობები, ზეიმები, ზოგი ყოველწლიურად, ზოგი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ტაძრების ტერიტორია საღვთო მიწად, ე.ი. ხელშეუხებლად ცხადდებოდა, მისი მოხვნა-დამუშავება აკრძალული იყო. ყველაზე პატივცემული ღვთაებების: აპოლონის, პოსეიდონის და ზევსის დღესასწაულები ბერძენთა საერთო ზეიმებად იქცა, რომელზედაც აუარებელი ხალხი იყრიდა თავს. იმართებოდა ბაზრობა და ასპარეზობა. ყველაზე ცნობილი ტაძრები იყო აპოლონის დელფოს ტაძარი შუა საბერძნეთში, პოსეიდონის კორინთოში და ზევსისა ელიდაში, ქალაქ ოლიმპიაში. ზევსის დღესასწაული-ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. პირველი ოლიმპიადა ძვ.წ. 776 წ. გაიმართა და ამ ოლიმპიადების მიხედვით წარმოებდა ბერძნების წელთაღრიცხვა. თითოეულ ტაძარს თავისი მომწესრიგებელი კომისია ჰყავდა. ჩვენთვის კარგად ცნობილია დელფოს ტაძრის მომწესრიგებელი კომისია, რომელსაც ამფიქტრიონი ეწოდებოდა, რაც ტაძრის გარშემო მიწის მფლობელს ნიშნავს. ჩანს ამ კომისიის წევრობა მეტად მომგებიანი უნდა ყოფილიყო.


ევროპა
ბალკანეთის ნ.კ.
ბალკანეთის მიწანარი
ეგეოსი
ზღვა
ბერძენთა
ბოსფორი
ბოსფორი
ბოსფორი
ბოსფორ
ბოსფორ
ბოსფორ

ძველი სპარტა

ძვ.წ. IX-IV საუკუნეებში

სპარტელი მეომარი

ძველი სპარტის სახელმწიფო წარმოიქმნა ძვ.წ. IX ს. და მდებარეობდა პელოპონესის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ლაკონიკის დაბლობში, რომელსაც დასავლეთით საზღვრავდა მუდმივი თოვლით დაფარული ტაიგეტის მთა, აღმოსავლეთით კი პარნეტის მთა. ტაიგეტის მთა მდიდარი იყო რკინის მადნით, შესანიშნავი ნაძვის ტყეებით, საძოვრებითა და გარეული ცხოველებით. ლაკონიკის დაბლობში მოედინებოდა თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებითა და თევზით მდიდარი მდინარე ევროტასი. დაბლობის სიგანე ათ კილომეტრს არ აღემატებოდა, მაგრამ გამოირჩეოდა ნაყოფიერი მიწით. ლაკონიკის აღმოსავლეთი სანაპირო მაღალი იყო და ზღვაოსნობისათვის არახელსაყრელი. სამაგიეროდ, სამხრეთ ნაწილში ტაიგეტის მთა ტენარის კონცხით მთავრდებოდა, ხოლო პარნეტის მთა კი მალეის კონცხით და ამ ორ კონცხს შორის იყო შესანიშნავი ბუნებრივი ნავსაყუდელი ლაკონიკის ყურე.

ლაკონიკის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში არსებობდა აქაველთა ქალაქი ამიკლი. აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია აქაველთა მდიდრული დასახლება, რომელიც მომთაბარე დორიელი ტომების შემოსევის დროს განადგურდა. თუმცა ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ მოხსენებულია სპარტის მეფე მენალაოსი, მშვენიერი ელენეს ქმარი, მაგრამ არქეოლოგიურმა გათხრებმა სპარტის ადგილას დიდი, ქალაქური ტიპის დასახლების არსებობა არ დაადასტურა, მხოლოდ სპარტის მახლობლად აღმოაჩინეს 300 კვ. მ. ფართობზე მასიური თლილი ქვის ნაგებობა, ყოველგვარი გალავნის გარეშე და

ღმერთების ბრძოლა გიგანტებთან „გიგანტომახია“

არქეოლოგებმა მას მენელაონი უწოდეს. ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ მიკენურ ეპოქაში არავითარი სპარტის სამეფო არ არსებობდა.

საბერძნეთში დორიელთა ტომების შემოჭრა ძ.წ. VII ს. ბოლოს დაიწყო. ისინი ბრძოლით, ნელ-ნელა მიიწევდნენ სამხრეთისაკენ. დორიელთა ტომების შეჭრა პელოპონესში უნდა მომხდარიყო ძ.წ. V ს. საბოლოო დაპყრობა — ძ.წ. IV ს. დორიელებმა პელოპონესში აქაველთა ძლიერი ცენტრის ამიკლის შემდეგ ლაკონიკის დაბლობის მოსახლეობაც დაიმორჩილეს. სტრაბონის გადმოცემით ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობა დორიელებს ჰელოსის მცხოვრებლებმა გაუწიეს, რომელთა წინააღმდეგობა დამპყრობლებმა სძლიეს და ამის შემდეგ ლაკონიკის დაბლობის მცხოვრებლები სახელმწიფო მონებად — ჰილოტებად გამოაცხადეს. ლაკონიკის დაბლობი 10. 000 ნაკვეთად — „კლეროსად“ დაჰყვეს და თითოეულს ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმე ოჯახი მიამაგრეს. ჰილოტები სრულიად უუფლებონი იყვნენ, ვალდებული იყვნენ დაემუშავებინათ ეს ნაკვეთები და მოსავლის მესამედი ან ნახევარი ნაკვეთის მფლობელ სპარტელისათვის მიეცათ. ჰილოტების გაყიდვა, ჩუქება, ანდერძით დატოვება, მოკვლა არ შეიძლებოდა, ასევე მიწის ნაკვეთის გასხვისება, რამდენადაც ჰილოტიცა და მიწაც მთელი სპარტული თემის საკუთრება იყო. დაბადებიდანვე სპარტელი ვაჟები ღებულობდნენ მიწის ნაკვეთს „კლეროსს“ ჰილოტების რამდენიმე ოჯახიანად, მაგრამ სპარტელი თავის კუთვნილ ნაკვეთში არ ცხოვრობდა, უშუალოდ ჰილოტების ექსპლოატაციას არ აწარმოებდა. ისინი თავიანთ მეურნეობას ამ ნაკვეთში დამოუკიდებლად ეწეოდნენ.

ლაკონიკაში არსებობდა მოსახლეობის მეორე, შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი ე. წ. პერიეკები. პერიეკები პარნეტის მთის კალთებზე და ზღვისპირას მცხოვრები აქაველები იყვნენ. ისინი ლაკონიკის ვაჭარ-ხელოსნურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ

და სპარტელები „გარშემო მცხოვრებს“ ანუ მეზობლებს უწოდებდნენ, მათ 30 ათასი ყველაზე უნაყოფო მიწის ნაკვეთი ჰქონდათ. იურიდიულად ისინი თავისუფალი იყვნენ, მაგრამ არავითარი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. პერიეკებს განაგებდნენ სპარტელი თანამდებობის პირნი — ჰარმოსტები, რომლებსაც ისინი ხარკს ნატურით უხდიდნენ. პერიეკები მიწათმოქმედება-მესაქონლეობის გარდა ხელოსნობასა და ვაჭრობას ეწეოდნენ, ამზადებდნენ თიხის, რკინის ჭურჭელს, ზოგჯერ მხატვრულსაც, შალის ქსოვილებსა და ტანსაცმელს. მათ სახელი გაითქვეს ფოლადის იარაღის კეთებით. სპარტელ მეომრებს საუკეთესო შეიარაღებაც ჰქონდათ. ამავე დროს სპარტა ეკონომიურად ყველაზე ჩამორჩენილი იყო მთელ საბერძნეთში, რადგან სპარტელები არ შრომობდნენ და პერიეკებსაც არ აძლევდნენ საშუალებას, რომ ფართო მასშტაბით განევითარებინათ ხელოსნობა და ვაჭრობა. გამარჯვებულმა დორიელებმა ლაკონიკის ცენტრში თავიანთი სამხედრო ბანაკი შექმნეს, რომელსაც სპარტა ეწოდებოდა, მის მცხოვრებლებს კი — სპარტიატები. სპარტელების ბანაკი ხუთი დამოუკიდებელი სოფლისაგან შედგებოდა. ამ სოფლებს „კომაო“ დაარქვეს. შესაძლებელია სპარტელების ხუთ ნაწილად დაყოფა ამ სოფლების სახელწოდებიდან მომდინარეობდა. ესენია: პიტანები, მესოიები, დიმნები, კინოსურა და ლიმნე. სპარტელების სოფლებს არ ჰქონდათ არავითარი ზღუდე, კედელი. ლიკურგე ამბობდა: „მასზე არ ითქმის, კედლები არა აქვსო, თუ მას აგურის ნაცვლად ვაჟკაცები არტყია გარს“. ამ სოფლებს დღე და ღამე იცავდნენ შეიარაღებული სპარტელი მეომრები. ლაკონიკის ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით მცირერიცხოვანმა სპარტელებმა თავიანთ ბატონობის უზრუნველსაყოფად შექმნეს კონსტიტუცია, რომელსაც ლიკურგეს კონსტიტუცია ეწოდებოდა. პლუტარქემ დაწერა ლიკურგეს ბიოგრაფია, სადაც აღნიშნავს, რომ იგი ძმა იყო სპარტის მეფე პოლიდექტესის და ბიძა მეფე ქარილაოსის. პლუტარქე ლიკურგეს სპარტელ რეფორმატორად, კანონმდებლად მიიჩნევს.

ბერძნული მონეტა

ბურთის თამაში და ჭიდაობა, ბარელიეფი

მცირერიცხოვანი სპარტელები მრავალრიცხოვან მოსახლეობაზე ბატონობდნენ, ამიტომაც საკმარისი არ იყო ორი მეფის არხაგეტის ხელისუფლება, საჭირო იყო უფრო რთული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, სპარტელი მეფეები სხვადასხვა გვარიდან და ტომიდან იყვნენ, ერთი მეფე აგიადების გვარეულობიდან იყო და ტრადიციის თანახმად ეს გვარეულობა აქაველთაგან მოდიოდა, მეორე მეფე კი — დორიელთა ტომიდან,ევრიპოტინ-დების გვარს ეკუთვნოდა. სპარტელი მეფეები უნდა ყოფილიყვნენ არანაკლებ 30 წლის: თუ უფრო ახალგაზრდა გამეფდებოდა, მის სრულწლოვანებამდე მეურვე მოქმედებდა. სპარტელი მეფეები ჩვეულებრივ მეომრებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდნენ მშვიდობიანობის დროს, ხოლო ომის დროს ერთი მათგანი ლაშქარს მეთაურობდა ბრძოლის ველზე, მეორე კი ლაკონიკაში რჩებოდა, როგორც უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე. მეფეებს არხაგეტები ეწოდებოდათ..ისინი უხუცესთა საბჭოს, ე.წ. „გერუსიას“ (მოხუცთა კრება), აუცილებელი წევრები იყვნენ.

უხუცესთა საბჭო 28 გერონტისაგან (უხუცესისაგან) შედგებოდა, მეფეებთან ერთად კი 30 წევრისაგან. შემდგომში უხუცესთა საბჭოს გარდაცვლილ წევრების ნაცვლად 60 წელს მიღწეულ ყველაზე კეთილშობილ პიროვნებებს ირჩევდნენ. სახალხო კრებაზე გერონტების არჩევა ასე ხდებოდა: ჯერ საგანგებო პირთა კომისიას გამოჰყოფდნენ, რომლებსაც სახალხო კრების მახლობლად მდებარე სახლში ჩაკეტავდნენ, მათ აქედან არ შეეძლოთ დაენახათ თუ რა ხდებოდა გარეთ, მხოლოდ ხალხის ყვირილის მოსმენა შეეძლოთ. ასარჩევ კანდიდატებს თითო-თითოდ, ინტერვალით გამოიყვანდნენ ხალხის წინ, ისინი დუმილით გაივლიდნენ სახალხო კრების მოედანს, ხალხი მათ ყვირილით ხვდებოდა, საგანგებოდ ჩაკეტილი კომისია კი აღნიშნავდა ფირფიტაზე რომელ ასარჩევ კანდიდატურას

ხვდებოდა ხალხი მეტი ყვირილით. რა თქმა უნდა ჩაკეტილები ვერ ხედავდნენ კანდიდატს, ამიტომ ობიექტიურნი იყვნენ. არჩეული გერონტი, უხუცესთა საბჭოს წევრი ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე რჩებოდა. გერუსია წყვეტდა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს: ომის, ზავის, მიწის ნაკვეთების, სპარტელ მოქალაქეთა დასჯისა და დაჯილდოების საკითხებს.

სპარტაში არსებობდა აგრეთვე ერთი დაწესებულება „ეფორატი" (მეთვალყურეები). ყოველ წელიწადს ხუთ ეფორს ირჩევდნენ. ისინი თავდაპირველად სპარტის 5 სოფლის მამასახლისებს წარმოადგენდნენ. ეფორებს ევალებოდათ ადათ-წესების სწორი შესრულება, სპარტელ მოქალაქეებისა და თვით სპარტელი მეფეების მეთვალყურეობა. ეფორებმა განსაკუთრებით შეზღუდეს სპარტელი მეფეების ძალაუფლება. მათ შეეძლოთ მოეწვიათ სპარტელი მეფე გასასამართლებლად, მეფეებს შეძლოთ მიწვევაზე ორჯერ არ გამოცხადებულიყვნენ, მესამე მიწვევის შემდეგ კი ვალდებულნი იყვნენ ეფორებს ხლებოდნენ. ეფორები აგრეთვე თვალყურს ადევნებდნენ კოსმოსურ მოვლენებსა და არასასიკეთო წინასწარმეტყველების შემთხვევაში შეეძლოთ დროებით გადაეყენებინათ სპარტის მეფე, ვიდრე დელფოს სამინისნოდან არ მოვიდოდა სასიკეთო პასუხი.

აგელა

სპარტაში არსებობდა აგრეთვე სახალხო კრება „აპელა", რომლის წევრებად ითვლებოდნენ 30 წელს მიღწეული სპარტელები, თუმცა დამოუკიდებლად რაიმე საკითხის გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდათ. „აპელა" გერუსიისა და ეფორატის დადგენილებას ადასტურებდა. „აპელა" ირჩევდა გერონტებს და ეფორებს. სპარტის სახალხო კრების უფლებები ძალიან შეზღუდული იყო, თუმცა ლიკურგეს დელფოს მისნის დაწერილ წინასწარმეტყველებაში ე. წ. „რეტრაში" საწინააღმდეგო წერია.

ლიკურგემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა სპარტელების აღზრდას. ახლადდაბადებულს მიიყვანდნენ ლესქეში, სალაყბოში, სადაც ფილეების უხუცესები იყრიდნენ თავს. თუ ბავშვი საღი და ჯანმრთელი იყო, მას აღსაზრდელად გადასცემდნენ

მშობლებს, ბიჭებისათვის მიწის ნაკვეთს გამოყოფდნენ. სუსტს კი აპოთეტში, ტაიგეტის მთის უფსკრულში ისროდნენ.

7 წლამდე ვაჟებს ზრდიდნენ ძიძები, რომლებიც მთელ საბერძნეთში განთქმულნი იყვნენ. ბავშვებს ღვინოში აბანავებდნენ, სუსტები იღუპებოდნენ და ღონიერნი კი კაჟდებოდნენ. სპარტელ მამებს უფლება არა ჰქონდათ აღეზარდათ თავიანთი ვაჟები. შვიდი წლის ბიჭებს სპარტის სახელმწიფო თავს უყრიდა ე. წ. „აგელებში" (ფარებში); აგელების უფროსებად მამაც სპარტელს ნიშნავდნენ, მის ბრძანებას ბავშვები უსიტყვოდ ასრულებდნენ: სასჯელს, დავალებას, მოთმინებით იტანდნენ. ხშირად

ბესიკის ვაკვეთილი, ლარნაკზერა

მოხუცი სპარტელები ბავშვებს ერთი მეორესთან აჩხუბებდნენ, რათა გაეგოთ მამაცი იყო თუ მხდალი. სპარტელი ახალგაზრდების აღზრდის მიზანი იყო უსიტყვო მორჩილება. გიმნასიუმებში ასწავლიდნენ: წერა-კითხვას, დათვლა-ანგარიშს, სიმღერას, ცეკვას და ლექსების შეთხზვას, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ ვარჯიშს: უსახურავო, შემოღობილ მოედანზე, რომელსაც პალესტრა ეწოდებოდა მთელი დღე წვრთნიდნენ სპარტელ ბავშვებს. მათ თმას ძირამდე კრიჭავდნენ. ფეხშიშველა და ტიტლიკანა სიარულს აჩვევდნენ.

12 წლიდან ისინი უქიტონოდ (უპერანგოდ) დადიოდნენ და წელიწადში თითო წამოსასხამს „გიმატიას" ღებულობდნენ. ტანი მუდამ ჭუჭყიანი ჰქონდათ, რადგან თბილ წყალში არ ბანაობდნენ, ზეთით სხეულს არ იზელდნენ. იძინებდნენ ერთად „აგელების" ძიხედვით ლერწმის საწოლზე. ბავშვები მთელი დღე ვარჯიშობდნენ გიმნასიუმებში და მოხუცები არასოდეს მარტო არ ტოვებდნენ. მოზარდები თუ დანაშაულს ჩაიდენდნენ იქვე ყავდათ დამრიგებელი და დამსჯელიც. მათ აჩვევდნენ აეტანათ სიცივე, წყურვილი და შიმშილი. მოზარდი სპარტელების მეთვალყურეები იყვნენ „პედონომები", რომლებიც „აგელის" მეთაურად ყველაზე გონიერ ბავშვებს „ირენს" აყენებდნენ.

გიმნასიუმებში ახალგაზრდა სპარტელების აღზრდა

მთავრდებოდა 20 წლის ასაკში, 21 წლიდან ისინი სახელმწიფო მეომრებად ითვლებოდნენ და ირიცხებოდნენ განსაკუთრებულ რაზმებში — ლოხებში, რომლებიც 500 კაცისაგან შედგებოდა. 20 წლის ირენი ბრძოლაში რაზმებს მეთაურობდა, მშვიდობიან დროს კი რაზმის წევრების ვარჯიშებსა და საერთო სადილების მომზადებას ხელმძღვანელობდა. ხელქვეითი სპარტელები ვალდებული იყვნენ სხვადასხვა სანოვაგე ეშოვათ, უმეტესად ქურდობით, მაგრამ თუ ქურდობაზე წაასწრებდნენ, სასტიკად გაშოლტავდნენ. მოზარდთა სადილები ღარიბული იყო, რათა თვითონ გამოეჩინათ უნარი, მოხერხება და გამბედაობა საკვების შოვნაში. ერთმა სპარტელმა ახალგაზრდამ მელიის ლეკვი მოიპარა და წამოასასხამის ქვეშ დამალა. პედონომმა ეს დაინახა. თავისთან დაიბარა ეს ახალგაზრდა, რათა მელიის ქურდობა დაემტკიცებინა. ნადირმა ბრჭყალებითა და კბილებით მუცელი მთლად გამოფატრა, მაგრამ ბიჭი საიდუმლოების დასაფარად თავს მანამდე იმაგრებდა, ვიდრე არ მოკვდა.

სპარტელთა აღზრდა სრულწლოვანებამდე გრძელდებოდა, მაგრამ არც ამის შემდეგ ჰქონდა ვინმეს უფლება ეცხოვრა ისე, როგორც მოესურვებოდა. მიზანი იყო ძლიერი მეომრების აღზრდა. სპარტელები სიმღერებისა და ლექსების შეთხზვის ხელოვნებას ისეთივე დიდ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც სიტყვის დახვეწილობასა და სიწმინდეს. მუსიკალური ანბანი სპარტელების მიერ არის შექმნილი. სპარტელთა სიმღერაში ჩაქსოვილი იყო ის ძალა, რომელიც სულს ამხნევებდა, ადამიანს აღაფრთოვანებდა და საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებდა. ბრძოლის წინ ახალგაზრდებს თავისუფლებას, ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდნენ: თმა დაევარცხნათ, ტანი დაებანათ, მორთულიყვნენ, იარაღი აესხათ. მათთვის ომი ერთად-ერთი დასვენება იყო. სპარტელ ბავშვებს მოსწრებულ მახვილსიტყვაობას ასწავლიდნენ, მოხდენილ, მოსაზრებულ და სხარტ ლაპარაკს. მოკლე, სადა ნათქვამში მათ ღრმა და



მუსიკოსები, ლარნაკწერა

ძლიერი აზრი უნდა ჩაექსოვათ, ამიტომ სპარტელები ლაკონიური, მოკლე მსჯელობით იყვნენ განთქმულნი.

ლიკურგემ სპარტელი ქალების გაჯანსაღებასაც დიდი ყურადღება მიაქცია. მათ გასაკაჟებლად სირბილი, ჭიდაობა, შუბისა და დისკოს ტყორცნა დააწესა, რათა ჯანსაღ სხეულში ჩასახული ნაყოფიც ძლიერი და ღონიერი ყოფილიყო. სპარტელების დევიზი იყო: „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია". სპარტელ ქალიშვილებს ეკრძალებოდათ ნებივრობა, სახლში ჩაკეტვა და ფუფუნებით ცხოვრება. პლუტარქე წერს, რომ ლიკურგემ სპარტელი ქალიშვილები მიაჩვია ზეიმზე ჭაბუკებივით გაშიშვლებულებს ეცეკვათ და ემღერათ ახალგაზრდა ბიჭების წინ. სპარტაში ქალიშვილების სიშიშვლე სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. ზოგჯერ ქალიშვილები მასხარად იგდებდნენ მათ, ვინც თავის საქმიანობაში შეცდომებს უშვებდა და აიძულებდნენ გამოსწორებულიყვნენ. ღირსეულ ჭაბუკებს კი სახოტბო სიმღერებს უმღეროდნენ. ამით ყმაწვილკაცებში პატივმოყვარეობისა და წარმატებისაკენ სწრაფვის გრძნობას აღვიძებდნენ. ქალები საყვარელი ყმაწვილების სახელსაც და შერცხვენასაც იზიარებდნენ, როდესაც ერთმა ყრმამ ბრძოლის დროს სიმხდალე გამოიჩინა და ყვირილი მორთო, არქონტებმა თურმე მისი სატრფო დასაჯეს. ასეთი ვაჟკაცური აღზრდა სპარტელი ქალების სიტყვასა და აზრს დიდ ძალას ანიჭებდა. სპარტელი დედა, როდესაც შვილს საომრად ისტუმრებდა ეუბნებოდა „ან ფარით, ან ფარზე", ფარით ხელში გამარჯვებული ბრუნდებოდა, ფარზე კი მკვდარ მეომრებს მოასვენებდნენ. ქალს სპარტაში გაცილებით უფრო დამოუკიდებელი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე საბერძნეთის სხვა პოლისებში. სპარტელ სარდლის ლეონიდეს ცოლს გორგოს, უცხოელმა ქალმა უთხრა: „თქვენ ლაკედემონელი დედაკაცები, ერთადერთი ქალები ხართ ქვეყანაზე, რომლებიც ვაჟკაცებზე მბრძანებლობთო". გორგომ უპასუხა: „ნამდვილ ვაჟკაცებსაც მხოლოდ ჩვენ ვშობთო".



ძველი ბერძნული თეატრი

მამაკაცები 20 წლიდან 60 წლამდე სპარტის მეომრებად ითვლებოდნენ და ქალაქ სპარტაში ისე ცხოვრობდნენ, როგორც სამხედრო ბანაკში. ემორჩილებოდნენ განსაზღვრულ წესს, ეწეოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობას. სპარტელ მეომრებისათვის, რომლებიც გიმნასიუმებს ამთავრებდნენ, 21 წლიდან ლიკურგემ შემოიღო საჯარო სადილობა (სისიტიები ანუ ფიტიდიები) და ბანაკური ცხოვრების წესი. სპარტელ მეომრებს სახლში სადილობა, ნებივრობა აეკრძალათ, რათა უქნარობას, გასუქებას მათი უძლურება არ გამოეწვია. სისიტიებში მონაწილეობის უფლება სპარტელებს ეძლეოდათ 21 წლიდან, იქ იკრიბებოდა დაახლოებით 15 კაცი და ბანაკურ ცხოვრებას ეწეოდნენ. სისიტიების მონაწილეებს საერთო სასადილოში ყოველდღიურად შეჰქონდათ ერთი მედიმნი ქერის ფქვილი (მედიმნი 52 ლიტრიანი საწყაო იყო), 8 ტოლჩა ღვინო, ერთი მნა ყველი (მნა — საზომი ერთეულია ძველ საბერძნეთში), ხუთნახევარი მნა ლელვის ჩირი და მცირე ფული ხორცის საყიდლად. ყოველი მონადირე და მსხვერპლის შემწირავი ვალდებული იყო სისიტიებისთვის გაეგზავნა საუკეთესო ხორცის ნაწილი. როდესაც ათენელებზე გამარჯვებული მეფე აგესილაოსი ლაშქრობიდან შინ დაბრუნდა, ცოლთან ერთად მოისურვა ესადილა და საჯარო სასადილოდან თავისი ულუფა კერძი მოიკითხა, მას უარი უთხრეს. მაშინ მან დადგენილი მსხვერპლი არ შეწირა და იგი ამისათვის დააჯარიმეს. სისიტიებზე ხშირად დადიოდნენ ბავშვებიც, რათა უფროსებისაგან ესწავლათ თავდაჭერა და წესიერი მოქცევა, იქ ისინი ისმენდნენ საუბარს პოლიტიკაზე, ზომიერ ხუმრობას, გართობა-საუბარს და სხვისი დაცინვის ატანას, რაც სპარტელებისათვის დიდებულ თვისებად ითვლებოდა, სამხედრო ეშმაკობა ვაჟკაცობად მიიჩნეოდა. სპარტელი სარდალი ლისანდრე ხშირად ამბობდა „იქ სადაც ლომის ტყავი მოკლეა, საჭიროა მელიის ტყავის მიკერებაო“. საჯარო სასადილოში ახალ მოსულს სისიტიების უხუცესი წევრი კარზე მიუთითებდა და ეტყოდა „აქედან ერთი სიტყვაც არ გადის

მეომრის გაცილება

გარეთო". სპარტელთა საჭმელებს შორის ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა „შავი წვენი" — ხარის სისხლში მოხარშული ქერის ფაფა.

ლიკურგემ სპარტელებს აუკრძალა ერთსა და იმავე მტერზე ხშირად გალაშქრება, რათა ეს მტერი თავდაცვის გამო მამაცი მებრძოლი არ გამხდარიყო. ლიკურგემ ორ უძველეს და საშიშ სენს — სიმდიდრეს და სიღარიბეს ბრძოლა გამოუცხადა, თითოეულ სპარტელს თანასწორი ფართობის ნაკვეთი, კლეროსი მიუზომა და ჰილოტების ერთნაირი რიცხვი მიამაგრა. თითოეული სპარტელი თავისი კლეროსიდან 70 მედიმნ ქერს და აგრეთვე სხვა პროდუქტს ღებულობდა, 12 მედიმნს კი სპარტელი ქალები. ლიკურგემ ყველა სპარტელი თანასწორუფლებიანი და თანასწორქონებიანი გახადა, აუკრძალა ოქროს და ვერცხლის ფულის ხმარება, შემოიღო რკინის ფული, რომელიც მძიმე და მოუხერხებელი იყო. მის გადასაზიდად უღელი ხარი იყო საჭირო, შესანახად კი დიდი საკუჭნაო. სპარტელებს ამით ფუფუნების საგნების ყიდვის საშუალება დაუკარგა. ამიტომაც ნავსადგურებში სავაჭრო გემები არ შედიოდნენ, სპარტაში სიმდიდრემ და ფუფუნებამ დაკარგა თავისი უპირატესობა. ლაკონიკის მიწას ფეხს ვერც ჰეტერებით მოვაჭრენი ადგამდნენ, ვერც ენამახვილი სოფისტები, ვერც მოხეტიალე თაღლითი მისნები. სპარტელებს აკრძალული ჰქონდათ მოგზაურობა, ხეტიალი. უსარგებლოდ ჩამოსულ უცხოელებს დარჩენის უფლებას არ აძლევდნენ, აძევებდნენ, რათა უწესო, უცხო ჩვეები სპარტაში არ გავრცელებულიყო. ლიკურგეს მიეწერება ოლიმპიურ ასპარეზობის დროს მეომარი პოლისების დაზავებაც.

სპარტელთა მიწას სახელმწიფო მონები ამუშავებდნენ და დათქმულ ღალასაც უხდიდნენ. სპარტელებს ხელოსნობა, მიწის მეურნეობა, ქონების დაგროვება აკრძალული ჰქონდათ. სპარტელები ხელოსნობას და სიმდიდრისათვის გარჯას მონურ საქმიანობად თვლიდნენ. სპარტელები თუ არ ომობდნენ, ერთობოდნენ ნადირობით, სპორტული შეჯიბრებებით და ერთმანეთთან საუბრით. ისინი მიჩვეულნი იყვნენ ერთად ცხოვრებას, საერთო ვარჯიშებს და ხელმძღვანელების გარშემო დარაზმვას.

მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მრავალრიცხოვანი ჰილოტები. ისინი სპარტელებს ინახავდნენ, ომიანობის შემთხვევაში წინა რიგებ-

ში მყოფნი, პირველ დარტყმას იღებდნენ, მაგრამ სარდლები მაინც აბუჩად იგდებდნენ. ისინი ჰილოტებს ძალით ასმევდნენ მაგარ სასმელებს უზომო რაოდენობით, შემდეგ ეს მთვრალი ჰილოტები სისიტიებზე მიჰყავდათ, რათა იქ მოზარდებისთვის ეჩვენებინათ – თუ რა ცხოველურ მდგომარეობამდე მიჰყავს სიმთვრალეს ადამიანი. ჰილოტებს უბრძანებდნენ უმსგავსო სიმღერები ემღერათ და საძაგლად ეცეკვათ. ეფორები ყოველ წელიწადს, როგორც კი თანამდებობის შესრულებას შეუდგებოდნენ, ჰილოტებს საღვთო ომს უცხადებდნენ, რასაც „კრიპტია“ ეწოდებოდა (რაც ბერძნულად ხოცვა-ჟლეტას ნიშნავდა). ყველაზე გონიერ, მოხერხებულ სპარტელ ახალგაზრდებს ხანჯლებით შეიარაღებულებს გზავნიდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ისინი იმალებოდნენ და ჩუმად ხოცავდნენ ყველაზე ღონიერ ჰილოტებს, ზოგჯერ კი ყველა ჰილოტს, რომელიც ამ დროს ხელში ჩაუვარდებოდათ. ბერძენ-სპარსელთა ომში გამოჩენილი მამაცობისთვის ორი ათასი ჰილოტი ტაძრებში სპარტელებმა ყვავილების გვირგვინებით შეამკეს, თავისუფლებას შეჰპირდნენ, თუმცა მცირე ხნის შემდეგ კი უკვალოდ გააქრეს. ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ ლაკედემონელების მიერ ჩადენილ ცოდვაზე ტენარის კონცხზე, სადაც დევნილმა ჰილოტებმა პოსეიდონის ტაძარს თავი შეაფარეს, სპარტელებმა ისინი მოტყუებით გამოიყვანეს ტაძრიდან და ყველა დახოცეს.

ლიკურგე სპარტელებს დასაფლავების წესებიც დაუდგინა. გლოვის ხანგრძლივობა 2 დღით განსაზღვრა. გარდაცვლილს ძოწეულის მოსასხამში გახვეულს ტაძრის მახლობლად მარხავდნენ. საფლავში ყოველგვარი ნივთების ჩატანება აკრძალული იყო.

როდესაც ლიკურგემ ყველაფერი მოათავა, ლაკედემონელებს ფიცი ჩამოართვა, რომ მის მოსვლამდე დაწესებულ კანონებს დაიცავდნენ და შემდეგ დელფოს ტაძარში წავიდა, სადაც მისნის საშუალებით ღმერთებს შეკითხვა მისცა: „კარგია თუ არა ჩემი კანონები სპარტის ბედნიერებისათვისო?“ მისნის საშუალებით ღვთაება აპოლონმა უპასუხა, რომ „მისი კანონები კარგია და სპარტა ყველაზე სახელოვანი გახდებაო“, ეს წინასწარმეტყველება ლიკურგემ სპარტელებს შეატყობინა, შემდეგ კი შიმშილით მოიკლა თავი. სპარტელებმა ლიკურგეს ტაძარი აუგეს და გააღმერთეს.

ანტიკური ისტორიკოსები თუკიდიდე, ქსენოფონტე და პლუტარქე



სტადიონი დელფოში

ლიკურგეს რეალურ პიროვნებად მიიჩნევენ და სპარტაში მნიშვნელოვან ღონისძიებების გატარებას მიაწერენ. ლიკურგე იყო თუ არა რეალური ისტორიული პირი, ან ყველა ის ღონისძიებები მართლაც მან ჩაატარა თუ არა, ძნელი სათქმელია. ერთი რამ ცხადია, რომ სპარტა ძვ.წ. IX ს. ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ იქცა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საბერძნეთის ისტორიაში. ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევარში სპარტის მოსახლეობის ბუნებრივმა გამრავლებამ და მიწის ნაკვეთების მარაგის უქონლობამ გამოიწვია სპარტელთა შორის ქონებრივი და უფლებრივი უთანასწორობის გაჩენა, ზოგი სპარტელი ფლობდა მთლიან „კლეროსს", რამდენიმე სპარტელი კი ერთ „კლეროსს", ზოგიერთი კი მიწის გარეშე დარჩა და ამით საარსებო საშუალებები მოესპო. ამით დაირღვა სპარტელების თანასწორქონებიანობა და თანასწორუფლებიანობა. სპარტელები იძულებულნი იყვნენ ომი დაეწყოთ ტაიგეტის მთის დასავლეთით მდებარე ნოყიერი მესენიის დაბლობისათვის. ბრძოლა მეტად სისხლისმღვრელი იყო და და ცნობილია მესენიის I ომის სახელით, ყველაზე სასტიკი წინააღმდეგობა სპარტელებს გაუწია ითომეს ციხე-სიმაგრემ, მაგრამ სპარტელებმა მესენიელები სძლიეს, მესენია კლეროსებად დაჰყვეს, მოსახლეობა კი ჰილოტებად აქციეს. მესენიელების ნაწილმა სპარტელთა ბატონობა არ ისურვა, სამშობლო მიატოვა და სიცილიაში ჩრდილო სანაპიროზე დასახლდა, სადაც დაარსეს ახალშენი მესენა.

მესენიის დაპყრობის შემდეგ სპარტელებს შორის შექმნილი ქონებრივი და უფლებრივი უთანასწორობა დროებით მოისპო, მაგრამ მესენიელები სპარტელთა ბატონობას ვერ შეურიგდნენ და ძვ.წ. VII ს. დასასრულს აჯანყდნენ. ეს აჯანყება მესენიის II ომის სახელით არის ცნობილი. ამ ომში, სტრაბონის ცნობით, მონაწილეობდა პოეტი ტირტეოსი, რომელმაც მესენიის პირველი და მეორე ომი ლექსად აღგვიწერა. აჯანყებულ მესენიელებს ეხმარებოდნენ არკადიელები და არგოსელები. 9 წელი გაგრძელდა ბრძოლა „დიდი თხრილისთვის"

და 11 წელი კი არკადია-მესენიის საზღვარზე ითომეს მთის გამო. მესენიის II ომის შემდეგ, სპარტელებისა და პერიეკების უკანონო შვილები „პართენები“ სპარტის წინააღმდეგ თავიანთი უფლებების განმტკიცებისათვის აჯანყდნენ, სპარტელებმა ისინი დაამარცხეს და იძულებულნი გახადეს გადასახლებულიყვნენ სამხრეთ იტალიაში, სადაც მათ შექმნეს ახალშენი ტარენტო.

სპარტამ ტერიტორიის გასაფართოებლად დაიპყრო ნაყოფიერი კინურიის ქალაქი თირეა, კუნძული კითერა და ბოლოს არკადიის ქალაქი ტეგეოსი, რომელთანაც სპარტამ პირველი სამხედრო კავშირი დაამყარა. პირობების მიხედვით, ტეგეოსელები ვალდებული იყვნენ ჰილოტების აჯანყების შემთხვევაში სპარტელებს დახმარებოდნენ და პირიქით, სპარტელები უნდა დახმარებოდნენ ტეგეოსელებს.

პელოპონესის ნახევარკუნძული

ასეთივე პირობები დაუდო სპარტამ პელოპონესის სხვა სახელმწიფოებსაც, გარდა არკადიისა, არგოსისა და აქაიისა. პელოპონესის ყველა სახელმწიფომ ძვ.წ. 530 წ. დაამყარა სპარტასთან ურთიერთდახმარების კავშირი. ასე შეიქმნა საბერძნეთში სპარტის ხელმძღვანელობით „პელოპონესის სიმახია", სამხედრო კავშირი, რომელშიც შევიდნენ: კორინთო, სიკიონი, შუა საბერძნეთიდან მეგარა, თებე, კუნძულებიდან — ეგინა. ეს კავშირი ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო, რადგან სპარტელებს ჰილოტების აჯანყების დროს შეეძლოთ გამოეყენათ თავიანთი მოკავშირეების ძალები. სპარტის მოკავშირეები კი მთელ საბერძნეთში უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

პელოპონესის კავშირის ყრილობებზე, რომელიც ქალაქ სპარტაში იმართებოდა, წარმომადგენლები იკრიბებოდნენ და კავშირის საქმეების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ, მაგრამ ფაქტიურად ყველა საკითხს სპარტა წყვეტდა. ამ კავშირით სპარტამ მთელ პელოპონესის ნახევარკუნძულზე დიდი გავლენა და უპირატესობა მოიპოვა. პირველ ხანებში სპარტა არ ერეოდა თავის მოკავშირეების შინაურ საქმეებში, მას სავსებით აკმაყოფილებდა პელოპონესის კავშირის მეთაურობა, მაგრამ რეაქციული პოლიტიკით, საკმაოდ მავნე ზეგავლენას ახდენს საბერძნეთის პოლისების სამეურნეო, საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი სპარტა, ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგი იყო. ამიტომ საბერძნეთის ყველა პოლისში იგი მხარს უჭერდა ძველ, რეაქციულ ელემენტებს, ყოველმხრივ ხელს უშლიდა და დაბრკოლებებს უქმნიდა საბერძნეთის სახელმწიფოების შემდგომ განვითარებასა და სხვა კავშირების შექმნას, რათა ამით თავისი სამხედრო უპირატესობა არ დაეკარგა.



აკროპოლისი, რეკონსტრუქცია

ატიკა ძვ.წ. XII-X საუკუნეებში

ატიკა შუა საბერძნეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ნახევარკუნძულია, მისი ტერიტორია 2650 კვ. კმ. ნიადაგი ქვიანი და უნაყოფოა, სამაგიეროდ მდიდარია ლავრეიონის ვერცხლისა და ტყვიის მადნით, მარმარილოთი და ჭურჭლისათვის საუკეთესო თიხით. ატიკას სამი მხრიდან ზღვა ესაზღვრება და შესანიშნავი ბუნებივი ნავსადგურები აქვს: პირეოსი, ფალერონი და ელევსინი. ატიკის დასავლეთით კითერონის მთაა, აღმოსავლეთით ტყეებით მდიდარი, მარმარილოთი ცნობილი პარნეტის, გიმეთისა და პენტელიკონის მთები. კითერონსა და პენტელიკონის მთებს შუა მდებარეობდა მარათონის ჭაობიანი ველი. ატიკის ჩრდილოეთით დიაკრიის უნაყოფო ხრიოკიანი ფერდობია, ასევე ნაკლებად ნაყოფიერი იყო პარალიის ზღვისპირეთიც, სამაგიეროდ, ვაჭრობა-ზღვაოსნობისათვის — ხელსაყრელი. სწორედ აქ ცხოვრობდნენ ვაჭრები და ხელოსნები. ატიკის ყველაზე ნაყოფიერი მხარე იყო პედიონის დაბლობი, რომელიც მდინარეებით კეფისითა და ილისით ირწყვებოდა, ზაფხულობით წყალუხვი კეფისი ისე მცირდებოდა რომ ზღვისპირამდე ძლივს აღწევდა. ილისის კალაპოტი კი სრულიად შრებოდა.

უძველესი დროიდან ატიკაში განვითარებული იყო მიწის დამუშავება, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ზეთისხილის და ვაზის კულტურების მოყვანა. პედიონის დაბლობში, ზღვიდან 7 კილომეტრის დაშორებითთ მდებარეობდა ქალაქი ათენი, რომელიც წარმოიქმნა ხუთი დასახლების გაერთიანებით: აკარნანია, ელევსინი, კოლოფონი, ფალერონი და მარათონი. ისინი ერთ ქალაქად გააერთიანა ეგეოსის ვაჟმა თეზევსმა, რომელმაც ეს დამოუკიდებელი დასახლებები გააუქმა, მოახდინა მათი სინოიკიზმი. დასახლებების უხუცესთა საბჭოები და პრიტანები მოსპო და საერთო ადმინისტრაციული ცენტრი ათენის აკროპოლისი შექმნა. ათენის აკროპოლისზე აღმართეს მფარველი ღვთაების, ათენა პალადას და ერეხთეიონის ტაძრები. დაადგინეს, რომ აკროპოლისის მახლობლად, არესის მთაზე შეიკრებებოდა ქალაქ ათენის უხუცესთა საბჭო — არეოპაგი და იმუშავებდა პრიტანეონი.

თეზევსის გმირობები, ლამბაქი

ატიკაში მოსახლეობა ნეოლითის ხანიდან არსებობდა, აკროპოლისზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მიკენის ტიპის სასახლის ნანგრევები აღმოაჩინა, საყურადღებოა მიკენის ხანის სამარხები ეგვიპტური და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნივთებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ატიკას მიკენურ ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა და მის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ცენტრი არსებობდა. ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები საინტერესო ცნობებს იძლევა ატიკის უძველესი ისტორიის შესახებ, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პლატონის, არისტოტელეს, დიოდორე სიცილიელის და პლუტარქეს წყალობით.

ატიკა, მიწაწყლის სიმწირის გამო, დორიელთა შემოსევას გადაურჩა, მაგრამ მიკენის შემდგომი პერიოდი მისთვის, ისევე როგორც მთელი ეგეოსის ზღვისპირეთისათვის, დაცემის ხანაა. არისტოტელეს გადმოცემით, თეზევსმა ატიკის მოსახლეობა სამ ძირითად ფენად დაპყო: წარჩინებულები იწოდებოდნენ ევპატრიდებად (კეთილშობილი). მათ ატიკის ყველაზე ნაყოფიერი ტერიტორია, პედიონი ეკუთვნოდათ, არქონტების (მმართველობის) არჩევისა და უხუცესთა საბჭოში

(არეოპაგში) მონაწილეობის უფლებით. მიწის მუშები ანუ გლეხები ჰექტემორებად იწოდებოდნენ, ხოლო ხელოსნები კი დემიურგებად. ჰეკტემორები და დემიურგები კი ატიკის ხალხს — „დემოსს“ წარმოადგენდა. ძირითადი მოსახლეობის გარდა ატიკაში ცხოვრობდნენ უცხოელები, რომლებსაც მეტეკები ეწოდებოდათ. ისინი თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ არავითარი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. ატიკაში ცხოვრობდნენ აგრეთვე უუფლებო მონებიც.

ევპატრიდების ხელში იყო მთელი ძალაუფლება. ნაყოფიერი სათემო მიწებით მევახშეობდნენ, რის წყალობითაც მეთემე გლეხები მონურ მდგომარეობაში ჰყავდათ. ნადავლით გასამდიდრებლად ევპატრიდები არ თაკილობდნენ ზღვაზე მეკობრეობასა და ხმელეთზე ყაჩაღობას. არისტოტელე ათენის პოლიტეაში წერს, რომ ღარიბები მდიდრებისათვის მუშაობდნენ, „თვითონ, მათი შვილები და ცოლებიც“; ისინი იწოდებოდნენ ჰეკტემორებად და პელატებად, საიჯარო ხელშეკრულების ძალით თუ გადასახადს არ გაიღებდნენ, გაძევებულ იქნებოდნენ ისინიც და მათი შვილებიც. სოლონამდე აღებული სესხისათვის, ყველა თავისი სხეულით აგებდა პასუხს. ჰეკტემორები თუ ვალს ვერ გადაიხდიდნენ, კაბალური ხელშეკრულებით, პელატები ხდებოდნენ. პელატები კი ვალდებულნი იყვნენ ყოფილი საკუთარი მიწა დაემუშავებინათ და ამ მიწიდან მხოლოდ მოსავლის მეექვსედი აეღოთ. ათენელი წარჩინებულები თანდათან ბასილევსსაც ართმევნდენ მნიშვნელოვან ფუნქციებს და უნაწილებდნენ თავიანთი წრიდან არჩეულ მმართველებს, რომლებსაც ჯერ 10 წლით ირჩევდნენ და შემდეგ კი ერთი წლით. ასე გაჩნდა 9 არქონტის ხელისუფლება. ძვ.წ. 683 წ. შემოიღეს ყოველწლიური არქონტების სიებიც. ცხრიდან მთავარი იყო არქონტ-ეპონიმი, რომლის სახელის მიხედვით ათენში წარმოებდა წელთაღ-



რიცხვა. იგი ათენის შინაგან საქმეებს, საოჯახო სამართალს განაგებდა და ქვრივ-ობლებს მეურვეობდა. მეორე არქონტ-ბასილევსი რელიგიურ საქმიანობას განაგებდა და წინასწარ განზრახულ მკვლელობას ასამართლებდა. მესამე არქონტ-პოლემარქოსი ათენის სახელმწიფოს სამხედრო ძალებს ედგა სათავეში. დანარჩენი 6 არქონტი ე.წ. თესმოთეტები, ანუ მოსამართლეები ან სჯულმდებელნი კანონის მცველნი იყვნენ. თვალყურს ადევნებდნენ კანონების და ადათ-წესების შესრულებას. არეოპაგი არისტოკრატიის უმაღლესი წრის ორგანო იყო. მხოლოდ მისი წევრებისაგან ირჩევდნენ არქონტებს და ყოფილი არქონტებიც მის წევრებად რჩებოდნენ. მას ეკუთვნოდა უფროსი მეთვალყურის და მოსამართლის უფლებები. ასე გაინაწილეს ათენელმა ევპატრიდებმა ერთმანეთს შორის უმაღლესი ხელისუფლება.

ძვ.წ. XII ს. საბერძნეთში, კოლონიზაციის განვითარების შედეგად, განსაკუთრებით განვითარდა ვაჭრობა-ხელოსნობა. ათენელმა მეჭურჭლეებმა შავსაღებავიანი, ფიგურებიანი თიხის ჭურჭლის კეთებაში მეტოქეობა დაუწყეს ამ საქმეში განთქმულ კორინთელ მეჭურჭლეებს. დაიწყო ლავრიონის ვერცხლისა და კალის მადნის დაუშავება. ახალშენებიდან შემოდიოდა პური, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვა მრავალი ნედლეული. ათენი თანდათან გადაიქცა მნიშვნელოვან სახელოსნო და სავაჭრო ცენტრად. სავაჭრო საქმიანობას არა მარტო დაბალ წრიდან გამოსული ვაჭრები ეწეოდნენ, არამედ მას ბევრმა დიდგვაროვანმაც მოჰკიდა ხელი და ამ გზით გამდიდრება დაიწყო. ამ მხრივ ყველაზე მეტად განთქმული იყო ალკმეონიდების საგვარეულო. ათენელ დიდგვაროვანთა ნაწილი მიწებიდან მიღებულ შემოსავლით არსებობდა და მევახშეობასაც ეწეოდა. ევპატრიდების თვითნებობით შეწუხებული დემოსი კი მოითხოვდა სათემო მიწების ხელახალ გადანაწილებას, სავახშო პროცენტების შემცირებას, სავალო კაბალის გაუქმებასა და ვალებში გაყიდულ ათენელების დაბრუნებას.

ათენური მონეტა ქალღმერთ ათენას წმინდა ფრინველის ბუს გამოსახულებით

ძვ.წ. 640 წ. ათენში დემოსსა და ევპატრიდებს შორის არსებული

უთანხმოებით ისარგებლა ევპატრიდმა კილონმა, მეგარელ ტირან თეაგენეს სიძემ, რომელსაც სიმამრის დახმარების იმედი ჰქონდა. კილონი ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული „ოლიმპიონიკი" იყო და ზევსის დღესასწაულის დღეს თავის გამარჯვების წლისთავს ზეიმობდა მეგობრებთან ერთად. მან თავისი მცირერიცხოვანი მომხრეების დახმარებით ხელთ იგდო ათენის აკროპოლისი და მოინდომა ათენის ტირანი გამხდარიყო (ძველი ბერძნების გაგებით ტირანია ნიშნავდა ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდებას, რასაც თანამედროვე ტერმინით ხელისუფლების უზურპაცია ეწოდება). ათენის მოსახლეობა, როგორც ჩანს, არ იყო მზად სახელმწიფო გადატრიალებისათვის და კილონს არ მიემხრო; ამით ისარგებლეს ევპატრიდებმა და ცხრავე არქონტის ხელმძღვანელობით კილონი და მისი მეგობრები გარემოცვაში მოაქციეს, კილონმა მოახერხა გაქცევა, დანარჩენებმა ათენას ტაძარს შეაფარეს თავი. შიმშილით, წყურვილითა და ხანგრძლივი ალყით შეწუხებული კილონის მომხრეები დანებდნენ იმ პირობით, რომ მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, მაგრამ როგორც კი ტაძრიდან გამოვიდნენ, არქონტ მეგაკლე ალკმეონიდის ინიციატივით, ისინი იქვე დახოცეს. შექმნილი არეულობით ისარგებლა კილონის სიმამრმა მეგარის ტირანმა თეაგენემ და ათენს წაართვა კუნძული სალამინი, რომელიც ათენელთა ნავსადგურებს ზღვიდან იცავდა და მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. სალამინის დაკარგვით, მმართველი წრეების სისუსტით აღშფოთებული დემოსი მოითხოვდა ალკმეონიდების გასამართლებას. 300 ათენელი ევპატრიდის სასამართლომ ალკმეონიდებს ბრალი დასდო ფიცის გატეხვასა და ღვთაებათა შეურაცხყოფაში. ამ მიზეზით ალკმეონიდები ათენიდან გააძევეს. ის ალკმეონიდები კი, რომლებიც კილონის მეგობრების დახოცვაში მონაწილეობდნენ და ამ დროს ცოცხლები აღარ იყვნენ, საფლავიდან ამოთხარეს და ძვლები საზღვრებს იქით გადაყარეს. ალკმეონიდების გვარს ეს ბოროტი საქციელი საუკუნეების მანძილზე შავ ლაქად დაედო, მხოლოდ სოლონის დროს შეიწყალეს და ათენში დააბრუნეს.

სოლონი

კილონის შეთქმულების შემდეგ ათენის დემოსი ბობოქრობდა, მოითხოვდა ზეპირი კანონების ჩაწერას და ევპატრიდები იძულებულნი გახდნენ შეესრულებინათ ხალხის მოთხოვნა, რათა მშვიდობიანი მოთხოვნები არ გადაზრდილიყო შეიარაღებულ აჯანყებაში. ძვ. წ. 621 წ. არქონტ-თესმოთეტ დრაკონს დაევალა არსებული ზეპირი კანონების შეკვეთა, დამუშავება და ჩაწერა. ეს ჩაწერილი კანონები ათენის სახელმწიფოს ისტორიაში შევიდა, როგორც „დრაკონის კანონები". ამ კანონების მიხედვით ყოველგვარი დიდი და პატარა ქურდობა, მკვლელობაც კი ერთნაირად — სიკვდილით ისჯებოდა. დრაკონის კანონები ძალიან სასტიკი და არქაული იყო, ამიტომაც მათ ათენის ძვ.წ. IV ს. ორატორმა დემადემ „სისხლით დაწერილი კანონები" უწოდა. მიუხედავად ამისა, ათენის ისტორიაში დაწერილი კანონების შემოღებით მნიშვნელოვანი აქტი მოხდა, რომელიც ევპატრიდ მოსამართლეების თვითნებობას ზღუდავდა. ამდენად, ეს იყო ათენელი ხალხის დიდი, სერიოზული გამარჯვება ევპატრიდებზე.

დრაკონის კანონები ქვის ფილებზე ამოტვიფრეს და ათენის მოედანზე გამოფინეს, რათა ყოველ მსურველს შესძლებოდა წაეკითხა და კონტროლი გაეწია ათენელ მოსამართლეთა მოქმედებისათვის. დრაკონის კანონებმა ვერ გააუმჯობესა ღარიბი ხალხის მდგომარეობა, პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული, ვალში ჩავარდნილი ათენელი გლეხების მდგომარეობა მეტად მძიმე რჩებოდა, ამიტომ კიდევ უფრო გამწვავდა ბრძოლა დემოსსა და ევპატრიდებს შორის. კანონების არქაულობა, ევპატრიდების თვითნებობა დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ვაჭარ-ხელოსანთა კლასის შემდგომ განვითარებას, ამიტომ ისინი ევპატრიდებთან ბრძოლაში ეხმარებოდნენ ათენის ჩაგრულ მოსახლეობას. ათენის სავაჭრო-სახელოსნო წრეების ზომიერი ფენა ხალხს ხელმძღვანელობდა და სწორედ მათი წინადადებით ძვ.წ. 594 წ. არქონტად აირჩიეს სახელგანთქმული პოეტი სოლონი.

არისტოტელე წერს: „რადგან უმრავლესობა უმცირესობისათვის მუშაობდა, დემოსი (ათენის მოსახლეობა) წინ აღუდგა დიდებულებს, რადგან აჯანყება ძლიერი იყო და ისინი დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, საერთო თანხმობით აირჩიეს სოლონი მომრიგებლად და არქონტად, მიანიჭეს მას პოლიტიკური უფლებები".

სოლონი წარმოშობით ათენის სამეფო კოდრიდების გვარიდან

იყო. მამამისმა ხელგაშლილობის წყალობით, ქონების დიდი ნაწილი გაფლანგა და ამიტომ იძულებული იყო ვაჭრობა დაეწყო. იგი ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ დიდი ქონება ვერ შეიძინა. არისტოტელე მასზე წერს, რომ სოლონი თავისი ბუნებით და აზრებით ეკუთვნოდა უპირველეს კაცთა რიცხვს, ხოლო ქონებითა და საქმეებით — საშუალოს. იგი განათლებული ადამიანი ყოფილა. თანამედროვენი მას აღიარებულ შვიდ ბერძენ მატერიალისტ ფილოსოფოსთა შორის ასახელებდნენ: თალეს მილეთელი, ბიას კარიელი, კლეობულე ლინდოსელი, კორინთელი ტირანი მერიანდრე, ქილონ სპარტელი და პიტაკე მიტილენელი. სოლონი პოეტი იყო, მან მთელი თავისი მოღვაწეობა ლექსად აღწერა ელეგიებში, მაგრამ სახელი გაითქვა როგორც ათენის პატრიოტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეგარელმა ტირანმა თეაგენემ ათენელებს კუნძული სალამინი წაართვა, კუნძულისათვის ბრძოლაში ბევრი დაიღუპა და ამ ომით შეწუხებულმა ათენელებმა გამოსცეს კანონი, რომლითაც იკრძალებოდა სალამინის გამო არა მარტო ომი, არამედ ლაპარაკიც კი. ვინც ამ კანონის წინააღმდეგ წავიდოდა, სიკვდილით დაისჯებოდა. როცა მეგარელებმა ამის შესახებ გაიგეს, ლაშქარი დაშალეს და მშვიდად განაგრძეს ცხოვრება. სოლონი ამ მდგომარეობით ძალიან იყო შეწუხებული. მან შეადგინა საბრძოლო ელეგია „სალამინი", მოიგიჟიანა თავი (რადგანაც გიჟებს ეს კანონი არ ეხებოდა), გაიწეწა თმა, თავზე ნაცარი დაიყარა, ხტუნვა-ხტუნვით ათენის მოედანზე გმირის სადგომ ქვაზე შედგა და ელეგია „სალამინით" მოუწოდებდა ათენელებს კუნძულ სალამინის დაბრუნება. ამ პატრიოტულმა ლექსმა ათენელი ახალგაზრდები ბრძოლისათვის აღანთო, მათი მოთხოვნით სალამინის ომის საწინააღმდეგო კანონი გაუქმდა, თვით სოლონი ჩაუდგა შეიარაღებულ რაზმებს სათავეში და კუნძული სალამინი მეგარელებს წაართვეს.

საკალო ქვა

სოლონამდე არსებულ მდგომარეობას პლუტარქე ასე აგვიწერს: „ათენში უბრალო ხალხი მდიდრების ვალში იყო ჩავარდნილი. ერთნი მიწას უმუშავებდნენ მდიდრებს და მათ მოსავლის მეექვსედს

აძლევდნენ; ასეთი მოვალენი ჰექტემორებად და თეტებად იწოდებოდნენ, მეორენი კი საკუთარი თავის დაწინდრებით იღებდნენ სესხს: გამსესხებელ მევახშეებს შეეძლოთ მონებად დაეტოვებინათ ისინი, ან უცხო ქვეყანაში გაეყიდათ“.. ათენის საზოგადოების ფართო მასებმა სოლონის სახით ისეთი ადამიანი შეიცნეს, რომელიც მათ საზოგადოებაში შექმნილ წინააღმდეგობას, ჩაგვრას, მტრობას მოსპობდა. ძვ.წ. 594 წ. სოლონი პირველ არქონტად აირჩიეს და მიანიჭეს კანონმდებლის განსაკუთრებული, განუსაზღვრელი უფლებები. სოლონმა ათენის სახალხო კრება „ეკლესიაზე“ დაყრდნობით გაატარა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შინაარსის შემდეგი რეფორმები:

1. „სეისახთეია“ მიწის ტვირთისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა. ვალებში ჩავარდნილი ათენელი გლეხების მიწებზე აღმართული იყო ქვის სავალო ნიშნები, რომლებზედაც აღნიშნული იყო ვალის აღების და დაბრუნების ვადა. სოლონმა მიწებიდან სავალო ნიშნების მოხსნით გამოაცხადა არსებული ვალების გაუქმება. სოლონმა ვალების გაუქმების პროექტი თავის უახლოეს მეგობრებს კონონს, კლინიას და ჰიპონიკეს გაანდო, რომლებმაც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს ეს ცოდნა: მდიდრებისაგან უამრავი ფული ისესხეს, დიდძალი მიწები შეისყიდეს და როდესაც ვალების გაუქმება გამოცხადდა, მათ ეს ქონება შერჩათ. თვით სოლონს ხუთი ტალანტი ჰქონდა გასესხებული და ვალების გაუქმების კანონით, მან პირველმა აიღო ხელი გასესხებულის უკან მიღებაზე.

2. სოლონმა სამუდამოდ აკრძალა ვალების გამო ბერძენის მიერ ბერძენის დამონება, დავალიანების გამო მონობა, საკუთარი თავის და ოჯახის წევრების დაწინდრება. ვალებში გაყიდული ყველა ათენელი მოაძებნინა, გამოისყიდა და სამშობლოს დაუბრუნა. ვალში ჩაცვენილი ხალხის განთავისუფლებამ და რაც მთავარია, მონობაში ჩავარდნის საშიშროების სამუდამოდ აცილებამ, საბერძნეთი მონათმფლობელური განვითარების სრულიად სხვა გზით წაიყვანა. სოლონის მსგავსი რეფორმები გატარებული იქნა საბერძნეთის სხვა პოლისებშიც. ამის შემდეგ მონათმფლობელური სისტემის სწრაფი განვითარება წარმოებდა არა თავისუფალი წევრების ხარჯზე, როგორც ეს იყო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, რის გამოც იქ სოციალური საფუძველი

ვიწროვდებოდა, მცირდებოდა, არამედ უცხოელი მონების ხარჯზე.

3. სოლონმა შემოიღო კანონი ანდერძის თავისუფლების შესახებ. გვაროვნული ურთიერთობის დროიდან ანდერძის თავისუფლების შემორჩენილი წესით უშვილო ხალხის ქონება გვარს რჩებოდა, სოლონმა კი ყველას უფლება მისცა თავისი მიწა და ქონება ვისთვისაც სურდა, იმისათვის დაეტოვებინა. ამ ღონისძიებით სოლონმა გვაროვნული წყობილების მთავარ კანონს ლახვარი ჩასცა და მიწაზე კერძო საკუთრება აღიარა.

4. სოლონის მესამე ღონისძიებით საფუძველი ჩაეყარა ათენის კონსტიტუციას. გვაროვნული არისტოკრატიის, ევპატრიდების პოლიტიკური პრივილეგია გააუქმა, ატიკის მთელი მოსახლეობა ოთხ ქონებრივ ჯგუფად დაჰყო და დაყოფას საფუძვლად ქონებრივი ცენზი დაუდო — ყოველწლიურად მიწიდან შემოსავლის (მარცვლეულით, ღვინის და ზეთის სახით) გათვალისწინებით.

ათენური მონეტა ქალღმერთ ათენას გამოსახულებით

პირველ ჯგუფს პენტაკოსიომედიმნიანები ანუ ხუთას სარწყაოიანები წარმოადგენდნენ ე.ი. ყველა ისინი, ვისაც მიწიდან წლიური შემოსავალი ჰქონდა 500 მედმინი და ამაზე მეტი. მედმინი კი თიხის საწყაო იყო, რომელშიც ჩადიოდა 41-52 ლიტრამდე მარცვლეული, თხიერი ნივთიერება, ღვინო ან ზეთი.

მეორე ჯგუფში ტრიოკოსიომედიმნიანები ანუ სამას სარწყაოიანები შედიოდნენ, ვისაც მიწიდან წლიური შემოსავალი ჰქონდა არანაკლებ 300 მედმინისა.

მესამე ჯგუფს — ზევგიტებს (ზევგოსი უღელ ხარსა ნიშნავდა) უნდა ჰქონოდათ არანაკლებ 200 მედმინი წლიური შემოსავალი და ჰყოლოდათ უღელი ხარი.

მეოთხე ჯგუფს — თეტები (მოჯამაგირეები), ვისაც 200 მედმინზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა, ან მოჯამაგირეობის გარდა, არავითარი შემოსავალი არ ჰქონდათ.

სოლონმა ყველა მოქალაქეს დაუდგინა სამხედრო სავალდებულო სამსახური. პირველ და მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს უნდა ჰყოლოდათ ცხენები და ისინი ცხენოსან

რაზმებს ქმნიდნენ., გარდა ამისა, მათ ევალებოდათ მატერიალური დახმარება გაეწიათ სახელმწიფოსათვის, რაც გამოიხატებოდა გემების აგება, მოვლა-შენახვასა და მოქალაქეების პურით მომარაგებაში. ასეთ ნებაყოფლობით მატერიალურ დახმარებას „ლიტურგია“ ეწოდებოდა. მესამე ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ ხარჯზე უნდა შეიარაღებულიყვნენ და მძიმე შეიარაღებულ ცხენოსანთა „ჰოპლიტების“ ლაშქარს ქმნიდნენ. მეოთხე ჯგუფის წარმომადგენლები თეტები მსუბუქად შეიარაღებულ რაზმებში ან მეზღვაურეებად, მენიჩბეებად მსახურობდნენ სახელმწიფო გემებზე. ვინაიდან მათი უმეტესობა მოჯამაგირეობით არსებობდა, ამიტომ სახელმწიფო ხელფასს „დიეტას“ აძლევდა.

სოლონმა არქონტები გააერთიანა და ყველა საკითხის გადაწყვეტა კოლექტიურად დააწესა. არეოპაგს ჩამოართვა ათენის სახალხო კრებისთვის, „ეკლესიისათვის“ დღის წესრიგის შედგენის უფლება. ოთხი საგვარეულო ფილე ხელუხლებლად დატოვა, თითოეული საგვარეულო ფილე ირჩევდა 100 კაცს, ოთხასთა საბჭოში „ბულეში“, რომელიც გადაიქცა ათენში უმაღლეს ორგანოდ, თანამდებობის პირების მეთვალყურედ, ოთხასთა საბჭო სახალხო კრების დღის წესრიგს ადგენდა, ათენის სახელმწიფოს განაგებდა თავისი მორიგეების პრიტანების მეოხებით. საგვარეულო ფილები ირჩევდნენ აგრეთვე „ჰელეას“ ანუ სახალხო მსაჯულთა სასამართლო წევრებს. ამ თანამდებობაზე ოთხივე ჯგუფის წარმომადგენლების არჩევა შეიძლებოდა.

სოლონმა არქონტებად არჩევის უფლება მისცა მხოლოდ პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს. სამი პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობის დაკავება შეეძლოთ, ხოლო მეოთხე ჯგუფის თეტებს მხოლოდ სახალხო კრებასა და „ჰელეაში“ მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. სოლონმა ატიკიდან მარცვლეულის და ლეღვის გატანა-გაყიდვა აკრძალა, სამაგიეროდ ზეთისხილის გაყიდვა დაუშვა. სოლონმა დააკანონა: ბაღების, ვენახების და ბოსტნების გაშენება. მისი თაოსნობით ეგინური ტალანტი, რომელიც მოუხერხებელი იყო, ევბეური ტალანტით შეიცვალა. ევბეური ტალანტი შავიზღვისპირეთის ახალშენებში უფრო იყო გავრცელებული, ეგინური კი — ეგეოსის ზღვის მხოლოდ სამხრეთ ნაწილში.

შვილებს, რომელთა მშობლებმაც თავის დროზე არ იზრუნეს

მათთვის რაიმე ცოდნა ან ხელობა ესწავლებინათ, სოლონმა ნება მისცა მშობლები სიბერეში არ შეენახათ. მან უსაქმობის წინააღმდეგ დააწესა ჯარიმა, აგრეთვე აკრძალა საჯაროდ ლანძღვა, უწმაწური სიტყვებით მიცვალებულების და ცოცხლებისადმი მიმართვა ტაძრებში, სასამართლოში, შეჯიბრებაზე და საზოგადოებრივ ადგილებში, ამიტომაც დაწესდა ჯარიმა დაზარალებულთა სახელმწიფოს სასარგებლოდ. სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიწვია ხელოსნები, რათა მათ ათენელებისათვის ესწავლებინათ ხელობა. შემდეგ მთელი თავისი კანონები ხის დაფაზე დაწერა, ოთხწახნაგოვან ჩარჩოებში ჩასვა და პრიტანეონში შეინახა. როდესაც მან თავისი მოღვაწეობა მოათავა, ათი წლით გაემგზავრა, ჯერ ეგვიპტეში და შემდეგ – მცირე აზიაში.

თავისი რეფორმებით სოლონმა ძალაუფლება შეურყია ძველ გვაროვნულ წყობილების ორგანოებს: არქონტატს და არეოპაგს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მიწიდან შემოსავალს, ქონებრივ ცენზს. ათენელ წარჩინებულთა უფლებების შეზღუდვით გზა გაუხსნა ახალი მონათმფლობელური ურთიერთობის განვითარებას. მან შექმნა ახალი საზოგადოებრივი ორგანოები: ოთხასთა საბჭო „ბულე“, სახალხო მსაჯულთა სასამართლო „ჰელეია“ და სახალხო კრება „ეკლესია“, რომელზეც ათენელი თანამდებობის პირები ვალდებული იყვნენ წარმდგარიყვნენ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიშით.

ათენელი ქვეითები

რეფორმების შემდეგ ღარიბების ჩაგვრა მაინც გრძელდებოდა – შეიცვალნენ მჩაგვრელები, წინათ თუ იყვნენ ათენელი ევპატრიდები, სოლონის რეფორმების შემდეგ მონათმფლობელთა ახალი კლასი შეიქმნა, რომელიც მონების გარდა ღარიბებს ჩაგრავდა. რეფორმებით ყველა უკმაყოფილო დარჩა. გლეხობას ვალების გაუქმებისა და სავალო კაბალის მოსპობის გარდა, სურდა სათემო მიწების გადანაწილება. ვაჭარ-ხელოსნებს პოლიტიკურ უფლებებში ევპატრიდებთან



ფიდიასი, ათენა პალადას მონუმენტი აკროპოლისში, რეკონსტრუქცია

გათანასწორება, ევპატრიდები კი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ვალების გაუქმებით დაზარალდნენ და ქონებრივი ცენზით მათი უფლებები შეიზღუდა.

ათენში რეფორმებით უკმაყოფილო მოსახლეობის სამი ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფი ჩამოყალიბდა. პირველ ჯგუფში პედიაკები შედიოდნენ, ნაყოფიერი პედიონის დაბლობის ევპატრიდები, რომლებსაც მეთაურობდა წარჩინებული ფილიადი ლიკურგოსი; ისინი სოლონის რეფორმების გაუქმებას მოითხოვდნენ. მეორე ჯგუფს ზღვისპირა მცხოვრები პარალიები წარმოადგენდნენ: ვაჭრები, ხელოსნები, მეზღვაურები, მათ მეთაურობდა წარჩინებული ალკმეონიდი მეგაკლე. მათ სოლონის რეფორმები აკმაყოფილებდათ და ამ რეფორმების გაფართოება უნდოდათ.. ხოლო მესამე ჯგუფში დიაკრიები, ატიკის ყველაზე უნაყოფო, ჩრდილო-დასავლეთ მთიანი მიწის ნაკვეთების მფლობელი მრავალრიცხოვანი გლეხები გაერთიანდნენ, რომლებსაც მეთაურობდა წარჩინებული ევპატრიდი, სოლონის დეიდაშვილი პისისტრატე. დიაკრიებს თავიანთი მიწის ნაკვეთების გაფართოება და პოლიტიკური უფლებების გაზრდა სურდათ. მათ ემხრობოდნენ ქალაქის ღარიბებიც. პისისტრატეს კი ხალხის მასების მღელვარება სურდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

პისისტრატე მდიდარი და წარჩინებული ათენელი იყო. მას თრაკიაში პანგეის ოქროს საბადოები ჰქონდა. ივი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა მეგარელებთან კუნძულ სალამინისათვის ბრძოლის დროს. პლუტარქეს ცნობით: დიაკრიების მეთაურმა პისისტრატემ საკუთარი ხელით დაიჭრა თავი და ეტლით ათენის

მოედანზე გამოცხადდა, ხალხს შესჩივლა, ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის მტრების მსხვერპლი შევიქმენიო. პისისტრატეს მომხრეები აღშფოთდნენ და ვინმე არისტორნის წინადადებით პისისტრატეს კეტებით შეიარაღებული პირადი მცველები გამოუყვეს. პისისტრატემ მცველები კეტების ნაცვლად ნამდვილი იარაღით აღჭურვა და ძვ.წ. 560 წ. ათენში ხელისუფლება ხელთ იგდო, გახდა ათენის ერთმმართველი ტირანი. პისისტრატეს მდგომარეობა პირველ ხანებში არ იყო მყარი, რადგან ათენელი გლეხების სასარგებლოდ გატარებული მისი პოლიტიკა არ მოსწონდათ არც პედიაკებს და არც პარალიებს. ისინი გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ და 5 წლის ბატონობის შემდეგ ათენიდან გააძევეს.

პისისტრატეს გაძევების შემდეგ, პარალიებსა და პედიაკებს შორის ხელისუფლებისათვის დაიწყო ბრძოლა, რითაც ისარგებლა პისისტრატემ და დაუკავშირდა პარალიების მეთაურს მეგაკლეს, რომელსაც შეპირდა მისი ქალიშვილის ცოლად შერთვას. მაგრამ, როდესაც მეორედ ჩაიგდო ხელისუფლება, სიტყვა არ შეასრულა. ამის გამო პისისტრატესა და მეგაკლეს შორის კვლავ დაიწყო ბრძოლა. პისისტრატე იძულებული გახდა თავის მომხრეებთან ერთად ათენიდან წასულიყო, იგი 11 წელი იმყოფებოდა კუნძულ ევბეას ქალაქ ერეთრეაში, სადაც ემზადებოდა ათენში დასაბრუნებლად. პისისტრატე თრაკიის ხერსონესში ოქროს საბადოებს ფლობდა და დიდი შემოსავალი ჰქონდა. ამ სახსრებით მან შეიარაღა თავისი მომხრე დიაკრიები, იქირავა ევბეელი, თესალიელი და თებელი მოქირავნები და ძვ.წ. 538 წ შეიჭრა მარათონის ხეობაში.

თეატრი, ლარნაკწერა

პისისტრატემ პირადი ლაშქარი ჩამოაყალიბა და შექმნა შესანიშნავი საზღვაო ფლოტი, რომელშიაც ძირითადად თეტები მსახურობდნენ და ხელფასს (დიეტას) სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ. შემდეგ თავის ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეს, გვაროვნულ არისტოკრატიას გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა: ბევრი ატიკიდან გააძევა, ჩამორთმეული მიწები კი დაურიგა უმიწაწყლო გლეხებს და სოფლის მოჯამაგირეებს. გლეხებს მეურნეობის მოსაწყობად

სჭირდებოდათ თანხები და ისევ ვალებში რომ არ ჩავარდნილიყვნენ, საკუთარი სახსრებიდან მისცა გრძელვადიანი სესხები „იაფი კრედიტი", აგრეთვე ინვენტარი, თესლეული და საქონელი, სამაგიეროდ კრედიტის მიმღებები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი მიწიდან მოსავლის მეათედი ყოველწლიურად ხაზინაში შეეტანათ. შემოიღო საყოველთაო სახელმწიფო გადასახადი — შემოსავლის მეათედი, რომელიც დიდი სისასტიკით იკრიფებოდა. პისისტრატემ მოსიარულე მოსამართლეთა თანამდებობაც დააწესა, რათა გლეხებს ქალაქში სასამართლო საქმეებზე არ ევლოთ და დრო არ დაეკარგათ, მათთან „მოსიარულე მოსამართლეები" მიდიოდნენ და ადგილზე არჩევდნენ გლეხების წვრილ საქმეებს. არისტოტელე პისისტრატეს კაცთმოყვარეობასა და ლმობიერებას ხაზს უსვამს. ხელმოკლეებს წინასწარ სესხად აძლევდა ფულს სამუშაოსათვის, რათა მათ მიწა დაემუშავებინათ, თავი ერჩინათ და ქალაქში არ ეხეტიალათ. „ერთხელ, როდესაც პისისტრატე უკვე ტირანი იყო, მკვლელობის საქმეზე არეოპაგში გამოიძახეს. იგი მორჩილად გამოცხადდა თავის დასაცავად, მაგრამ ვინც მას ცრუ ბრალი დასდო — „შეშინდა და არ მოვიდა", — წერს პლუტარქე.

მეთუნის სახელოსნო ატიკაში

პისისტრატემ ინვალიდებისთვისაც გამოსცა კანონი, რომლითაც ათენში მიმდინარე დიდმასშტაბიან მშენებლობებზე შეეძლოთ ემუშავათ ქალაქელ ხელოსნებსა და ღარიბებს ხელფასის ანაზღაურებით; მფარველობდა მხატვრებს, პოეტებს, ფილოსოფოსებს, რომელთაც იგი საბერძნეთის სხვა პოლისებიდან იწვევდა. პისისტრატეს ტირანიის დროს ათენი გადაიქცა ბერძნულ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთ წამყვან კულტურულ ცენტრად და მიაღწია მნიშვნელოვან საგარეო ძლიერებასაც. მან სოლონის კანონები ძალაში დატოვა და როგორც პლუტარქე წერს, პატივისცემითა

და სიყვარულით ეპყრობოდა მოხუც სოლონს და ისე ხშირად იწვევდა თავისთან, რომ ნელ-ნელა მისი მრჩეველი გახდა.

პისისტრატეს დროს ათენი გადაიქცა შუა საბერძნეთის დიდ სავაჭრო, სახელოსნო ცენტრად, მომრავლდა სახელოსნოები, სავაჭრო მაღაზიები, ათენელი ხელოსნების წითელფიგურიან და შავლაქიან ჭურჭელზე დიდი მოთხოვნილება იყო. სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ ზეთისხილი და ღვინო. ფალერონის ნავსადგური ვეღარ იტევდა ხომალდებს, ამიტომ პირეოსის ნავსადგურის გამოყენებაც დაიწყეს. ათენს საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და პური არ ჰყოფნიდა. პისისტრატე ცდილობდა ჰელესპონტის და ბოსფორის სრუტეების მიდამოებში საყრდენის შექმნას, ამიტომაც დაიპყრო ჰელესპონტის სანაპიროზე მდებარე ქალაქი სიგეონი, რომელიც ნაყოფიერ ტერიტორიაზე მდებარეობდა და მიდამოებში დაასახლა ათენელი კოლონისტები. ამ დროს ჰელესპონტის მეორე ევროპულ სანაპიროზე დამკვიდრდა ათენიდან გაძევებული მილტიადე ფილაიდი, რომელიც ათენელთა ახალშენს ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ მილტიადე პისისტრატეს პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო, უკანასკნელმა ისე წარმართა საქმე, რომ მილტიადე ათენის ინტერესების დამცველი გახდა. ამრიგად სიგეონისა და მილტიადეს წყალობით ჰელესპონტი ათენის კონტროლის ქვეშ მოექცა.

პისისტრატემ მეგობრული კავშირი დაამყარა კუნძულ ნაქსოსის ტირან დიგდამიდთან და სამოსის ტირან პოლიკრატესთან, აგრეთვე კუნძულ დელოსთან, პელოპონესში არგოსთან და კორინთოსთან. დაიპყრო კუნძულები ლემნოსი და იმბროსი. იგი დიაკრიების გარდა სავაჭრო-სახელოსნო ფენების ინტერესებსაც იცავდა, ეხმარებოდა შავი ზღვის ახალშენების შექმნასა და განვითარებას, რადგან ათენისათვის საჭირო პური, თაფლი, სანთელი, ბეწვეული და მონები იქიდან შემოდიოდა.

პისისტრატე დიდი დემოკრატი იყო, იგი არ თაკილობდა დემების შემოვლას, თანამდებობის პირთა კონტროლს, მას ძალიან აინტერესებდა მისგან მიწით, ფულით და ინვენტარით მომარაგებული გლეხები რას აკეთებდნენ. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა ხალხში მრავალ ვარიანტად გავრცელებულ „ილიადასა“

და „ოდისეას“ ტექსტის დადგენა და მისი ჩაწერა. პისისტრატეს დროს ათენში გაყვანილ იქნა წყალსადენი, აშენდა ჭები და წყალსაცავები. აკროპოლისზე ააგეს ათენა პალადას ტაძარი, რომლის დღესასწაულს „პანთენაიონს“ დიდი სახალხო მნიშვნელობა მიენიჭა. ელევსინში აშენდა დემეტრას ტაძარი, საძირკველი ჩაეყარა ოლიმპიელი ზევსის ტაძარს. პისისტრატემ შემოიღო დიონისეს სახალხო დღესასწაული: წელიწადში ორჯერ აღინიშნებოდა დიდი და პატარა დიონისები, რომლებიც იმართებოდა გაზაფხულზე და შემოდგომით, სწორედ ამ დღესასწაულების დროს გაიმართა საბერძნეთში პირველად თეატრალური წარმოდგენები.



დიონისეს თეატრი

პისისტრატე საერთო ჯამში, 16 წელი იყო გაძევებული და 17 წელი კი ბატონობდა ათენში.

პისისტრატე ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა ძვ.წ. 527 წ. მმართველობა გადასცა კანონიერი ცოლის ორ ვაჟიშვილს: ჰიპიასს და ჰიპარქოსს. პისისტრატეს შვილები, ანუ როგორც მათ ეძახდნენ, „პისისტრატიდები“ პირველ ხანებში მამის დემოკრატიულ პოლიტიკას აგრძელებდნენ. კმაყოფილდებოდნენ იმ გადასახადებით, რომელიც მამამ დაადგინა. ასევე ეწეოდნენ სამშენებლო მოღვაწეობას, მფარველობდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებას, მაგრამ პისისტრატიდების დროს საბერძნეთის პოლისების საგარეო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც გამოწვეული იყო აქემენიდური სპარსეთის გაძლიერებით და მისი დაპყრობითი პოლიტიკის გააქტიურებით. სპარსეთის მეფე კიროსმა, შემდეგ კამბისმა და დარიოსმა ხელთ იგდეს წინა და მცირე აზია, ეგვიპტე, კუნძული სამოსი, სადაც ათენის მოკავშირე პოლიკრატე იყო ტირანად და შავი ზღვის სრუტეები (ჰელესპონტი და ბოსფორი). სპარსელების ამ დაპყრობებით ათენმა დაჰკარგა სიგეონი და ჰელე-

სპონტის მიდამოებში გამავალ გემებზე კონტროლის საშუალება, რამაც საზღვაო ვაჭრობა შავი ზღვის ახალშენებთან ძალიან გააძნელა და შეაფერხა.

პისისტრატეს დროს ათენის დემოკრატიული ძალები საკმარისად გაძლიერდნენ და აღარ აკმაყოფილებდათ ტირანია, ათენის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, საჭირო იყო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება. ამისათვის კი აუცილებელი იყო ტირანიის მოსპობა, რომელიც პისისტრატეს შვილების ბატონობის დროს თანდათან არასასურველი მონარქიის ფორმას ღებულობდა. პისისტრატიდებმა გაორკეცეს გადასახადი სავაჭრო-სახელოსნო ნაწარმზე, დამატებითი გადასახადები დაადგინეს ორ და მეტ სართულიან სახლებზე, მათი მდიდრული, მრავალრიცხოვანი მსახურებით სავსე სასახლეები დიდ სახსრებს საჭიროებდა, პისისტრატიდები ქედმაღლობდნენ, მიუკარებლები გახდნენ; ყველაფერი ეს იწვევდა ათენელთა დიდ უკმაყოფილებას, მცირე საბაბიც საკმარისი იყო, რომ პისისტრატიდების წინააღმდეგ შეთქმულება მოწყობილიყო.

ერთ-ერთმა პისისტრატიდმა ჰიპარქოსმა შეურაცხყო ათენელი წარჩინებული ახალგაზრდის ჰარმოდიუსის და; ჰარმოდიუსმა თავის მეგობარ არისტოგიტონთან ერთად მოაწყო შეთქმულება. ძ.წ. 514 წ. ისინი თავს დაესხნენ პისისტრატიდებს პანათენაიონის დღესასწაულზე. ჰიპარქოსი მოკლეს, ჰიპიასი კი — გადარჩა. ჰიპიასის ერთ-ერთმა მცველმა მოკლა ჰარმოდიუსი და შეიპყრო არისტოგიტონი, რომელიც აწამეს და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ჰარმოდიუსს და არისტოგიტონს, როგორც ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლებს, შემდეგ ძეგლი აუგეს ათენში.

ჰარმოდიუსი და არისტოგიტონი

ჰიპიასი ამ შეთქმულების შემდეგ შეშინდა, ეჭვმა შეიპყრო, ათენიდან ბევრი გაამევა და ბევრიც დახოცა, ვისაც ამ შეთქმულებაში მონაწილეობას აბრალებდა. მისი შემდგომი ოთხწლიანი ტირანია ათენელებისათვის ძალზე ძნელი ასატანი გახდა. ჰიპიასმა პირეოსის უბნის მუნიხიის გამაგრება დაიწყო. დაცვაც

გააძლიერა, ათენელებს იარაღი ჩამოართვა და აშკარად სპარსეთისაკენ ისწრაფოდა. ისედაც შერყეული ავტორიტეტი უფრო შეერყა. ამ დროს პისისტრატეს მიერ ათენიდან გაძევებული ევპატრიდებმა თავი მოიყარეს ბეოტიაში, ლეპსიდროსში. მათ ძვ.წ. 548 წ. ხანძრისაგან დამწვარი დელფოს ტაძარი აღადგინეს და მარმარილოთი გააშშვენიერეს. მანამდე ტაძარი უბრალო ქვისაგან იყო ნაშენი, ამით კი დელფოს ტაძრის ქურუმების და პითიას გული მოიგეს. მადლობის ნიშნად მათ გადაწყვიტეს ათენელ არისტოკრატებს სამშობლოში დაბრუნებაში დახმარებოდნენ.

დელფოს მისნის რჩევით სპარტელი სარდალი ანქიმოლოსი მცირე რაზმებით შეეცადა ათენიდან ჰიპიასის გაძევებას, მაგრამ თესალიელი ცხენოსნებით მან სპარტელების რაზმები მოსპო; ამის შემდეგ სპარტელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მეფე კლეომენეს მეთაურობით შეიჭრა ატიკაში ძვ.წ. 510 წ. სპარტელებს ათენის მცხოვრებლებიც მიემხრნენ. მათ ხელთ იგდეს ჰიპიასის შვილები, აიძულეს შვილების გადასარჩენად თავი დამარცხებულად ეცნო და ათენიდან წასულიყო.

სპარტელები კი ათენელ ევპატრიდებს დაუკავშირდნენ, რომლებმაც თავიანთი მეთაურის ისაგორეს ხელმძღვანელობით და სპარტელთა დახმარებით ათენში ჩამოაყალიბეს 300 ევპატრიდის ხელისუფლება, მათ სოლონის და პისისტრატეს კანონები გაუქმებულად გამოაცხადეს და 700 ათენელი დემოკრატი ოჯახებიანად ათენიდან გააძევეს. ამის შემდეგ დაიწყო სოლონამდე არსებული ადათ-წესების აღდგენა.

ათენის დემოკრატიის მთელი მიღწევები დაიკარგა. ამან გამოიწვია ათენის მოსახლეობის პროტესტი. უკმაყოფილო ათენელებს სათავეში ჩაუდგა ალკმეონიდი კლისთენე მეგაკლეს შვილი, რომელიც ათენის პირველი არქონტი იყო. ისეთი ძლიერი და მრისხანე იყო ოჯანყება სპარტელებისა და ევპრატიდების წინააღმდეგ, რომ ბრძოლაში გამობრძმედილმა სპარტელებმაც ვერ გაუძლეს მათ იერიშს, შედრკნენ და იძულებულნი გახდნენ ათენი დაეტოვებინათ. სპარტელების წასვლის შემდეგ 300 ევპრატიდის ბატონობა გაუქმდა ძვ.წ. 509 წ. კლისთენემ აღადგინა სოლონის და პისისტრატეს ყველა კანონი და ახალი მნიშვნელოვანი დემოკრატიული ხასიათის ღონისძიებე-

ბი გაატარა, რომლითაც კიდევ უფრო გააძლიერა და განამტკიცა ათენის მონათმფლობელური დემოკრატია. მისი რეფორმებით:

1. გაუქმდა ოთხი საგვარეულო ფილე და მათ მაგიერ დაფუძნდა ათი ტერიტორიული ფილე, თითოეულ ფილეში შევიდა ერთი მესამედი ანუ ტრიტია პედიაკებისა — ევპატრიდები, ერთი მესამედი პარალიებისა — ვაჭარ-ხელოსნები, ზომიერი დემოკრატები და მესამედი დიაკრიებისა — უღარიბესი გლეხობა, უკიდურესი დემოკრატები. ასეთი განაწილებით ათენელი დიდგვაროვნები თითოეულ ფილეში უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

მედალიონი ათენას გამოსახულებით

2. ატიკის მთელი ტერიტორია 100 დემად დაიყო (შემდეგში დემების რიცხვი 74-მდე გაიზარდა), თითო ტერიტორიულ ფილეში ათი დემი შედიოდა. დემი წარმოადგენდა რამდენიმე სოფლისაგან შემდგარ თემს, ქალაქად კი გარკვეული უბნის მოსახლეობას. ათენი ათ დემად იყო დაყოფილი. თავისუფალ დემს თავისი თვითმმართველობა ჰქონდა, მეთაურობდა დემარქოსი, რომელსაც დემის მცხოვრებლები ირჩევდნენ. ირჩევდნენ აგრეთვე ხაზინადარს და ოცდაათ მსაჯულს. უმნიშვნელო საჩივრების გასარჩევად დემარქოსების ხელში იყო დემის მოქალაქეთა სიები. მათ ახალდაბადებულები შეჰყავდათ სიებში, მიცვალებულებს კი იღებდნენ, კრეფდნენ გადასახადებს და ა. შ. დემის სრულწლოვან 18 წლის ახალგაზრდების სამხედრო წვრთნა და მოსწავლეთა განათლების ხელმძღვანელობაც დემარქოსების საქმე იყო. დემებს საკუთარი ტაძრები, მფარველი ღვთაება, დღესასწაულები და არჩეული ქურუმები ჰყავდათ.

3. კლისთენემ ათენის მოქალაქეების შემადგენლობაში შეიყვანა წარმოშობით არაათენელები — მეტეკები. ისინი უნდა ყოფილიყვნენ სოლონამდე და სოლონის დროიდან ათენში გადმოსახლებული ხელოსნები და ვაჭრები, რომლებიც ათენის დემოკრატიულ ძალების აქტიური მომხრეები იყვნენ.

4. კლისთენემ გაუქმა ოთხასთა საბჭო და მის მაგიერ შემოიღო 500 საბჭო — ბულე. თითოეული ტერიტორიული ფილე კენჭისყრით, ერთი წლის ვადით ირჩევდა 50 კაცს (ორჯერ ერთი და იგივე

პირის არჩევა არ შეიძლებოდა). არჩეული 50 კაცი ქმნიდა 500 საბჭოს „ბულეს“, რომელიც გადაიქცა ათენის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ, ხუთასთა საბჭოს მეათედი ნაწილი — 50 კაცი სხვადასხვა ფილედან წელიწადში 36 დღის განმავლობაში ვალდებული იყო პრიტანიაში ემორიგევა, მათ „პრიტანები“ ეწოდათ. ყოველი პრიტანი მორიგეობით თავმჯდომარეობდა ბულეს და მათ „ეპისტატები“ ერქვათ. პრიტანები სახალხო კრების — ეკლესიის დღის წესრიგს ადგენდნენ. ეკლესია კი ყოველ 50 კაცის პრიტანობისას ორჯერ უნდა შეკრებილიყო. პრიტანები სხვადასხვა ქვეყნებიდან ელჩებსაც ღებულობდნენ და ათენის სახელმწიფოს სახელით აგზავნიდნენ კიდეც ელჩებს სხვადასხვა ქვეყნებში. ისინი სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს ხელმძღვანელობდნენ.

5. თითოეული ტერიტორიული ფილე კენჭისყრით ირჩევდა 30 კაცს. სახალხო მსაჯულთა სასამართლოს, რომელსაც „ჰელეა“ ეწოდებოდა, ევალებოდა სასამართლოს საქმეების წარმოება. ხუთასთა საბჭო — ბულე და სახალხო მსაჯულთა სასამართლო "ჰელეა" ყველაზე დემოკრატიულ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ ათენში. არეოპაგსა და არქონტატს კლისთენმა რელიგიური საქმიანობის გარდა ყველა ფუნქცია ჩამოართვა და ამით გავლენა და მნიშვნელობა დაუკარგა.



ოსტრაკონი

6. კლისთენის დროს თითოეული ტერიტორიული ფილე ირჩევდა თითო ხაზინადარს. ასე შეიქმნა ათი ხაზინადრის, აპოდეკტის კოლეგია, რომელიც განაგებდა ათენის სახელმწიფო ხაზინას, მანამდე კი ათენის მთელი ხაზინა არქონტ-ეპონიმეების განკარგულებაში იყო.

7. თითოეული ტერიტორიული ფილე ირჩევდა კენჭის ყრით თითო სტრატეგოსს. ასე შეიქმნა სტრატეგოსთა კოლეგია, რომელსაც პირველხანებში არქონტ-პოლემარქოსი ხელმძღვანელობდა. შემდეგ მათ ეს ფუნქცია ჩამოერთვათ და ათი სტრატეგოსი ირჩევდა ერთ მთავარ სტრატეგოსს, რომელიც ხელმძღვანელობდა კოლეგიას. სტრატეგოსთა კოლეგია ხელმძღვანელობდა ათენის სახელმწი-

ფოს მთელ სამხედრო საქმიანობას. სტრატეგოსთა კოლეგია შემდგომში ყველაზე მნიშვნელოვან ორგანოდ იქცა ათენის სახელმწიფოში.

8. კლისთენემ შემოიღო ტირანიის საწინააღმდეგო წესი, რომლის თანახმად, ყოველწლიურად, მორიგ სახალხო კრებაზე ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, არსებობენ თუ არა ისეთი პირები, რომლებიც თავის მოქმედებით საშიშნი არიან ათენის სახელმწიფოს წყობილებისათვის. თუ კრება ამ საკითხზე დადებითად უპასუხებდა, მაშინ საგანგებოდ იწვევდნენ სახალხო კრებას. ყველა წევრს ურიგდებოდათ გასანთლული თიხის ფირფიტის ნაჭერი „ოსტრაკონი", რომელზედაც უნდა დაეწერათ იმ პირის სახელი, რომელიც მიისწრაფოდა ტირანიისაკენ, ან ათენის სახელმწიფოსათვის საშიში იყო. ათენის სახალხო კრებას უნდა დასწრებოდა არანაკლებ 6000 კაცი. იმ პირს, ვისი სახელიც ყველაზე ხშირად იქნებოდა ოსტრაკონებზე მოხსენებული, ათი დღის ვადას აძლევდნენ და 10 წლით ათენიდან აძევებდნენ, მაგრამ არც ქონებას და არც ათენის მოქალაქეობას არ ართმევდნენ. მას უფლება ჰქონდათ თავისი ცოლშვილი დაეტოვებინა. ოსტრაკიზმო კლასთა ბრძოლის ყველაზე საშიშ იარაღად იქცა გაბატონებული დემოკრატიის ხელში. არისტოტელე წერს: „პირველად ოსტრაკიზებული იქნა კლისთენის ნათესავებიდან ჰიპარქე კოლიტეველი ქარამეს ძე, ტირანების მეგობარი, რომელმაც მონაწილეობა არ მიიღო აჯანყებაში. აგრეთვე ოსტრაკიზებული იქნა მეგაკლე ჰიპოკრატეს ძე, ალოპეკიდან, კლისთენეს დროს სამი წლის განმავლობაში ოსტრაკიზმოს წესით აძევებდნენ ტირანების მეგობრებს, რომელთა გულისთვისაც ეს კანონი იქნა დადგენილი, მეოთხე წელს კი მიადგნენ სხვებსაც, თუკი ვინმე გადამეტებული გავლენის მქონედ მიაჩნდათ". ოსტრაკიზმო ათენში გავლენიან თანამდებობის პირთა წინააღმდეგ იყო მიმართული და ეს ღონისძიება თავისებურ წონასწორობას იცავდა იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ხალხი განსაკუთრებულად განასხვავებდა.

რეფორმების გატარების დროს ათენის საგარეო პოლიტიკა ძალიან მძიმე და დაძაბული შეიქმნა. კლისთენეს რეფორმებმა, საბერძნეთის პოლისებში დემოკრატიული მოძრაობა გამოიწვია,

ყველაზე მეტად კი ოლიგარქიულ სპარტას ეშინოდა, რომ ათენის დემოკრატიის მიღწევებს გავლენა არ მოეხდინა მის მოკავშირეებზე.

ძვ.წ. 506 წ. სპარტამ ათენის წინააღმდეგ ჩამოაყალიბა კოალიცია პელოპონესის სახელმწიფოთაგან. მათ მიემხრნენ ბეოტია და კუნძულ ევბეას ქალაქებიც. ათენი აღმოჩნდა მისდამი მტრულად განწყობილ პოლისების გარემოცვაში. სპარტამ მოკავშირეებიანად შეუტია ათენს ელევსინიდან, დასავლეთიდან უტევდა ბეოტია, რომელმაც მას ქალაქი პლატეა წაართვა, ხოლო ჩრდილოეთიდან ევბეას ქალაქი ქალკიდა. მაგრამ პელოპონესელ მოკავშირეებს შორის ერთსულოვნება არ იყო, მათ შორის დაიწყო შუღლი და ამ გარემოებამ ათენი გამოიყვანა გაჭირვებიდან. სპარტის მოკავშირე კორინთო, მართალია, ვაჭრობაში ათენის მეტოქე იყო, მაგრამ ათენის შინაურ საქმეებში ჩარევას უსამართლობად თვლიდა და მან თავისი ძალები ელევსინიდან დააბრუნა. სპარტის ორი მეფე სამხედრო ძალების მეთაურობის საკითხის გამო ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ და ერთი მათგანი დემარატი — თავისი რაზმელებით სპარტაში დაბრუნდა. მას კლეომენეც გაჰყვა. ასე უბრძოლველად მოიხსნა ელევსინის საშიში ფრონტი და ათენს საშუალება მიეცა მთელი თავისი ძალები მიემართა ბეოტიელების წინააღმდეგ, რომლებიც დამხმარე ძალებს ელოდებოდნენ და აქტიურ მოქმედებას არ იწყებდნენ. ათენელებმა დაასწრეს, დაამარცხეს ისინი და უკუაგდეს. შემდეგ ევრიპიოსის სრუტე გადალახეს, ქალკიდელ მსხვილ მიწისმფლობელ ჰიპობოტებს შეებრძოლნენ და დაამარცხეს. ათენელებმა ხელთ იგდეს მთელი კუნძული ევბეა, გაძევებულ ჰიპობოტების მამულებში, ნაყოფიერ ლელანტოს ველზე ოთხი ათასი ათენელი დაასახლეს. ამის შემდეგ ათენმა დაიწყო ეგეოსის ზღვის კუნძულების კოლონიზაცია. შეიქმნა ახალშენები და თავისი მოქალაქეები დაასახლა კუნძულ სალამინზე, იმბროსზე და ლემნოსზე.

სპარტის მეფე კლეომენე კი არ ცხრებოდა, მან ათენიდან გაძევებული ტირანი ჰიპიასი სეგეონიდან დაიბარა და მისი ათენში ძალით დაბრუნება უნდოდა, მაგრამ პელოპონესელმა მოკავშირეებმა კლეომენეს მხარი არ დაუჭირეს და ჰიპიასი იძულებული გახდა მცირე აზიაში — სარდეში წასულიყო სპარსეთის სატრაპ

არტაფერნესთან, რომელსაც დახმარება სთხოვა. სპარსელებმა ათენელებს კატეგორიულად მოსთხოვეს ჰიპიასის ტირანიის აღდგენა ათენში. ათენელებმა სპარსელების მოთხოვნა უარყვეს. ამის შემდეგ სპარსეთსა და ათენს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ათენის დემოკრატიამ შეძლო არა მარტო შინაური მოწინააღმდეგეების განადგურება, არამედ თავისი მრავალრიცხოვანი მტრების დაძლევაც.

კლისთენეს რეფორმებით დასრულდა ატიკაში სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნის პერიოდი, რომელიც თითქმის ასი წელიწადი გრძელდებოდა, დასრულდა ათენის კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სოლონმა, პისისტრატემ და კლისთენემ შექმნეს მონათმფლობელურ დაწესებულებათა მთელი სისტემა. ამ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნების დროს ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ ათენის გვაროვნულ არისტოკრატიის მიერ ჩაგრულ გლეხობას და ქალაქის ღარიბ მოსახლეობას, ათენის საზოგადოების დაბალ ფენებს, რომელიც ძირითად ძალას წარმოადგენდა გვაროვნულ წყობილებასთან ბრძოლის დროს.



ატიკა

ფიდიასი, ათენა პალადა

ბერძენ – სპარსელთა ომები

ბერძენ-სპარსელთა ომების ისტორიული წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჰეკატეოს მილეთელის „დედამიწის აღწერილობა“, რომელიც სპარსთა წინააღმდეგ მილეთის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო. აღსანიშნავია ბერძენ-სპარსელთა ომის მონაწილე ესქილეს ტრაგედია „სპარსელები“. მაგრამ მთავარ წყაროს ჰეროდოტეს „ისტორია“ წარმოადგენს. ჰეროდოტე, როგორც მოვლენების თანამედროვე, განსაკუთრებით დაწვრილებით აგვიწერს ამ ომს. საინტერესო ცნობებია შემონახული თუკიდიდეს „ისტორიაშიც“. „არისტოტელეს „ათენის სახელმწიფო წყობილებაში“ ვხვდებით ცალკეულ ცნობებს ამ პერიოდზე. ომის ეპიზოდები ასახულია დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკასა“ და პლუტარქეს პარალელურ „ბიოგრაფიებში“. აგრეთვე, თემისტოკლეს, არისტიდეს და კიმონის ბიოგრაფიებში. სპარსეთში პერსეპოლისის სამეფო არქივი იქნა აღმოჩენილი, სადაც მრავლად მოიპოვება საინტერესო მასალა ბერძენ-სპარსელთა ომების შესახებ.

აქემენიდური სპარსეთის სამეფოს ფუძემდებელია კიროს II აქემენიდი (ძვ. წ. XI ს.), რომელმაც შესანიშნავი ცხენოსანი ლაშქარი ჩამოაყალიბა და მთელი ირანის ტერიტორია გააერთიანა. ამის შემდეგ მან დაიპყრო წინა აზიის ქვეყნები: ურარტუ, მცირე აზია, სირია, ფინიკია, პალესტინა და ბაბილონი. მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე ბერძნული სავაჭრო პოლისები ემორჩილებოდნენ ლიდიის სამეფოს და ხარკს უხდიდნენ. ლიდიის სახელმწიფო მათ შინაურ საქმეებში არ ერეოდა. მცირე აზიის ბერძნული პოლისები მშვიდობიანად ვაჭრობდნენ და თავიაანთ ხელოსნობას ანვითარებდნენ, მაგრამ სპარსელების მიერ მცირე აზიის დაპყრობის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა.

ბერძნული პოლისების წარმომადგენლებმა კიროსს სთხოვეს

ისეთი პირობები, როგორითაც ისინი ლიდიასთან იყვნენ დაკავშირებულნი — მასაც მიელო ხარკი შინაურ საქმეებში ჩაურევლად. კიროსმა უარი უთხრა, მაშინ მცირე აზიელმა ბერძნებმა დახმარებისათვის მიმართეს სპარტას, სპარტელები დაემუქრნენ კიროსს და ამით უფრო გაართულეს მდგომარეობა. კიროსმა სპარტელების საპასუხოდ ბერძნების ორი ქალაქი, მაგნეზია და პრინე გაანადგურა და მოსახლეობა მონებად გაყიდა. სხვა მცირე აზიური პოლისების მცხოვრებლები შეშინებულნი აიყარნენ და სხვადასხვა ადგილებში გადასახლდნენ. მაგალითად, ფოკეელებმა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ აუზში, სამხრეთ გალიის ნაპირას ახალშენი მასილია დააარსეს, ქალაქ თეოსის მცხოვრებლებმა კი თრაკიის სანაპიროზე ახალშენი აბდერა. ასე გარბოდნენ და სხვაგან სახლდებოდნენ მცირე აზიის სხვა ბერძნული ქალაქების მცხოვრებლებიც, ზოგი ბალკანეთის საბერძნეთში, ზოგი სხვა ბერძნულ ახალშენებში ან კუნძულებზე, მაგრამ მცირე აზიაში მაინც მრავლად დარჩა ბერძნული მოსახლეობა.

ძვ.წ. 529 წ. კიროსის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა კამბისმა ეგვიპტე დაიპყრო. კამბისის ეგვიპტეში ხანგრძლივი ყოფნით ისარგებლა მიდიელმა მოგვმა გაუმატამ და სპარსეთში ხელისუფლება იგდო ხელთ. კამბისის სიკვდილის შემდეგ დარიოს I (ძვ.წ. 521-486 წწ.) მოგვების ბატონობა მოსპო და სპარსეთის სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. დარიოსის დროს სპარსეთის სახელმწიფო კიდევ უფრო გაფართოვდა, აღმოსავლეთში მისმა საზღვრებმა მდ. ინდამდე მიაღწია და შუა აზიის ტერიტორია მოიცვა. ძვ.წ. 513 წ. დარიოსმა გადაწყვიტა ლაშქრობა სკვითების წინააღმდეგ, რადგან სკვითები მის სამეფოს ხშირად აოხრებდნენ.

დარიოსი მრავალრიცხოვანი ჯარით დაიძრა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ბერძნებს ჰელესპონტის სრუტეზე და დუნაიზე ააგებინა ხიდები, მაგრამ სკვითების წინააღმდეგ დარიოსის ლაშქრობა უშედეგო აღმოჩნდა, მან ბევრი ჯარისკაცი დაჰკარგა, დანარჩენი ლაშქარი კი სპარსელ სარდალს მეგაბაზს ჩააბარა და დაავალა თრაკიის და ეგეოსის ზღვის კუნძულების დაპყრობა. მეგაბაზმა დაიპყრო თრაკია, მაკედონიის მეფე ამინტა სპარსთა სამეფოს მორჩილი გახდა, ეგეოსის ზღვაში დაიმორჩილა მნიშვნელოვანი კუნძულები: ქიოსი, ლესბოსი, სამოსი და აგრეთვე

შავი ზღვის სრუტეები — ჰელესპონტი (დარდანელი) და ბოსფორი. ამით სპარსეთის სამეფოს ტერიტორია დასავლეთით საბერძნეთს დაუახლოვდა.

ჯერ კიდევ ძვ.წ. 525 წ. სპარსეთმა ეგვიპტე დაიპყრო და ეგვიპტიდან საბერძნეთში პურის შემოტანა შეწყდა, რის გამოც ბერძნების ვაჭრობა დიდად დაზარალდა. ამის შემდეგ ბერძნებმა პურის შემოტანა დაიწყეს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ბერძნული ახალშენებიდან, მაგრამ შავი ზღვის სრუტეების დაპყრობით სპარსეთმა ეს გზაც გადაუკეტა ბერძნების სავაჭრო გემებს. შავი ზღვის სრუტეებში სპარსელების კონტროლის დაწესებამ ბერძნული ვაჭრობა დააბრკოლა. კონტინენტური საბერძნეთის ვაჭარ-ხელოსანთა წრეების გვაროვნულ არისტოკრატიასთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და ხელოსნობა განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა, სწორედ ამ დროს სპარსეთმა თავისი დაპყრობებით მას დიდი საშიშროება შეუქმნა. ბერძენ-სპარსელთა ომების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს წინააღმდეგობა იყო.

დარიოს I

სპარსელები საბერძნეთის პოლისებიდან გამოძევებულ გვაროვნულ არისტოკრატიას მხარს უჭერდნენ. ისინი კი სპარსელების დახმარებით თავიანთი დაკარგული პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის აღდგენისაკენ მიისწრაფოდნენ და ამისათვის არ თაკილობდნენ ღალატსაც კი. სპარსეთის დაპყრობითი პოლიტიკა მიმართული იყო სამფლობელოების გაფართოებისა და ხაზინის შემოსავლის გაზრდისაკენ, მცირე აზიის ბერძნული სავაჭრო პოლისები სპარსეთს ყოველწლიურად 400 ტალანტ ხარკს უხდიდნენ და ბეგარას ასრულებდნენ სპარსელების სასარგებლოდ. აშენებდნენ გზებს, ხიდებს და სიმაგრეებს. სპარსეთი მცირე აზიის სავაჭრო პოლისებში ყოველმხრივ უპირატესობას ანიჭებდა ბერძენ

დიდგვაროვნებს, ცდილობდა ტირანიისა და ოლიგარქიული წყობილების დანერგვას, რადგან სპარსეთი სწორედ მათ ეყრდნობოდა. მცირე აზიის ბერძნულ პოლისებში კი დემოკრატიული ძალები სჭარბობდნენ, რომლებიც ბერძნულ ვაჭრობა-ხელოსნობაზე იყვნენ დამოკიდებული. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების წინააღმდეგ გამოდიოდა გვაროვნული მიწის მფლობელი არისტოკრატია, ამიტომ მცირე აზიის პოლისებში ბრძოლა არისტოკრატიის წინააღმდეგ, ერწყმოდა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს იყო ბერძენ-სპარსელთა ომის მეორე მიზეზი.

სპარსელი და მედიელი მეომრები. რელიეფი

მესამე მიზეზი ბერძნებისა და ფინიკიელების მეტოქეობა გახდა. სპარსეთი საზღვაო ვაჭრობის საკითხში უპირატესობას ფინიკიელებს ანიჭებდა, რადგანაც ისინი სპარსელების ერთგულნი იყვნენ, სწორედ მათ შეუქმნეს სპარსელებს შესანიშნავი საზღვაო ფლოტი, ამიტომაც ეგეოსის ზღვის მიდამოებში ბერძენთა კუნძულების დაპყრობა დაიწყეს. სპარსთა და ფინიკიელთა გაერთიანებულმა ფლოტმა და ჯარმა დაიპყრო კუნძულები ლესბოსი, ქიოსი და სამოსი. სამოსის ტირანი პოლიკრატე სპარსელების მოკავშირედ ითვლებოდა, მიუხედავად ამისა სპარსელებმა პოლიკრატე მცირე აზიაში მიტყუებით მიიპატიჟეს და მეამბოხე მონის მსგავსად ჯვარზე გაკრული წამებით მოკლეს. მისი შესანიშნავი, მრავალრიცხოვანი ფლოტი ხელთ იგდეს, კუნძული სამოსი აიკლეს და გაძარცვეს. ფინიკიელები სპარსთა მფარველობის წყალობით ეგეოსის ზღვის მიდამოებში თარეშობდნენ და ბერძნებს ვაჭრობაში ყოველნაირად უწევდნენ მეტოქეობას.

ძვ.წ. VI ს. ბოლოს ეგეოსის ზღვის მიდამოებში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საკმარისი იყო პატარა ბიძგი, რომ ბერძენ-სპარსელთა ომი დაწყებულიყო და ასეთი საბაბიც მალე გაჩნდა. ძვ. წ. 500 წ. ზამთარში ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულ ნაქსოსზე

დემოკრატიული გადატრიალება მოხდა. ნაქსოსელმა დემოკრატებმა გააძევეს არისტოკრატები, რომლებიც მილეთელმა ტირანმა არისტაგორემ მიიღო. მან მცირე აზიის სატრაპს, დარიოსის ძმისწულს არტაფერნესს სთხოვა კუნძულ ნაქსოსის დემოკრატების დასჯა. ნებართვა მიიღო და ძ.წ. 499 წ. დიდი ფლოტით არისტაგორემ იერიში მიიტანა კუნძულ ნაქსოსზე, მაგრამ ნაქსოსელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მას და ოთხი თვის უშედეგო ბრძოლის შემდეგ დამარცხებული არისტაგორე იძულებული გახდა უკან, მილეთში დაბრუნებულიყო. მან იცოდა, რომ ამ მარცხს სპარსელები არ აპატიებდნენ, ამიტომ გადაწყვიტა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყება, მან ჯერ მილეთთან მდგომი სპარსელების ფლოტი იგდო ხელთ, შემდეგ მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში ტირანების ხელისუფლება დაამხო, თვით ქალაქ მილეთშიც მართვა და ხელისუფლება სახალხო კრებას გადასცა.



ბერძნული ჯარი

ძ.წ. 499 წ. შემოდგომაზე მოკავშირეების მოსაპოვებლად აჯანყებული მილეთის სახელით არისტაგორე ჩავიდა სპარტაში დახმარების თხოვნით, მაგრამ სპარტელები არგოსთან ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი და იგი უარით გამოისტუმრეს. სამაგიეროდ ათენელმა დემოკრატებმა მისცეს ოცი ტრიერი ჰოპლიტებიანად. ხოლო ხუთი გემი მეომრებიანად გადასცა კუნძულ ევბეას ქალაქმა ერითრეამ, რადგან იგი სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული მილეთთან.

აჯანყებულ პოლისებს შორის არ იყო ერთსულოვნება, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი თქვეს ლიდიელებმა და თრაკიელებმა.. ყველაზე აქტიურად მოქმედებდნენ კარიელები, კვიპროსელები და მილეთელები. ათენელთა გემების და მეომრების მისვლის შემდეგ აჯანყებული მილეთელები გააქტიურდნენ, ისინი თავს დაესხნენ მეორე არმიის სარდალს, სატრაპ არტაფერნეს ქალაქ სარდეში; უკანასკნელი სიმაგრეში ჩაიკეტა სპარსეთიდან მაშველი ძალების მოლოდინში.

აჯანყებულმა ბერძნებმა სარდეს ციხე ვერ აიღეს, სამაგიეროდ ქალაქი გაძარცვეს, დაწვეს და როდესაც ნადავლით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ, ქალაქ ეფესოსთან მათ სპარსელების ჯარი დაეწია და სასტიკად დაამარცხა. მარცხმა საოცრად შეაშინა ათენელები და შემდგომ ბრძოლაზე ხელი ააღებინა. მიუხედავად არისტაგორეს თხოვნა-მუდარისა არ წასულიყვნენ, ათენელები თავიანთ გემებზე დასხდნენ და ატიკაში დაბრუნდნენ.

ქალაქ სარდეს განადგურებით დამთავრდა აჯანყებულების აქტიური ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ისინი თავდაცვაზე გადავიდნენ. სპარსელებმა კი ფინიკიელების ფლოტით კუნძული კვიპროსი აიღეს და აჯანყებულებს გაუსწორდნენ. კვიპროსელების დასახმარებლად მისულმა იონიელთა ფლოტმა დაამარცხა ფინიკიელები საზღვაო ბრძოლაში, მაგრამ კუნძულ კვიპროსიდან სპარსელების გამოძევება ვერ მოახერხა და მილეთში დაბრუნდა.

ორ წელიწადს ებრძოდნენ სპარსელები კარიელებს და გამარჯვების შემდეგ კარია აიკლეს. ყველაზე მეტად გაუჭირდა ქალაქ მილეთს, რადგან მისი მოქალაქეების დიდ ნაწილს აჯანყების გამარჯვებისა აღარ სჯეროდა, რასაც მებრძოლთა რიგებში დაბნეულობა შეჰქონდა. სპარსელებმა ზღვიდან და ხმელეთიდან შეუტიეს მილეთს, ბერძნების 353 გემი სპარსელების 600 გემმა საზღვაო ბრძოლაში დაამარცხა. ძვ.წ. 494 წ. სპარსელებმა მილეთი აიღეს, მოსახლეობის ნაწილი გაანადგურეს, დანარჩენები კი მდინარე ტიგროსის ნაპირებზე გადაასახლეს. მეთაური არისტაგორე თრაკიაში გაიქცა და დაიღუპა. სპარსელებმა აპოლონის ტაძარი გაძარცვეს და მილეთის მოკავშირე კუნძულები ლესბოსი, ქიოსი, ტენედოსი, ქალაქები — პერინთო, სელიმბია, ბიზანტია გაძარცვეს და გადაწვეს, შემდეგ მძიმე ხარკი დაადეს. მცირე აზიის აჯანყებულმა ბერძნებმა სპარსეთს ორი ფლოტი და დიდი ლაშქარი გაუნადგურეს, სპარსეთმა კი ისე სასტიკად გაანადგურა მცირე აზიის საბერძნეთი, რომ ამის შემდეგ ველარ მოახერხა თავისი ძლიერების აღდგენა.

ბერძენ-სპარსელთა ომის ისტორია შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს: პირველი პერიოდი — ძვ.წ. 500-479 წწ. როდესაც სპარსეთი უტევს საბერძნეთს და მეორე — ძვ.წ. 479-449 წწ. როდესაც პირიქით, საბერძნეთი უტევს სპარსეთს. განრისხებულმა სპარსეთის

მეფე დარიოსმა მცირე აზიელი ბერძნების დასახმარებლად, ძ.წ. 492 წ. ათენელების დასასჯელად გაგზავნა თავისი სიძე მარდონიუსი მრავალრიცხოვანი ჯარითა და ფლოტით. სპარსელები თრაკიის ქერსონესის დაპყრობის შემდეგ, თრაკიის სანაპიროს გასწვრივ განაგრძობდნენ სვლას. ფინიკიელების ფლოტმა დაიპყრო კუნძული თასოსი და სამხრეთისაკენ გაემართა, მაგრამ სპარსელების ფლოტის დიდი ნაწილი საშინელმა ქარიშხალმა ათონის კონცხის კლდეებს მიამსხვრია. ამ კატასტროფის დროს 20 ათასი კაცი დაიღუპა. სახმელეთო ჯარებიც თრაკიაზე გაელისას საკმაოდ დაზარალდნენ ადგილობრივი ტომებისაგან. მარდონიუსმაც მძიმე ჭრილობები მიიღო და იძულებული გახდა მცირე აზიაში დაბრუნებულიყო. ამ ლაშქრობის შედეგი იყო ის, რომ სპარსელებმა თრაკიის სანაპიროზე შექმნეს საყრდენი სიმაგრეები, რომლებიც შემდგომი ლაშქრობისათვის გამოადგათ.

მიდიელი მეომრები

მარდონიუსის ამ ლაშქრობის შემდეგ დარიოსმა საბერძნეთში გაგზავნა ელჩები „მიწისა და წყლის მოთხოვნით". იმ პოლისებმა, სადაც არისტოკრატია ბატონობდა — თესალიამ, ბეოტიამ, არგოსმა და კუნძულმა ეგინამ, თანხმობა განაცხადეს სპარსელებს დამორჩილებოდნენ. ათენელებმა სპარსელთა ელჩები კლდიდან გადაყარეს, სპარტელებმა კი ჭაში ჩაყარეს შემდეგი სიტყვებით: „თვითონ აიღეთ მიწა და წყალიო". შემდეგ სპარტელებს შეეშინდათ თავიანთი საქციელის და გააგზავნეს ელჩები დარიოსთან, რომელმაც ისინი არ მიიღო. ამ ხანებში ათენში საზღვაო პარტია შეიქმნა მდიდარი ვაჭარის თემისტოკლეს მეთაურობით, რომელიც სპარსეთთან გადამწყვეტ ბრძოლას და შავი ზღვის სრუტეების განთავისუფლებას, ათენის სავაჭრო გზებისა და ბაზრების გაფართოებას მოითხოვდა. ამავე ხანებში, ათენში სპარსელებისაგან თრაკიის ქერსონესიდან დევნილი მილტიადე ჩამოვიდა, რომელიც

ათენელი ჰოპლიტი

სპარსელებს კარგად იცნობდა და მათთან თავდაცვითი ომის მომხრე იყო.

ძვ.წ. 490 წ. დარიოსის ბრძანებით კილიკიიდან ათენისაკენ დაიძრა სპარსთა მეორე ლაშქარი და ფლოტი, რომელსაც გამოცდილი სარდალი დატისი და დარიოსის ძმისწული არტაფერნე მეთაურობდნენ. გზის მაჩვენებლად და მრჩევლად მათ მიჰყვებოდა ათენელთა ყოფილი ტირანი ჰიპიასი, რომელსაც სპარსელების საშუალებით უნდოდა ათენში ხელისუფლების დაბრუნება. სპარსელები კუნძულ ნაქსოსს მიადგნენ, გაძარცვეს, მისი მოსახლეობა კი მონებად გაჰყიდეს, კიკლადების შეშინებულმა მოსახლეობამ მათ მორჩილება გამოუცხადა. შემდეგ კუნძულ ევბეას მიადგნენ. ქალაქ ერეთრეას მცხოვრებლები კი ვერ შეთანხმდნენ — ებრძოლათ თუ დამორჩილებოდნენ მტერს. ევბეაზე მყოფმა 4.000 ათენელმა კლერუხმა დაინახა რა, რომ ერითრიელებს შორის თანხმობა არ იყო, მიატოვა ევბეა და ათენში წავიდნენ. სპარსელებმა ერეთრეა აიღეს, გაძარცვეს, გადაწვეს, მოსახლეობა კი მონებად გაყიდეს.

ამის შემდეგ ჰიპიასის რჩევით, სპარსელები მარათონის ველზე შეიჭრნენ. როდესაც ათენელებმა შეიტყვეს ეს ამბავი, სპარტაში სწრაფმავალი ახალგაზრდები გაგზავნეს, რომლებმაც ორ დღეში 200 კილომეტრი გაიარეს. სპარტელმა ეფორებმა ძველი ადათის შესრულების საბაბით, ლაშქრის გამოგზავნას შეპირდნენ მაშინ, როდესაც მთვარე მთლიანად გაივსებოდა. სპარტიდან უიმედო პასუხის შემდეგ ათენელებმა ათი სტრატეგოსი აირჩიეს (მეთერთმეტე არქონტ-პოლემარქოსი კალიმაქე იყო), შეაგროვეს 10 ათასამდე შეიარაღებული ჰოპლიტი, მსუბუქად შეიარაღებული მეომარი და მარათონისაკენ დაიძრნენ.

ათენელები სპარსელების ბანაკის მოპირდაპირე მთის კალთაზე გაიშალნენ და ამით ათენისაკენ მიმავალი გზა შეკრეს. აქ მათ 1000 პლატეელი ჰოპლიტიც შეუერთდა.

წესის მიხედვით, ათენელი სტრატეგოსები — ყოველ დღე მორიგეობით სარდლობდნენ ჯარს. ძვ.წ. 490 წ. 17 სექტემბერს,

როდესაც მილტიადეს სტრატეგოსობის დღე დადგა, ლაშქარი საბრძოლველად მოამზადა და არქონტ-პოლიმარქოსის, კალიმაქეს თანხმობით ბრძოლა დაიწყო. მილტიადე კარგად იცნობდა სპარსელების ბრძოლის წესებს, იგი სპარსეთის ჯარში მსახურობდა და ამიტომ, ათენელების ორივე ფრთა გაამაგრა, სამაგიეროდ ცენტრი შეასუსტა. სპარსელების ლაშქარი შედგებოდა ცხენოსანი რაზმებისაგან და ქვეითი მშვილდოსნებისაგან.

სპარსელებსა და ათენელებს შორის ერთი კილომეტრი იყო მანძილი, რომელიც ათენელებს მილტიადეს ბრძანებით სირბილით უნდა გაეევლოთ. ყველაზე საშიში ბოლო ასი მეტრის გავლა იყო, რადგან სპარსელ მშვილდოსნებს შეეძლოთ მათი დაჭრა, მაგრამ ათენელი მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტები, რკინის აბჯარში ჩაცმულნი და ფარებით დაცულნი, მტკიცე მწყობრით ფერდობზე მანევრირებას აწარმოებდნენ. მათ სპარსელების მარჯვენა და მარცხენა ფრთა დაამსხვრიეს, სამაგიეროდ ბერძნების ცენტრი გაირღვა, მაგრამ, როდესაც ბერძნებმა ფლანგებზე მტერი უკუაგდეს, მერე ცენტრს მიუბრუნდნენ და მტერი დაამარცხეს. სპარსელები შედრკნენ, გემებისაკენ გაიქცნენ. ხელჩართული ცხარე ბრძოლა გაიმართა გემებთან. ბერძნებმა სპარსელების შვიდი გემი იგდეს ხელთ და 6400 სპარსელი გაანადგურეს. ათენელების მხოლოდ 192 ჰოპლიტი დაეღუპათ. მილტიადემ მეომრების მცირე ნაწილი დატოვა ბრძოლის ველზე დახოცილთა და დაჭრილთა მისახედად, თვითონ კი ჯარი მოკლე გზით ათენისაკენ წაიყვანა. იმდენად დიდი იყო გამარჯვების სიხარული, რომ ერთი მეომარი ათენისაკენ სირბილით წავიდა, 42 კილომეტრი ირბინა 1 საათის განმავლობაში, მოედანზე შეკრებილ ათენელებს ახარა „გაიხარეთ ათენელებო, ჩვენ გავიმარჯვეთო“ და გულგახეთქილი, მკვდარი დაეცა. მის საპატივცემულოდ შემდეგ დაწესდა მარათონული რბოლა — სირბილი 4 კილომეტრსა და 995 მეტრზე.

მილტიადე

მილტიადემ ათენელები პირეოსის, მუნიხიის და ფალერონის

მიდამოებში გაამაგრა. სპარსელებმა ატიკის სანაპიროს გემებით სამხრეთიდან შემოუარეს, ფალერონის ნავსადგურს მიადგნენ, მაგრამ მთელი ზღვისპირეთი გამაგრებული დახვდათ და იძულებულნი გახდნენ ატიკის ნაპირებს

სპარსელი მეომრები

გასცლოდნენ. ამ დროისათვის სპარტელებიც მოვიდნენ. ძალიან გაუკვირდათ ათენელების გამარჯვება, არც სჯეროდათ, ვიდრე მარათონის ველი თავისი თვალით არ იხილეს.

ათენელების გამარჯვებას მარათონის ბრძოლაში უდიდესი მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მარათონის ბრძოლამ საშინელი მარცხი მიაყენა სპარსეთის სამეფოს სიძლიერეს და ბერძნების შეიარაღებისა და სამხედრო ტაქტიკის უპირატესობა გამოაცალინა. ათენელების მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტების მჭიდრო წყობით შეტევას ვერ გაუძლეს სპარსელმა ცხენოსნებმა და მშვილდოსანმა ქვეითებმა. მილტიადემაც კარგად განჭვრიტა შიდა მტრის არსებობა და სწორად მოიქცა, როდესაც არსებული ძალებით შეებრძოლა სპარსელებს და არ დაუცადა სხვა მაშველი ძალების შეგროვებას. ბერძნები სამართლიან ომს აწარმოებდნენ სპარსელებთან თავისი ოჯახებისათვის, საკუთარი მიწა-წყლისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. სპარსელები კი აგრესორები და დამპყრობნი იყვნენ, მათი უძლეველობის სახელი შეირყა და როგორც ყოველთვის, როდესაც სპარსეთის სახელმწიფო რაიმე მარცხს განიცდიდა, მის მიერ დამორჩილებული სახელმწიფოები ჯანყდებოდნენ, ამბოხება დაიწყო ეგვიპტეში, ბაბილონში და სხვა ოლქებში. აჯანყებები დარიოსმა დიდი ძალების დაძაბვით ჩაახშო ორი წლის შემდეგ. ათენელებმა კი დიდი პატიოსცემით დაკრძალეს თავიანთი მეომრები მარათონის ბრძოლის შემდეგ, დიდი მიწაყრილი "სოროსი" გაუკეთეს და მარათონული რბოლა დაამკვიდრეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე, სადაც გამარჯვება მეტად სასახელო წარმატებად ითვლებოდა.

მილტიადე მარათონის ბრძოლის შემდეგ მოითხოვდა სპარსელთა

მომხრე ბერძნების დასჯას. ათენის სახალხო კრება დათანხმდა. მას 70 გემი მისცეს მეომრებიანად. იგი კუნძულ ფაროსს დაესხა თავს და მოსთხოვა 100 ტალანტი. ფაროსელებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და მილტიადეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ათენში სახალხო კრებაზე ალკმეონიდებმა მილტიადეს სიკვდილით დასჯა მოითხოვეს უშედეგო ლაშქრობის გამო, მაგრამ მხედველობაში იქნა მიღებული მისი გმირობა მარათონის ბრძოლაში და სიკვდილის განაჩენი შეუცვალეს 50 ტალანტი ჯარიმით. მილტიადე კუნძულ ფაროსთან ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობებისაგან მალე გარდაიცვალა და მის შვილს კიმონს მოუხდა ამ ჯარიმის გადახდა.

სპარსეთის მეფე დარიოსი ძალიან შეურაცხყოფილი იყო სპარსელების მარცხით. იგი ემზადებოდა ბერძნების დასაპყრობად, მაგრამ ძვ. წ. 486 წ. გარდაიცვალა და მისი მემკვიდრე (ძვ.წ. 486-465 წწ.) ქსერქსე გამეფდა. სპარსელებმა, მარათონის ბრძოლის შემდეგ, ათენელებს გადაუკეტეს ჰელესპონტის სრუტე, რომლითაც ათენში შავი ზღვისპირეთიდან შემოჰქონდათ პური. ამ სრუტეზე გავლენის დაკარგვას ათენელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში ათენში დიდი გავლენა მოიპოვა საზღვაო პარტიის მეთაურმა თემისტოკლემ, რომელიც ქვეყანაში შემდგომი გაძლიერებისათვის მოითხოვდა ლავრეონის ვერცხლის მაღაროების შემოსავლის გამოყენებას ახალი გემების ასაგებად და ათენის ნავსადგურ პირეოსის გასამაგრებლად, რადგან ატიკის სანაპირო მტრის დესანტის გადმოსასხმელად ხელსაყრელი იყო. თემისტოკლეს გეგმით, რომელიც საზღვაო ძალების გაზრდას ითვალისწინებდა, ათენის დემოკრატიული ფენების გავლენაც უნდა გაზრდილიყო, რადგან ათენელი ღარიბების ძირითადი საქმიანობა მეზღვაურობა იყო, ათენის ფლოტში სამსახური კი სახელმწიფო ხარჯზე ხდებოდა, მაშასადამე, ამ გზით თეტების პოლიტიკური გავლენაც იზრდებოდა, მსხვილი და წვრილ მიწისმფლობელთა, სამას მედიმნიანების და ზეევგიტების გავლენის შემცირების ხარჯზე.

თემისტოკლე

ატიკის მიწათმფლობელური წრეების მეთაური არისტიდე, რომელ-

იც გამოხატავდა ძირითადად მსხვილ მიწათმფლობელთა სურვილებსა და მისწრაფებებს, ფლოტის გაზრდის წინააღმდეგი იყო. მიწათმ-ფლობელურ წრეებს არ აინტერესებდათ ათენის საზღვაო ძლიერება, მათ მხოლოდ ათენის ტერიტორიის დაცვა უნდოდათ, ამას კი სახმელეთო ძალებიც ყოფნიდა. თემისტოკლე მეთაურობდა საზღვაო ძალების მომხრეებს, არისტიდე კი ხმელეთის დაცვის მხარეს. ძვ.წ. 483 წ. სწორედ მათ შორის გაიმართა ბრძოლა, რომელიც არის-ტიდეს ოსტრაკიზმოთი დამთავრდა. ამის შემდეგ ათენელებმა ორ წელიწადში აგეს ახალი, ძლიერი ფლოტი — 180 სწრაფმავალი ტრიერა, რომლის წყალობით ათენი საბერძნეთის პოლისებს შორის ეგეოსის ზღვის აუზში ყველაზე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა. თემისტოკლეს ინიციატივით გამაგრდა და კეთილმოეწყო პირეოსის ნავსადგურიც.

სპარსეთის მეფე ქსერქსე კი ბერძნების წინააღმდეგ მოლაპარაკებებს აწარმოებს კართაგენთან, რომელსაც დავალეს სიცილიისა და სამხრეთ იტალიის ბერძნების იზოლირება ბალკანელი ბერძნებისაგან. საბერძნეთში გაიგზავნა ელჩები, რომლებიც ათენისა და სპარტის გვერდის ავლით დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ: თესალიასთან, არგოსთან და ბეოტიასთან. სპარსეთი დიდ იმედებს ამყარებდა ბერძნული დემოკრატი-ის მიერ დეენილ გვაროვნულ არისტოკრა-ტიაზეც.

ქსერქსე. ფრესკა

ქსერქსემ დამორჩილებულ ქვეყნებს გამოაყვანინა ქვეითი და ცხენოსანი ჯარები, ჰეროდოტეს ცნობით ამ ლაშქრობაში 5.283.220 კაცი მონაწილეობდა, ხოლო თანამედროვე სამხედრო სპეციალისტების აზრით — ქსერექსეს ლაშქარი 200 ათასი კაცისაგან შედგებოდა, აქედან 100 ათასი ძირითად ლაშქარს წარმოადგენდა, 100 ათასი დამხმარე ძალები იყო. ესქილე გვამცნობს, რომ სპარსელების საზღვაო ძალები 1000 გემს ითვლიდა. ჰეროდოტე კი ასახელებს 1208 გემს, რომელთა ნახევარი სატვირთო-სატრანს-პორტო გემი ყოფილა.

ძვ.წ. 481-480 წწ. ზამთარში ქსერქსემ დაამთავრა ლაშქრობისთვის სამზადისი და დაიძრა კაბადოკიიდან, ფლოტი კი მცირე აზიის

დასავლეთით, ფოკეასთან უცდიდა მეფის ბრძანებას. მარდონიუსის რჩევით, ქსერქსემ ბრძანება გასცა აქტეს ნახევარკუნძულზე გაეყვანათ არხი, რომელშიც თავისუფლად გაივლიდა ორი გემი. ჰელესპონტის სრუტეზე, აბიდოსის მახლობლად ორი უზარმაზარი ხიდი ააგეს აზიასა და ევროპას შორის, მაგრამ მოულოდნელმა ქარიშხალმა ხიდები დანგრია. განრისხებულმა ქსერქსემ ბრძანა ზღვა „გაეწკეპლათ“, ზღვაში ბორკილები ჩაყარეს, რათა დაესაჯათ ზღვის ღვთაებები. ამის შემდეგ ახალი ხიდი ააგეს, რომელზედაც სპარსელების უზარმაზარი ლაშქარი გავიდა. თრაკიისა და მაკედონიის საზღვრებთან ხუთ ადგილას აშენდა საგანგებო საწყობები, სადაც სპარსეთის ლაშქრისათვის საჭირო პური, სანოვაგე და იარაღი ინახებოდა იმ რაოდენობით, რაც ხანგრძლივ ლაშქრობას სჭირდებოდა. ძვ.წ. 480 წ. გაზაფხულზე ქსერქსეს სახმელეთო ლაშქარმა გადალახა თრაკია და მაკედონიას მიადგა, ხოლო საზღვაო ძალებმა გაიარეს თრაკიის სანაპირო, აქტეს ნახევარკუნძულზე გაყვანილი არხით გავიდნენ და ჩრდილო სპერქნეთის სანაპიროს გასწვრივ გაჩერდნენ.



ბრძოლა თერმოპილესათვის

ქსერქსეს ლაშქრობისთვის მზადებამ ძალზე შეაშფოთა ბერძენთა პოლისები. საერთო მტერმა მათ ძველი შუღლი დაავიწყა და გაერთიანა. ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს. ძვ.წ. 481 წ. შემოდგომაზე ისთმოსის ყელზე შეიკრიბნენ ბერძნები საერთო ბერძნული სამხედრო თავდაცვითი კავშირის შესაქმნელად. თავდაპირველად ჩამოყალიბდა ათენისა და სპარტის კავშირი, მათ კიდევ 29 ბერძნული პოლისი მიემატა და ასე შეიქმნა „ელინთა სამხედრო თავდაცვითი კავშირი“, ანუ „სიმახია“. ამ კავშირს სამხედრო საბჭო ხელმძღვანელობდა. მასში გაერთიანდნენ ყველა მოკავშირე პოლისების სარდლები, თუმცა ჰეგემონობა მიკუთვნებული ჰქონდა სპარტას, როგორც საუკეთესო სამხედრო ორგანიზაციის მქონე პოლისს.

ძვ.წ. 480 წ. ათენში წარჩინებულთა შეთქმულება გაიხსნა, არისტოკრატია მიზნად ისახავდა ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და სპარსეთის წინაშე კაპიტულაციას. „ელინთა კავშირმა“ გადაწყვიტა სპარსელების წინააღმდეგ დაცვითი ხაზი შეექმნა ჩრდილო თესალიისა და თრაკიის საზღვარზე, ტემპეის დაბლობში; მაგრამ როდესაც სპარტის მეფე ლეონიდასის მეთაურობით მოწინავე ჯარები მიადგნენ დაბლობს, თესალიელები მათ მტრულად შეხვდნენ, რადგან ყველაზე ადრე დაემორჩილნენ სპარსელებს. დაცვითი ხაზის მოწყობა ამ მიდამოებში ერთობ საშიში იყო, რადგან მტრულად განწყობილი თესალიელები გაერთიანებული ლაშქრის ზურგში აღმოჩნდებოდნენ. ამიტომაც, „ელინთა კავშირმა“ გადაწყვიტა სპარსელთათვის გზა გადაეკეტა თერმოპილეს ვიწრო გასასვლელთან, რომელიც ჩრდილო და შუა საბერძნეთის საზღვარზე მდებარეობდა. უზარმაზარი კლდეები ზღვისაკენ შვეულად ეშვებოდა, კლდესა და ზღვას შორის რჩებოდა ვიწრო თერმოპილეს გასასვლელი, რომელიც ადვილი დასაცავი იყო მცირერიცხოვანი ჯარისათვის. სპარტელებმა, მეფე ლეონიდასის მეთაურობით გამოგზავნეს 300 სპარტელი მეომარი, მათ შეუერთდათ 5 ათასი მხედარი ბერძენთა სხვა პოლისებიდან და დაცვითი ხაზი შეიქმნა.

ბერძნების 271 გემი კუნძულ ევბეის ჩრდილოეთით, არტემისიას კონცხთან განლაგდა. ფლოტის მეთაურობა დავალებული ჰქონდა სპარტელ სარდალს ევრიბიადეს, მაგრამ 271 გემიდან 127 ათენელებისა იყო. ამიტომაც ფაქტიურად ფლოტს თემისტოკლე ხელმძღვანელობდა. ქსერქსემ ოთხი დღეს იცადა და მეხუთე დღეს დაიწყო საზღვაო ბრძოლა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა და ორივე მხარისათვის უშედეგოდ დამთავრდა. ბერძნებმა, რაკი მეოთხე დღეს სპარსელებმა გემები არ გამოიყვანეს საბრძოლველად, დაიხიეს ევბეის სრუტეში, ოსტრაკიზმის წესით ათენიდან განდევნილ ყველა მოქალაქეს ამნისტია გამოეცხადა და უფლება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

ლეონიდასი

სპარსელების სახმელეთო ძალები თერმოპილეს მიუახლოვდნენ და დაიწყო ცხარე ბრძოლები. სპარსელების გაუთავებელმა იერიშებმა ბერძნები ვერ გატეხა, მაგრამ მოღალატე ეფიალტემ მტერს შუა საბერძნეთში სხვა გადასასვლელი გზები უჩვენა. როცა თერმოპილეს დამცველებმა დაინახეს, რომ სპარსელები მათ გარემოცვას აპირებენ, მეფე ლეონიდასმა მოკავშირეთა მეომრები გაისტუმრა ათენში, თვითონ კი 300 სპარტელთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ამ ბრძოლაში დაიღუპა ქსერქსეს ორი ძმაც. მეფე ლეონიდასის და მისი 300 სპარტელის გმირულმა ბრძოლამ და დაღუპვამ ბერძნებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრძოლის ადგილას დაღუპულ გმირებს თეთრი მარმარილოს ძეგლი აუგეს და ზედ ეპიტაფიად ამოტვიფრეს სიმონიდეს ლექსი: „მგზავრო, როს მიხვალ ლაკედემონს, აუწყე ყველას, რომ ჩვენ, ერთგულნი ფიცის და ვალის, აქ განვისვენებთ“.

თერმოპოლეს დაცემის შემდეგ ბერძნების ფლოტმაც მიატოვა ევბეის სრუტე და დაიხია ატიკისაკენ, სალამინის სრუტისაკენ. ბეოტიელები უბრძოლველად დანებდნენ სპარსელებს, მაგრამ განადგურება-გაძარცვას მაინც ვერ გადაურჩნენ, მხოლოდ დელფოს ტაძარი გადარჩა, რადგან სპარსელებს არ სურდათ ბერძენთა ღვთაებების გაღიზიანება. ათენელები არეოპაგის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ მოხუცების, ბავშვების, ქალებისა და აკადმყოფების ევაკუაციას. თან მცირე თანხას აძლევდნენ ათენის ხაზინიდან. ათენელი ვაჟკაცები კი გემებზე მებრძოლებად გაიგზავნენ. ზოგიერთმა ათენელმა არ ისურვა სალამინზე წასვლა, აკროპოლისში ღვთაების ტაძარს შეაფარა თავი და მოსულ სპარსელებს ქვებითა და კეტებით იგერიებდა, ვიდრე სპარსელებმა ცეცხლმოკიდებული ძონძების სროლა არ დაიწყეს აკროპოლისის დამცველების წინააღმდეგ. ხის გალავანსა და ტაძარს ცეცხლი მოეკიდა და დაიწვა. აკროპოლისის მცველები დახოცეს. სპარსელებმა სასტიკად გაანადგურეს ბეოტიის ქალაქი პლატეა, ატიკის მიწა-წყალი და ქალაქი ათენი. ქსერქსემ სუზას ათენზე გამარჯვება შეატყობინა და სპარსეთში გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ზეიმიც გაიმართა.

ატიკის დამარცხების შემდეგ, სპარტელებმა მთელი თავიანთი ძალები დარაზმეს ისთმოსის გასამაგრებლად. ათენელებმა კი გემები შეაკეთეს, შეავსეს და საბრძოლველად მოამზადეს. თემისტოკლემ

მცირე აზიელი, იონელი მეზღვაურებისა და გემების გადმობირება დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ოთხ გემთან მოახერხა მოლაპარაკება. ბერძნების ფლოტი 310 გემისაგან შედგებოდა, აქედან ათენელებს ეკუთვნოდათ 110. სალამინის სრუტეში ბერძნებმა შესანიშნავი პოზიცია დაიკავეს, ისინი იცავდნენ არა მარტო კუნძულ სალამინის, არამედ ისთმოსისაკენ მიმავალ გზასაც. სტრატეგოსთა დიდ ნაწილს სურდა ბრძოლისათვის თავი აერიდებინა და ცოლშვილიანად დიდ საბერძნეთში, იტალიაში გადასახლებულიყო. თემისტოკლე კი საზღვაო ბრძოლისათვის რაზმავდა ხალხს. „ელინთა კავშირმა" ისთმოსზე საგანგებო თათბირი მოიწვია. პელოპონისელი სარდლები მოითხოვდნენ ისთმოსის დაცვას სახმელეთო ძალებით და ფლოტის გადმოყვანას სალამინიდან. თემისტოკლეს კი სურდა გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა გაემართათ სალამინის ვიწრო ყურეში, მაგრამ მის მოსაზრებას მხარი არ დაუჭირეს. თემისტოკლე ცდილობდა ლაკედემონელი სარდლების დარწმუნებას, რომ სალამინის სრუტიდან ბერძენთა ფლოტის გამოყვანა საშიში იყო, რადგან ღია ზღვაში სპარსელთა უფრო მრავალრიცხოვან ფლოტსა და დიდი მოცულობის გემებს უპირატესობა ექნებოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა სპარტელი ევრიბიადე და ბერძენთა ფლოტი სალამინის სრუტეში დარჩა. თემისტოკლე შიშობდა, რომ სარდლობა ფლოტს აქ დიდხანს არ დატოვებდა, ამიტომაც სალამინის სრუტეში სპარსელთა შემოსატყუებლად ასეთ ხერხს მიმართა: თავისი ვაჟების აღმზრდელი ერთგული სიკინოზი ფარულად ქსერქსესთან გაგზავნა და შეუთვალა, თითქოს სპარსთა მხარეზე გადასვლა სურდა. თანაც ატყობინებდა, რომ ათენელები სალამინიდან დიდ საბერძნეთში აპირებენ გაქცევას და ურჩევდა, სასწრაფოდ შემოერტყა ალყა სალამინის სრუტეში მდგომი ბერძენთა ფლოტისათვის.



სალამინის ბრძოლა

სპარსთა მეფემ თემის-

ტოკლეს რჩევა დაიჯერა და თავის წარმატებაში დარწმუნებულმა, იმავე ღამით სპარსთა ფლოტი სალამინის სრუტეში შეიყვანა და ათენის ფლოტს აქედან გამოსვლის საშუალება მოუსპო. ამრიგად, თემისტოკლემ თავის მიზანს მიაღწია: ბრძოლა სალამინის ვიწრო სრუტეში გაიმართებოდა. საზღვაო ბრძოლას ქსერქსეს ყველა სპარსელი სარდალი დაეთანხმა, გარდა ჰალიკარნასის ტირანის მავსოლის ქვრივი არტემისიასი, რომელიც თხოვდა ქსერქსეს მოფრთხილებოდა ხომალდებს, ნუ გამართავდა საზღვაო ბრძოლას ატიკის სანაპიროსთან, რადგან „ბერძნები შენ ხალხთან შედარებით იმდენად ძლიერნი არიან ზღვაზე, როგორც მამაკაცები ქალებზე, რისთვის იგდებ თავს საფრთხეში ამ საზღვაო ბრძოლით? განა შენ ხელთ არ არის ათენი, რომლის გულისთვისაც წამოიწყე ეს ლაშქრობა, დაიცადე, ნუ დაიწყებ საზღვაო ბრძოლას, ელინებს არა აქვთ საკვები ამ კუნძულზე და ისინი დაგნებდებიან". ქსერქსეს ძალიან მოეწონა არტემისიას რჩევა, მაგრამ სარდლების უმეტესობა ბრძოლის მომხრე იყო და ამიტომაც გასცა ბრძანება, ათენის საზღვაო ძალები გარემოცვაში მოექციათ. პელოპონესელებმა კი, როდესაც დაინახეს ბერძენი მეზღვაურების საზღვაო ბრძოლისათვის მზადება, სასწრაფოდ დაიწყეს ისთმოსის ქვიტკირის გალავნის გამაგრება.

ძვ.წ. 480 წ. 28 სექტემბერს, დილით დაიწყო სალამინის ბრძოლა. თემისტოკლემ დარაზმა მრავალრიცხოვანი ღარიბი ათენელი წყალში მყვინთავები სკილის მეთაურობით, დაურიგა ბურღები და მტრის გემების ძირების გაბურღვა დაავალა. ბერძნები მომცრო ხომალდებზე ამხედრებულნი, საომარი სიმღერებით დაიძრნენ სპარსელების ხუთ და ოთხბანიან, ღრმადჩამჯდარი გემებისაკენ, რომლებიც სალამინის ვიწრო, მეჩეჩებიან სრუტეში წყალქვეშა კლდეებს ეჯახებოდნენ, გემებს ძირები ენგრეოდათ და მანევრირების საშუალება ესპობოდათ. ქსერქსე კი კუნძულ სალამინის პირდაპირ, აიგელოსის ნაპირას, სავარძელში მჯდომი თვალყურს ადევნებდა ბრძოლას. ფინიკიელთა ხომალდების მეთაურები ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ, ამიტომ მოწინააღმდეგეებთან შებმას ჩქარობდნენ, სრუტის მდებარეობას არ იცნობდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, იღუპებოდნენ და ადანაშაულებდნენ იონელებს, რომლებმაც მოახერხეს ბერძენთა ერთი ხომალდის ჩაძირვა. როდესაც ქსერქსემ ეს დაინახა, ფინიკიელ დამბეზღებლებს თავები დააყრევინა.

ამ ბრძოლაში, როგორც ჰეროდოტე წერს, განსაკუთრებით ვაჟკაცურად იბრძოდნენ ათენელები და ეგინელები, მაგალითად, ევმენეს ანაგირასელი, ამინიეს პალენელი, პოლიკრატოს ეგინელი და სხვა მრავალი სალამინის ბრძოლაში დაიღუპნენ. აქვე დაიღუპნენ ქსერქსეს ძმა არიაბიგნესი და მრავალი სახელოვანი სპარსელი, რადგან მათმა უმეტესმა ნაწილმა ცურვა არ იცოდა. ბერძნები კი, რომლებიც ბავშვობიდან ცურავდნენ, როდესაც გემი ელუპებოდათ, ცურვით გადიოდნენ სალამინზე. ამ ბრძოლაში ყველაზე ლაჩრულად კორინთელები მოიქცნენ. მათი სტრატეგოსი ადეიმანტოსი ბრძოლის დაწყებისთანავე თავისი ხომალდით გაიქცა და მას სხვა კორინთული ხომალდებიც გაჰყვნენ. როცა დაინახეს, რომ ბერძნები იმარჯვებდნენ, უკან მობრუნდნენ, მაგრამ ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო.

დამარცხებული ფლოტის დანახვაზე ქსერქსე შეშინდა, შეიძლებოდა გამარჯვებულ ბერძნებს ჰელესპონტზე ხიდები დაენგრიათ და იგი ბალკანეთზე გამოემწყვდიათ. მან სასწრაფოდ მოიწვია თათბირი და რჩევა ჰკითხა თანამოლაშქრეებს. არტემისიამ ურჩია: „წადი, შენი მონა მარდონიუსი დატოვე, მას თუ რამე შეემთხვა, ამას შენთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს; შენ მიზანს ხომ მიაღწიე, ათენი დაწვი, ახლა კი შინ წადი“.

მარდონიუსმა თრაკიამდე გააცილა მეფე, თვითონ კი უკან დაბრუნდა 60 ათასი კაცით. ქსერქსემ 45 დღეში დაფარა მანძილი ჰელესპონტამდე. მისი ლაშქარი შიმშილობდა, უმეტესი ნაწილი ბალახეულობით და ხის ქერქით იკვებებოდა და ამიტომ კუჭის აშლილობით ბევრი დაიღუპა. ქსერქსეს ჰელესპონტის ხიდები ქარიშხლისაგან დანგრეული დახვდა, მან ხომალდით დააპირა ჰელესპონტის სრუტის გადალახვა, მაგრამ საშინელი ქარიშხალი ატყდა, გემი საფრთხეში ჩავარდა. მეფემ მესაჭეს რჩევა ჰკითხა. მან დაბრკოლების მიზეზად ხალხის სიმრავლე დაასახელა. ქსერქსემ გემბანზე მყოფთ ზღვაში გადახტომა უბრძანა და, როცა ნაპირს მიაღწია, მესაჭე ოქროს გვირგვინით დაასაჩქარა, შემდეგ კი თავი მოჰკვეთა, ამდენი ერთგული ხალხის დაღუპვის გამო.

სალამინის ბრძოლა



პელესპონტი

თემისტოკლეს სალამინის ბრძოლის შემდეგ უნდოდა დამარცხებული სპარსეთის ფლოტის განადგურება და ჰელესპონტის ხიდის დანგრევა, როგორც ამბობდა, მას სურდა „დაეჭირა აზია ევროპაში", მაგრამ ელინთა კავშირის სარდლობას ეშინოდა ბერძენთა ფლოტის განადგურებისა და სახმელეთო ბრძოლები აირჩიეს. სალამინის ბრძოლაში ბერძნებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დრამაში „სპარსელები" ეს ბრძოლა აღწერა ამ შეტაკებების მონაწილე ესქილემ.

ძვ.წ. 479 წ. ათენში თემისტოკლე სარდლობიდან გადააყენეს და მის ადგილას აირჩიეს არისტიდე. მისი ინიციატივით „ელინთა კავშირის" ფლოტი ორად გაიყო. ერთი ნაწილი შუა საბერძნეთის სანაპიროსთან დარჩა, ნაწილი კი სპარტის მეფე ლეოტიქიდის და ათენელი სარდლის ქსანთიპეს მეთაურობით კუნძულ დელოსთან გაგზავნა. ამ ფლოტს ყოველწუთს შეეძლო თავს დასხმოდა მცირე აზიის სანაპიროს, აგრეთვე მიშველებოდა შუა საბერძნეთში დარჩენილ ფლოტის მეორე ნაწილსაც.

მარდონიუსმა თესალიაში გამოიზამთრა და საბრძოლველად მოამზადა სპარსელთა ლაშქარი. ბრძოლის დაწყებამდე ათენელებს ელჩად გაუგზავნა მაკედონიის მეფე ალექსანდრე, რომელიც ქსერქსეს სახელით ათენელებს დამოუკიდებლობას პირდებოდა, თანაც დანგრეული ქალაქის აღდგენასა და ნებისმიერი, სასურველი ტერიტორიის ჩუქებას აღუთქვამდა, მხოლოდ ერთი პირობით: ათენი უნდა გამოსულიყო „ელინთა კავშირიდან". ათენელებმა ეს წინადადება უარყვეს, მაშინ მარდონიუსი მეორედ შემოიჭრა ატიკაში და კიდევ ერთხელ აოხრა. ათენელები ისევ სალამინზე გადასახლდნენ, არისტიდემ კი სპარტაში ელჩებად გაგზავნა მილტიადეს ვაჟი კიმონი, სარდლები ქსანთიპე და მირონიდე, რომლებმაც ათენის სახელმწიფოს სახელით, სპარტელებს კატე-

გორიულად მოსთხოვეს სპარსელების წინააღმდეგ შუა საბერძნეთში ჯარების გაგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ათენელები სპარსეთის მხარეზე გადასელით იმუქრებოდნენ. სპარტა შეშინდა, მობილიზაცია გაუკეთა პელოპონსში სამხედრო ძალებს და პავსანიუსის მეთაურობით ატიკაში გაგზავნა. მარდონიუსმა ატიკიდან დაიხია ბეოტიაში კითერონთან და ქალაქ პლატეას ნანგრევებთან დაბანაკდა. მარდონიუსს აზიიდან მოყვანილი 80 ათასამდე მეომარი ჰყავდა. მსახურები და თესალიელი, თრაკიელი მოკავშირეები ემატებოდა. დაახლოებით ამდენივე მხედარი ჰყავდათ ბერძნებს. ორივე მხრიდან ძალები თანასწორი იყო. რამდენიმე დღეს სპარსელები და ბერძნები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. მარდონიუსი თავისი ცხენოსანი ჯარით რამდენიმეჯერ თავს დაესხა ბერძნებს, რომელთაც სურსათი ცოტაღა ჰქონდათ, თანაც ბრძოლის წინ, მათ წარჩინებულთა შეთქმულება გახსნეს და მოღალატეები სიკვდილით დასაჯეს. სპარსელი მოისარნი თანდათან უახლოვდებოდნენ ბერძნებს და ბევრი დაჭრეს, ჰავსანიუსი მშვილდოსნების იერიშის მოსაგერიებლად შეტევაზე გადავიდა: ბერძნები მჭიდრო რიგებით დაიძრნენ სპარსელების წინააღმდეგ.

პლატეის ბრძოლა მოხდა ძვ.წ. 479 წ. ზაფხულში. მარდონიუსი ვაუკაცურად იბრძოდა, მაგრამ ბრძოლაში დაიღუპა. იგი შეცვალა არტაბასმა, რომელმაც, როდესაც დაინახა, სპარსელები ბრძოლას აგებენ, ცხენოსანი ჯარი მოიშველია და უკანდახევა დაიწყო თესალიაში. თესალიიდან კი თრაკიაში გადავიდა. გამარჯვებით გახარებული ბერძნები სპარსელებს არ დასდევნებიან. მათი მდიდარი ბანაკი ბერძნებს დარჩათ. ნადავლის ერთი მეათედი ტაძრებს შესწირეს. პლატეის ბრძოლა ბერძნების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, სადაც გამომჟღავნდა მათი სამხედრო ტექნიკისა და ტაქტიკის უპირატესობა. პლატეის ბრძოლის ადგილას ბერძნებმა გამარჯვებული ზევსის ტაძარი ააგეს და სამი გადახლართული გველისაგან გაკეთებული ბრინჯაოს სვეტიც დადგეს, რომელზეც ამოტვიფრული იყო გამარჯვებული 31 პოლისის სახელი. პლატეის ბრძოლის შემდეგ ბერძნებმა თანდათან დაიკავეს სპარსეთის მოკავშირე პოლისები და მათი ხელმძღვანელები სიკვდილით დასაჯეს. ბერძნებმა ჯარი დაშალეს, რადგან ბალკანეთის საბერძნეთი განთავისუფლებულ იქნა სპარსელებისაგან და ყველა მეომარი სახლს დაუბრუნდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც პლატეასთან პირისპირ იდგნენ

პავსანიას და მარდონიუსის ჯარები, „ელინთა კავშირის“ ფლოტი ლეოტიქიდეს და ქსანთიპეს მეთაურობით მცირე აზიისაკენ დაიძრა და კუნძულ სამოსთან გაჩერდა. სპარსელების ფლოტის დიდი ნაწილი ფინიკიაში დაბრუნდა. დაზიანებული გემები კი შესაკეთებლად ხმელეთზე აათრიეს. მათ სპარსელების მცირე ლაშქარი იცავდა. ძვ.წ. 479 წ. ზაფხულში ბერძნებმა თავიანთი გემებიდან მიკალეს კონცხთან დესანტი გადმოსხეს იონიელი მეზღვაურების დახმარებით, რომლებიც სალამინის ბრძოლის შემდეგ „ელინთა კავშირის“ მხარეზე გადავიდნენ, სპარსთა ლაშქარი გაანადგურეს, მათი გემები დაწვეს. მიკალეს კონცხთან ბერძნებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს. ამ ბრძოლას მოჰყვა იონიელ ბერძენთა ქალაქების აჯანყება სპარსთა წინააღმდეგ. მათ თავიანთ ქალაქებში სპარსთა ტირანები და ჯარები მოსპეს. სპარსთა ბატონობისაგან განთავისუფლდნენ ეგეოსის ზღვის კუნძულები: თასოსი, ქიოსი, ლესბოსი და სამოსი, რომლებიც „ელინთა კავშირის“ შემადგენლობაში შევიდნენ.

საბერძნეთის ქალაქებში სპარსელების მომხრე არისტოკრატიამ ყველგან მარცხი განიცადა, მთელ საბერძნეთში დემოკრატიული ძალების გაძლიერება დაიწყო. ბალკანეთის საბერძნეთში მტრის





ბერძნული ტრიერა

არც ერთი ჯარისკაცი აღარ იმყოფებოდა. ასე დამთავრდა ბერძენ-სპარსელთა ომების პირველი პერიოდი (ძვ.წ. 500-479 წწ.). ამის შემდეგ მთელი ინიციატივა ბერძნების მხარეს გადავიდა. „ელინთა კავშირის“ ფლოტი ჰელესპონტისაკენ დაიძრა, მაგრამ სპარტელთა სარდალმა ლეოტიქიდემ თვითნებურად მიატოვა მოკავშირეები და თავის გემებიანად პელოპონესში დაბრუნდა. სპარსელებს ძალიან ეშინოდათ ჰილოტების აჯანყების. ამიტომ ხანგრძლივი დროით სპარტის და მთელი პელოპონესის მიტოვება ეშინოდათ. ათენელი სარდლის ქსანთიპეს მეთაურობით ბერძნებმა შეუტიეს ჰელესპონტის ვიწრო ადგილას სეესტის სიმაგრეს, სადაც სპარსელები იყვნენ გამაგრებულნი. სეესტის გარემოცვა ორი თვე გაგრძელდა, როცა ბერძნებმა სიმაგრე აიღეს, ჰელესპონტი განთავისუფლდა სპარსელთა კონტროლისგან და შავი ზღვის ახალშენების ვაჭრობაც განახლდა.

ათენის პირველი საზღვაო კავშირი და ათენის აგრესია

ბერძენ-სპარსელთა ომების პირველი პერიოდის (ძვ.წ. 500-479 წწ.) დროს ბერძნები თავგანწირულად იბრძოდნენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მათი გამარჯვების მთავარი მიზეზიც სწორედ ეს იყო. ისინი ებრძოდნენ დამპყრობლებსა და მათ მიერ ძალით დამორჩილებულ ხალხებს, რომლებსაც არ სურდათ, არ აინტერესებდათ სპარსეთისათვის თავგანწირვა და სხვა ხალხების დაპყრობა. ბერძნულმა პოლისებმა მწვავე სოციალური ბრძოლის პერიოდი გაიარეს ბერძენ-სპარსელთა ომამდე და ამიტომ შეძლეს თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება და სპარსეთთან ბრძოლაში გამარჯვებაც.

ბერძენ-სპარსელთა ომები, ეს იყო ორი სამყაროს შეჯახება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ მხარისათვის. ახალმა, პროგრესულმა

ბერძნულმა მონათმფლობელურმა სისტემამ, ძალების მთელი დაძაბვის ფასად დაამარცხა სპარსეთის მონათმფლობელური სამყარო. ბერძნების გამარჯვებამ ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელი საბერძნეთის შემდგომ განვითარებაზე, კლასიკური მონათმფლობელური სისტემის საბოლოო ჩამოყალიბებაზე.

ბერძენ-სპარსელთა ომებამდე, სპარტამ თავისი ჰეგემონია გააავრცელა მთელ პელოპონესის ნახევარკუნძულზე და მიისწრაფოდა ბერძნულ სამყაროში ასეთივე ჰეგემონიის მოპოვებისაკენ. მაგრამ ომში სპარტელებს, გაუბედავმა საგარეო პოლიტიკამ, საბერძნეთის პოლისებს შორის ძალიან შეურყია ავტორიტეტი. პლატეის და მიკალეს ბრძოლების შემდეგ, ბერძნული პოლისებისათვის სპარსეთთან ომის გაგრძელება ნიშნავდა ბერძნული ვაჭრობისათვის დამაბრკოლებელ ძალებთან ბრძოლას, მის სპარსელთა კონტროლისაგან სრულ განთავისუფლებას, რადგან, ვიდრე შავი ზღვის სრუტეები სპარსელების ხელში იყო, ბერძნული ვაჭრობის თავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. „ელინთა კავშირის" ფაქტიურ ხელმძღვანელად სპარტა ითვლებოდა, რომელიც ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების მხრივ ყველაზე ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა. ლაკონიკა და მესენია მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ამიტომ საბერძნეთის სავაჭრო პოლისების ინტერესები და მისწრაფება სპარტისათვის უცხო და მიუღებელი იყო. როდესაც სპარსელები შუა საბერძნეთში იმყოფებოდნენ და პელოპონესის ნახევარკუნძულის დაპყრობით ემუქრებოდნენ, მაშინ სპარტელები სპარსელებს შეუპოვრად ებრძოდნენ, მაგრამ როგორც კი ეს საშიშროება მოისპო და სპარსელები ბალკანეთიდან გააძევეს, სპარტამ ომის გაგრძელების სურვილი დაკარგა. „ელინთა კავშირის" საზღვაო ფლოტში სპარტას უმნიშვნელო ძალები ჰყავდა — სულ რამდენიმე გემი, იმ დროს, როდესაც ათენის საზღვაო ძალები „ელინთა კავშირის" ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. ბერძნები შავი ზღვის ახალშენებიდან შემოტანილი პურით არსებობდნენ, ამიტომ ვაჭრობა-ხელოსნობით ცნობილი ათენი და სხვა პოლისები დაინტერესებულნი იყვნენ შავი ზღვის სრუტეებიდან სპარსეთის განდევნით.

ძვ.წ. 478 წ. გაზაფხულზე ათენელი სარდლების კატეგორიული მოთხოვნით „ელინთა კავშირის" ფლოტმა განაახლა სპარსეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციები. სპარტელი სარდალი პავსანიასი

დაინიშნა „ელინთა კავშირის“ საზღვაო ძალების ხელმძღვანელად. „ელინთა კავშირის“ ფლოტმა კუნძული კვიპროსი მცირე ბრძოლის შემდეგ გაანთავისუფლა სპარსელებისგან. ამის შემდეგ, ბერძნებმა დაიკავეს ბოსფორის სრუტეზე ქალაქი ბიზანტიონი, მაგრამ სპარტელი სარდალი პავსანიასი მეტად უცნაურად იქცეოდა: ორივე ბრძოლის დროს ბერძენ მეზღვაურებს შეურაცხყოფდა, როგორც მონებს, ისე ეპყრობოდა, მეომრებს ლანძღავდა, უყვიროდა და ცემდა. მან ბიზანტიონის აღების შემდეგ თვითნებურად გაათავისუფლა სპარსელი ტყვეები, ზოგიერთი მათგანი თავის პირად მცველადაც დაიყენა, ფუფუნებით დაიწყო ცხოვრება, სპარსულ ტანსაცმელში გამოეწყო და ფარულად სპარსელებთან მოლაპარაკებასაც აწარმოებდა. პავსანიასის უღირსი საქციელის ამბავმა სპარტამდე მიაღწია, იგი გაიწვიეს და შეცვალეს სარდალ დოროკიდოსით.

პავსანიასის თავაშვებულობამ იმდენად გაამწვავა ურთიერთობა, რომ მოკავშირეებს აღარ სურდათ სპარტელთა მეთაურობა; განსაკუთრებით აღშფოთებას გამოთქვამდნენ მათ წინააღმდეგ ათენელი მეზღვაურები, რომლებიც ღარიბი თეტებისაგან შედგებოდნენ. ისინი შეურაცხყოფილნი იყვნენ იმით, რომ სპარტელები მათ მონებივით ექცეოდნენ, გარდა ამისა, სპარტელ სარდლებს საზღვაო საქმისა არაფერი გაეგებოდათ. ათენელი მეზღვაურები სპარტელი სარდლების ათენელებით შეცვლას მოითხოვდნენ. სპარტასა და ათენს შორის თანამშრომლობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, რადგან სპარტა რეაქციულ ანტიდემოკრატიულ მიმდინარეობას მფარველობდა, ათენი კი თავისი დემოკრატიული ადათ-წესებით, მთელ საბერძნეთში დემოკრატიული წესების დამცველი და მფარველი იყო. თავის მხრივ, სპარტელებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ ათენელ მეზღვაურთა პროტესტით და ეფორების ბრძანებით, ძ.წ. 478 წ. ზაფხულში, სპარტა პელოპონესელ მოკავშირეებთან ერთად კავშირიდან გავიდა. ასე დაიშალა „ელინთა კავშირი“.

ამის შემდეგ, ათენელ სარდალ არისტიდეს ხელმძღვანელობით შეიქმნა „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირი“ ანუ „ათენის საზღვაო კავშირი“, რომელის ცენტრად გამოცხადებულ იქნა კუნძულ დელოსზე მდებარე ღვთაება აპოლონის ტაძარი. ამ კავშირში შემავალი პოლისების წარმომადგენლებმა შექმნეს კავშირის

არისტიდე

ხელმძღვანელი საბჭო — „სინოდი“, რომელიც იკრიბებოდა საჭიროებისდა მიხედვით აპოლონის ტაძარში, სადაც ინახებოდა ამ კავშირის ხაზინაც. თითოეული მოკავშირე ვალდებული იყო სამხედრო გემების, მეზღვაურებისა და მეომრების გარკვეული რიცხვი გაეგზავნა კავშირის ფლოტის შემადგენლობაში და მათ შესანახად გადაეხადა თანხა „ფოროსი“ (ბერძნულად „სიმძიმეს“ ნიშნავს). ამ საზღვაო კავშირს „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირი“ იმიტომ ეწოდებოდა, რომ მისი დაარსების დღიდან მოკავშირეებმა ათენელ სარდლებს ჩააბარეს „საზღვაო კავშირის“ ფინანსები და ორგანიზაციული საკითხები.

მცირე შესაძლებლობის პოლისებს კი მხოლოდ გარკვეული ფულადი გადასახადი უნდა გადაეხადათ. „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირში“ შემავალი პოლისები თავდაპირველად თანასწორუფლებიანი იყვნენ. მოკავშირე პოლისები საშინაო საქმეებში სრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. სინოდი არ ერეოდა მათი სახელმწიფოებრივი წყობილების განსაზღვრაში. „ათენის საზღვაო კავშირში“ შემავალი ეგეოსის ზღვის კუნძული და მცირე აზიის ბერძნული ქალაქები ისეთივე თანხას იხდიდნენ, როგორსაც სპარსეთის სამეფოს ხარკისას. „ათენის საზღვაო კავშირის“ მიზანი იყო სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა, სავაჭრო გზების განთავისუფლება, აგრეთვე ბრძოლა ელინების განთავისუფლებისათვის სპარსთა ბატონობისაგან.

სალამინის საზღვაო ბრძოლაში ათენის საზღვაო ძალებმა დაამტკიცეს თავიანთი შესაძლებლობა და უნარი. ამიტომაც, „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირმა“, პირველ რიგში გაწყვიტა დანგრეული ატიკის აღდგენა, და შემდეგ, სპარსეთის განდევნა დარდანელისა და ჰელესპონტის სრუტეებიდან, სადაც მათ ეკუთვნოდათ მნიშვნელოვანი ქალაქები და სიმაგრეები, ამიტომ ბიზანტიონის

აღების შემდეგ, ათენელები დაბრუნდნენ და დანგრეული ათენისა და ატიკის აღდგენა დაიწყეს. მოულოდნელად სპარტიდან მოსულმა ელჩმა, სპარტის სახელით მოითხოვა ამ აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტა, იმ საბაბით, ვაითუ სპარსელები კიდევ დასხმოდნენ თავს შუა საბერძნეთს და ესარგებლათ აღდგენილი სიმაგრეებით.. სპარტელებს ასეთი უსუსური საბაბით სურდათ ხელი შეეშალათ ათენელებისათვის დანგრეული სახლებისა და სიმაგრეების აღდგენაში.

ბერძნული მონეტა სირაკუზიდან

ათენმა სალამინის, პლატეისა და მიკალეს ბრძოლებში სახელი გაითქვა, მისი გავლენა და ავტორიტეტი მთელ საბერძნეთში ძალიან გაიზარდა. სპარტელები ყველანაირად ცდილობდნენ მის დასუსტებას. ათენელებმა სპარტაში თავის წარმომადგენლად გაგზავნეს თემისტოკლე, რომელმაც სპარტელებთან მოლაპარაკება განზრახ გააჭიანურა, რათა ათენელებისათვის მიეცა საშუალება ქალაქ ათენის გარშემო გალავანი ნახევრად მაინც აეგოთ, რათა მოსალოდნელი მტერი — სპარტელები მოეგერიებინათ. ამისათვის მთელი ათენის მოსახლეობა: კაცები, ქალები, ბავშვები და მოხუცები მუშაობდნენ გალავნის მშენებლობაზე, როდესაც სპარტელებმა გაიგეს, რომ მათი მოთხოვნა არ შესრულდა, თემისტოკლესთან მოლაპარაკება შეწყვიტეს.

ძვ.წ. 471 წ. ათენში დაბრუნებული თემისტოკლე ოლიგარქებმა ოსტრაკიზმოთი გააძევეს. მას დააბრალეს ათენის სახელმწიფოს ღალატი. მალე მისი მოწინააღმდეგე არისტიდეც გარდაიცვალა, რის შემდეგ მთელი ძალაუფლება ათენსა და „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირში" მილტიადეს შვილის, კიმონის ხელში გადავიდა. თემისტოკლე კი წავიდა სპარსეთის მეფე ქსერქსესთან, რომელმაც მცირე აზიის ქალაქ მაგნეზიის ტირანად დანიშნა. კიმონმა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა: თრაკიის სანაპიროზე, მდინარე სტრიმონის შესართავთან სიმაგრე ეიონი სპარსელებს ეკავათ, ისინი ბერძნებს არ აძლევდნენ საშუალებას თრაკიის მიდამოებიდან გემებისათვის საჭირო სამშენებლო ხის მასალა გაეტანათ. კიმონმა სიმაგრე ეიონი იერიშით აიღო და კარგი

ნადავლი იგდო ხელთ; შემდეგ, ძვ.წ. 469 წ. მდინარე ევრიმედონტთან საზღვაო ბრძოლაში სპარსელების 200 გემი გაანადგურა და მათი სახმელეთო ლაშქარიც სასტიკად დაამარცხა.

სპარსეთის მეფე ქსერქსეს საგარეო პოლიტიკის მარცხმა დიდებულების უკმაყოფილება გამოიწვია და ძვ.წ. 465 წ. ქსერქსე და მისი ტახტის მემკვიდრე შეთქმულებმა მოკლეს, რის შემდეგაც სპარსეთის ტახტზე ავიდა ქსერქსეს უმცროსი ვაჟი არტაქსერქსე, რომელმაც ბერძნების წინააღმდეგ აქტიურ დამპყრობელურ პოლიტიკაზე ხელი აიღო. ბერძნები კი არ ცხრებოდნენ, უტევდნენ სპარსეთს, თუმცა იმდენი ძალა და შესაძლებლობა არ ჰქონდათ, რომ მცირე აზიის სიღრმეში შეჭრილიყვნენ, მაგრამ მაინც ყოველნაირად ცდილობდნენ სპარსელების დაპყრობილი ხალხების აჯანყებას. ძვ.წ. 459 წ. ეგვიპტე აუჯანყდა სპარსეთს, ათენელებმა საზღვაო ფლოტი გაუგზავნეს დასახმარებლად, მაგრამ სპარსელებმა ამბოხი ჩაახშეს და ათენელების მთელი ფლოტი ძვ.წ. 454 წ. ნილოსის დელტის მიდამოებში გაანადგურეს. სამაგიეროდ, ძვ.წ. 449 წ. „ათენ-დელოსის“ საზღვაო ძალებმა კუნძულ კვიპროსთან სპარსელები საზღვაო ბრძოლაში დაამარცხეს. ამ ბრწყინვალე გამარჯვებით სპარსელები აიძულეს ბერძნებისათვის ზავი ეთხოვათ.

ბერძნებმა თავის მიზანს მიაღწიეს, სპარსელები გააძევეს ეგეოსის ზღვის აუზიდან და შავი ზღვის სრუტეებიდან. ძვ.წ. 449 წ. ქალაქ სუზაში სპარსელებთან მოლაპარაკებებზე გაიგზავნა ათენის წარმომადგენელი კალიასი, რის შედეგადაც დაიდო სპარსელებსა და ბერძნებს შორის „მუდმივი ზავი“ ანუ „კალიასის ზავი“. ამ ზავის პირობებით სპარსეთი იძულებული გახდა მცირე აზიის ბერძნული პოლისებისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების დამოუკიდებლობა ეცნო, თანაც სპარსეთს ეკრძალებოდა ეგეოსის ზღვის აუზში შესვლა.

ეს ზავი ბერძნებისათვის უდიდესი გამარჯვება იყო. ამის შემდეგ „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირი“ გადაიქცა უძლიერეს სახელმწიფო გაერთიანებად. ბერძენ-სპარსელთა ომში გამარჯვების წყალობით, საბერძნეთი გადაურჩა სპარსული დესპოტიზმის გაბატონებას. „საზღვაო კავშირმა“ მცირე აზიის მდიდარი სავაჭრო პოლისები ხელთ იგდო და ეგეოსის ზღვის მიდამოებიდან და შავი

ზღვისპირეთიდან ფინიკიელები სამუდამოდ გამოაძევა, რის შემდეგაც დაიწყო საბერძნეთის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღზევება.

„ათენ-დელოსის საზღვაო კავშირში“ ათენელების უპირატესობა თანდათან უფრო საგრძნობი გახდა. ათენელი სარდლები თვითნებურად იქცეოდნენ და ანგარიშს აღარ უწევდენ მოკავშირეებსა და „სინოდს“. მაგალითად, როდესაც სპარსელებს ბეოტიის უკანასკნელი ქალაქი ერეთრეა წაართვეს, ათენელმა სარდლებმა სინოდის სანქციის გარეშე, დაუკითხავად შეიყვანეს ჯარები და საკუთარი წესწყობილება დაამყარეს. ასე დაიწყო მათი თავხედობა, მოკავშირეების საშინაო საქმეებში ჩარევა. ათენელთა ასეთი გათამამება მოკავშირეების ბრალი იყო: „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირის“ შექმნისთანავე ათენის საზღვაო ძალების სიჭარბის გამო, მათ განსაკუთრებული უფლებები მიანიჭეს ორგანიზაციულ და ფინანსურ საკითხებში, სამხედრო ხელმძღვანელობა კი მთლიანად ათენელი სარდლების ხელში აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ ძვ.წ. 453 წ. ეგვიპტეში ათენის ფლოტის განადგურების შემდეგ საზღვაო კავშირის ხაზინას საშიშროება შეექმნა და ამიტომ გადატანილ იქნა ათენში. კუნძულ დელოსზე შეწყდა საზღვაო კავშირის წარმომადგენელთა შეკრება. ისინი იკრიბებოდნენ ათენში. ხოლო „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირს“ ეწოდა „ათენის საზღვაო კავშირი“.

ბერძნული მონეტები

მოკავშირეების გადასახადის — ფოროსის განაწილებაც ათენელი სტრატეგოსების ხელში იყო. მოკავშირეები კატეგორიებად იყოფოდნენ: ერთნი, რომლებიც თავიანთ გემებს, მეზღვაურებს და მეომრებს საკუთარ ხარჯზე ინახავდნენ და ხაზინაში არ იხდიდნენ არავითარ ფოროსს. ეს პოლისები იყო: სამოსი, ქიოსი და ლესბოსი; მათი გემები ათენელთა გემების, მეზღვაურებისა და მეომრების თანასწორად მონაწილეობდნენ ყველა

საომარ ოპერაციაში. მოკავშირეების მეორე კატეგორიას წარმოადგენდნენ ისინი, რომლებიც მხოლოდ ფულად გადასახადს — ფოროსს იხდიდნენ ხაზინაში და ამ თანხებით ათენელი სტრატეგოსები ახალ გეგმებს აშენებდნენ.

ათენის ისედაც დიდი ფლოტი კიდევ უფრო გაიზარდა და მისი საზღვაო ძლიერება დღითი დღე მტკიცდებოდა. ეგეოსის ზღვის აუზში ათენელების საზღვაო ძალებს ვერავინ შეედრებოდა, მათ ზღვაზე ბატონობა მოიპოვეს,მოკავშირეები კი ათენის ფლოტის გარემოცვაში აღმოჩნდნენ. ათენის მოკავშირეებს საზღვაო კავშირიდან გამოსვლის უფლება არა ჰქონდათ. როგორც კი ათენელები რომელიმე მოკავშირეს კავშირიდან გამოსვლის მისწრაფებას შეამჩნევდნენ, თავიანთი ფლოტით მას თავს ესხმოდნენ, საუკეთესო მიწებს ჩამოართმევდნენ და იქ ათენელ ღარიბებს ასახლებდნენ. ასეთ სამხედრო დასახლებებს „კლერუხიები“ ეწოდებოდა და ისინი ათენის პოლიტიკის სასტიკი დამცველები და გამტარებლები იყვნენ. ათენელი სარდლები, მოკავშირეთა ტერიტორიაზე ბატონობის უზრუნველსაყოფად, ჯარის ნაწილების შენახვასაც პოლისს ავალებდნენ. შემდეგ ათენელებმა ყოველგვარი კონტროლის გაუქმების გარეშე დაიწყეს ვითომც და „ღვთაება ათენას“ სესხის სახით საკავშირო ხაზინიდან თანხების დატაცება. პერიკლეს დროს კი ათენის საზღვაო კავშირისა და ათენის სახელმწიფო ხაზინები თითქმის გაერთიანდა.

თემისტოკლე

კალიასის ზავის შემდეგ ათენის საზღვაო კავშირი, რომელიც სპარსელების წინააღმდეგ შეიქმნა, ფაქტიურად უნდა დაშლილიყო, მაგრამ პირიქით, ათენმა ეს საზღვაო კავშირი უფრო გაზარდა და შეამჭიდროვა, მაგრამ კავშირი თავის მოკავშირეებისათვის მძიმე ტვირთად იქცა. როდესაც პოლისი ფოროსის გადახდას აგვიანებდა, ათენი მას ავჯარიმებდა. მათი არისტოკრატია ათენელ დემოკრატების მიერ სასტიკ შევიწროებას განიცდიდა და მთელი მათი სიმპათიები სპარტის მხარეზე გადავიდა. მოკავშირეების ტერიტორიაზე განსახლებული იყო 10 ათასი ათენელი კლერუხი, რომლებიც ათენის სახელმწიფოს დიდ დახმარებას უწევდნენ თავიანთი

მეთვალყურეობით. პოლისების სასამართლო ათენელთა ხელში გადავიდა, დააწესეს კონტროლი ვაჭრების საქმიანობაზეც. მხოლოდ ათენელები ჭრიდნენ ვერცხლის ფულს დრამას. სხვა პოლისებს ვერცხლის ფულის მოჭრას უკრძალავდნენ. ამ აკრძალვას ყველა მოკავშირე ემორჩილებოდა, გარდა კუნძულ ქიოსისა, რომელიც ახერხებდა საკუთარი ვერცხლის ფულის მოჭრას. ათენელებმა ხელთ იგდეს ვაჭრობის მონოპოლია. შავი ზღვის ახალშენებიდან საქონელი ჯერ ათენის ნავსადგურებში უნდა შეეტანათ და შემდეგ ნაწილდებოდა მოკავშირეებზე. ათენელებმა ბოსფორის სრუტეში, ქრისოპოლის მიდამოებში სავაჭრო გემების საბაჟო, საკონტროლო პუნქტი შექმნეს, რომელიც სრუტეში შემავალ გემებს საქონლის მეათედ ნაწილს ახდევინებდნენ.

მართალია, ათენი ავიწროვებდა, ჩაგრავდა თავის მოკავშირეებს, მაგრამ ამავე დროს მათ შორის მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობასაც უწყობდა ხელს. ათენის საზღვაო ძალების ბატონობამ ეგეოსის ზღვასა და შავი ზღვის სრუტეებზე მეკობრეების თარეში მოსპო. ზოგიერთი პოლისის კეთილდღეობაც გაიზარდა. ათენი ყველა თავის მოკავშირის ტერიტორიაზე უპირატესობას ანიჭებდა დემოკრატიულ მართველობის სისტემას, ოლიგარქიულს კი სდევნიდა.

ძვ.წ. 470 წ. კუნძულმა ნაქსოსმა მოინდომა „ათენ-დელოსის საზღვაო კავშირიდან" გასვლა, ამისათვის მას ჩამოერთვა მთელი ფლოტი და მის ტერიტორიაზე ათენელთა ჯარის ნაწილები განლაგდა. ნაყოფიერ ტერიტორიაზე კი ათენელი კლერუხები დაასახლეს და ამის შემდეგ, ნაქსოსს უნდა ეხადა მხოლოდ ფოროსი. ძვ.წ. 465 წ. სპარტისგან წაქეზებულმა კუნძულმა თასოსმაც დატოვა კავშირი. ათენმა კი მას კუთვნილი ტერიტორია თრაკიაში და პანგეონის ოქროს საბადოები ჩამოართვა და თავის მოქალაქეებს დაურიგა. თასოსელებმა დახმარებისათვის ოფიციალურად მიმართეს სპარტას, რომელიც დახმარებას შეპირდა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან იქ მოულოდნელად ჰილოტების აჯანყება დაიწყო. ამას მოჰყვა ჰილოტებისა და სპარტელებს შორის ბრძოლა — მესენიის მესამე ომი. ათენელები განდგომილ თასოსს თავს დაესხნენ, საზღვაო ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს, მისი სიმაგრე, კოშკები და გალავანი მიწასთან გაასწორეს. ათენის

სასარგებლოდ თასოსს ჯერ ფულადი ჯარიმა დაეკისრა, შემდეგ კი ფოროსის გადახდა. დამოუკიდებლობა კუნძულ ევბეას ქალაქ ქალკიდიკასაც სურდა, მაგრამ ათენელებმა ისინი სპეციალური დეკრეტით შებორკეს, დააფიცეს, რომ ათენელთა წინააღმდეგ არც საქმით, არც სიტყვით არ აღსდგებოდნენ, მოღალატეებს დასჯიდნენ, პატიოსნად გადაიხდიდნენ ფოროსს და ერთგული მოკავშირეები იქნებოდნენ.

ეგეოსის ზღვის ზოგიერთ კუნძულსა და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე პოლისებს „ათენის საზღვაო კავშირში" შესვლა არ სურდათ, მაგრამ ათენმა ისინი ძალით შეიყვანა კავშირში, რომელშიც პირველ ხანებში 200-მდე პოლისი გაერთიანდა, შემდეგ მათი რიცხვი 250-მდე გაიზარდა. ათენელმა სარდლებმა კავშირში შემავალი პოლისები ხუთ ოლქად დაჰყვეს: იონიის, ჰელესპონტის, თრაკიის, კარიისა და კუნძულების. სამი პოლისის გარდა (სამოსი, ქიოსი და ლესბოსი,) ყველა მოკავშირე იხდიდა ფოროსს. თითოეულ ოლქს სათავეში ათენელი მმართველი ედგა, რომელიც განაგებდა ამ ოლქის პოლისებს, აგროვებდა ფოროსს.

ოთხ წელიწადში ერთხელ, ათენის სახალხო კრების ორი წარმომადგენელი თითოეულ ოლქში იგზავნებოდა ფინანსური მდგომარეობის შესამოწმებლად, მოთხოვნილების მიხედვით ფოროსს ზოგს უმცირებდნენ, ზოგს კი უდიდებდნენ; უმეტეს შემთხვევაში კი ძველ გადასახადს უტოვებდნენ. მხოლოდ თრაკიის 11 პოლისს ჰქონდა მიცემული უფლება თვითონ დაედგინა თავისი ფოროსი. ოლქებისათვის ფოროსის თანხას ამტკიცებდა ათენის სპეციალური სასამართლო.. თითოეული მოკავშირე ვალდებული იყო ღვთაება ათენას ფონდში ერთი მესამედი გადაეცა, რომლებსაც ათენელები იყენებდნენ.

კიმონი

თემისტოკლე გაძევებამდე ათენის სახელმწიფოს შემდგომ დემოკრატიზაციისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ათენელი ოლიგარქები არისტიდე და კიმონი, რომლებსაც სპარტა უჭერდა მხარს, მას სპარსთა მეფესთან ურთიერთობა დაებრალეს და ძვ.წ. 471 წ. საერთო ძალით, ქონების კონფისკაციით გააძევეს. თემისტოკლეს გაძევების

შემდეგ, არისტიდე მალე გარდაიცვალა და ათენის ხელისუფლების სათავეში მოექცა ოლიგარქიის ბელადი კიმონი, რომელმაც სპარსელების წინააღმდეგ რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებით გაითქვა სახელი. პლუტარქეს გადმოცემით, კიმონი სპარტანული ადათ-წესების დიდი თაყვანისმცემელი იყო, მათებურ ცხოვრებას ეწეოდა და მათ მსგავს ტანსაცმელს ატარებდა. ამიტომაც ვაჟიშვილს ლაკედემონი დაარქვა. კიმონი ღარიბ ხალხს ფულს ურიგებდა, ზეიმებს უმართავდა; საზოგადოებრივი შენობების აგებით ათენელ ღარიბებს სამუშაოს აძლევდა, ათენს ამშვენიერებდა პორტიკებით. აკადემიის ბაღში შესანიშნავი ხეები დარგო და ხეივნები გაალამაზა. კიმონმა საკუთარი ბაღის კარები ფართოდ გაუღო ათენელ ღარიბებსა და მეტეკებს, თან უფლება მისცა დაეკრიფათ მის ბაღში ხილი. ყოველდღიურად მის სახლში უამრავი ხალხი სადილობდა. კიმონი ყველანაირად ცდილობდა ათენი სპარტისათვის დაეახლოვებინა, მაგრამ სპარტელები არ იზიარებდნენ მის მისწრაფებას და ყველანაირად ცდილობდნენ ათენის სიძლიერის შერყევას.

კიმონს სპარტისადმი გადამეტებულმა სიყვარულმა ცუდი სამსახური გაუწია. ძ.წ. 464 წ. სპარტაში დიდ მიწისძვრას ჰილოტების აჯანყება მოჰყვა, რომელიც მესენიის III ომის სახელით არის ცნობილი. ეს აჯანყება თითქმის ათ წელიწადს გაგრძელდა. აჯანყებული ჰილოტები მესენიაში, ითომეს სიმაგრეში გამაგრდნენ. სპარტელებმა სიმაგრის აღება ვერ შეძლეს. აჯანყებულ ჰილოტებს ვერაფერს უხერხებდნენ და იძულებულნი იყვნენ დახმარება ათენისათვის ეთხოვათ. ათენის სახალხო კრებაზე, თემისტოკლეს მომხრე დემოკრატი ეფიალტე სპარტელებისათვის დახმარების გაწევის სასტიკი წინააღმდეგი გამოვიდა, მაგრამ კიმონმა, თავისი ავტორიტეტის წყალობით, ათენის სახალხო კრების წინააღმდეგობის მიუხედავად, მოახერხება სპარტელებისადმი დახმარების დადგენილების მიღება. სათავეში ჩაუდგა ათენელთა 4 ათასიან დამხმარე ჯარს და მესენიაში წაიყვანა. მაშველმა ჯარებმა სპარტელების მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა, მათ ათენელებს დასწამეს აჯანყებულ ჰილოტებთან კავშირი და ამ საბაბით უკან გამოისტუმრეს. კიმონის არყოფნაში ძალაუფლებას თანდათან დაეპატრონა დემოკრატიული დაჯგუფების ბელადი ეფიალტე, რომლის

შესახებაც თანამედროვენი ამბობენ: „ეფიალტეს სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, ათენელი ხალხი აღვირაწყვეტილ ცოფიანს ცხენს ემსგავსებაო“. პლატონი კი აღნიშნავდა: „ეფიალტემ დემოსი გადამეტებული თავისუფლებით დაათროო“.

ეფიალტე ათენის ოლიგარქიის მთავარ ორგანოს — არეოპაგის წინააღმდეგ იბრძოდა, მან ბერძენ-სპარსელთა ომების დროს დიდი უფლებები მოიპოვა და მისი წევრები კანონსაც ხშირად არღვევდნენ. ეფიალტემ არეოპაგის წევრები სახალხო კრებაზე ამხილა, დააბრალა მექრთამეობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სახელმწიფო თანხების მითვისება და ისინი სასამართლოს გადასცა, სადაც მათ ყველა ბრალდება დაუმტკიცდათ. ამ დანაშაულებებმა მათი ავტორიტეტი შეარყია. ეფიალტეს წინადადებით სახალხო კრებამ არეოპაგს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული უფლება ჩამოართვა. დაუტოვა მხოლოდ სისხლის სამართლის მეორეხარისხოვანი საქმეები. ამის შემდეგ ხუთასთა საბჭო და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაძლიერდა. კიმონი უპატიოსნეს ადამიანად ითვლებოდა, მაგრამ სპარტიდან დაბრუნებულს ათენის სახალხო კრებამ ბრალდება წაუყენა თვითნებობაში, ძვ.წ. 461 წ. ათენიდან ოსტრაკიზმოთი გააძევეს. საპასუხოდ კიმონის მომხრეებმა შური იძიეს, როდესაც ეფიალტე ღამით სახლში ბრუნდებოდა, თავს დაესხნენ და მოჰკლეს. მკვლელები ვერ იპოვეს, ეფიალტეს ადგილი კი მისმა თანამოაზრე პერიკლემ დაიკავა.

პერიკლე, ათენელი სარდლის, მიკალესთან ბრძოლის გმირის ქსანტიპეს შვილი იყო. დედა ალკმეონიდი ჰყავდა, კლისთენეს ძმისწული. პერიკლემ ბრწყინვალე განათლება მიიღო. მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ათენელი პედაგოგი დამონი და ფილოსოფოსი ანაქსაგორე. მეგობრობდა ისტორიკოს ჰეროდოტესთან, სოფისტ პროტაგორესთან, მხატვარ და მოქანდაკე ფიდიასთან. პერიკლე პირველ მეუღლეს, რომელთანაც ორი შვილი ჰყავდა, გაეყარა და შეირთო ჭკვიანი და განათლებული მილეთელი ქალი ასპაზია. იგი ათენელი ქალებივით კარჩაკეტილ ცხოვრებას



კრესილასი, პერიკლე

არ ეწეოდა, პირიქით პერიკლეს მეგობრებთან მსჯელობდა, საუბრობდა. ფილოსოფოსი სოკრატე ასპაზიას შესახებ ამბობდა: „ამ ქალთან საუბარი ყოველთვის ახალ რაღაცას მაძლევსო". პერიკლეს სახლი განათლებული ადამიანების შეკრების ადგილს წარმოადგენდა ათენში.

პერიკლე წარმოსადეგი, ლამაზი ვაჟკაცი იყო, შესანიშნავი ორატორი, ანტიკური ეპოქის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და ათენის დემოკრატიის ბელადი. იგი გამოხატავდა ათენელი ხელოსნების, ვაჭრების, გემების მფლობელთა და წვრილ მიწისმფლობელთა ინტერესს. ეს წრეები, ათენის საზღვაო კავშირის დახმარებით, მიისწრაფოდნენ სახელმწიფოს ძლიერებისა და ათენის საზღვაო ბატონობისაკენ, რათა ათენელი ხელოსნების ნაწარმი, წვრილ მიწისმფლობელთა პროდუქტები — ზეთისხილი, ღვინო უცხოეთში გაეტანათ, სანაცვლოდ მათთვის საჭირო ნედლეული — პური შემოეტანათ და მონები შემოეყვანათ. ახალი დემოკრატიული რეფორმების გატარება ძ.წ. V ს. ეფიალტემ დაიწყო და პერიკლემ გააგრძელა. ეფიალტემ ათენელ ოლიგარქოსთა ორგანო არეოპაგი კი მოსპო, მაგრამ ისინი დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ. მათ ახალი მეთაური გაუჩნდათ კიმონის სიძის, თუკიდიდე მელიასის ძის სახით. იგი ნიჭიერი ორატორი იყო და პერიკლეს სასტიკად ებრძოდა, ვიდრე ძ.წ. 448 წ. ოსტრაკიზმით არ გააძევეს ათენიდან.

როგორც აღვნიშნეთ, სოლონის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს სამოხელეო თანამდებობაზე არჩევა ათენში ქონებრივი ცენზის შესაბამისად ხდებოდა. კერძოდ, უმაღლეს მოხელეებად — არქონტებად შეიძლებოდა მხოლოდ პირველი ორი ქონებრივი კლასის წევრთა (ხუთას და სამას მედიმნიანთა) არჩევა. ძ.წ. 457 წ. პერიკლემ არქონტების თანამდებობა ხელმისაწვდომი გახადა ზევგიტებისათვისაც, ე. ი. მესამე ქონებრივ ჯგუფში შემავალ მოქალაქეთათვის. შემდეგ კი, ფაქტიურად გააუქმა სოლონის კონსტიტუცია და ქონებრივ ცენზს ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა. ამიერიდან ათენის ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს, მიუხედავად მისი ქონებრივი მდგომარეობისა, შეეძლო ყველა სახელმწიფოებრივი თანამდებობის დაკავება, სტრატეგოსისა და ფინანსური კოლეგიის წევრის თანამდებობის გარდა.

ძ.წ. 448 წ. პერიკლემ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმა,

ათენას ფარი პერიკლესა და ფიდიასის გამოსახულებით

რომლის მიზანი იყო რეალური გაეხადა თვით უღარიბესი მოქალაქეებისთვისაც სამოხელეო და თანამდებობათა დაკავების უფლება. ეს იყო სამოხელეო თანამდებობის შესრულებისათვის გასამრჯელოს დაწესება. თავდაპირველად ნაფიც მსაჯულთათვის, ე. ი. „ჰელეას“ წევრთათვის შემოიღო დღეში 2 ობოლის მიცემა. ეს თანხა უდრიდა რიგითი ათენელის დღიურ შემოსავალს. ამის შემდეგ შემოიღო ე. წ. „თეორიკონი“ ანუ სახელმწიფო ხაზინიდან თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებისათვის თანხის მიცემა უღარიბესი მოქალაქეებისათვის. ათენში თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს და მათზე დასწრება ყველა მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე იყო. თეორიკონის გაცემა, საშუალებას აძლევდა ათენის მოსახლეობას დასწრებოდნენ ამ წარმოდგენებს, რასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემდეგ დაწესდა გასამრჯელო ხუთასთა საბჭოს წევრთათვის (5 ობოლი დღეში), არქონტებისათვის (4 ობოლი), ზოგიერთი კოლეგიის წევრებისა და სახალხო კრებაზე დასწრებისათვის.

ამრიგად, თითქმის ყველა თანამდებობის შესრულებისათვის შემოღებულ იქნა გასამრჯელო, ათენის უღარიბეს მოქალაქეებსაც შეექმნათ შესაძლებლობა, რეალურად გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური უფლება. რომელიმე თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, მათ აღარ უხდებოდათ ზრუნვა საკუთარი თავისა და ოჯახის გამოკვებისათვის. ცხადია, რეფორმებისთვის საჭირო იყო დიდი სახსრები, ამიტომაც ათენმა მიითვისა „ათენ-დელოსის კავშირის“ ხაზინა და მოკავშირეთაგან შემოსულ ფოროსს უკონტროლოდ ხარჯავდა.

პერიკლეს დროს ათენი საბერძნეთის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. ეს გარემოება და ათენელ მოქალაქეთა ფართო პოლიტიკური უფლებები იზიდავდა სხვა პოლისების მოქალაქეებს. ათენისკენ მიისწრაფოდნენ ყველა პროფესიის და საზოგადოებრივი ფენის ადამიანები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ათენის მოქალაქეები გამხდარიყვნენ და ზიარებოდნენ აქაურ მოქალაქეთა ესოდენ შეუზღუდველ პოლიტიკურ უფლებებს. ეს სწრაფვა იმდენად დიდი იყო, რომ ათენელი ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ შეეზღუდათ უცხოელებისათვის მოქალაქეობის მინიჭება. ათენელ მოქალაქეთა რიცხვის ზრდა გააძნელებდა მათთვის გასამრჯელოს, თეორიკონის, იაფი კრედიტისა და უფასო პურის გაცემას.

ძვ.წ. 445 წ. პერიკლემ გაატარა კანონი, რომლის ძალით სრულუფლებიან ათენელ მოქალაქედ ითვლებოდა მხოლოდ ‘ის, ვისი მშობლებიც ათენში იყვნენ დაბადებულნი. ეს უსპობდა უცხოელებს ათენის მოქალაქეობის მიღების საშუალებას; უფრო მეტიც, ამ კანონით საკმაოდ ბევრმა ათენელმა დაკარგა მოქალაქეობა; რამდენადაც საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევა, როცა ათენელებს მშობლები ათენში არ ჰყავდათ დაბადებული. ძვ.წ. 444 წ. ეგვიპტის მეფე ფსამეტიქემ ათენის დემოსს საჩუქრად გამოუგზავნა 40.000 მედიმნი ხორბალი, რომელიც უსასყიდლოდ უნდა განაწილებულიყო ათენელ მოქალაქეთა შორის. სახალხო კრების სახელზე შევიდა მრავალი საჩივარი, რომელშიაც მხილებულ იქნენ ის ათენელები, რომელთაც ერთ-ერთი მშობელი არაათენელი ჰყავდათ. როდესაც ამ საჩივრების საფუძველზე ათენის სასამართლომ დააზუსტა ათენელთა მოქალაქეობა, რამდენიმე ათას კაცს ჩამოერთვა ეს უფლება. ამის შედეგად შემცირდა პურის მიმღებთა რიცხვი, სამაგიეროდ გაიზარდა დასარიგებელი ულუფა. მაშასადამე, ათენის დემოკრატია არ უშვებდა მოქალაქეთა რიცხვის ზრდას, პირიქით, ცდილობდა შეეზღუდა იგი, რათა მონებისა და მოკავშირეთა ექსპლუატაციის გზით მიღებული სახსრები ზედმეტად არ დახარჯულიყო და არ მომხდარიყო ათენელი მოქალაქესათვის განკუთვნილი სახელმწიფო გამოსაღების შემცირება.

ათენში პერიკლეს დროს სახალხო კრება ანუ ეკლესია წარმოადგენდა უმაღლეს საკანონმდებლო, სასამართლო და

პოლიტიკურ ორგანოს, ესწრებოდნენ მხოლოდ სრულუფლებიანი ათენელი მოქალაქეები 20 წლის ასაკიდან. იქ იხილავდნენ ომის, ზავის, ლაშქრის, საზღვაო ძალების, დიპლომატიურ, სამშენებლო საკითხებს. აგრეთვე ახალი მოქალაქეების მიღება-არმიღებას. ათენში ყველაზე დემოკრატიული დაწესებულებები იყო: სახალხო კრება, ხუთასთა საბჭო ანუ ბულე და მსაჯულთა სასამართლო — ჰელეა. პერიკლეს დროიდან მნიშვნელოვან ორგანოდ გადაიქცა სტრატეგოსთა კოლეგია, რომელიც კლისთენეს დროს შეიქმნა და ბერძენ-სპარსელთა ომების დროს მნიშვნელოვან ორგანოდ იქცა. სტრატეგოსთა კოლეგია უშუალოდ ხელმძღვანელობდა ათენის სახელმწიფო და საზღვაო ძალებს და რაც მთავარია, ჩამოყალიბების დღიდან ხელმძღვანელობდა ათენის საზღვაო კავშირს.

ათენში ყველა თანამდებობაზე არჩევა კენჭისყრით ხდებოდა. სტრატეგოსების, ხაზინადართა კოლეგიაში არჩევა წარმოებდა საჯარო ხმის მიცემით. სტრატეგთა კოლეგია ხელმძღვანელობდა ათენის ჯარს, ფლოტს, საზღვრების დაცვას, სიმაგრეების მშენებლობას, ნავსადგურების გაფართოებასა და კეთილმოწყობას. ყველა თანამდებობისათვის დაწესდა ფულადი გასამრჯელო, გარდა სტრატეგოსებისა, რადგანაც ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ მატერიალურად უზრუნველყოფილ ათენელ მოქალაქეებს. სტრატეგოსების ხელში იყო სახელმწიფოს ადმინისტრაციული, აღმასრულებელი და სახედრო ხელისუფლება. ისინი განაგებდნენ ათენის საგარეო პოლიტიკასაც, მაგრამ ათენელი სტრატეგოსები ათენის სახალხო კრების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი ვალდებულნი იყვნენ სისტემატურად ჩაებარებინათ ანგარიში თავის

პერიკლეს გამოსვლა პნიქსზე ათენელთა წინაშე

საქმიანობაზე. თუ ანგარიში სახალხო კრებას არ აკმაყოფილებდა, მას უფლება ჰქონდა სტრატეგოსი სამსახურის ვადის გასვლამდე გადაეყენებინა და ახალი სტრატეგოსი აერჩია. თითოეული სტრატეგოსი არჩევამდე სახალხო კრებაზე თავისი პიროვნების დახასიათებას იძლეოდა: რომ მშობლების პატივისმცემელია, სახელმწიფო სამხედრო სავალდებულო სამსახურს და ფინანსურ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებს და ა.შ. თუ მის ნათქვამს მსაჯულთა სასამართლო დაადასტურებდა, ამის შემდეგ მას ხმის უმრავლესობით ირჩევდნენ. პერიკლე სტრატეგოსთა კოლეგიის წევრი იყო ძვ.წ. 461-444 წწ. ხოლო მთავარი სტრატეგოსის თანამდებობა ეკავა ძვ.წ. 444-429 წწ.

იმისათვის, რათა ათენის კანონები ხშირად არ შეცვლილიყო, შემოღებული იქნა წესი „გრაფე პარანომონ", რაც ნიშნავდა „უკანონობაზე საჩივარს", ახალ კანონპროექტს სახალხო კრება ეცნობოდა და საკითხის შესასწავლად მსაჯულთა სასამართლოს — ჰელეას გადასცემდა, მსაჯულთა სასამართლო აწყობდა ამ ახალ კანონპროექტის განხილვას და შესაცვლელი ძველი კანონის გასამართლებას, რომლის დამცველად გამოდიოდნენ კანონპროექტის ავტორები, რომლებსაც უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი კანონის უპირატესობა. თუ ახალი კანონით ძველი კანონი შეიცვლებოდა, ძველი კანონის ავტორი ჯარიმდებოდა.. თუ ამ კანონის გამართლების დროს ახალ კანონპროექტს დაიწუნებდნენ, ამდენი ხალხის გაცდენისათვის, ავტორი თავისი ქონებითა და სიცოცხლით აგებდა პასუხს.

ყოველი წლის 11 ივლისს სახალხო კრებაზე ისმებოდა კითხვა: სურს თუ არა ვინმეს ძველი მოქმედი კანონები გადაათვალიეროს. თუ სახალხო კრება თანახმა იყო, მაშინ ძველი და ახალი კანონების გადათვალიერება ხდებოდა. თითოეული მიღებული ძველი და ახალი კანონპროექტი ხუთასთა საბჭოს გადაეცემოდა სარედაქციოდ. რედაქტირებული კანონპროექტი გადაეცემოდა სახალხო კრებას და ხუთასთა საბჭოს კენჭის საყრელად. ამ კანონის ტექსტი მოქალაქეებს ეძლეოდათ გასაცნობათ, რის შემდეგ ეს კანონი მიღებული უნდა ყოფილიყო.

ათენში მეტეკები (უცხოელები), ქალები და მონები არ სარგებლობდნენ მოქალაქეობრივი უფლებებით, ათენის სრულუფლებიანი

ნიკა აფთეროსის ტაძარი

მოქალაქეები მოსახლეობის 20% შეადგენდნენ, ე. ი. დაახლოებით 30-35.000, სახალხო კრებას კი ესწრებოდა მხოლოდ 2-3 ათასი.

სპარსელების შემოსევისას ათენი აოხრეს, მის აღდგენას ცდილობდა კიმონი და ბევრი რამ გააკეთა ამისათვის, პერიკლეს დროს კი ფართო მასშტაბით გაიშალა აღდგენითი სამუშაოები. მას სურდა ქალაქის გამშვენიერება და ათენელ ღარიბ ხელოსნებისათვის სამუშაოს მიცემა. პერიკლემ თავისუფალთა ინტერესებისათვის მშენებლობაში მონაწილე მონების რიცხვი 20% განსაზღვრა. პირეოსის და ფალერონის ნავსადგურები მაღალი ქვიტკირის კედლებით გაამაგრა და ასეთივე კედლებით ათენს დაუკავშირა. ასე განახორციელა მან თემოსტოკლეს ოცნება. პირეოსის ნავსადგური ჰიპოდამოს მილეთელმა სწორკუთხოვან უბნებად და სწორ ქუჩებად დაგეგმა და საბერძნეთში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად აქცია.

პერიკლეს დროს აღადგინეს სპარსელების მიერ დანგრეული ერეხთეიონის ტაძარი, ხოლო მათზე გამარჯვების აღსანიშნავად აკროპოლისზე ააგეს თეთრი მარმარილოს სვეტებიანი ათენა ნიკას ტაძარი. ხუროთმოძღვრების იქტინოსის და კალიკრატეს ხელმძღვანელობით დორიულ სტილში ძვ.წ. 447-438 წწ. აშენდა პართენონის ტაძარი, რომელშიც დაიდგა ათენა პალადას სპილოს ძვლის ქანდაკება, შექმნილი ცნობილი მოქანდაკე ფიდიასის მიერ.. შესანიშნავი იყო აკროპოლისზე ასასვლელი მარმარილოს სვეტებიანი ხეივანი პროპილეუმი. რომელიც ხუროთმოძღვარმა მნესიკლემ ააგო და მხოლოდ პელოპონესის ომის დროს დამთავრდა. აკროპოლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ძვ.წ. 442 წ. შეიქმნა მუსიკალური შეჯიბრების დარბაზი ოდეონი (მას თესეონსაც უწოდებენ).

პერიკლეს დროს დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდების

აღზრდას. ათენელებს სათნოების მთავარ თვისებად მიაჩნდათ მამაცობა, გულმართლობა, კეთილმსახურება, ზომიერება, სხეულის ვარჯიში და წერა-კითხვა. ათენი ელადის კულტურის ცენტრი იყო, სადაც პერიკლეს დროს მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები: ანაქსაგორე, სოკრატე, დემოკრიტე აბდერელი; სოფისტები: პროტაგორე აბდერელი, გორგია სიცილიის ქალაქ ლეონტინიდან; ხუროთმოძღვრები: ჰიპოდამოს მილეთელი, იქტინე, კალიკრატე, მნესიკლე; ისტორიკოსები: თუკიდიდე ოლორეს ძე და ჰეროდოტე ჰალიკარნასელი; პოეტი პინდარე; მოქანდაკეები: მირონი — „დისკობოლის" შემქმნელი, ათენა პალადას და ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებების ავტორი ფიდიასი; ტრაგიკოსები: ექსილე, სოფოკლე, ევრიპიდე და პოლიტიკურ კომედიების ავტორი არისტოფანე, რომელიც პერიკლეს თანამედროვე ათენის შესახებ წერდა: „შენ ჯირკი ხარ, თუ ათენი არ გინახავს, ვირი ხარ, თუ ნახე და არ აღფრთოვანდი, ხოლო თუ ის შენი სურვილით დატოვე, მაშინ შენ აქლემი ხარ".

მიუხედავად ბერძნული კულტურის აყვავებისა, ეკონომიკის მაღალი დონე არ იყო ათენში. მოკავშირე პოლისებში მრავლად იყვნენ თავისუფალი ხელოსნები და მცირე მიწის ნაკვეთების მფლობელები, რომლებიც ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად მუშაობდნენ. მაგალითად: ოქრომჭედლები, მჭედლები, მხატვრული თიხის ჭურჭლის მკეთებელნი, ქვის მთლელები, მარმარილოს ოსტატები და სხვა მრავალი.

საბერძნეთის ოლქებიდან მიწათმოქმედების რაიონებად ითვლებოდნენ: ლაკონია, მესენია, ბეოტია და თესალია, სადაც მოჰყავდათ პური, ქერი, მუხუდო. დანარჩენ ოლქებში განვითარებული იყო ზეთის ხილის მეურნეობები, მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. ყველაზე მეტად ათენს პური უჭირდა, ამიტომ ათენელი ხელოსნები ბლომად ამზადებდნენ სახელოსნო ნაწარმს იმპორტისთვის: თოხებს, ბარებს, ნიჩბებს, დანებს, მახვილებს, თიხის შავლაქიან ჭურჭლებს, ქსოვილებს, მარმარილოსაგან და თიხისაგან ღვთაებების გამოსახულებებს. ათენიდან გაჰქონდათ აგრეთვე ღვინო, ზეითუნის ზეთი, ზეთისხილი და სხვა მარავალი საქონელი. შემოჰქონდათ პური, თევზი, ხე-ტყე, სანთელი, ბეწვეული, მატყლი, შემოჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენები და მონები.

ბერძენ-სპარსელთა ომების დროს საბერძნეთში დაიწყო მონებით ვაჭრობა. სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე შავი ზღვისპირეთიდან, თრაკიიდან ჩამოყვანილ მონებს ჰყიდიდნენ მონათა ბაზრებზე ათენში, კუნძულ ქიოსსა და დელოსზე. მონებს ატიტვლებდნენ, არბენინებდნენ, რათა გამოეკვლინათ მათი ფიზიკური ნაკლი. ხელობის მცოდნეებს იქვე, ბაზარში აიძულებდნენ ეჩვენებინათ თავიანთი ცოდნა და უნარი. სკვითები, თრაკიელები, ირილიელები მონების დაუფლების მიზნით ხშირად თავს ესხმოდნენ ერთმანეთს. მონობაში ჩავარდნილი ოჯახის წევრები ხშირად ცალ-ცალკე იყიდებოდნენ. ათენელმა ხელოსნებმა დაიწყეს სახელოსნოებში მონების გამოყენება. მდიდარი მონათმფლობელები ნაყიდ მონებს იყენებდნენ თავიანთ მეურნეობაში ან სახლში შინამოსამსახურეებად. ყველაზე მეტი მონები ჰყავდათ თიხის ჭურჭლის სახელოსნოებში. მთელი შავი საქმე, თიხის ზელვა, ღუმელების დანთება და სხვა, მონების ეკისრებოდათ. ზოგჯერ სახელოსნოების მფლობელები ნიჭიერ მონებს ავალებდნენ შავფიგურებიან და შავლაქიან ჭურჭლების კეთებას. მონები მუშაობდნენ მქსოველებად და იარაღის მკეთებლებად.

ორატორ დემოსთენეს მამას სახელოსნოში 33 მონა ჰყავდა, ორატორ ლისიას ფარების სახელოსნო კი 120 მონას ითვლიდა. პატარა სახელოსნოებში ორიდან ათ მონამდე მუშაობდა. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ლავრეონის ვერცხლის მაღაროებში მომუშავე მონები, სადაც ისინი, დღე და ღამ ჭვარტლიანი ჭრაქის სინათლეზე მუშაობდნენ. აქ სამუშაოდ უმთავრესად გზავნიდნენ ურჩ და მეამბოხე მონებს, რადგან აქ მუშაობის პირობები მეტად მძიმე იყო და ამის გამო სიკვდილიანობაც ერთობ მაღალი. ათენში იყვნენ ისეთი მონათმფლობელები, რომლებიც მონებს თვეობით, წლობით აქირავებდნენ. მაგალითად, მონათმფლობელ ნიკიას 1000 გაქირავებული მონა ჰყავდა, გამქირავებლის მონა თუ კვდებოდა, დამქირავებელი ვალდებული იყო პატრონისათვის დანაკარგი მონითვე აენაზღაურებინა. იურიდიულად მონა პატრონის საკუთრებას წარმოადგენდა. მონის მოკვლა არ შეიძლებოდა, შიმშილით ან ცემით სიკვდილამდე მიყვანა კი შეიძლებოდა.

მიუხედავად მონების მრავალფეროვანი პროფესიებისა (პედაგოგები, ექიმები, მზარეულები, მსახიობები, მუსიკოსები, მოცეკვავები, ფილოსოფოსები, მხატვრები), ისინი მონათმფლობლების სრულ განკარგულებაში იმყოფებოდნენ. არსებობდნენ სახელმწიფო მონებიც,

რიცხობრივად ძალიან მცირენი, ისინი მუშაობდნენ: კანცელარიაში გადამწერებად, მდივნებად, მეეზოვებად, მეთვალყურეებად, საპყრობილეების დარაჯებად და პოლიციურ სამუშაოს შემსრულებლებად. ამ მონების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. მათ სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდათ გარკვეული გასამრჯელო არსებობისათვის და ზოგჯერ ცოლშვილიც ჰყავდათ.

ძვ.წ. V-IV სს. ბერძნულ პოლისებში, უმთავრესად კი ათენში, გაჩნდნენ ტრაპეზიტები. ტრაპეზა მაგიდას ნიშნავდა, ასეთი ტრაპეზები ბერძნულ ქალაქების ნავსადგურებში არსებობდა. მათი საქმიანობა იყო ფულის გადახურდავება, სხვა და სხვა პოლისებში ფულის გაგზავნა, შენახვა. ასეთ საბანკო საქმეს აწარმოებდნენ განთავისუფლებული მონები აზატები, ან მეტეკები — უცხოელები, რომლებიც ფულის გასესხებას პროცენტებით აწარმოებდნენ. ბერძენი თავისუფალი მოქალაქე ამ საქმიანობას არ მისდევდა. მონათმფლობელთა ნიჭიერი მონები ასეთი საბანკო ოპერაციების წყალობით თავს გამოისყიდიდნენ ხოლმე მონათმფლობელისაგან, მდიდრდებოდნენ და მეტეკები ხდებოდნენ.

ბერძნული მონეტები

საბერძნეთში ბლომად იყო პოლისები, რომლებიც თავიანთ საკუთარ ფულს ჭრიდნენ. ათენელები, მაგალითად, ვერცხლის ფულს დრახმას სჭრიდნენ, სხვა პოლისები კი სპილენძისა და რკინის ფულსაც. ოქროს ფულის მოჭრა პირველად მაკედონიის მეფე ფილიპე II დაიწყო და მან თავისი მონეტა ფილიპიკი გაუთანასწორა სპარსულ ოქროს ფულს დარიკს. ძვ.წ. IV ს. ყველაზე მდიდარ ტრაპეზიტად ითვლებოდა პასიონი, რომელსაც საკუთარი ფული 60 ტალანტი

ჰქონდა და ამდენივე მიბარებულიც. მონების განთავისუფლება საბერძნეთში იშვიათად ხდებოდა ღვთაებებზე მიყიდვით. ასეთი მონები სამუდამოდ თავისუფლდებოდნენ და მეტეკების სიებში ირიცხებოდნენ. მონურმა შრომამ საბერძნეთში თავისუფალი ხელოსნების შრომა დამამცირებელი გახადა და ხელოსნები მონების მდგომარეობას დაუახლოვა.

ძვ.წ. V ს. შუა წლებში ათენი უდიდესი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრად იქცა. მისი ნავსადგურები პირეოსი და ფალერონი ხუთი კილომეტრით იყვნენ ათენიდან დაცილებული და ვაჭრობისათვის ძალიან ხელსაყრელ ნავსადგურებს წარმოადგენდნენ. ათენელი ვაჭრები ვაჭრობდნენ თავის მოკავშირეებთან, აგრეთვე თრაკიის, მცირე აზიისა და შავი ზღვის ახალშენების მოსახლეობასთან. პერიკლემ ათენის საზღვაო ძალების ძლიერების დემონსტრაციაც კი მოაწყო თავისი სტრატეგოსობის დროს. მან ათენის და მოკავშირეების ფლოტით შემოუარა ეგეოსის ზღვის ყველა კუნძულს, მცირე აზიის ბერძნულ პოლისებსა და შავი ზღვის ბერძნულ ახალშენებს.

ათენის სახელმწიფოს ხაზინაში შემოდიოდა ლავრეონის ვერცხლის მაღაროების შემოსავალი, საბაჟო, საბაზრო, აგრეთვე მრავალრიცხოვანი სამოქალაქო გადასახადები: სასამართლო, მონების ყიდვა-გაყიდვა, საზოგადოებრივი, რომელსაც მეტეკები იხდიდნენ ათენის ტერიტორიაზე ცხოვრებისათვის და სხვა. ათენის სახელმწიფო სოლონის დროიდან, საჭიროებისდა მიხედვით ათენელ მდიდარ მიწათმფლობელებს ლიტურგიას უწესებდა — სამხედროთა მოწყობა-შეიარაღება, ათენელი მოსახლეობის პურით მომარაგება, დღესასწაულების გამართვის ხარჯების ანაზღაურება და ა.შ.. ათენის სახალხო კრება „ეკლესია“ ადგენდა განსაკუთრებულ გადასახადს „ეისფორიას“, რომელიც უნდა გადაეხადა ყველა იმ ათენელ მოქალაქეს, ვისაც წლიური შემოსავალი 2000 დრახმაზე მეტი ჰქონდა. ათენის სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი — 400 ტალანტი ვერ აკმაყოფილებდა რესპუბლიკის გაზრდილ მოთხოვნილებას და ამიტომ „ათენის საზღვაო კავშირის“ ყოველწლიური 600 ტალანტიანი ხაზინა, ათენის ხაზინასთან შეერთების შემდეგ, მის განკარგულებაში აღმოჩნდა, ამით დემოსმა მოკავშირეთა ხარჯზე დაიწყო არსებობა.

პერიკლეს დროს საგარეო პოლიტიკა აგრესიული, დაპყრობითი ხასიათისა იყო. ათენი მიისწრაფოდა თავისი გავლენის გავრცელებისაკენ შავი ზღვისა და სიცილია-იტალიის მიდამოებში, რათა მთელ ბერძნულ სამყაროში უპირატესობა მოეპოვებინა. როგორც კი ძვ.წ. 449წ. კალიასის ზავი იქნა დადებული სპარსეთთან, ათენელებმა თავიანთი კლერუხები გაიყვანეს თრაკიის ხერსონესში, თრაკიის სტრიმონის შესართავთან და მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთ სანაპიროზე. ათენი მოკავშირეების განდგომას სასტიკად ებრძოდა. როდესაც კუნძულ სამოსზე მმართველ ოლიგარქებს ათენისადმი მტრული განწყობა შეამჩნიეს, პერიკლემ ისინი გადააყენა და მათ მაგიერ სამოსელი დემოკრატები დანიშნა. პერიკლეს უშუალო ინიციატივით ძვ.წ. 443 წ. სამხრეთ იტალიაში სიბარისის ადგილას შეიქმნა ათენელების ახალშენი თურიე, რომელიც იტალიაში დიდი საბერძნეთის ელინთა ცენტრად უნდა ქცეულიყო. ამ ახალშენის დამაარსებლებს შორის იყვნენ ფილოსოფოსები ემპიდოკლე აკარნანელი, პროტაგორე აბდერელი და ჰეროდოტე ჰალიკარნასელი. ქალაქი თურიეს არქიტექტურა ეკუთვნოდა ცნობილ ხუროთმოძღვარს ჰიპოდამას, მაგრამ პერიკლეს იმედი არ გამართლდა, ოლიგარქიული გადატრიალების შემდეგ თურიე ათენის მტრების მხარეზე აღმოჩნდა.

პერიკლეს მოკავშირეები იყვნენ კუნძულები: ზაკინთოსი, კერკირა, სიცილიის ქალაქებიდან: სეგესტა, ლეონტინი და იტალიის ქალაქები: რეგია და ნეაპოლი. ასე გაიკვლია „ათენის საზღვაო კავშირმა" სავაჭრო გზა დიდი საბერძნეთისაკენ, რაც დიდ უკმაყოფილებასა და შიშს იწვევდა სპარტასა და კორინთოში, რომელთა სავაჭრო ინტერესები დაკავშირებული იყო დიდი საბერძნეთის ბერძნულ პოლისებთან. პელოპონესის მოკავშირე მეგარას, სპარტასთან ჰქონდა კონფლიქტი, რომელშიც ათენი ჩაერია; ათენის დახმარებით მეგარა გამოვიდა პელოპონესის კავშირიდან და „ათენის საზღვაო კავშირში" შევიდა. ათენმა მეგარა სიმაგრეებითა და გალავნით გაამაგრა და სალონიკის ყურეში მდებარე ნავსადგურ ნისეას დაუკავშირა. ამით მეგარა ხმელეთიდან მიუდგომელ სიმაგრედ იქცა.

ათენელებმა მეგარაში და მის ნავსადგურში თავიანთი ჯარები ჩააყენეს. ასე გაბატონდა ათენი ისთმოსის მიდამოებში და მეტად საშიში გახდა არა მარტო სპარტის, არამედ მისი მოკავ-

შირეებისთვისაც. ათენელებმა თავიანთი ძველი მეტოქე კუნძული ეგინა დაიპყრეს. სპარტა კი ვერ ახერხებდა ათენისათვის წინააღმდეგობის გაწევას, რადგან ითომზე აჯანყებულ ჰილოტების გამო მთელი თავისი ძალები მესენიაში ჰყავდა თავმოყრილი. ათენელების შუამდგომლობის წყალობით, ძვ.წ. 457 წ. მეამბოხე ჰილოტები სპარტამ მესენიიდან გაასახლა. ამის შემდეგ, რაღაც უმნიშვნელო მიზეზის გამო, სპარტის მეფე ნიკომედე ჯარებით შუა საბერძნეთში შეიჭრა და ტანაგრასთან ათენელები დაამარცხა, მაგრამ ამ ბრძოლაში სპარტელებიც ძალიან დაზარალდნენ, ბევრი მეომრები დაეხოცათ და ატიკაში შესვლა ვერ მოახერხეს. ამით ისარგებლეს ათენელებმა და სპარტელები ენოფიტთან დაამარცხეს, ამის შემდეგ ათენმა ბეოტიაში თავისი ბატონობა აღადგინა. სპარტელთა ერთგული კი იქ მხოლოდ ქალაქი თებე დარჩა.

პერიკლეს მუზარადი

ათენელები ისე გათამამდნენ, რომ ააოხრეს პელოპონესის ჩრდილო სანაპირო და ქალაქი ტრეზენაც დაიპყრეს. ასე მიაღწია ათენმა უსაზღვრო ძლიერებას ზღვასა და ხმელეთზე, თუმცა ზომიერების შეგრძნება დაკარგა და დაიწყო სპარსეთისა და ეგვიპტის შინაურ საქმეებში ჩარევა, ამიტომაც ორივე ფლოტი დაკარგა ნილოსის დელტის მიდამოებში. სპარსელების მიერ ორი ფლოტის განადგურებამ, მათი საბერძნეთში შემოჭრის შიში აღძრა და ამ საბაბით „ათენის საზღვაო კავშირის“ ხაზინა კუნძულ დელოსიდან ათენის აკროპოლისში გადაიტანეს.

პერიკლემ გაძევებული მოხუცი კიმონი გადასახლებიდან დაბრუნა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა, რომელმაც ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა: კუნძულ კვიპროსთან ძვ.წ. 449 წ. სპარსთა დიდი ფლოტი საზღვაო ბრძოლაში გაანადგურა და კუნძული სპარსელებს წაართვა, მაგრამ ამ ბრძოლაში კიმონი სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. ბერძნების წარმატებით შეშინებულმა სპარსეთმა, ძვ.წ. 449 წ. ე. წ. კალიასის

ზავით, მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი თქვა და მცირე აზიის ბერძნული პოლისების დამოუკიდებლობა აღიარა. ამის შემდეგ სპარსეთმა შეწყვიტა ყოველგვარი მტრული მოქმედება ბერძნების წინააღმდეგ.

ძვ.წ. 448 წ. ბერძენ-სპარსელთა ომის დამთავრების შემდეგ, პერიკლემ მოინდომა ბერძნული სახელმწიფოების ყრილობის მოწვევა, რათა აღდგენილიყო ომის დროს განადგურებული ტაძრები. ყრილობის მოწვევას წინ აღუდგა სპარტა და ჩაშალა იგი. თანაც მისი წაქეზებით ბეოტიელმა ოლიგარქებმა ქერონეაში ათენელთა სამხედრო ძალები გაანადგურეს. აჯანყების შედეგად გადარჩენილი ათენელთა გარნიზონის განადგურების შემდეგ, მეგარა პელოპონესის



აკროპოლისის გეგმა

კავშირში დაბრუნდა. ოლიგარქიული გადატრიალება მოხდა კუნძულ ევბეაზეც. ათენმა ევბეელი ოლიგარქები დაამარცხა და კუნძული-დან გააძევა, მათ მიწებზე კი ათენელი კლერუხები დაასახლა.

მგლოვიარე ათენა, რელიეფი

ყველაზე საშიში იყო სპარტელების ჯარის შეჭრა ატიკაში; მათ ელევსინამდე მიაღწიეს, მაგრამ პერიკლემ სპარტელთა მეფის მოსყიდვა მოახერხა და სპარტელთა ლაშქარი ატიკიდან პელეპონესში გაიყვანა.

ორივე მხარე სასტიკად დაიღალა. ზოგი ისტორიკოსი პელოპონესის პირველ ომის ხანად მიიჩნევს ძვ.წ. 457-446 წწ., რის შედეგადაც ათენსა და სპარტას შორის ძვ.წ. 445 წ. 30 წლიანი ზავი დაიდო. ამ ზავის ძალით ორივე მხარე პირობას სდებდა, რომ მათი ურთიერთობა მომავალში მშვიდობიანი იქნებოდა, თუმცა მან არ გადაჭრა ის წინააღმდეგობები, რომელიც არსებობდა ათენის საზღვაო კავშირსა და პელოპონესის კავშირს შორის.

პელოპონესის ომი

პელოპონესის ომის ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს ომის მონაწილე ათენელი ისტორიკოსის თუკიდიდე ოლორეს ძის „პელოპონესის ომის ისტორია“, რომელიც აღწერილია ძვ.წ. 411 წლამდე. ომის ისტორიას აგრძელებს მეორე ათენელი ისტორიკოსი ქსენოფონტე (ძვ.წ. 430-355 წწ.) თავის „საბერძნეთის ისტორიაში“. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. 90-21 წწ.), ხოლო პლუტარქე (ახ.წ. 46-126 წწ.) პელოპონესის ომის აქტიური მონაწილეების: პერიკლეს, ნიკიასის, ალკიბიადეს და ლისანდრეს ბიოგრაფიებს. პელოპონესის ომის ამბებს ასახავს მისი თანამედროვე არისტოფანე თავის პოლიტიკურ კომედიებში: „მხედრები“, „ღრუბლები“, „ზავი და ფრინველები“.

პელოპონესის ომი წარმოებდა ძვ.წ. 431-404 წწ. ორ სამხედრო კავშირს — პელოპონესისა და ათენის საზღვაო კავშირებს შორის ბერძნული სამყაროში ჰეგემონობისათვის. იგი 27 წელი გრძელდე-

ბოდა. საბერძნეთის პოლისები ერთიანდებოდნენ პელოპონესის ან ათენის საზღვაო კავშირში. ამიტომ ამ ომმა ფაქტიურად მოიცვა მთელი ბერძნული სამყარო. ათენის საზღვაო კავშირის სწრაფ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებას თან სდევდა ხშირი კონფლიქტები საკუთარ მოკავშირეებთან და სხვა პოლისებთან. ომმა კი შეწყვიტა ათენის საზღვაო კავშირის აღზევება.

თუკიდიდე

ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოშობილი შინაგანი წინააღმდეგობა, რადგანაც ზოგი პოლისი ჩამორჩენილ აგრარულ მხარეს წარმოადგენდა, ზოგი კი მოწინავე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს და ამის გამო მათ შორის იზრდებოდა ინტერესთა სხვადასხვაობა. სპარტა ცდილობდა აღედგინა პოლიტიკური და სამხედრო ავტორიტეტი, რომელიც დაჰკარგა ათენის აღზევების გამო. ამიტომ ის და მისი ეკონომიკურად განვითარებული მოკავშირე პოლისები — კორინთო და მეგარა ათენის საზღვაო კავშირის დამარცხებით ცდილობდნენ ამის განხორციელებას.

პელოპონესის ომის მეორე მიზეზი იყო ის, რომ ათენი დევნიდა არისტოკრატიას და ყველგან დემოკრატიულ მმართველობას ნერგავდა, სპარტა კი პირიქით, დევნიდა დემოკრატებს და მფარველობდა არისტოკრატიას.

მესამე მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ პელოპონესის კავშირში შედიოდნენ არა მარტო აგრარული პოლისები, არამედ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები: კორინთო და მეგარა, რომლებიც ათენის მნიშვნელოვანი მეტოქეები იყვნენ ვაჭრობა-ხელოსნობის დარგში. ათენის ვაჭრობის სფერო მოიცავდა ეგეოსის ზღვის მიდამოებს, თრაკიას და შავი ზღვისპირეთს; კორინთო-მეგარის კი — ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროს, სიცილიასა და სამხრეთ იტალიის მიდამოებს. როდესაც ათენმა იქ დააარსა ახალშენი თურიე, დაიწყო თავისი სავაჭრო გემების გაგზავნა სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში. ათენის ამგვარმა შეჭრამ

კორინთოსა და მეგარის ვაჭრობის სფეროში უკმაყოფილება გამოიწვია. ათენს სურდა კორინთოსა და მეგარის სავაჭრო კლიენტურის ხელში ჩაგდება. ამრიგად, ათენისა და კორინთო-მეგარის ინტერესთა შეჯახება ერთ-ერთი მიზეზი გახდა პელოპონესის ომისა. ასეთივე დაპირისპირება მოხდა ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც კორინთო და მეგარა ვაჭრობდა თრაკიელ ტომებთან, ბერძენ-სპარსელთა ომამდე. ომის შემდეგ ათენმა გააძევა ისინი და ეს მხარე თავის სავაჭრო ბაზად აქცია. პელოპონესის კავშირში ამ დროს დიდი გავლენა მოიპოვა იმ ძალებმა, რომლებიც ათენთან ომს მოითხოვდნენ.

პელოპონესის ომის საბაბი გახდა: პირველი — კერკირასა და ეპიდამნოსის საკითხი. კორინთოს ახალშენმა კერკირამ (კუნძულ კორფუზე) დაარსა ილირიის სანაპიროზე ახალშენი ეპიდამნოსი (თანამედროვე ალბანეთის ნავსადგური დურესი), სადაც ძვ.წ. 435 წ. მოხდა დემოკრატიული გადატრიალება. ეპიდამნოსელმა დემოკრატებმა დახმარებისათვის მიმართეს კორინთოს, არისტოკრატებმა კი კერკირას. საზღვაო ბრძოლაში კერკირამ კორინთელები დაამარცხა. ამის შემდეგ კორინთო კერკირას წინააღმდეგ შეუდგა საფუძვლიან მზადებას. ამით შეშინებული კერკირელი ოლიგარქები ათენის საზღვაო კავშირში შეეიდნენ, რის შემდეგაც ათენმა თავის საზღვაო ძალები გააგზავნა კერკირას დასახმარებლად, რომელთაც კორინთოელები საზღვაო ბრძოლაში დაამარცხეს. ამის შემდეგ კერკირა ათენის სრულ განკარგულებაში გადავიდა. ამით, კორინთოსა და მეგარას სიცილია-იტალიისაკენ მიმავალ საზღვაო გზაზე ახალი დაბრკოლება გაუჩნდათ.

ასე დაარღვია ათენმა ძვ.წ. 445 წ. სპარტასთან დადებული 30 წლიანი ზავი, რომლის ერთ-ერთი მუხლის თანახმადაც არც ათენსა და არც სპარტას თავის მხარეზე სხვისი მოკავშირე არ უნდა გადაებირებინა. ათენისა და კორინთოს შეჯახების დროს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ოლიგარქიული კორინთო ეპიდემნოსელ დემოკრატების დამცველი გამოდის, დემოკრატიული ათენი კი — ოლიგარქიული კერკირასი. ნათლად ჩანს, რომ ათენისა და კორინთოს ეკონომიკური ინტერესები პოლიტიკურ ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანია.

პელოპონესის ომის მეორე საბაბი პოტიდეის პრობლემა იყო.

ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე კორინთომ დაარსა ახალშენი პოტიდეა, რომლის მეოხებითაც კორინთოს ხე-ტყის მასალა გამოჰქონდა თრაკიიდან. მაგრამ პოტიდეა აღმოჩნდა ათენელ მოკავშირეებით გარემოცული და იძულებული გახდა კორინთოს ნებართვით, ათენის საზღვაო კავშირში შესულიყო. კერკირასთან დამარცხებამ, კორინთოს გადამწყვეტი ნაბიჯი გადაადგმევინა, მან პოტიდეას მოსთხოვა ათენის საზღვაო კავშირიდან გასვლა, ათენმა პოტიდეას ამის ნება არ მისცა და თავისი ფლოტით ზღვიდან მიადგა. კორინთო და მეგარა ამაოდ ცდილობდნენ დახმარებოდნენ მას, რადგან არაფერი გამოუვიდათ. მაშინ მათ ოფიციალურად მიმართეს სპარტას, რათა გადამწყვეტი ზომები მიეღო ათენის წინააღმდეგ.

მეგარელების მტრული მოქმედებით ნაწყენმა ათენელებმა სახალხო კრებაზე მათ ბრალად დასდეს ათენიდან გაქცეული მონების მფარველობაში. ათენის სახალხო კრებამ გამოიტანა დადგენილება „მეგარის ფსეფიზმა", რომლითაც მეგარელებთან ვაჭრობა ეკრძალებოდა ათენის საზღვაო კავშირში შემავალ ყველა პოლისს. ეს ღონისძიება მეგარის ვაჭრობისათვის ძალიან მძიმე დარტყმა იყო, რადგან ძირითადად ათენელ მოკავშირეებთან ვაჭრობდნენ და ეს აკრძალვა ნიშნავდა მეგარის სავაჭრო საქმიანობის ბლოკადას. მეგარამ სპარტას დაცვა და დახმარება სთხოვა. პელოპონესის კავშირის წარმომადგენელთა სხდომა შეიკრიბა და განიხილა კორინთოს და მეგარას საჩივარი, რის შედეგადაც კავშირმა ათენში მიავლინა წარმომადგენლები მოთხოვნით: მეგარის ფსეფიზმის გაუქმება, ათენის საზღვაო კავშირიდან მისი მოკავშირეებისათვის თავისუფალი გამოსვლის უფლების მინიჭება და ათენიდან პერიკლეს გაძევება. ყველა ეს მოთხოვნა ათენის სახალხო კრებამ უარყო, მაშინ პელოპონესის კავშირმა ძვ.წ. 445 წ. ათენს ომი გამოუცხადა 30 წლიანი ზავის დარღვევისათვის ომს ეწოდება პელოპონესის ომი, რადგან ეს ომი პელოპონელებმა დაიწყეს. თუკიდიდეს მოსაზრებით, სპარსეთთან ომის შემდეგ ათენის სამხედრო ძლიერება არაჩვეულებივად გაიზარდა და ამ გარემოებამ სპარტისა და მისი მოკავშირეების ძლიერი შეშფოთება გამოიწვია.. პელოპონესის კავშირი აცხადებდა, რომ ომს იწყებს იმიტომ, რომ ათენის ტირანიისაგან

ეხსნა ბერძენთა პოლისები. აქტიური საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე სპარტელთა მეფე არქიდამემ კიდევ ერთხელ სცადა მშვიდობიანი მოლაპარაკებით აეცდინა ომი სპერძნეთისათვის და ათენში გაგზავნა პელოპონესის კავშირის წარმომადგენელი მელესიპე, რომელსაც ათენელებმა არც კი მოუსმინეს და უკან გააბრუნეს. როდესაც იგი ატიკის საზღვარს ტოვებდა განაცხადა, რომ ელინებისათვის ეს დღე იქნება დიდი უბედურების დასაწყისიო.

ათენის დემოსი უშრომლად იმდენ პრივილეგიებს ღებულობდა სახელმწიფოსაგან, რომ სამხედრო კავშირს შეექმნა ათენის ძალაუფლების უძლეველობის რწმენა. მათი აზრით, ათენს ძალუძს პელოპონესის კავშირის დაპყრობა, ამიტომ ათენელებიც მიისწრაფოდნენ ომისაკენ — დაეპყროთ ახალი „მოკავშირეები" და ამით სახელმწიფო შემოსავალი გაეზარდათ. პერიკლემ კი კარგად იცოდა სპარტისა და ათენის შესაძლებლობანი და ამიტომ ომის წინააღმდეგი იყო. ამის გამო, პერიკლეს წინააღმდეგ ომის მსურველებისაგან შეიქმნა ოპოზიცია, რომელმაც მისი ახლო მეგობრების რეპუტაციის შელახვა მოინდომა, რათა ავტორიტეტი შეერყია თვით პერიკლესთვისაც. მის მეგობარს, მოქანდაკე ფიდიასს დააბრალეს ათენა პალადას ქანდაკების შექმნის დროს ძვირფასი მასალის — ოქროსა და სპილოს ძვლის მოპარვა და დააპატიმრეს. პერიკლეს მასწავლებელსა და მეგობარს ფილოსოფოს ანაქსაგორეს კი ულმერთობა, ციურ მოვლენებზე მსჯელობით ახალგაზრდებში მავნე იდეების გავრცელება დასწამეს. ისიც იძულებული გახდა წასულიყო ლამპსაკში. პერიკლეს გარშემო ოპოზიციის რკალი ვიწროვდებოდა. ბოლოს იერიში მიიტანეს პერიკლეს მეუღლე ასპაზიაზე, რომელსაც დაბრალეს მაჭანკლობა. პერიკლემ მოახერხა ამ ბრალდებებისაგან მისი გამართლება, მაგრამ იძულებული გახდა ოპოზიციის მოთხოვნები შეესრულებინა, უთანხმოება გამოეწვია სპარტასთან, ამიტომ ათენის სახალხო კრებაზე პროვოკაციული დადგენილება გამოიტანა, რასაც მოჰყვა პელოპონესის კავშირისათვის ომის გამოცხადება.

პერიკლემ, როგორც ათენის სტრატეგოსმა, შეადგინა მტერზე თავდასხმისა და მოგერიების გეგმა. მისი გეგმით ათენელებს საზღვაო ძალებით უნდა აეოხრებინათ პელოპონესის სანაპიროები, ხოლო ატიკის მოსახლეობას უნდა მიეტოვებინა მამულები, სახლ-კარი

და ცოლშვილით და დოვლათით თავი შეეფარებინა ათენისათვის. პერიკლეს გეგმა არ ითვალისწინებდა ატიკის მრავალრიცხოვან მიწათმოქმედთა ინტერესებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში შექმნილი მეურნეობის, ხეხილის ბაღების, ზეთისხილის პლანტაციებისა და ვენახების აკლებას არავის აპატიებდნენ. პერიკლემ ვერ შეაფასა ოპოზიციის შესაძლებლობებიც და ამიტომ სასტიკად დამარცხდა.

პელოპონესის ომის პირველ პერიოდს — ძვ.წ. 431-421 წწ. სპარტის მეფე არქიდამეს სახელის მიხედვით „არქიდამეს ომი" ეწოდება. იგი ძვ.წ. 431 წ. ზაფხულში შეიჭრა ატიკაში, როცა ათენელებს მოსავალი უნდა აეღოთ. მან გაანადგურა და ცეცხლს მისცა ყველაფერი, გაჩეხა ხეხილის ბაღები და ვენახები. სასოწარკვეთილი გლეხები ლანძღავდნენ და სწყევლიდნენ პერიკლეს. ათენში, ატიკიდან შემოხიზნული მრავალრიცხოვანი მოსახლეობა საშინელ დღეში იმყოფებოდა, ცხოვრობდნენ ქუჩებში, მოედნებზე, ტაძრებში და ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა. ანტისანიტარულმა პირობებმა და ეგვიპტიდან შემოსულმა საშინელმა ეპიდემიამ ხალხს მუსრი გაავლო. ვერ ასწრებდნენ დახოცილთა დაკრძალვას. ათენის მოსახლეობის ერთი მესამედი დაიღუპა. 27 ათასი ჰოპლიტიდან 4400 კაცი ამ ეპიდემიამ იმსხვერპლა. ხალხი აღდგა პერიკლეს წინააღმდეგ და ძვ.წ. 430 წ. 15 წლის განმავლობაში პირველად აღარ აირჩიეს სტრატეგოსად, თანაც სახელმწიფო თანხების არასწორი ხარჯვისათვის სასამართლოში მისცეს. პერიკლემ მოახერხა თავის გამართლება, ჯარიმაც კი გადაიხადა და ძვ.წ. 429 წ. კვლავ აირჩიეს სტრატეგოსად, მაგრამ მალე გარდაიცვალა ათენში გავრცელებული ეპიდემიისაგან. ამის შემდეგ, ათენის რადიკალური დემოკრატიის ბელადი გახდა პროფესიით მეტყავე, ვინმე კლეონი. იგი ათენის სახალხო კრების სრული ბატონ-პატრონია. მას სძულდა განათლებული ადამიანები, განსაკუთრებით პერიკლე. ისტორიკოსი თუკიდიდე, მას მოქალაქეთა შორის ყველაზე უთავხედესს ეძახდა. თუკიდიდეს გადმოცემით, მთელი ელადა ერთმანეთს ებრძოდა, უთანხმოება იყო დემოკრატიულ და ოლიგარქიულ პარტიებს შორის, დემოკრატები უხმობდნენ ათენელებს, ოლიგარქოსები — ლაკედემონელებს. ორივე მხარეს უამრავი უბედურება დაატყდა თავს.

ეპიდემიის გამო სიკვდილიანობამ და სპარტელებისგან ატიკის აოხრებამ, ათენის საზღვაო კავშირში შემავალ მოკავშირეებს დაუკარგა ძლიერების რწმენა და ძვ.წ. 428 წ. კუნძულ ლესბოსის ქ. მიტილენის არისტოკრატიამ ათენის საზღვაო კავშირიდან გასელა მოინდომა, მაგრამ ათენელებმა ისინი სასტიკად დასაჯეს. 1000 მიტილენელი არისტოკრატი მოკლეს, ლესბოსს ჩამოართვეს ფლოტი და დაუწესეს ფოროსი, მათ ტერიტორიაზე კი 3.000 ათენელი დაასახლეს.

ამ ომის დროს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ათენის ძველი მოკავშირე ქალაქი პლატეა აღმოჩნდა. სპარტელებმა ეს ქალაქი ბრძოლით აიღეს, მამაკაცები სიკვდილით დასაჯეს, ქალები და ბავშვები კი მონებად გაჰყიდეს. ათენის მოკავშირე კერკირაშიც ორი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომი წარმოებდა. სპარტელებისაგან წაქეზებული კერკირელი ოლიგარქოსები ორი წლის განმავლობაში ებრძოდნენ და ხოცავდნენ დემოკრატებს. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე პოტიდეელები, რომლებსაც ორი წლის განმავლობაში ებრძოდა ათენი. საბოლოოდ მათ დატოვეს თავიანთი ქალაქი და თრაკიის სანაპიროზე დასახლდნენ. ათენელებმა კი მათ ქალაქში ათენელი კლერუხები ჩამოიყვანეს.

ძვ.წ. 425 წ. ათენის ფლოტმა სარდალ დემოსთენეს მეთაურობით, პელოპონესის ნახევარკუნძულს შემოუარა და ნავსადგური პილოსი დაიკავა. ათენელების პილოსში გამაგრებას მესენიელ ჰილოტების ახალი აჯანყება შეიძლება გამოეწვია. ამიტომ შეშინებულმა სპარტამ გაგზავნა თავისი ჯარის საუკეთესო ნაწილები, რომლებმაც პილოსის ნავსადგურთან მდებარე კუნძული სფაქტრია დაიკავეს, რის შედეგადაც ათენელები ზღვიდან პილოსში ჩაკეტეს. ათენელებმა მეორე ფლოტი გააგზავნეს კლეონის მეთაურობით, რომელმაც კუნძული სფაქტრია გარემოცვაში მოაქცია და 420 მეომარი (აქედან 180 სპარტელი) იგდო ტყვედ. ეს იყო სპარტელების ტყვედ აყვანის პირველი შემთხვევა. გამარჯვებამ კლეონის ავტორიტეტი ძალიან გაზარდა. ათენელების ფლოტმა შეძლო კუნძულ კითერას და მეგარის ნავსადგურ ნისეიონის დაპყრობაც.

სპარტა საპასუხო დარტყმისთვის ემზადებოდა. მისი მრავალრიცხოვანი რაზმები გამოცდილი სარდლის ბრასიდეს მეთაურობით

გაიგზავნა ქალკიდიკაში, რათა ათენელებისათვის ჩამოეცილებინათ ყველაზე მნიშვნელოვანი ახალშენი ამფიპოლისი, რომელიც მდებარეობდა პანგეის ოქროს საბადოებთან და ათენს ამარაგებდა ოქროს ქვიშით. ბრასიდესისათვის ამფიპოლისის აღებაში რომ შეეშალათ ხელი, ათენმა საომრად გაგზავნა ფლოტი და ჯარი თუკიდიდეს მეთაურობით. მაგრამ შესანიშნავი ისტორიკოსი უვარგისი სტრატეგოსი აღმოჩნდა, ამფიპოლისი ვერ დაიცვა, ამიტომ იგი ოსტრაკიზმოთი გააძევეს ათენიდან. ამფიპოლისის გასანთავისუფლებლად ათენელების ფლოტსა და ჯარს სათავეში ჩაუდგა კლეონი. ძვ.წ. 422 წ. ამფიპოლისთან მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელშიც დაიღუპნენ ბრასიდეც და კლეონიც.

ორივე მებრძოლი მხარე, ათენი და სპარტა ბრძოლამ ძალიან დაასუსტა. ამით ისარგებლა ათენელმა მდიდარმა მონათმფლობელმა, ზავის მომხრე ნიკიამ და (სპარტაში ზავის მომხრე მეფე პლეისტონაქსი იყო) ძვ.წ. 421 წ. ათენსა და სპარტას შორის დაიდო 50 წლიანი ზავი, რომელსაც ნიკიას ან „დამპალ ზავსაც" უწოდებენ. ამ ზავის თანახმად, ათენს უნდა გაეყვანა თავისი ძალები ნავსადგურ პილოსიდან და კუნძულ კითერადან, სპარტელებს კი უნდა დაეცალათ ამფიპოლისი. ტყვეები უნდა გაეცვალათ. ჰილოტების აჯანყების შემთხვევაში კი ათენელები უნდა დახმარებოდნენ სპარტელებს. ტყვეები გაცვალეს, მაგრამ არც ერთი მხარე არ ჩქარობდა დაპყრობილი ტერიტორიების განთავისუფლებას. ნიკიას ზავმა ვერ გადაწყვიტა ის პრობლემები, რომლის გამოც ეს ომი დაიწყო. ომის დამთავრებით კმაყოფილი მხოლოდ ათენელი გლეხები იყვნენ, ომის გაგრძელების მსურველი კი — ბეერი: პირველ რიგში სპარტის მოკავშირეები თებე, მეგარა და კორინთო. ათენში ახალი სახელმწიფო მოღვაწეებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც უნდოდათ თავიანთი ნიჭი და უნარი წარმოეჩინათ. მაგალითად, რადიკალური დემოკრატიის ბელადი, კლეონის მეგობარი ჰიპერბოლე, ზომიერი დემოკრატიის კი — პერიკლეს ნათესავი, შესანიშნავი ორატორი, მდიდარი ათენელი მონათმფლობელი, სოკრატეს მოწაფე ალკიბიადე, რომელიც ცდილობდა ათენის მოსახლეობის სიმპათიების დამსახურებას. იგი ძვ.წ. 420 წ. აირჩიეს სტრატეგოსად ნიკიასსა და ჰიპერბოლესთან ერთად.

პელეპონესის ომის მეორე პერიოდში (ძვ.წ. 420-404 წწ.)

საომარი მოქმედებები განახლდა ძვ.წ. 419 წ. არგოსისათვის ნიკიასს უნდა გაეწია დახმარება, მაგრამ ვერ შეძლო. სპარტელებმა არგოსელები ძვ.წ. 418 წ. დაამარცხეს და პელოპონესის კავშირში შეიყვანეს. არგოსის დაკარგვა ათენისათვის დიდი დანაკლისი იყო და ჰიპერბოლეს წინადადებით ნიკიასი ათენიდან ოსტრაკიზმოთი უნდა გაეძევებინათ. მაგრამ ალკიბიადეს ჰიპერბოლეს პოპულარობის უფრო ეშინოდა, ვიდრე ნიკიასის, ამიტომ იგი ნიკიასს შეუთანხმდა და თვით ჰიპერბოლე გააძევეს ოსტრაკიზმოთი. ალკიბიადე ათენის სახალხო კრებაზე ეწეოდა აგიტაციას, რომ საბრძოლო მოქმედებები ბალკანეთიდან, საბერძნეთიდან სიცილიაში გადაეტანათ. მისი აზრით, თუ კუნძულ სიცილიასა და პელოპონესის მოკავშირე ქალაქ სირაკუზს დაიპყრობდნენ, რომელიც კორინთოსა და მეგარას ამარაგებდა პურით, მაშინ ათენი ამ პურის ბეღელს დაეუფლებოდა და კორინთო-მეგარა იძულებული იქნებოდნენ თავი დამარცხებულად ეცნოთ.

ალკიბიადე

სწორედ ამ ხანებში სიცილიის ქალაქ სეგესტის ელჩები ჩამოვიდნენ ათენში: ისინი უჩიოდნენ ქალაქ სელინუნტს, რომელსაც სირაკუზი მფარველობდა და დახმარებას ითხოვდნენ. ამ გარემოებამ განამტკიცა ალკიბიადეს პოზიცია და ათენის სახალხო კრებამ სიცილიაში ლაშქრობის მოწყობის დადგენილება გამოიტანა. 260 გემი მენიჩბეებითა და 38 ათასი მეომრით უნდა წასულიყო სირაკუზის დასაპყრობად. სარდლებად აირჩიეს: ალკიბიადე, ნიკიასი (თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ) და სტრატეგოსი ლამაქი. ძვ.წ. 415 წ. გაზაფხულზე ამ მრავალრიცხოვანი ლაშქარის გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა შემაშფოთებელი ფაქტი.

ათენის ქუჩებში გზაჯვარედინებზე იდგა ოთხწახნაგოვანი სვეტები, რომლის თავზე იყო ღვთაება ჰერმესის გამოსახულება — ე.წ. ჰერმები. ჰერმესი ითვლებოდა მგზავრების, კავშირგაბმულობის, ვაჭრებისა და ქურდების მფარველ ღვთაებად. ეს ჰერმები უცნობმა

ბოროტმოქმედებმა დაამტვრიეს. ყველა საშინელმა წინათგრძნობამ მოიცვა, დაიწყეს დამნაშავის ძებნა. დამნაშავე უღმერთო ადამიანი უნდა ყოფილიყო. ათენში კი ასეთად ალკიბიადე ითვლებოდა, რომელმაც საჯაროდ ბევრჯერ უარყო ღმერთები. მან მოითხოვა გასამართლება, იგი გარშემორტყმული იყო თანამოაზრეებით და მათი საშუალებით შეეძლო თავი გაემართლებინა, ამიტომ მტრებმა გასამართლება მისი ლაშქრობიდან დაბრუნებამდე გადადეს. ალკიბიადე იძულებული იყო ამ დადგენილებას დამორჩილებოდა. სირაკუზის მისადგომებთან მან დაიწყო წარმატებითი საომარი მოქმედებები, მაგრამ ათენში დაუსწრებლად გაასამართლეს და მის ჩამოსაყვანად გემი გაგზავნეს. ალკიბიადემ ლაშქრის მეთაურობა ნიკიასს გადასცა (რომელსაც სრულიად არ სჯეროდა სიცილიის ლაშქრობისა) და თვითონ კი მეგობრების დახმარებით სპარტაში გაიქცა, რის გამოც ათენში, დაუსწრებლად გამოუტანეს სიკვდილის განაჩენი. ალკიბიადემ კი განაცხადა „მე დავუმტკიცებ ათენელებს, რომ ცოცხალი ვარო“.



ჰერმა

ალკიბიადეს წასვლის შემდეგ ნიკიასი უხალისოდ აწარმოებდა ბრძოლას, რამაც სირაკუზელებს საშუალება მისცა თავდაცვისათვის კარგად მომზადებულიყვნენ. ალკიბიადეს რჩევით, სპარტელებმა მეფე აგისის ხელმძღვანელობით გაგზავნეს თავიანთი რაზმები, რომლებმაც დაიკავეს ატიკის ტერიტორიაზე ათენიდან 20 კილომეტრით დაცილებული დეკელეის მიდამოები. სპარტელების დეკელეაში გამაგრებამ ევბეიდან სურსათ-სანოვაგის შემოტანას ხელი შეუშალა. ყველაზე დიდი უბედურება კი ათენელებისათვის ის იყო, რომ ლავრეონის ვერცხლის მაღაროებში საშინელი სამუშაო პირობების გამო სპარტელების მხარეზე გადავიდა 20 ათასამდე მონა. ათენის ეკონომიკამ განიცადა მძიმე დარტყმა, ხოლო როდესაც მას კუნძული ევბეა განუდგა, ათენში შიმშილი დაიწყო.

ომი დიდ სახსრებს მოითხოვდა, ამიტომ ათენელებმა თავიანთ მოკავშირეებს გაუორკეცეს ფოროსი და მათაც განდგომა დაიწყეს.

ოლიგარქიული გადატრიალება მოხდა ათენის მოკავშირე პოლისებში, რის შემდეგ ათენის საზღვაო კავშირდან გავიდნენ კუნძულები: ქიოსი, ლესბოსი, თასოსი, მცირე აზიის ქალაქებიდან კი მილეთი და ეფესო. ალკიბიადეს წასვლის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ათენელი მეომრები სიცილიაში. ნიკიასის უინციატივობის წყალობით სირაკუზელები თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ. ალკიბიადეს რჩევით, სპარტელებმა კორინთელების გემებით სირაკუზელებს გაუგზავნა დამხმარე ძალა სპარტელი სარდლის ჰილიპეს მეთაურობით, რომელმაც ათენელებს ზღვიდან შეუტია. ნიკია და ლამაქი მოითხოვდნენ სიცილიის ექსპედიციის უკან დაბრუნებას. ათენელებმა კი გაწვევის მაგიერ, ძ.წ. 413 წ. სირაკუზში კიდევ 75 გემი და 5 ათასი ჰოპლიტი გაგზავნეს დემოსთენეს მეთაურობით, მაგრამ ათენის ფლოტი სირაკუზის ნავსადგურში მოულოდნელი თავდასხმის გამო დამარცხდა. ლამაქე ბრძოლაში დაიღუპა. ნიკიასის და დემოსთენეს ბრძანებით, ათენელებმა გემები მიატოვეს და ხმელეთზე მათთვის უცნობ ადგილას დაიწყეს უკან დახევა, სადაც ისინი გაანადგურეს.

ნიკიასი და დემოსთენე სირაკუზელებმა სიკვდილით დასაჯეს, ათასამდე ათენელი მეომარი ქვის სამტეხლოებში შეყარეს, სადაც ბევრი შიმშილისაგან დაიხოცა და დანარჩენები მონებად გაყიდეს. ასეთი საშინელი მარცხით დამთავრდა ათენელების სიცილიური ექსპედიცია, რომელმაც გამოიწვია ათენის არა მარტო ფინანსური და სამხედრო-საზღვაო ძალების განახევრება, არამედ მორალური განადგურება. სიცილიის მთელი ეს ლაშქრობა თავიდან ბოლომდე ავანტიურა იყო; რადიკალურ დემოკრატიულ ძალებს, დაპყრობის ხარჯზე სურდათ თავისი მატერიალური და სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესება.

როდესაც სიცილიის ექსპედიციის დაღუპვის ამბავმა მიაღწია ათენამდე, საშინელმა შიშმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა მთელი მოსახლეობა. საუკეთესო ახალგაზრდები დაეღუპათ, შესანიშნავი საზღვაო ფლოტი კი დაკარგეს. ფაქტიურად, ათენი ფლოტისა და ჯარის გარეშე აღმოჩნდა. ხაზინაც დაცარიელდა. მოსალოდნელი იყო, რომ გამარჯვებული მტერი არ დააყოვნებდა და ატიკაში შეიჭრებოდა. ამიტომაც გადაწყვიტეს სასტიკი ეკონომიის ხარჯზე აღედგინათ ათენის ფლოტი და ურთიერთობა ევბეასთან; მოკავშირეებს

გაუუქმეს ფოროსი და მის მაგიერ შემოიღეს 5% საზღვაო ბაჟი, ამ ღონისძიებამ სათანადო შედეგი გამოიღო და მოკავშირეებმა ათენისაკენ პირი იბრუნეს.

სპარტას ათენთან საბრძოლველად სჭირდებოდა ფლოტი, რომელიც მას არასოდეს ჰყოლია. ფლოტის შექმნისათვის მას არც ფინანსები გააჩნდა და არც სხვა მატერიალური საშუალებები. ძვ.წ. 412-411 წწ. სპარტის სახელმწიფოს სახელით, ალკიბიადე წავიდა სპარსეთის ტირან ტისაფერნესთან და სამი პუნქტისაგან შემდგარი ხელშეკრულება დადო:

1. სპარსეთი სპარტას აძლევდა თანხებს ფლოტის შესაქმნელად და შესანახად;

2. ათენის წინააღმდეგ ომი სპარტას და სპარსეთს ერთად უნდა ეწარმოებინათ;

3. სპარტა ამ დახმარებისათვის აღიარებდა სპარსეთის დიდი მეფის უფლებებს მცირე აზიის ბერძნულ პოლისებზე.

სპარსელების დახმარებით სპარტელებმა შესანიშნავი ფლოტი შექმნეს და შეეცადნენ ბოსფორის მიდამოებში ათენისაკენ პურით დატვირთული გემების ხელში ჩაგდებას. მცირე აზიის მთელ რიგ ბერძნულ პოლისებში სპარტელების მეოხებით ოლიგარქიული გადატრიალება მოხდა და ისინი ათენის საზღვაო კავშირს ჩამოსცილდნენ. ძვ.წ. 411 წ. ოლიგარქიული გადატრიალება მოხდა თვით ათენში ანტიფონტეს, კრიტიას და ფერამენეს მეთაურობით, რომლებმაც 400 ბატონობა ანუ ტირანია შექმნეს, მაგრამ მათ შორის არ იყო ერთსულოვნება. ისინი ერთმანეთს მხოლოდ დემოკრატიისადმი სიძულვილში ეთანხმებოდნენ. ამავე დროს ათენელმა ოლიგარქოსებმა სპარტელებს შესთავაზეს ზავი, მაგრამ სპარტელები მათ არ ენდობოდნენ და ათენის კედლებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ უშედეგოდ.

ათენის ფლოტში, რომელიც კუნძულ სამოსთან იდგა, ოლიგარქოსების წინააღმდეგ მოხდა აჯანყება. იგი 4 თვე გაგრძელდა და ოლიგარქოსების დამხობით დამთავრდა. მათ აირჩიეს თავიანთი დემოკრატი სტრატეგოსები: თრასიბულე, თრასილე და ალკიბიადე, რომელიც სპარტელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს და ბოლოს მოკვლაც კი მოუნდომეს. ალკიბიადე მათ გაექცა მცირე აზიაში სპარსეთის ტირანთან. როდესაც გაიგო ათენის ფლოტის მიერ



პროპილეუმი, აკროპოლისის შესასვლელი . მარჯვნივ ნიკა აფთეროსის ტაძარი

მისი არჩევის ამბავი, სიხარულით დათანხმდა, სათავეში ჩაუდგა ფლოტს და გაუძღვა ბოსფორისაკენ, სადაც სპარტელთა ფლოტი ათენელთა პურით დატვირთულ გემებს იჭერდა და ათენის პურით მომარაგებას ხელს უშლიდა. ალკიბიადემ საზღვაო ბრძოლაში ორჯერ სასტიკად დაამარცხა სპარტელთა ფლოტი, რის შემდეგაც მან აღადგინა ათენელების კონტროლი ჰელესპონტსა და ბოსფორზე. მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრა იგი ათენისაკენ. ძვ.წ. 408 წ. ათენმა ზარზეიმით მიიღო ალკიბიადე. მას ყველა დანაშაული აპატიეს და სახმელეთო და საზღვაო ძალების მუდმივ მთავარსარდლად გამოაცხადეს. მაგრამ მისი ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძლებულა, რადგან ათენი განიცდიდა მძიმე ფინანსურ და სამხედრო კრიზისს. სპარსელებისაგან ალკიბიადემ ათენელებისათვის დიდი თანხების მიღება მოახერხა, რადგანაც მათი მიზანი იყო: სპარტასა და ათენს ერთმანეთი ბრძოლით დაესუსტებინათ, ამიტომ სპარსეთი ორივე მხარეს ფულს უხვად აძლევდა.

ძვ.წ. 407 წ. ალკიბიადეს ათენში ყოფნის დროს, მისი მოადგილე ყოველგვარი დაზვერვის გარეშე სპარტელთა ფლოტს დაესხა თავს ეფესოსთან, ნოტიოს კონცხთან და სასტიკი მარცხი განიცადა; გადარჩენილებმა თავი შეაფარეს მიტილენის ნავსადგურს. ამ მარცხში ალკიბიადე დამნაშავე სრულიად არ იყო, მაგრამ მარცხი მას დააბრალეს. როგორც დამნაშავეს, სარდლობა ჩამოართვეს, ძველი ცოდვებიც გაუხსენეს და აიძულეს წასულიყო ათენიდან. ალკიბიადეს თრაკიის ქერსონესში მშვენიერი სასახლე და მამული ჰქონდა და საცხოვრებლად იქ გადავიდა. ძვ.წ. 406 წ. მცირე აზიის არგინუსის კუნძულებთან ათენის ფლოტი სპარტელების ფლოტს შეხვდა და გაანადგურა სპარტელების გემების დიდი ნაწილი და მათი ნავარქოსი დაიღუპა. ეს საზღვაო ბრძოლა

ათენელების ბრწყინვალე გამარჯვება იყო, მაგრამ მოულოდნელად ამოვარდნილმა საშინელმა ქარიშხალმა არ მისცა საშუალება გამარჯვებულ ათენელებს თავიანთი ჩაძირული ხომალდების მეზღვაურები და მეომრები გადაერჩინათ. როდესაც ათენში მოვიდა გამარჯვების ამბავი და ცნობა, რომ დაღუპულთა გადასარჩენად ათენელმა სტრატეგოსებმა ვერ მიიღეს ზომები, დაღუპულთა გამწარებულმა ნათესავებმა 6 სტრატეგოსი სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის იყო პერიკლეს ვაჟიც.

სპარტელებმა სპარსელების დახმარებით ისევ ააგეს ახალი ფლოტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი დიპლომატი, სარდალი ლისანდრე. მან ათენელებთან პირდაპირ ბრძოლაზე უარი თქვა და ძვ.წ. 405 წ. ზაფხულში ჰელესპონტის აზიის სანაპიროს მხარე დაიკავა, რითაც ყოველმხრივ ხელს უშლიდა ათენელების პურით დატვირთული გემების მიმოსვლას. ამავე დროს, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ჰელესპონტის სანაპიროზე მყოფ ათენელთა ფლოტს, რომელიც ათენელების გემების უშიშროებას უზრუნველყოფდა. როდესაც ათენელები თავიანთ გემებზე სასმელ წყალს იმარაგებდნენ, ლისანდრემ დრო იხელთა და მოულოდნელად თავს დაესხა, მთელი ფლოტი მეზღვაურებიანად გაანადგურა, თანაც ათენისაკენ მიმავალი სურსათ-სანოვაგით დატვირთული გემები იგდო ხელთ და ატიკისაკენ დაიძრა. გზა და გზა ლისანდრე იპყრობდა ათენის მოკავშირე პოლისებს.

ძვ.წ. 405 წ. შემოდგომაზე ლისანდრემ და სპარტას მოკავშირეებმა ზღვიდან და ხმელეთიდან შეუტიეს ათენს, მხოლოდ ძვ.წ. 404 წ. აპრილში მიაღწიეს მიზანს. ათენი შიმშილისაგან დასუსტებული დანებდა მტერს. გამარჯვებულმა სპარტამ ათენს უკარნახა შემდეგი საზავო პირობები:

1. სპარტის მოკავშირეები კორინთო, თებე და მეგარა მოითხოვდნენ ათენის სრულ განადგურებას, მაგრამ გამარჯვებულმა სპარტამ, საბერძნეთში წონასწორობის დასაცავად ათენს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა. ათენში ძალაუფლება „30 ოლიგარქოსის“ ხელში გადავიდა, რომელსაც სოფისტებისა და სოკრატეს მოწაფე პოეტი კრიტიასი ხელმძღვანელობდა.

2. ათენს ატიკის ტერიტორიის გარდა მიეცა კუნძულები სალამინი, ლემნოსი, იმბროსი და სკიროსი.

3. ათენის საზღვაო კავშირი დაშლილად გამოცხადდა.

4. ათენს ჩამოერთვა ყველა სამხედრო და სავაჭრო გემი, გარდა სადარაჯო ხომალდებისა.

ღმერთების ბრძოლა გიგანტებთან, გიგანტომახია, ლარნაკწერა

5. ყველაზე მძიმე პირობა კი საკუთარი ძალებით პირეოსის და ათენის გარშემო მაღალი კედლების დანგრევა იყო, რომელიც ათენელების სიამაყეს წარმოადგენდა. ლისანდრემ მესალამურეები შეკრიბა და მათი მუსიკის თანხლებით, ათენელებს საკუთარი ხელით დაანგრევინა კედლები.

6. ყველა პოლიტიკური ემიგრანტი და გაძევებული ათენელი დააბრუნეს. ათენელმა ოლიგარქებმა დრო იხელთეს, დაიწყეს დემოკრატების ხოცვა-ჟლეტა და ზოგი არადემოკრატი მეტეკიც მიაყოლეს მათი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით.

ძვ.წ. 404 წ. სპარტელების გამარჯვებით დამთავრდა 27 წლიანი პელოპონესის ომი, რის შემდეგ სპარტამ საბერძნეთის ჰეგემონია მოიპოვა და ყველა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტსა თუ პოლისში თავისი ჯარის ნაწილები ჩააყენა. ათენის აკროპოლისშიც 700 სპარტელი მეთვალყურე დააყენა. გამარჯვებული სპარტაც ისეთივე გამოფიტული და უკიდურესობამდე გადაღლილი იყო, როგორიც დამარცხებული ათენი. სპარტამ მოსთხოვა ფულადი კონტრიბუციის გადახდა, მაგრამ ათენის ხაზინა ცარიელი იყო. ამიტომ ათენის ოლიგარქიულმა „30-ის კომიტეტმა“ გადაწყვიტა ეს თანხა დემოკრატების ქონების კონფისკაციის ხარჯზე შეეგროვებინა. ოლიგარქოსების ბელადმა კრიტიასმა რვა თვის განმავლობაში 1500 ათენელი მოქალაქე და მეტეკი დასაჯა სიკვდილით. მათ შორის თავისი პირადი მტრებიც, რომელთაც ქონების ხელში ჩაგდების მიზნით დემოკრატობას სწამებდა. კრიტიასის სისხლიან ტერორს ბევრი ათენელი მოქალაქე გაურბოდა და თავს აფარებდა ბეოტიის თებეს. ლტოლვილთა შორის იყო ყოფილი ათენელი სტრატეგოსი თრასიბულე, რომელმაც

შემოიკრიბა უკმაყოფილო ათენელები და ოლიგარქოსებს შეებრძოლა, დაიპყრო პირეოსი და სიმაგრე მუნიქიაში გამაგრდა.

ათენელმა დემოკრატებმა ერთ-ერთი შეტაკების დროს სპარტელების 700 კაციან რაზმს 120 მეომარი მოუკლა, აქვე მოკლეს კრიტიასიც. დემოკრატების ძალები დღითი დღე იზრდებოდა. ოლიგარქოსებისა კი მცირდებოდა. მათ მთელი ატიკიდან მხოლოდ ელევსინი შერჩათ. ზომიერმა დემოკრატებმა დაიკავეს ათენი. ლისანდრე სპარტელთა ჯარით ისევ დაიძრა ათენელთა წინააღმდეგ, მაგრამ მისი გავლენის ზრდითა და თვითნებობით შეწუხებულმა სპარტელმა ეფორებმა იგი სპარტაში გაიწვიეს და მის მაგიერ პავსანიასი გაგზავნეს. მან შეარიგა მებრძოლი მხარეები, ყველა პოლიტიკური დამნაშავის ამნისტია გამოაცხადა, „30-ის კომიტეტის" მიერ ჩამორთმეული მიწები და ქონება ათენელებს დაუბრუნა და დემოკრატიული წყობილება აღადგინა. ათენელ ოლიგარქოსებს კი სამოღვაწეოდ ელევსინი მისცა, მაგრამ სპარტელების დახმარების გარეშე ელევსინელ ოლიგარქოსებს ბრძოლა არ აწყობდათ და ისინიც ძ.წ. 401 წ. ათენში გადასახლდნენ. სპარტელებმა თავიანთი შეიარაღებული რაზმები ათენიდან გაიყვანეს. ასე იქნა აღდგენილი ათენში დემოკრატიული წყობილება და ათენი პელოპონესის კავშირის წევრი გახდა.

ოლიგარქია
ეგინეტა
ეგინეტა
ეგინეტა

პელოპონესელ მოკავშირეებს არ ავიწროვებდა, არ ძარცვავდა, მათ შინაურ საქმეებში არ ერეოდა. ამიტომაც ისინი ბოლომდე მისი ერთგულნი დარჩნენ. ათენი საზღვაო კავშირში შემავალ წევრებს სასტიკად ჩაგრავდა, მათ დამოუკიდებლობა წაართვა, საკუთარი ადათ-წესები და კანონები დაუწესა, თანაც მათი შემოსავლის დიდ ნაწილს ითვისებდა. მოკავშირეების ტერიტორიაზე ათენი თავის მოქალაქეებს ასახლებდა. ისინი დაპყრობილ ხალხს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე თანასწორუფლებიან მოკავშირეებს, ამიტომ მათი ურთიერთობა უკიდურესობამდე დაძაბული და მტრული იყო. საკმარისი იყო ათენის მარცხი სიცილიაში, რომ მისი მოკავშირეები ერთბაშად მოწინააღმდეგის ბანაკში აღმოჩენილიყვნენ. ათენის მონათმფლობელური დემოკრატია ერთის მხრივ ძარცვავდა თავის მოკავშირეებს და ყოველმხრივ ექსპლოატაციას უწევდა. მეორეს მხრივ, მიისწრაფოდა ექსპლუატაციის ახალი ობიექტების დაპყრობისაკენ. როგორც ალკიბიადე ათენის სახალხო კრებაზე ამბობდა: ჯერ სიცილია, მერე იტალია და შემდეგ კართაგენს დავიპყრობთო. სწორედ ამ ახალი საექსპლოატაციო ტერიტორიის, სიცილიის დაპყრობის დროს განიცადა ათენმა სასტიკი მარცხი. ათენელი ღარიბებიც კი თავიანთ მოკავშირეებს უყურებდნენ, როგორც მათი არსებობის მთავარ წყაროს და ამიტომ ახალ ომებს ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს.

პელოპონესის ომის დროს, ათენის საზღვაო ძალაუფლების წინააღმდეგ გაერთიანდნენ სპარტა, კორინთო და მეგარა. სპარსეთი, რომელმაც ბერძენ-სპარსელთა ომების დროს ვერაფერი გააწყო ათენთან, ახლა საზღვაო ძალები მიაშველა სპარტას, რითაც სპარტამ ათენელებზე გამარჯვება იზეიმა.

საბერძნეთის პოლისების კრიზისი ძვ.წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში

ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევრის საბერძნეთის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს ათენელი ისტორიკოსი ქსენოფონტე „ელადის ისტორიაში“, რომელსაც იგი თუკიდიდეს შემდეგ აგრძელებს ძვ.წ. 411 წ. და ძვ.წ. 362 წ. ამთავრებს. მაგრამ მისი ცნობები საკმაოდ ტენდენციურია და სპარტისადმი სიმპატიებით არის გამსჭვალული. ოქსირინქოსში (ეგვიპტე) აღმოჩენილია პაპირუსი, რომელშიც მოცემულია უცნობი ავტორის ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევრის ბეოტიის ისტორია. საყურადღებოა არისტოტელეს, პლატონის, ორატორ ისოკრატესა და სასამართლოს ორატორის ლისიას, აგრეთვე ორატორ დემოსთენეს ნაწერები. მნიშვნელოვანია არისტოფანეს კომედიებიც; რაც შეეხება გვიანდელ ისტორიკოსებს, საყურადღებოა დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკასა“ და პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებში“ მოცემული ცნობები.



დარიოსი ტახტზე

პელოპონესის ომის დამთავრების შემდეგ საბერძნეთის პოლისების ჰეგემონად სპარტა იქცა, თუმცა ამისკენ ისწრაფვოდა ათენის საზღვაო კავშირიც, რომელსაც ამის პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნდა, უფრო ზომიერი რომ ყოფილიყო მოკავშირეთა მიმართ. მაგრამ იგი სპარტასთან ბრძოლაში დამარცხდა. სპარტა კი ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, ამგვარი როლისათვის არც ეკონომიკურად და არც მორალურად არ იყო მზად. პელოპონესის ომის დამთავრებისთანავე, სპარტის წინაშე წამოიჭრა მცირე აზიის ბერძნული პოლისების სპარსეთისათვის გადაცემის პრობლემა. ეს

საკითხი კი ძვ.წ. 412 წ. არსებობდა. როდესაც ალკიბიადემ სპარტის სახელით სპარსეთს მიმართა თხოვნით, დახმარებოდა ათენის წინააღმდეგ ფლოტის აგება-შენახვაში, სპარსეთი დათანხმდა. რამდენჯერმე ფლოტი იმ პირობით აუგო, რომ პელოპონესის ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული სპარტა სპარსეთს დაუბრუნებდა მცირე აზიის ბერძნულ პოლისებს, რომლებიც მან ბერძენ-სპარსელთა ომების დროს დაკარგა.

სპარსეთის ფლოტისა და ფულადი დახმარების წყალობით, სპარტამ პელოპონესის ომი მოიგო, მაგრამ მისთვის, როგორც მთელი საბერძნეთის ჰეგემონისათვის, მცირე აზიის ბერძნული ქალაქების სპარსეთისათვის გადაცემა ძალიან მძიმე ტვირთი იყო. ეს მისი ავტორიტეტის შერყევას ნიშნავდა. ჯერ კიდევ პელოპონესის ომის დამთავრებამდე, როდესაც სპარტელთა სარდალმა ლისანდრემ, მცირე აზიის ბერძნული პოლისების დემოკრატები სიკვდილით დასაჯა, სპარსეთის სატრაპ ფარნაბაზის აღშფოთება გამოიწვია. მან ოფიციალურად უჩივლა ლისანდრეს სპარტაში და ბრალად დასდო სპარსეთის ქვეშევრდომების უკანონო ხოცვა, რის გამოც ლისანდრემ ეფორების რისხვა დაიმსახურა, თუმცა მისი მოქმედება სპარტის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო. სპარსეთმა დაჟინებით მოითხოვდა მცირე აზიის ბერძნული პოლისების გადაცემა. სპარტა კი აყოვნებდა და გამოსავალს ეძებდა. სწორედ ამ დროს იგი არაოფიციალურად ჩაერია სპარსეთის სამეფოს დინასტიურ ბრძოლაში.

სპარსეთში დიდი გავლენით სარგებლობდა დარიოს II ოქოსის (ძვ.წ. 424-404) მეუღლე პარისატიდა, რომლის თხოვნით დარიოსმა თავის ვაჟს კიროს მცირეს ძვ.წ. 407 წ. მისცა კარია და მცირე აზიის სატრაპიები. მანამდე კი, ეს სატრაპიები ფარნაბაზსა და ტისაფერნეს ჰიდარნეს ძეს ეკუთვნოდათ. ტისაფერნეს ძმას, ტერიტუხს ცოლად ჰყავდა დარიოსის ქალიშვილი ამასტრიდა. ტერიტუხმა გადაწყვიტა მოეკლა დარიოს II და გამეფებულიყო. მაგრამ შეთქმულება გაიხსნა. ტისაფერნესა და მისი ქალიშვილი სტატირას (არტაქსერქსე II მეუღლე) გარდა, ჰიდარნების საგვარეულო განადგურდა.

დარიოს II ოქოსის სიკვდილის შემდეგ, ტისაფერნემ დიდი გავლენა მოიპოვა თავის სიძის მეფე არტაქსერქსე II (ძვ.წ. 404-

350) კარზე, მან ყალბი ბრალდებებით გადაჰკიდა მეფე თავის უმცროს ძმას კიროს მცირეს. არტაქსერქსემ ძმის მოკვლაც კი განიზრახა, მაგრამ მათი დედა, პარისატიდა ჩაერია და კიროს მცირე თავის სატრაპიაში გაისტუმრა. ტისაფერნე განაგრძობდა კიროს მცირეს წინააღმდეგ ცილისწამებების შეთხზვას, არტაქსერქსე II კი ძმას ემუქრებოდა. კიროს მცირემ გადაწყვიტა ძმისათვის ტახტის წართმევა და დაიწყო ჯარების შეგროვება, ვითომცდა აჯანყებული აღმოსავლეთის ოლქის დასამშვიდებლად. კიროს მცირემ დახმარებისათვის სპარტას მიმართა. კიროსისათვის დახმარების გაწევა ნიშნავდა სპარსეთის მეფის ოფიციალურად გადაკიდებას, რადგან წინასწარ ძნელი იყო იმის განჭვრეტა — საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებდა ამ დინასტიურ ბრძოლაში, არტაქსერქსე II თუ კიროს მცირე. სპარტა შეშინდა, მაგრამ კიროს მცირეს უფლება მისცა საბერძნეთში შეეგროვებინა მოხალისე ბერძენ მოქირავნეთა ლაშქარი სარდალ კლეარქოსის მეთაურობით. კიროს მცირემ შეაგროვა დაახლოებით 13 ათასი ბერძენი ჯარისკაცი. მათ შორის იყო ათენელი ისტორიკოსი ქსენოფონტეც (ძვ.წ. 430-355).

ძვ.წ. 401 წ. გაზაფხულზე, კიროს მცირე თავისი მცირეაზიური ლაშქრითა და 13 ათასი ბერძენი მოქირავნით დაიძრა ბაბილონისაკენ. ძვ. წ. 401 წ. 3 სექტემბერს ბრძოლა დაიწყო ბაბილონის მახლობლად სოფელ კუნაქსთან, ბერძნები იბრძოდნენ მარჯვენა ფრთაზე, მეფის ჯარების მარცხენა ფრთის წინააღმდეგ და გაანადგურეს კიდეც. კიროს მცირე ბრძოლის დაწყებისთანავე მოკლეს და ლაშქრის ნაწილი ტყვედ აიყვანეს, ნაწილი — გაიფანტა. ბერძნებმა სპარსთა ყველა შემოტევას გაუძლეს. და იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს. მაშინ სპარსელებმა 24 ბერძენი მეთაური თათბირზე ტისაფერნესთან მიიწვიეს და კლეარქოსთან ერთად ვერაგულად მოკლეს. ერთმა მძიმედ დაჭრილმა ბერძენმა ბანაკამდე ცოცვით მიაღწია და მეთაურთა დახოცვის ამბავი აცნობა. 10 ათასმა ბერძენმა სწრაფად აირჩია ახალი მეთაურები, მათ შორის ქსენოფონტეც, რომელმაც ბერძნების ეს გმირული უკანდახევა აგვიწერა ნაშრომში „ანაბაზისში" სირაკუზელი თემისტოგენეს სახელით, მაგრამ უკვე ძველადვე ცნობილი იყო მისი ნამდვილი ავტორი.

სპარსელებმა ბერძნებს დასავლეთისაკენ მიმავალი გზები

შეუკრეს და აიძულეს უკან დაეხიათ, უცნობ მხარეში, ჯერ მდინარე ტიგროსის გასწვრივ ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ – მდინარე ევფრატის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სურსათ-სანოვაგის უქონლობამ, გვიანი შემოდგომისა და ზამთრის სიცივეებმა, მძიმე პირობებში ჩააგდო ბერძენი მეომრები, რომლებმაც სომხეთისა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადაიარეს. ისინი ბრძოლით იკვლევდნენ გზას და ძვ.წ. 400 წ. გაზაფხულზე ძლივს მიაღწიეს შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტს, საიდანაც გემით დაბრუნდნენ საბერძნეთში. ლაშქრობიდან მეომართა დიდი ნაწილის უვნებლად დაბრუნებამ სამშობლოში, რაც მოქირავნეების საუკეთესო სამხედრო მომზადებამ და მაღალმა დისციპლინამ განაპირობა, მთელი საბერძნეთის გაოცება გამოიწვია. ამის შემდეგ სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრების იდეა თანდათან მწიფდებოდა ბერძენთა შორის: თუ შეიკრიბებოდა სამჯერ მეტი ჯარი, იგი აუცილებლად დაიპყრობდა მთელ სპარსეთს. ეს იდეა საბოლოოდ განახორციელა ალექსანდრე მაკედონელმა.

ბერძნების მონაწილეობამ კიროს მცირეს ლაშქრობაში, სპარსეთის მეფე ძალიან განარისხა და კატეგორიულად მოითხოვა სპარტისაგან მცირე აზიის ბერძნული პოლისების გადაცემა. სპარსელების სარდალს ტისაფერნეს უბრძანეს ძალით დაეპყრო მცირე აზიის ბერძნული ქალაქები, რომლებმაც დახმარებისათვის სპარტას მიმართეს. ძვ. წ. 399 წ. სპარტამ მათ დასაცავად გაგზავნა მეფე აგესილაოსი ლაშქრით, რომელმაც სპარსელები ტისაფერნეს მეთაურობით ქალაქ სარდესთან სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ეს ბრწყინვალე გამარჯვება, სპარტელთა სუსტი დიპლომატიის გამო, ზავის დადებით არ დამთავრდა.

პელოპონესის ომის შემდეგ, სპარტის სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. იგი აღარ იყო თანასწორთა თემი, რადგან სპარტაც გაიტაცა კერძო საკუთრებამ, ფუფუნებამ, სიმდიდრის დაგროვებამ. განსაკუთრებით გაიზარდა მდიდარი, გავლენიანი სპარტელების როლი, რომლებიც დაუპირისპირდნენ უუფლებო ღარიბებს. ძვ.წ. IV ს. დასაწყისში ეს დაპირისპირება გააღრმავა ეფორ ეპიტატეს კანონმა, - სპარტელებისათვის დასაშვები გახადა მიწისა და ქონების გადაცემა ანდერძით ან საჩუქრის სახით, რითაც სამუდამოდ გაუქმდა კლეროსების გასხვისების

აკრძალვის კანონი. ამან გამოიწვია არა მარტო ქონების, არამედ მიწების კონცენტრაცია მცირეთა ხელში და დანარჩენ სპარტელ მოქალაქეთა გაღატაკება და უუფლებობა.

პელოპონესის ომის დროს ბევრი სპარტელი ნადავლმა გაამდიდრა, სამაგიეროდ ბევრი ოჯახი გაღატაკდა, რომელთაც საშუალება აღარ ჰქონდათ ყოველთვიურად სისიტიებში შეეტანათ თავიანთი წილი ულუფა და საკუთარ ხარჯზე შეიარაღებულიყვნენ. ამის გარეშე კი ისინი ჰკარგავდნენ სრულფასოვანი სპარტელი მოქალაქის უფლებას. ასეთ გაღატაკებულ, უუფლებო სპარტელებს „გეპემეიონები" ეწოდებოდათ. ძვ.წ. 399 წ. როცა სპარტის მეფე და სარდალი აგესილაოსი მცირე აზიაში სპარსელებს ებრძოდა, გეპემეიონმა კინადონმა ხელისუფლების წინააღმდეგ მოაწყო შეთქმულება, მაგრამ იგი გასცეს. ეფორებმა კინადონსა და მის თანამოაზრეებს დავალება მისცეს და სპარტიდან გაიყვანეს, შემდეგ დააპატიმრეს და წამების დროს სხვა შეთქმულთა სახელებიც ათქმევინეს. ყველა მოამბოხე სიკვდილით დასაჯეს. კინადონის შეთქმულება იმის მაჩვენებელი იყო, რომ სპარტის ოლიგარქიული მმართველობის სისტემა შინაგან ხრწნას განიცდიდა და მისი სოციალური ბაზაც უფრო და უფრო მცირდებოდა რაც განსაკუთრებით წარმოჩინდა კორინთოს ომის დროს.

აგესილაოსის მიერ დამარცხებულმა სპარსელებმა აშკარა, ღია ბრძოლაზე ხელი აიღეს და თავიანთ ნაცად ხერხს — მოსყიდვასა და დიპლომატიას მიმართეს. საბერძნეთში გამოგზავნეს დიპლომატები, რომლებსაც უნდა შეეტყოთ სპარტელთა ჰეგემონიით უკმაყოფილო პოლისების სახელები და ფულითა ან დაპირებებით სპარტის წინააღმდეგ აემხედრებინათ. სპარტის ბატონობას ვერ ეგუებოდა ძველი მოწინააღმდეგე არგოს-ათენი და მისი მოკავშირე კორინთო-მეგარა. პელოპონესის ომის შემდეგ სპარტამ თავის მოკავშირეებთან ურთიერთობაში ყოველგვარი ზომიერება დაჰკარგა. უხეშად ერეოდა მათ შინაურ საქმეებში. ძალადობასაც კი მიმართავდა. სპარსელებმა დიპლომატებს უზარმაზარი თანხები გამოატანეს კორინთოში, არგოსში, თებეში, ათენსა და მეგარაში. ძვ.წ. 399 წ. კორინთოს მეთაურობით შეიქმნა კოალიცია: ათენის, თებეს, მეგარისა და არგოსის შემადგენლობით, რომელმაც დაიწყო ომი სპარტას წინააღმდეგ. მას „კორინთოს ომი" ეწოდა (ძვ.წ. 399-387 წწ.).

სპარტელებისა და მისი მოკავშირეების ლაშქარი პავსანიასის და ლისანდრეს მეთაურობით შეიჭრა ბეოტიაში, მაგრამ სპარტელი სარდლების უთანხმოების გამო, ძვ. წ. 395 წ. სპარტის ლაშქარი ბეოტიის ქალაქ გალიარტოსთან სასტიკად დამარცხდა. ამ ბრძოლაში სპარტელების სახელგანთქმული სარდალი ლისანდრე დაიღუპა. ეფორებმა გალიარტოსთან დამარცხება და ლისანდრეს დაღუპვა პავსანიასის უმოქმედობას დააბრალეს და მასაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

ბერძნული მონეტა

ძვ.წ. 394 წ. სპარტის საზღვაო ძალებმა კნიდოსთან, ათენ-სპარსეთის გაერთიანებულ ფლოტთან, რომლსაც მეთაურობდა ათენელი სარდალი კონონი სასტიკი მარცხი განიცადა და სპარტა საზღვაო ძალების გარეშე დარჩა. კორინთოს კოალიციამ ხელთ იგდო ისთმოსის ყელი და სპარტელები პელოპონესის ნახევარკუნძულზე გამოკეტა. სპარტელები იძულებულნი გახდნენ მცირე აზიიდან გამოეწვიათ თავიანთი ჯარები მეფე აგესილაოსის მეთაურობით, რომელმაც ძვ.წ. 394 წ. გაზაფხულზე ნემეისთან დაამარცხა კორინთოს კოალიცია და იმავე წლის ზაფხულში კორონეასთან მეორე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამ ორი გამარჯვების მიუხედავად, სპარტა საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას აღარ ჰყავდა საზღვაო ძალები, არც თანხები ჰქონდა ფლოტის ასაგებად და შესანახად, სახმელეთო ჯარიც ნახევრად ბლოკირებული იყო პელოპონესში. სპარტა იძულებული გახდა ძვ.წ. 392 წ. სპარსეთში არტაქსერქსე II გაეგზავნა ელჩები ანტალკიდეს მეთაურობით. სპარსთა მეფემ დაიბარა კორინთოს კოალიციის წარმომადგენლებიც, მათ შორის ათენელი სარდალი კონონიც. მხოლოდ ძვ.წ. 387 წ. აღირსა სპარსეთის მეფემ ბერძენ ელჩებს პასუხი სატრაპ ტირიბაზის საშუალებით. სპარტის ელჩი ანტალკიდე სპარსელების ყველა საზავო პირობებზე თანახმა იყო. ათენელმა სარდალმა კონონმა კი პროტესტი განაცხადა მთელი ელადის მიერ სპარსეთის უმაღლესი სუვერენიტეტის ცნობაზე. ამის გამო სპარსელებმა შეიპყრეს და იგი პატიმრობაში გარდაიცვალა.

387 წ. სამეფო ანუ ანტალკიდეს ზავით დამთავრდა კორინთოს ომი. ზავის პირობები ნაკარნახევი იყო სპარსეთის მეფის მიერ. მეფე ანტაქსერქსე II თვლიდა, რომ მას ეკუთვნოდა მცირე აზიის ბერძნული ქალაქები და აგრეთვე კუნძულები კლაზომენი და კვიპროსი. აღიარებდა ყველა დანარჩენი, დიდ და პატარა ბერძნული პოლისების ავტონომიას, გარდა ლემნოსის და იმბროსისა, რომლებიც ყოველთვის ათენელებს ეკუთვნოდათ. „თუ ვინიცობაა რომელიმე ბერძნული პოლისი ამ საზავო პირობების არ მიიღებს, მე ზავის მიმღებებთან ერთად, ომს ვუცხადებ ხმელეთსა და ზღვაზე ამ პოლისებს. მებრძოლებს დავეხმარები გემებითა და ფულით“ – აცხადებდა ანტაქსერქსე II. პელოპონესის კავშირის გარდა, რომელსაც დაევალა ბერძნული პოლისების მეთვალყურეობა, საბერძნეთში სპარსეთმა ყოველგვარი კავშირები აკრძალა. სამეფო ანუ ანტალკიდეს ზავით სპარსეთმა საბერძნეთზე ბატონობა მოიპოვა - ის, რაც სპარსთა ცნობილმა მეფეებმა დარიოსმა და ქსერქსემ ვერ შესძლეს თავიანთი მრავალრიცხოვანი ჯარებით, ანტაქსერქსე II ბერძენთა ურთიერთდაპირის-პირებითა და გათიშვით განახორციელა, სპარტამ კი ამ ზავით მთელი საბერძნეთის სიძულვილი დაიმსახურა.

ზავის დადების შემდეგ სპარტა ყველა განდგომილი მოკავშირის დასჯას შეუდგა. პირველ რიგში, მანტინეას შეუტია, ქალაქის გალავანი მოათხრევინა და პოლისის ტერიტორიაზე ოთხი სოფელი შექმნა. ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე ოლინთომ გაერთიანა იქაური ქალაქები და სოფლები, ორგანიზებულ ვაჭრობას აწარმოებდა და წარმატებით იგერიებდა თრაკიელ ტომებს. სპარტამ, როგორც ანტალკიდეს ზავის დამცველმა, ძვ.წ. 382 წ. ოლინთოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ბეოტიაზე გავლისას სპარტელებმა თებელ ოლიგარქოსთა დახმარებით გადატრიალება მოახდინეს და თებეს სიმაგრე კადმეაში შეიარაღებული რაზმები ჩააყენეს. ამის შემდეგ სპარტამ ოლინთოს შეუტია და ქალკიდიკის კავშირი დაშალა. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში თებე აღმოჩნდა, სადაც დემოკრატების განადგურება დაიწყეს, სპარტელების ტერორის მსხვერპლი გახდა შესანიშნავი თებელი დემოკრატი ისმენე. გადარჩენილმა თებელმა დემოკრატებმა გაქცევით უშველეს თავს და ათენს შეეხიზნენ, სადაც დაიწყო სპარტელთა წინააღმდეგ გად-

ამწყვეტი ბრძოლისათვის მზადება. ძვ.წ. 379 წ. ზამთარში მოცეკვავე ქალების ტანსაცმელში გამოწყობილი ათენელი და თებელი დემოკრატების შეიარაღებული რაზმი პელოპიდეს ხელმძღვანელობით, კადმეის სიმაგრეში შეიპარნენ ისეთ დროს, როდესაც თებელი ოლიგარქოსები სპარტელებთან ერთად ნადიმობენ. მათ თებელები დახოცეს და სპარტელების ჯარის ნაწილები ბეოტიიდან გააძევეს. თებეში დემოკრატიული გადატრიალების შემდეგ, სახალხო კრებას თავისი უფლებები დაუბრუნდა, აღდგა ბეოტიის ქალაქების ფედერაცია შვიდი ბეოტარქოსის ხელმძღვანელობით. მათ შორის იყვნენ ცნობილი თებელი დემოკრატები: პელოპიდე და ეპამინონდი. თებეს ფედერაციამ ბეოტელი თავისუფალი გლეხებისაგან ჩამოაყალიბა შესანიშნავი ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდა ეპამინონდი.

სპარტელი სარდალი სფოდრიოსი შეეცადა ათენის ნავსადგურის პირეოსის დაპყრობას, მაგრამ ათენელებმა იგი უკუაგდეს და თებესთან

პელოსის კვადრიგის ცხენის თავი პართენონის ფრონტონიდან

სპარტის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს. ძვ.წ. 378 წ. სპარტელების თავხედობით შეშინებული ბერძნული პოლისები ათენელთა თაოსნობით გაერთიანდნენ ათენის მეორე საზღვაო კავშირში (ათენის პირველი საზღვაო კავშირის შექმნის ასი წლის შემდეგ). ათენის პირველი საზღვაო კავშირი (ძვ.წ. 478-404 წწ.) სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეიქმნა, ხოლო ათენის მეორე საზღვაო კავშირი კი — სპარსეთ-სპარტის ბატონობის წინააღმდეგ. იგი მცირერიცხოვანი იყო, მასში სულ 70 პოლისი შედიოდა. მოკავშირეებმა ათენთან დადეს ხელშეკრულება, რომელიც მარმარილოს სტელაზე ამოტვიფრეს. მისმა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია. ხელშეკრულებაში წერია: „ყველა მოკავშირეს უფლება ეძლევა ისეთი წყობილება ჰქონდეს, რომელიც მას მოსწონს და აწყობს. მოკავშირეებს უფლება აქვთ თავიანთ ტერიტორიაზე არ შეუშვან ათენელთა ჯარები და მმართველები. ათენელებს ეკრძალებათ მოკავშირეთა ტერიტორიაზე სახლებისა

და მიწების შეძენა, თუ ასეთი რამ მოხდება, მათ უნდა ჩამოერთვათ ეს მიწა და სახლები, გაყიდული თანხა კი მოკავშირეთა სალაროში ჩაირიცხოს". როგორც ხელშეკრულების ტექსტიდან ჩანს, მეორე საზღვაო კავშირის წევრები უფრო დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, ვიდრე ათენის პირველი საზღვაო კავშირის. მეორე საზღვაო კავშირს ხელმძღვანელობდა მოკავშირე პოლისების წარმომადგენელთა მუდმივი საბჭო „სინედრიონი", რომელიც არა მარტო ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა, არამედ მოკავშირეების უმაღლეს სასამართლო ორგანოსაც. „სინედრიონი" განსაზღვრავდა მოკავშირეების გადასახდელი თანხების რაოდენობას, რომელსაც „სინტაქსისი" ეწოდებოდა და „ფოროსისაგან" (ხარკისაგან) დიდად განსხვავდებოდა. მაგალითად, კუნძულ ევბეის ქალაქი ერეთრეა, პელოპონესის ომის დროს, პირველ საზღვაო კავშირში 15 ტალანტს იხდიდა, მეორე საზღვაო კავშირში კი სულ 5 ტალანტს. ათენის მეორე საზღვაო კავშირში შემავალი მოკავშირეები უფრო თანასწორუფლებიანები და ავტონომიურნი იყვნენ.

ათენის მეორე საზღვაო კავშირის შექმნამ გამოაცოცხლა ბერძნული ხელოსნობა და ვაჭრობა, რადგანაც აღდგა შაავი ზღვის ახალშენებთან სავაჭრო ურთიერთობა. ამ კავშირის არსებობა სპარტამ სამეფო ზავის დარღვევად მიიჩნია და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ათენი მეორე საზღვაო კავშირის წყალობით საკმაოდ გაძლიერდა, ამიტომ ათენელმა სარდლებმა ქაბრიოსმა და ტიმოთეოსმა ძვ.წ. 374 წ. საზღვაო ბრძოლაში ორჯერ სასტიკად დაამარცხეს სპარტელები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ ბრძოლა შეეწყვიტათ და ათენთან საზავო მოლაპარაკება დაეწყოთ, სადაც მოიპატიჟეს სპარსეთის და სირაკუზის წარმომადგენლები.

სპარსეთს საბერძნეთისათვის აღარ ეცალა, მას აჯანყებული ეგვიპტე აწუხებდა,ამიტომ შეეცადა ბერძნული მხარეების შერიგებას ასეთი პირობით: სპარტა ცნობს ათენის მეორე საზღვაო კავშირს, ხოლო ქალაქ ამფიპოლისსა და თრაკიის ქერსონესს აღიარებს ამ კავშირის გავლენის სფეროდ. ამ მოლაპარაკების დროს სპარტელებმა სცადეს კუნძულ კერკირის აღება, მაგრამ დამარცხდნენ. ამის გამო შერიგება ჩაშალა, სამაგიეროდ, ძვ.წ. 372 წ. მეორე თათბირზე სპარტა იძულებული გახდა ათენელთა და თებელთა ყველა მოთხოვნა

მიელო, კერძოდ, სპარტას ჯარები უნდა გაეყვანა არა მარტო დანარჩენი საბერძნეთიდან, არამედ პელოპონესის პოლისებიდანაც, რაც ფაქტიურად პელოპონესის კავშირის დაშლას ნიშნავდა.

ძვ.წ. 371 წ. ამ თათბირის შემდეგ, სპარტა ჯარით შეიჭრა შუა საბერძნეთში ბეოტიის კავშირის დასაშლელად, მაგრამ ბეოტიის კავშირის ლაშქარმა, რომელსაც შესანიშნავი სარდალი ეპამინონდი მეთაურობდა, ძვ.წ. 371 წ. აგვისტოში ლევკტრასთან დაამარცხა სპარტელები მეფე კლეომბროტის მეთაურობით. ამ ბრძოლაში ეპამინონდმა, პირველმა სამხედრო ხელოვნებაში, გამოიყენა ირიბი სოლისებური შეტევა – სპარტელების ლაშქარს გვერდიდან დაარტყა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. სპარტელების ლაშქარი სრულ განადგურებას გადაურჩა ჩვეული, დისციპლინირებული უკან დახევით. სპარტელების დამარცხების შემდეგ პელოპონესის პოლისებს კავშირიდან გასვლა უნდოდათ. შუა საბერძნეთის პოლისები ევბეა და აკარნანია ათენის მეორე საზღვაო კავშირიდან გავიდნენ და ბეოტიის კავშირს შეუერთდნენ, სადაც ისეთი პოლისები შევიდნენ, რომლებიც არასოდეს არცერთ კავშირში არ იყვნენ გაერთიანებული: ფოკიდა, ლოკრიდა და ეტოლია. სპარტელების დამარცხებამ ლევკტრასთან, მთელ პელოპონესში გააქტიურა დემოკრატიული ძალები. დემოსმა ოლიგარქოსების რბევა დაიწყო. ასე მოხდა სიკეონში, კორინთოში, ფიგალიასა და თეგეიონში. არგოსში კეტებით შეიარაღებული ღარიბები თავს დაესხნენ არგოსელ მდიდრებს, 1200 კაცამდე დახოცეს, ქონება კი ერთმანეთში გაინაწილეს.

ლევკტრასთან ბრძოლის შემდეგ პელოპონესის კავშირის ფაქტიური დაშლა დაიწყო. ყოფილი მოკავშირეები საზღვრებს ამაგრებდნენ და სპარსელების მომხრეებს თავიანთი ტერიტორიიდან აძევებდნენ. მაგალითად, თეგეონიდან სპარტელების 800 ოჯახი გაასახლეს. ასევე სხვა ქალაქებიდანაც. ქალაქი მანტინეა პელოპონესის პოლისების დახმარებით აღადგინეს და გალავანიც შემოავლეს. არკადიამ დაი-

წყო ქალაქ მეგაპოლისის აგება და ქალაქის გალავნით გამაგრება. სპარტას სურდა არკადიის დაპყრობა და ურჩობისათვის დასჯა, მაგრამ ძალა არ ეყო. ათენელები თებელებზე ნაწყენები იყვნენ, მათი კავშირიდან ბეოტიის კავშირში გადასვლის გამო, ამიტომ არკადიელ ელჩებს უარი უთხრეს დახმარებაზე. სამაგიეროდ, თებელებმა არკადიელ ელჩებს დახმარება აღუთქვეს და ჯარის შეგროვება დაიწყეს. ძვ.წ. 370 წ. ზამთარში ბეოტიის ლაშქარი პელოპიდესა და ეპამინონდის მეთაურობით პელოპონესში შეიჭრა. ბეოტიას მთელი დემოკრატიული ძალები გამოეხმაურნენ, მათ ლაკონიის ტერიტორია დაარბიეს, რამაც სპარტელ ჰილოტთა აჯანყება გამოიწვია. აჯანყებულები მოსულებს მიემხრნენ, ბეოტიელებმა ლაკონიკის სამხრეთ საზღვაო სანაპიროს მიაღწიეს, მესენიაში გადავიდნენ და ისინი სპარტელთა ბატონობისაგან გაათავისუფლეს, ითომის მთაზე ქალაქი მესენია დააარსეს და ისევ ლაკონიაში დაბრუნდნენ.

სპარტელები კი იმ ჰილოტებს და პერიეკებს, რომლებიც მათ დაეხმარებოდნენ და დაიცავდნენ დამოუკიდებლობას და სპარტის მოქალაქეობას შეპირდნენ. ბეოტიელთა შეჭრის შემდეგ სპარტამ დაკარგა მესენია, მთელი ლაკონიკა კი აოხრდა. ეპამინონდმა და პელოპიდმა სპარტის აღება რომ ვერ გაბედეს, მისი გარეუბნები დაანგრიეს. სპარტელებმა ათენში ელჩები გაგზავნეს და დახმარება სთხოვეს. როგორც ვიცით, სპარტელები საბერძნეთში ოლიგარქოსების დამცველებად ითვლებოდნენ, პელოპონესი რეაქციული ძალების საყრდენს წარმოადგენდა, ათენელები კი დემოკრატიულ ძალებს იცავდნენ, სწორედ იმ ხანებში ათენში ზომიერმა დემოკრატიამ მოიპოვა ძალაუფლება; იგი თანაუგრძნობდა სპარტელებს და მათ დასახმარებლად სარდალ იფიკრატეს მეთაურობით 20 ათასიანი ლაშქარი გაგზავნა. ათენელების ლაშქრის გამოჩენამ პელოპონესში, აიძულა თებელები გაეყვანათ ჯარი. სპარტელებმა კი სასწრაფოდ დაიწყეს ისთმოსის ყელის გამაგრება. ბრძოლაში მაკედონიაც ჩარიეს, რადგანაც თესალიელები ბეოტიის ჩრდილოეთის საზღვარს ემუქრებოდნენ. ბეოტიის კავშირი იძულებული გახდა თავისი გაერთიანებული ძალები ორად გაეყო: ნაწილი, პელოპიდეს მეთაურობით, ჩრდილოეთი საზღვრების დასაცავად გაიგზავნა, მეორე ნაწილს ეპამინონდი

ხელმძღვანელობდა და პელოპონესის საზღვრებისაკენ გაემართა. ეპამინონდმა ისთმოსის სიმაგრე გადალახა და არკადიაზე გავლით ლაკონიაში შეიჭრა, მეორედ ააოხრა ეს მხარე და ბეოტიაში დაბრუნდა.

სპარტამ ძალების დარაზმვა დაიწყო, პელოპონესის ზოგიერთ პოლისში, აქაიასა და ელიდაში ძალაუფლება ოლიგარქოსებმა იგდეს ხელთ და სპარტას დახმარება აღუთქვეს. ამან აიძულა ბეოტიის კავშირი სპარტის საბოლოო განადგურებისათვის კიდევ ერთი ლაშქრობა მოეწყო პელოპონესში. ძ.წ. 362 წ. ბეოტიელების მრავალრიცხოვანი ლაშქარი ეპამინონდის მეთაურობით, შეიდა ჩრდილო არკადიაში მანტინეის ახლოს. სპარტის სამხედრო რაზმების გარშემო გაერთიანებული ოლიგარქიული ძალები დაუპირისპირდნენ ბეოტიელთა ლაშქარს. ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა პელოპონესში ოლიგარქოსები იბატონებდნენ თუ დემოკრატები. ეპამინონდმა მოინდომა სპარტის აღება, მაგრამ მისი ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან სპარტის მოხუცმა მეფემ აგესილაოსმა შეიარაღებული და დარაზმული ქალებით, მოხუცებითა და ბავშვებით უკუაგდო ბეოტიელები.

თებელთა ყოფილი მოკავშირე ათენელები, ბეოტიელთა გავლენის ზრდით შეშფოთებულნი, სპარტელების მოკავშირეები გახდნენ. მანტინეის ბრძოლაში სპარტელებთან ერთად ათენის სმხედრო ძალებიც მონაწილეობდნენ პელოპონესელ მოკავშირეებთან ერთად. ბრძოლა ეპამინონდმა დაიწყო, მან თავისი ცნობილი ირიბი სოლის შეტევით მოწინააღმდეგეები ისე სასტიკად დაამარცხა, რომ ბრძოლის გაგრძელების ყოველგვარი ხალისი დაუკარგა. მაგრამ ეპამინონდი სასიკვდილოდ დაიჭრა. დიოდორე სიცილიელის გადმოცემით, სიკვდილის წინ მან ახლობლებს უთხრა: „მე ვკვდები, მაგრამ ორ უკვდავ ქალიშვილს ლევკტრას და მანტინეას ვტოვებ". ეპამინონდის სიკვდილმა ბეოტიელები დაბნია, დამარცხებული მტრის განადგურების სანაცვლოდ, დამარცხებულებივით, თავიანთი ბანაკისაკენ დაიხიეს. როგორც ქსენოფონტე წერს, მანტინეის ბრძოლამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული, პირიქით, ამ ბრძოლამ უფრო მეტი არეულობა შეიტანა. ასე დამთავრდა თებეს დროებითი აღზევება, ჰეგემონიისათვის ბრძოლის დროს მას ძალები არ ეყო. ხოლო მისი ლაშქარი კი ხშირი ბრძოლებისაგან ძალიან დასუსტდა.

ათენმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწია, თებეს ჰეგემონობის საშუალება არ მისცა, თუმცა თვითონაც არამც თუ ჰეგემონობის – თავისი მოკავშირეების დამორჩილების ძალა და შესაძლებლობაც კი აღარ ჰქონდა. მან დაივიწყა თავის მოკავშირეებისათვის მიცემული პირობა და ძველებურად დაიწყო მათი შევიწროვება. ათენს ფლოტის შესანახად დიდი თანხები სჭირდებოდა, მოკავშირეებისაგან შემოსული თანხები კი ძალზე მცირე იყო, ამიტომ მან მოკავშირეებს გაუდიდა გადასახდელი თანხა და მათ ტერიტორიებზე სამხედროები დაასახლა. ამ თვითნებობამ მოკავშირეები ძალზე შეაშფოთა და დაიწყეს ათენის საზღვაო კავშირიდან გასვლა. ჯერ კერკირა გავიდა, შემდეგ ბიზანტიონი, ათენი კი მხოლოდ ემუქრებოდა მათ, რადგან საბრძოლველად ძალები აღარ ჰყოფნიდა. ამასობაში მაკედონიის მზარდმა სამეფომ ათენის ახალშენი ამფიპოლისი დაიპყრო. ათენმა მაკედონიის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამფიპოლისის დასაბრუნებლად თავის მოკავშირეებს სთხოვა თანხები, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ძვ.წ. 360 წ. დაიწყო ათენის საზღვაო კავშირის დაშლა: ათენმა ბრძოლა დაიწყო თავის მოკავშირეებთან. აქ გამოვლინდა მისი უძლურება და იძულებული გახდა საბოლოოდ ელიარებინა მოკავშირეთა დამოუკიდებლობა. ასე დაიშალა ათენის მეორე საზღვაო კავშირი, რომელმაც 23 წელი იარსება (ძვ.წ. 355 წლამდე).

ბერძნული მონეტები

პელოპონესის ომის შემდეგ, ეგეოსის ზღვისა და შავი ზღვის მიდამოებში ვაჭრობა დაეცა, რადგან ვაჭრობა-ხელოსნობის მთავარი ხელმძღვანელი ათენის სახელმწიფო დამარცხდა, დაიშალა მისი საზღვაო კავშირი, ხოლო სავაჭრო და სამხედრო ფლოტი განადგურდა. კერძო სავაჭრო გემები კი ზღვის მეკობრეების შიშით ვერ მოქმედებდნენ, რადგან მათი მთავარი საქმიანობა სავაჭრო გემების ძარცვა გახდა. მეკობრეები ხელში ჩაგდებული გემების მეზღვაურებს მონებად ჰყიდიდნენ, გემებსა და საქონელს კი ისაკუთრებდნენ. მდიდარი ბერძენი

მონათმფლობელები ადრე თავიანთ ფულს ვაჭრობა-ხელოსნობაში აბანდებდნენ და ამით დიდ სარგებელს ღებულობდნენ. ვაჭრობა-ხელოსნობის მოშლის შემდეგ, მათ მიწების ყიდვა დაიწყეს.

გაუთავებელი ომების შედეგად ატიკის ტერიტორია სასტიკად აოხრებული იყო. გლეხებს მეურნეობის აღსადგენი თანხები არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ თავიანთი მიწის ნაკვეთები ჩალის ფასად გაეყიდათ. ეს იწვევდა თავისუფალ მიწათმოქმედთა მასიურ გაღატაკებას, მდიდარ მონათმფლობელთა ხელში მიწების დაგროვებას და მათ კიდევ უფრო გამდიდრებას. შემდეგ ისინი საცხოვრებლად მიდიოდნენ ათენში. ატიკელი გლეხებიც მიწის გაყიდვის შემდეგ ათენის ღარიბთა ფენას ემატებოდნენ, რომელიც ყოველდღე იზრდებოდა. ატიკელი გლეხები სრულუფლებიან ათენელ მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, ამიტომ ათენის სახალხო კრების მონაწილეები ხდებოდნენ და სახელმწიფოსაგან ზრუნვასა და შენახვას მოითხოვდნენ. ეგეოსის ზღვის მიდამოებში ვაჭრობის მოშლამ ათენსა და მთელ საბერძნეთში გამოიწვია სახელოსნოების დაკეტვა, რადგან ნაწარმის გასაღება ვერ ხერხდებოდა. გაძნელდა ნედლეულის შემოტანაც. გაღატაკებულ გლეხებს გაღატაკებული წვრილი ხელოსნები და ვაჭრებიც მიემატნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ათენის პირველი საზღვაო კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ, ათენის სახელმწიფომ თავისი მოქალაქეების დიდი ნაწილი, სამხედრო დასახლებების სახით, მოკავშირეების ტერიტორიაზე განალაგა. ისინი ათენის სახელმწიფოს ინტერესების დამცველად ითვლებოდნენ. პელოპონესის ომის შემდეგ, ათენის ყოფილმა მოკავშირეებმა თავიანთ ტერიტორიიდან ისინი გააძევეს და უსახლკაროდ დარჩენილებმა ათენს მიაშურეს. დღითიდღე იზრდებოდა ათენის ღარიბ მოქალაქეთა რიცხვი. ბერძენი მონათმფლობელებისათვის მონების შრომა უფრო ხელსაყრელი იყო ვიდრე თავისუფალი მწარმოებლის, რადგან მონები თავის შრომით უფრო მეტს ჰქმნიდნენ, ვიდრე მათი ღირებულება იყო. მონების იაფი შრომა დაუპირისპირდა თავისუფალ მწარმოებელთა — მტვირთავთა, მოჯამაგირეთა და ხელოსანთა შრომას.

ათენის პირველი საზღვაო კავშირის არსებობისას სახელმწიფო ღარიბ მოქალაქეებს, თეტებს იყენებდა ათენის კეთილმოწყობაზე, ტაძრების, გზების, გალავნების მშენებლობაზე და ამისათვის გარკვეულ

გასამრჯელოს უხდიდა. თეტები სოლონის დროიდან მსახურობდნენ საზღვაო ფლოტში მენიჩბეებად, მეზღვაურეებად და ამისათვის ხაზინა მათ უხდიდა ხელფასს, გასამრჯელოს, რომელსაც „დიეტა“ ეწოდებოდა. პელოპონესის ომში ათენის დამარცხება მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა, უამრავი ათენელი მეზღვაური უმუშევარი დარჩა. ამრიგად, ათენის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საარსებო წყარო დაკარგა. მათ ან უნდა ეყაჩაღათ, ან ექურდათ, ან მოქირავნე მეომრებად ემსახურათ საბერძნეთსა ან სხვა უცხო ქვეყნებში.

ძვ.წ. IV ს. პირველ ნახევარში პოლისებს შორის ომები გახშირდა, ბერძნულ სახელმწიფოებში მოქალაქეების ჯარში გაყვანა გაჭირდა მათი გაღატაკების გამო, რადგანაც მათ დაჰკარგეს საკუთარ ხარჯზე შეიარაღების საშუალება. ნიჭიერმა ათენელმა სტრატეგოსმა იფიკრატემ გაატარა საყურადღებო რეფორმა: მხედრებს მძიმე ბრინჯაოს ფარების ნაცვლად, რკინის ბალთებიანი ხარის ტყავგადაკრული ხის ფარები უნდა ჰქონოდათ, ბრინჯაოს მძიმე შუბების ნაცვლად კი რკინის ბუნიკიანი და ხის ტარიანი შუბები. ასეთ მსუბუქად შეიარაღებულ რაზმებს „პელტასტები“ ეწოდებოდათ, მათ შეეძლოთ სწრაფი და მოხერხებული მანევრირება და ამიტომ მათ მაქსიმალურად იყენებდნენ საფლანგო მოძრაობისას, გვერდიდან და ზურგიდან თავდასხმისას. მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებულებმა მეომრებმა მოქირავნეობა დაიწყეს, რომელიც ხელსაყრელ პროფესიად იქცა. საბერძნეთი განთქმული იყო ნიჭიერი სარდლებით. ისინი საკუთარ რაზმებს აყალიბებენ და სამსახურს სთავაზობენ ყველას, ვინც მათ მეტ ხელფასს გადაუხდიდა. მოქირავნეებისათვის ომი გადაიქცა ლუკმაპურის შოვნის წყაროდ. სპეციალური ადგილიც კი იყო მათ დასაქირავებლად — ტენარის კონცხთან, სადაც უმუშევარი ჯარისკაცები იყრიდნენ თავს. იქ დასაქირავებლად მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან: სპარსელები, ეგვიპტელები, კართაგენელები და ა.შ.

სპარტელი ჰოპლიტები

საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისის შედეგად გახშირდა ცრუმოწმეების, დამბეზღებლების, ცილისმწამებელთა პროფესია „სიკოფანტები“. განსაკუთრებით დიდი გასაქანი ჰქონდათ „სიკოფანტებს“ ათენში. ისინი ათენელ მდიდრებზე სისტემატურ მეთვალყურეობას აწესებდნენ, მათ სავაჭრო, პოლიტიკურ და ინტიმურ ცხოვრებას ზვერავდნენ. როდესაც რაიმე სკანდალურ მასალას იშოვნიდნენ, სახალხო კრებაზე ბრალდებას უყენებდნენ და თავისივე მსგავს პროფესიონალ სიკოფანტებს იმოწმებდნენ. ათენის მსაჯულთა სასამართლო, სადაც ეს საქმეები ირჩეოდა, ღატაკი ათენელებისაგან შედგებოდა, ამიტომ აჯარიმებდნენ მდიდრებს, ქონებას ართმევდნენ, აძევებდნენ და ზოგჯერ სიკვდილითაც სჯიდნენ. ქსენოფონტეს თავის ნაწარმოებში მოყვანილი აქვს სოკრატეს ყოფილი მოწაფის ცნობა, ოდესღაც მდიდარი ათენელი მოქალაქის ქარმიდეს შესახებ. „როდესაც მდიდარი ვიყავი, მეშინოდა ვისმეს ჩემი სახლის კედელი არ შემოენგრია, ფული არ წაეღო და ჩემთვისაც რაიმე ვნება არ მოეტანა. სიკოფანტებს ვეფერებოდი, რადგან მათგან შეიძლებოდა განსაცდელში ჩავვარდნილიყავი. როდესაც მდიდარი ვიყავი, მუდამ მევალებოდა გამეკეთებინა ქალაქისათვის ესა თუ ის. ათენიდან წასვლის ნება არ მქონდა. ახლა, როდესაც ყველაფერი ჩამომართვეს და გამიყიდეს, მშვიდად მძინავს, ქალაქის ნდობითაც ვსარგებლობ. აღარავინ მემუქრება, პირიქით, მე ვემუქრები სხვებს. მე თავისუფალი ვარ, შემიძლია სადაც მინდა იქ წავიდე. მდიდრები ჩემს წინაშე დგებიან ადგილებიდან და ქუჩაში გზას მითმობენ. ახლა მე ნამდვილი წარჩინებული ვარ, წინათ კი მონა ვიყავი. მაშინ მე ხალხის სასარგებლოდ გადასახადებს ვიხდიდი, ახლა კი ქალაქი მაძლევს ჯამაგირს და მინახავს“.



+ - ტენაროსის კონცხი

ძვ.წ. IV ს. ცნობილი ათენელი ორატორი ისოკრატე თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე გვიხასიათებს საბერძნეთში შექმნილ მდგომარეობას: „ზღვაზე მეკობრეები ბატონობენ, მოქირავნე ჯარისკაცები ქალაქებს იპყრობენ, მოქალაქეები კი იმის მაგიერ, რომ თავისი ქალაქი დაიცვან, ერთმანეთს ეომებიან ქალაქის კედლების შიგნით". კლასთა ბრძოლა საბერძნეთში ძალიან გამწვავდა. კორინთოს ომის დროს ოლიგარქოსებს სპარტასთან ზავი სურდათ, დემოკრატებს კი ომი. რადგანაც დემოკრატებმა ოლიგარქოსები ვერ დაიყოლიეს ომზე, მათი სია შეადგინეს და ძვ.წ. 392 წ. როდესაც ევკლეის ზეიმი მიმდინარეობდა კორინთოში, თავს დაესხნენ და მრავალი მათგანი მოსპეს. მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა არგოსში ძვ.წ. 370 წ. ღატაკებმა რამდენიმე დღის განმავლობაში სკიტალებით (კეტებით) 1500 ოლიგარქოსი მოკლეს. „დემოკრატების ტირანიას" ადგილი არა მარტო ათენში, არამედ სხვა პოლისებშიც ჰქონდა, მაგალითად, სირაკუზში ძვ.წ. 405 წ. ბერძენი მოქირავნე ჯარისკაცების მეთაურმა დიონისემ ამოწყვიტა სირაკუზელი მდიდრები, მათი ქონება და ცოლ-შვილი თავის მოქირავნეებს, ღარიბ ხალხსა და მონებს გაუნაწილა. სირაკუზის ტირანიამ იარსება ძვ.წ. 344 წლამდე. ასეთივე, დემოკრატიულ ტირანიას ადგილი ჰქონდა კორინთოში, სიკიონში, აქაიაში, ჰერაკლეაში და არგოსში.

ოლიგარქოსებიც ერთიანდებოდნენ დემოკრატების წინააღმდეგ და ხშირად, დაქირავებული ჯარისკაცების დახმარებით ხელისუფლებაში ტირანები მოდიოდნენ. ასეთი „ოლიგარქიული ტირანია" ჩამოყალიბდა თესალიაში, არკადიაში, აქაიაში, თებეში და სხვაგან. საბერძნეთში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისი დღითიდღე იზრდებოდა. მონათმფლობელური სისტემის უაღრესად განვითარებამ გამოიწვია სასტიკი წინააღმდეგობა მონებსა და მონათმფლობელებს, აგრეთვე გაღატაკებულ წვრილ მწარმოებლებსა და მდიდარ მონათმფლობელებს შორის. ყველაფერი ეს ბერძნული პოლისების იმ ღრმა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის მაჩვენებელი იყო, რომელშიც ისინი ძვ.წ. IV ს. I ნახევარში აღმოჩნდნენ.

სწორედ იმ დროს, როდესაც საბერძნეთში კლასობრივი ბრძოლა მძვინვარებდა, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში ისტორიის ასპარეზზე გამოდიოდა ძლიერი სახელმწიფო — მაკედონია.

მაკედონია და ფილიპე II

ფილიპე II

მაკედონია მდებარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, საბერძნეთის ოლქების ეპირისა და თესალიის მოსაზღვრედ. მაკედონიის მთაგორიანი ჩრდილოდასავლეთი ტყეებით იყო დაფარული, სამხრეთდასავლეთი კი მდინარეების გალიაკმონის, აკსიისა და სტრიმონის ნაყოფიერ დაბლობებს წარმოადგენდა. ბერძენი ისტორიკოსები ჰეროდოტე და თუკიდიდე მაკედონელ დიდგვაროვნებს ბერძნებად მიიჩნევდნენ, ხალხს კი ბერძენთა მონათესავე ტომებად, რომლებიც მათ მსგავს ენაზე ლაპარაკობდნენ. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას — მონადირეობასა და მესაქონლეობას, ხელს უწყობდა შესანიშნავი საძოვრების არსებობა. განსაკუთრებით განვითარებული იყო მეცხენეობა. მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მეფუტკრეობასაც. მაკედონია ეგეოსის ზღვისპირეთიდან იზოლირებული იყო ბერძენთა ახალშენებით. მათ აქედან გაჰქონდათ მადნეული, გემთმშენებლობისათვის ხე-ტყე, კუპრი და ფისი.

ძვ. წ. VI ს. კი მაკედონია დამოუკიდებელ სამთავროებს წარმოადგენდა. სამხრეთ მაკედონიის მთავრებს შორის არგეადების საგვარეულო გაძლიერდა და დიდი გავლენას მიაღწია. ბერძენ-სპარსელთა ომების დროს მეფე ამინტა I სპარსელების ბატონობა აღიარა, თუმცა შემდეგ უარყო. ყველაზე ცნობილი მეფე იყო ამინტა I შვილი ალექსანდრე I (ძვ. წ. 498-454 წწ.), რომელიც სპარსელებთანაც მეგობრობდა და ბერძნებთანაც. მან თავისი მეფობის დროს მაკედონიის რამდენიმე ოლქი შეიერთა. ბერძნები მას იმდენად სცემდნენ პატივს, რომ ოლიმპიურ ასპარეზობებზეც კი იწვევდნენ, რის უფლებაც არც ერთ ბარბაროსს არ ჰქონდა. ალექსანდრე I დროს მაკედონია ბერძნულ პოლისებთან ვაჭრობდა და საკუთარ ვერცხლის ფულსაც ჭრიდა. მისი მეფობის დროს იწყება მაკედონიის გაერთიანება. ამ ეპოქის ბერძნები ჰომეროსის დროინდელ საბერძნეთის საზოგადოებას ადარებდნენ. ალექსანდრე I შემდეგ ყველაზე გამორჩეუ-

ლი მეფე იყო არქელაოს I (ძვ. წ. 419-399 წწ.), რომელმაც ხელისუფლება მაკედონიის სამეფო გვირგვინის მაძიებელი ნათესავების დახოცვით განიმტკიცა. მან მაკედონიაში ძლიერი სიმაგრეები ააგო, გზები გაიყვანა, კარგად შეიარაღებული მუდმივი ცხენოსანი ლაშქარი ჩამოაყალიბა და მთიან ადგილას მდებარე სატახტო ქალაქი ეგინადან პელაში გადაიტანა, რომელიც მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. ამ ერთმა ადამიანმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მაკედონიის წინამორბედმა რვა მეფემ ერთად. ბერძნული კულტურის დიდი პატივისმცემელი არქელაოსი თავისთან იწვევდა მის წარმომადგენლებს — მხატვარ ზევკისს, პოეტს და მოქანდაკეს ტიმოთეოსს, ტრაგიკოს ევრიპიდეს, რომელმაც რამდენიმე ტრაგედია დაწერა მაკედონურ სიუჟეტზე: „ბაკხი ქალები", „მეფე არქელაოსი" და სხვები. არქელაოსი აგრძელებდა მაკედონიის გაერთიანების საქმეს. მის სამეფოს სტუმრობდნენ მაკედონიის დამოუკიდებელი სამეფოების მთავრები. ვერცხლის ფულის გარდა, მან სპილენძის ფულის მოჭრაც დაიწყო. თესალიელებს ქალაქი ლარისა წაართვა და მაკედონიას შეუერთა.



კატაპულტა

ძვ. წ. 399 წ. არქელაოსის სიკვდილის შემდეგ მაკედონიამ სამი მეფე გამოიცვალა. 390 წ. ტახტზე ავიდა ამინტა III, რომელსაც მწვავე ბრძოლა ჰქონდა ილირიელებთან, შემდეგ ოლინთოსა და ქალკიდიკის კავშირთან. მისი სიკვდილის შემდეგ, 369 წ. დაიწყო მაკედონიის ტახტისათვის ბრძოლა, რომელში თებეც ჩაერია. მაკედონიის მეფე პერდიკა III (ძვ. წ. 365-360 წწ.) თავისი უმცროსი ძმა ფილიპე თებეში მძევლად გაგზავნა, სადაც მან თებელი სარდლების ეპამინონდის და პელოპიდეს ხელმძღვანელობით ბრწყინვალე სამხედრო და დიპლომატიური განათლება მიიღო. როცა პერდიკა ილირიელ ტომებთან ბრძოლის დროს დაიღუპა, ძვ.წ. 360 წ. ფილიპე მცირეწლოვანი ძმისწულის ამინტას მეურვედ დაბრუნდა. ძველი წესის მიხედვით, ლაშქარს

უფლება ჰქონდა მაკედონიის მეფე აერჩია და მანაც ფილიპე II აირჩია (ძვ. წ. 399-336 წწ.). ფილიპე ძველი სამყაროს მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო — შესანიშნავი დიპლომატი და სარდალი, რომელმაც თავისი რეფორმებითა და დაპყრობებით ნიადაგი მოუმზადა თავის შვილს ალექსანდრეს მსოფლიოს ბატონობისათვის.

ფილიპე II ტახტის ყველა მაძიებელი თავიდან მოიცილა, დაასრულა არქელაოსის მიერ დაწყებული მუდმივი ლაშქრის ჩამოყალიბება; თავისუფალი მაკედონელი გლეხებისაგან შექმნა მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომრების რაზმები, რომლებიც ლაშქრის ძირითად ნაწილს — მაკედონურ ფალანგას ე. წ. „სარისოფორებს" შეადგენდნენ. ფალანგის თითოეულ რაზმში მეომრები 16 რიგად იდგნენ. მომდევნო რიგები სიღრმეში რვამდე მცირდებოდა. შეიარაღებული იყვნენ მახვილით და 5-6 მეტრის სიგრძის შუბებით — სარისებით. თავს იცავდნენ სწორკუთხა ბრინჯაოს ფარებით. როცა ფალანგა შემჭიდროებულ რაზმებად სალაშქროდ მიდიოდა, ეს უშველებელი სარისები მეომრებს მხარზე ჰქონდათ გადებული. იერიშის დროს კი 16 კაცი ერთდროულად ურტყამდა მტერს. მაკედონურ ფალანგას გვერდებიდან მსუბუქად შეიარაღებული მეომრები იცავდნენ, ზურგიდან კი — ცხენოსანი ლაშქარი. ფალანგის მეომრებს სახელმწიფოს ხარჯზე აიარაღებდნენ. არქელაოსის დროს შექმნილი ცხენოსანი ჯარი ძირითადად წარჩინებულებისაგან შედგებოდა. ისინი იარაღდებოდნენ საკუთარ ხარჯზე და წინასწარ შემუშავებულ საერთო საბრძოლო



მაკედონური ფალანგა ფილიპეს დროს

გეგმას ემორჩილებოდნენ. საჭირო შემთხვევაში მანევრირებასაც

აწარმოებდნენ. ფილიპემ მაკედონიის ლაშქარში პირველად შექმნა საინჟინრო ნაწილები აღჭურვილი საიერიშო იარაღით — კატაპულტებით, კედლის სანგრევი ურნალებით და მოძრავი კოშკებით.



ფილპე II

ფილიპე II დროს მაკედონიამ პირველად ააგო საზღვაო ფლოტი, რომელიც ბერძენთა გემებს ყოველთვის ჩამორჩებოდა სისწრაფესა და მანევრირებაში. სამაგიეროდ, უფრო მაღალი იყო ქვეითთა საბრძოლო თვისებები, რადგან თავისუფალი გლეხებისგან შედგებოდა და ფაქტიურად სახალხო ლაშქარს წარმოადგენდა. ბერძნული დაქირავებული ლაშქრის შენახვა ძვირიც ჯდებოდა და სანდოც არ იყო. კრიტიკულ მომენტში ყოველთვის იყო საშიშროება გადასულიყო მტრის მხარეზე. ფილიპემ კარგად ორგანიზებული,ორი წლის სისტემატური წვრთნით მომზადებული ლაშქრით სასტიკად დაამარცხა ძველი მტრები ილირიელები და თრაკიელები. ფილიპემ დაასრულა მაკედონიის სახელმწიფოს ცენტრალიზაცია, დამოუკიდებელი სამთავროები დაიპყრო და მათი მთავრები ცოლ-შვილიანად დედაქალაქ პელაში გადაასახლა, რათა მათთვის განდგომის საშუალება არ მიეცა. მთავრები, ზოგი პირად და ზოგი ჰეტერთა (ამხანაგთა) არმიაში ჩარიცხა, ზოგს ჯარის მეთაურობა დაავალა, რათა ისინი ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდა. მათი შვილები კი ან მაკედონიის ცხენოსან ლაშქარში იბრძოდნენ, ან სამეფო კარზე „პაჟების" მოვალეობას ასრულებდნენ, და მეფის და მისი ოჯახის წევრების მცველებად ითვლებოდნენ.

ფილპე II თესალიელ და თრაკიელ წარჩინებულებს იზიდავდა თავის სამეფო კარსა და ლაშქარში. მეფის პირადი, ჰეტერთა გვარდია მაკედონელ წარჩინებულთა გარდა ბერძნების, თესალიელებისა და თრაკიელებისაგან შედგებოდა. იგი ითვლებოდა მეფის მეგობრების არმიად, რომელიც დაახლოებით 800 კაცისაგან შედგებოდა. მეფესთან არსებული ჰეტერთა საბჭოც ჰეტერთა გვარდიის წევრებისაგან შედგებოდა, რომელიც აგვარებდა მაკედონიის საშინაო და

საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ფილიპესა და მისი შვილის ალექსანდრეს დროს, მაკედონიაში არსებული სახალხო კრებაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ფაქტიურად მეომრების კრება იყო. კრებას უფლება ჰქონდა აერჩია და გადაეყენებინა მეფე. ფილიპემ იგი საკუთარი ნებასურვილის მორჩილ აღმასრულებლად აქცია.

ყოფილი დამოუკიდებელი მთავრები ფილიპე II ყველა ახალ ღონისძიებას ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი ისწრაფოდნენ დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. ეს კარგად იცოდა მეფემ და ამის საშუალებას არ აძლევდა მათ — თანამდებობებზე ნიშნავდა და სამეფო კარზე ყავდა მიმაგრებული. იმდენად განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება, რომ ოპოზიციას ყოველგვარი წინააღმდეგობის შესაძლებლობა მოუსპო. მაკედონიის გაერთიანების შემდეგ ფილიპემ ქალკიდიკის ნახევარკუნძული და თრაკიის ზღვისპირეთი დაიპყრო და ქვეყანას ეგეოსის ზღვისკენ გასასვლელი გაუხსნა. თრაკიაში კუნძულ თასოსის ახალშენი კრენიდესი დაიპყრო, რომელიც მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა — პანგეის ოქროს საბადოებს დაჰყურებდა, იგი მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ აქცია და საბადოების დამუშავება დაიწყო. მოძველებული ხელსაწყოები გამოცვალა და ოქროს დამუშავების უახლესი მეთოდები დანერგა. აქედან მეფე წლიურად 1000 ტალანტ ოქროს იღებდა, რამაც საშუალება მისცა ოქროს მონეტა მოეჭრა. ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის მან პირველმა დაიწყო ოქროს ფულის „ფილიპიკის" მოჭრა, რომელიც სპარსულ ოქროს „დარიკს" დაუპირისპირა.

ფილიპეა

ფილიპე II საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო ილირიელებისა და თრაკიელების წინააღმდეგ, რომლებიც თავდასხმებით ძალიან აწუხებდნენ მაკედონიას, ამიტომ მათი ტერიტორია სამხედრო ძალასთან ერთად, დიპლომატიით და მოსყიდვის გზითაც დაიპყრო. თრაკიელი ტომების ბელადებს ხშირად სწორედ ქრთამით იმორჩილებდა. მისი თქმით — არ არსებობდა ისეთი მაღალი გალავანი, რომელსაც ოქროთი

დატვირთული ვირი ვერ გადააბიჯებდა. თრაკია-ქალკიდიკის დამორჩილებისას მას წინ არ აღდგომია ძლიერი, ორგანიზებული სამხედრო ძალა, რომელიც მას ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდა. დაპყრობები მან სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ბეოტიის კავშირი დაიშალა. ფილიპემ ნელ-ნელა დაიწყო საბერძნეთის პოლისების საქმეებში ჩარევა. მაგალითად, „საღვთო ომში", რომელიც მას სრულიადაც არ ეხებოდა. ბრძოლა ძვ. წ. 355-345 წწ. გაიმართა თებელებსა და ფოკიდელებს შორის. ბეოტიის კავშირიდან ფოკიდელების განდგომით შეურაცხყოფილი თებე მათ დელფოს ტაძრის კუთვნილი მიწების მითვისებაში ადანაშაულებდა, მოითხოვდა დელფოს ტაძრისათვის მიწების დაბრუნებას და ჯარიმის გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში თებელები მთელი ფოკიდის მიწა-წყლის დელფოს ტაძრისათვის გადაცემით იმუქრებოდნენ. ფოკიდელებისათვის ეს მოთხოვნები დამღუპველი და გამანადგურებელი იყო, ამიტომ ფოკიდელმა მდიდარმა მონათმფლობელმა ფილომენოსმა დელფოს ტაძარი ფოკიდის საკუთრებად გამოაცხადა და მისი საგანძურის, დაახლოებით 1000 ტალანტის კონფისკაცია მოახდინა. ამ თანხით ფოკიდამ 20 ათასი ჯარისკაცი იქირავა და ჯერ თებეს მომხრეები გაამეცა დელფოს ტაძრიდან, შემდეგ კი საბერძნეთის პოლისებს მოუწოდა კანონიერად ეცნოთ ფოკიდელების უფლება დელფოს ტაძრის განძეულობაზე. თებეზე განაწყენებულმა ათენელებმა და სპარტელებმა ფოკიდას მხარი დაუჭირეს. ფოკიდელთა თავხედობით აღშფოთებულმა თებელებმა შუა საბერძნეთის პოლისები (ათენის გარდა) გააერთიანეს და თესალიელებთან ერთად „საღვთო ომი" გამოუცხადეს. ძვ. წ. 355 წ. ფოკიდელების ბელადი ფილომელოსი პირველსავე ბრძოლაში დაიღუპა და ის მეორე სადალმა შეცვალა.



ისოკრატე

ფოკიდის მოკავშირე თესალიაში იმ დროს დიდგვაროვნების ორი დაჯგუფება ებრძოდა ერთმანეთს. ერთმა მხარემ ფოკიდელთა წინამძღოლი ონომარქოსი მოიწვია თავისი ჯარით,მეორემ — ფილიპე

II, რომელიც მცირე ძალებით ჩავიდა და დამარცხდა. გაბრაზებული ფილიპე „საღვთო ომში“ ჩაერია, „ტაძრის მძარცველ“ ფოკიდელებს ომი გამოუცხადა. ძვ. წ. 352 წ. დიდი ჯარით თესალიაში შეიჭრა, ფოკიდელები სასტიკად დაამარცხა და დელფოს განძეულის დარჩენილი ნაწილი დააბრუნებინა, თესალიის ყველა ქალაქში კი მაკედონიის ჯარი ჩააყენა. თერმოპილეს აღებაც სცადა, მაგრამ სპარტის, ათენისა და ფოკიდის ჯარებმა მას ამის საშუალება არ მისცეს. სამაგიეროდ, ძვ.წ. 348 წ. ათენის მოკავშირე ოლინთო დაიპყრო და მთელი მისი მოსახლეობა მონებად გაჰყიდა.

ათენელ დემოკრატთა ბელადმა დემოსთენემ ფილიპე II წინააღმდეგ სამი მამხილებელი სიტყვა წარმოსთქვა ათენში, ბერძნებს გაერთიანებისა და ფილიპეს დამხობისაკენ მოუწოდა. ფილიპემ საერთო არეულობით ისარგებლა და ათენს კუნძული ეუბეა წაართვა. შეშფოთებულმა ათენელებმა ძვ. წ. 346 წ. მას ელჩები გაუგზავნეს ფილოკრატეს მეთაურობით, აღუთქვეს ეცნოთ მის მიერ თრაკიისა და ქალკიდიკის დაპყრობა, სანაცვლოდ თესალიიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვეს. ფილიპე დათანხმდა წინადადებაზე ერთი პირობით: მან ბერძნებს მოსთხოვა მისთვისა და მისი მემკვიდრეებისათვის დელფოს ამფიქტიონის წევრობა. დელფოს ამფიქტიონი შუა საბერძნეთის პოლისების წარმომადგენელთა საბჭო იყო, რომელსაც ევალებოდა დელფოს ტაძრის დაცვა და სატაძრო დღესასწაულების მოწყობა-მოწესრიგება, აგრეთვე ბერძნულ პოლისებს შორის სასამართლო, სადავო საკითხების გადაწყვეტა.

დემოსთენე

ძვ. წ. 345 წ. ფილიპე II თავისი ჯარები გაიყვანა თესალიიდან, მაგრამ ძვ. წ. 342 წ. როდესაც საბერძნეთში ანტიმაკედონური გამოსვლები დაიწყო, ისევ დაიპყრო თესალია და იგი თავის სამფლობელოდ აქცია. მაკედონია კი შუა საბერძნეთის მოსაზღვრე, მეზობელი ქვეყანა გახდა. ფილიპე კარგად იცნობდა ბერძნულ პოლისებ-

ში არსებულ მდგომარეობას. მის თვალწინ მიმდინარეობდა ბრძოლა თებელ დემოკრატებსა და ოლიგარქოსებს შორის, როცა იქ მძევლად იმყოფებოდა. ფილიპეს კარზე მრავალი ბერძენი მოღვაწეობდა – არისტოტელე, ესქინე, ფილოკრატე და სხვები, რომლებსაც იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა. მათ კი მაკედონიის მეფე დემოკრატ და განათლებულ ხელისუფლად გააცნეს მაშინდელ სამყაროს. ამის წყალობით საბერძნეთში მას ბევრი მომხრე ჰყავდა, რომლებიც მას აქეზებდნენ მთელი ბერძნული სამყაროს დასარაზმად სპარსეთთან ომისათვის. მაგალითად: ათენელი ორატორი ოლიგარქოსები ისოკრატე და ესქინე. მათი მეთაურობით ათენში შექმნეს ფილიპე II მომხრეთა პრომაკედონური პარტია, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ათენელი მდიდარი მიწათმფლობელები.

პრომაკედონურ პარტიას თავისი მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეები ჰყავდა – ანტიმაკედონური პარტიის მომხრეები, რომლებსაც მეთაურობდა ათენელი ორატორი და ვექილი დემოსთენე. დემოსი სახელმწიფოს, ან ათენელი მდიდრების ლიტურგიის ხარჯზე არსებობდა, ფილიპეს საბერძნეთში გაბატონება კი მას საარსებო წყაროს, ქვეყანას კი თავისუფლებას მოუსპობდა. დემოსთენე (ძვ. წ. 384-332) ათენელი ღარიბების ინტერესებს გამოხატავდა, პროტესტს უცხადებდა მაკედონიას და სასტიკად გმობდა მის საგარეო პოლიტიკას. იგი ბერძნებს მოუწოდებდა დარაზმულიყვნენ მაკედონიის წინააღმდეგ და დაეცვათ საბერძნეთის დამოუკიდებლობა. ფილიპე, როგორც დელფოს ამფიქტიონის წევრი და თესალიის მთავარი არქონტი, ჯარით თერმოპილესთან იდგა. დაიპყრო ეპირი და თავის ცოლის ძმას ალექსანდრეს მისცა სამეფოდ. ამან კიდევ უფრო განამტკიცა მაკე-

ოლიმპია და ფილიპე II, ფრესკა

დონის მეფის გავლენა ჩრდილო საბერძნეთში.

ძვ. წ. 340 წ. როგორც ჩანს, ფილიპეს სურვილით, ათენელებმა თესმიდიოსმა და ესქინემ ამფიქტიონის კრებაზე წინადადება შეიტანეს: კრისის სატაძრო მიწების მოხვნისათვის ქალაქ ამფისასთვის „საღვთო ომი“ გამოეცხადებინათ. კრებამ ამფისას დასჯის დადგენილება გამოიტანა, მაგრამ მისი განხორციელება გაუჭირდათ, რადგან სათანადო სამხედრო ძალები არ გააჩნდათ. ერთი წლის შემდეგ ამფისას დასჯა დაევალა ამფიქტიონის წევრს ფილიპე II, რომელიც სასწრაფოდ შეიჭრა შუა საბერძნეთში მაკედონიის ჯარით და ფოკიდელთა ქალაქ ელატეასთან გამაგრდა. როცა ამ ამბავმა ათენელთა ყურამდე მიაღწია, სასწრაფოდ შეიკრიბნენ პნიქსზე. კრებაზე სიტყვით გამოვიდა დემოსთენე და ბერძნებს მოუწოდა დარაზმულიყვნენ ფილიპეს წინააღმდეგ.



ლომი ქერონეაში

ძვ. წ. 338 წ. აპრილში ფილიპემ აიღო ქალაქი ამფისა, თებეს და ათენს ზავი შესთავაზა, მაგრამ დემოსთენეს აგიტაციისა და აქტიური ჩარევის წყალობით ზავზე უარი უთხრეს. ძვ. წ. 338 წ. აგვისტოს ბოლოს, ბეოტიაში სოფელ ქერონეასთან მოხდა ისტორიული ბრძოლა ფილიპეს 30-ათასიან ქვეით და 2.000 ცხენოსან ლაშქარსა და მასზე რიცხობრივად მეტ მოწინააღმდეგეს შორის. მაკედონური ფალანგის შეტევას ბერძნებმა ვერ გაუძლეს და დამარცხდნენ. მაკედონელთა მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობდა ფილიპეს 18 წლის ვაჟი ალექსანდრე. ბრძოლაში დაიღუპა 3.000 თებელი და 2.000 ათენელი, 2.000 — ტყვედ ჩავარდა. დემოსთენემ და მისმა მომხრეებმა გაქცევით უშველეს თავს. ფილიპემ საბერძნეთი დაიმორჩილა, თებეში თავისი ჯარები ჩააყენა, ევბეაში, აქაიასა და კორინთოში კი მმართველებად მაკედონელები გაგზავნა. ყველაზე ლმობიერად მეფე ათენს მოექცა. მისმა შეთავაზებულმა ზავმა არა მარტო პრომაკე-

დონური პარტიის მომხრეთა, არამედ დამარცხებული ანტიმაკედონური პარტიის აღტაცებაც გამოიწვია. ყველა ათენელი ტყვე უსასყიდლოდ გაანთავისუფლა და ათენის დამოუკიდებლობა აღიარა. ფლოტი, კუნძულები: სალამინი, ლემნოსი, სამოსი, იმბროსი და დელოსი, თრაკიის ქერსონესის გარდა, ათენის ტერიტორიად გამოაცხადა. ქერსონესი ფილიპეს ხელში გადავიდა, სანაცვლოდ ათენს ქალაქი ოროპი გადასცა.



ფილიპეს ჯარის სოლისებური წყობა

ძვ. წ. 337 წ. ფილიპემ ქალაქ კორინთოში მთელი საბერძნეთის პოლისების წარმომადგენელთა ყრილობა მოიწვია, რომელზეც სპარტელთა გარდა ყველა გამოცხადდა. ფილიპემ საბერძნეთთან ომი დამთავრებულად გამოაცხადა. ყველა პოლისს მეფესთან უვადო კავშირი უნდა დაედო, რის საფუძველზეც შეიქმნა „ელინთა კავშირი". მასში შემავალი პოლისები ფორმალურად თავისუფალი იყვნენ, ფაქტიურად კი ფილიპე II აღიარებდნენ მთელი საბერძნეთის წინამძღოლად. კავშირმა ომი გამოუცხადა სპარსეთს იმ საბაბით, რომ მათ ბერძენ-სპარსელთა ომის დროს შეურაცხყვეს ბერძნული ტაძრები. ყველა ბერძენს სასტიკად აეკრძალა სპარსეთის ლაშქარში სამსახური. პოლისებს სამხედრო ბეგარის სახით მეომართა გარკვეული რიცხვის გამოყვანა დაევალა. კორინთოს კონგრესზე აიკრძალა ბერძენთა პოლისებს შორის ომი, მოქალაქეთა გაძევება, სიკვდილით დასჯა, ქონების კონფისკაცია, ვალების პატიება და მონების გათავისუფლება მაკედონიის მეფის ნებართვის გარეშე. გამოცხადდა სახმელეთო მიმოსვლისა და ზღვაოსნობის თავისუფლება, ამით მეკობრეებს აეკრძალათ გემების ძარცვა და ეგეოსის ზღვაში თარეში. კონგრესის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად შეიქმნა ბერძნული პოლისების წარმომადგენელთა საბჭო „სინოდი", რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა კორინთოს ყრილობის დადგენილებათა ზუსტი შესრულებისათვის.

კონგრესის შემდეგ ფილიპე II დაიწყო სპარსეთთან ომისათვის მზადება. მან მცირე აზიაში გადასხა 10.000 მეომარი პარმენიონისა და ატალოსის მეთაურობით, რათა პლაცდარმი მოემზადებინათ. აზიის ბერძნული ქალაქები კიზიკი და ეფესო მაკედონელთა ლაშქარს ისე შეხვდნენ, როგორც მხსნელებს. ომის დაწყება სპარსეთთან დაგეგმილი იყო ძვ. წ. 336 წ. მაგრამ იმ წელს, მოულოდნელად, 47 წლის ფილიპე თავისი ქალიშვილის ქორწილში მოკლა წარჩინებულმა მაკედონელმა პავსანიუსმა.

ფილიპეს მაკედონიასა და მის გარეთაც ბევრი მტერი ჰყავდა. მართალია, იგი ძალიან ფრთხილი დიპლომატი და პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ბევრ შეცდომებს უშვებდა და დაუფიქრებელ საქმეებსაც სჩადიოდა. მას დარჩა საკმაოდ ბევრი საყვარელი და უკანონო შვილი, რაც მის მეუღლე ოლიმპიას და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს დიდად სწყინდათ. ამის გამო მას ხშირად ჰქონდა უსიამოვნება. საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, ძვ.წ. 337 წ. მოულოდნელად შეუყვარდა ჩრდილო მაკედონიის მთავრის ქალიშვილი კლეოპატრა. იგი ოფიციალურად გაეყარა ალექსანდრეს დედას ოლიმპიას და შეირთო კლეოპატრა. ქორწილის დროს, პატარძლის ბიძამ ატალოსმა სადღეგრძელოში ახლად შეუღლებულებს უსურვა მაკედონიის ღირსეული ტახტის მემკვიდრის დაბადება. ეს სადღეგრძელო ეწყინა ქორწილში მყოფ ალექსანდრეს, მან ატალოსს ღვინით სავსე თასი ესროლა და უთხრა „გამოტვინებულო, მე შენ ბუში ხომ არ გგონივარო". შვილის საქციელით ნაწყენი ფილიპე მისკენ წავიდა, მაგრამ ძალიან მთვრალი იყო და წაიქცა. ალექსანდრემ ეს რომ დაინახა, თავის მეგობრებს უთხრა „შეხედეთ, მეგობრებო, ეს კაცი ევროპიდან აზიაში გალაშქრებას აპირებს და სავარძლიდან სავარძლამდე ვერ მისულაო". ამის გამო ოლიმპია წავიდა საცხოვრებლად თავის ძმასთან, ეპირის მეფე ალექსანდრესთან, ხოლო ალექსანდრე მაკედონელი კი თავის მეგობარ ჰარპალესთან, ნეარქოსთან, ერიფი-

ლისიპე, ალექსანდრე მაკედონელი

ალექსანდრე ტეტრადრაქმა

ოსთან და პტოლემაიოსთან ერთად ილირიაში გადავიდა.

ფილიპესა და ალექსანდრეს მეგობრები ჩაერივნენ მამა-შვილის კონფლიქტში და შეარიგეს მომდურავები. შვილის არყოფნის დროს მაკედონიაში ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ფილიპემ თავისი ახალგაზრდა ცოლის ნათესავები დანიშნა, რომლებიც მისი პოლიტიკის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგენი იყვნენ. ფილიპე II პოლიტიკური სიფხიზლე დაჰკარგა: ჩრდილო მაკედონიის მთავრებს დამოუკიდებლობა წაართვა, სახელმწიფოს ჩვეულებრივ მოხელეებად, ფაქტიურად, მაკედონიის მეფის სასახლის მსახურებად აქცია. ამით მათი რეალური ხელისუფლება, რომელიც მანამდე ჰქონდათ, გააუქმა. ამას ცხადია არ აპატიებდნენ და თავიანთი ძველი უფლების აღსადგენად შესაფერის მომენტს ეძებდნენ. მეფემ კი სწორედ მათ დაურიგა ახალი თანამდებობები და დაიახლოვა ისინი.

სპარსეთი მაკედონიის წინააღმდეგ ომისთვის მზად არ იყო, უკანასკნელი მეფე დარიოს III კოდომანი ძვ. წ. 336 წ. გამეფდა, სწორედ იმ დროს, როდესაც მაკედონიამ სპარსეთს ომი გამოუცხადა, ამიტომ მეფე ჯერ კარგად არ იყო გარკვეული სამეფო საქმეებში და ყოველნაირად ცდილობდა ომის აცილებას. სპარსელებმა ძველ ნაცად ხერხს მიმართეს, საბერძნეთში და მაკედონიაში დიდი თანხები გაგზავნეს ფილიპე II მოსაკლავად. ასე დაემთხვა ფილიპეს გარეშე და შინაური მტრების მისწრაფება და საერთო ძალებით განხორციელდა მეფის მკვლელობა. სიკვდილის წინ იგი მეგობრების წყალობით ალექსანდრეს შეურიგდა. ეს შერიგება დაგვირგვინდა ფილიპესა და ოლიმპიას ქალიშვილის გათხოვებით ეპირის მეფე ალექსანდრეზე, რომელიც ოლიმპიას, ალექსანდრე მაკედონელის დედის ძმა იყო. ქალაქ ეგაში გაზაფხულის მიწურულს, ქორწილის დროს, ჩრდილო მაკედონიის ლინკესტიდის მთავრებმა ფილიპე II მკვლელი მიუგზავნეს — ჰეტერთა გვარდიის წევრი პავსანიუსი, რომელმაც მეფე სასიკვდილოდ დაჭრა.

ფილიპეს და ალექსანდრეს მტრებს ეგონათ, რომ მეფის

სიკვდილით მაკედონიის სამეფო დაიშლებოდა და ისინი კვლავ თავიანთ დამოუკიდებელ სამთავროებში დაბრუნდებოდნენ, მაგრამ იმედები არ გაუმართლდათ. მნიშვნელოვანი ღონისძიებებით ფილიპემ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამორჩენილი მაკედონია უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. მაკედონელთა თავისუფალი გლეხებისა და დიდგვაროვნებისაგან შემდგარ, ომებითა და ნადავლით გამდიდრებულ ლაშქარს არავითარი სურვილი არ ჰქონდა ძველებურად ეცხოვრა. მეფის მკვლელობამ მათი იმედი არ გაამართლა. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე, რომელსაც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მეფეს, მამამისს კი სარდალს უწოდებდნენ, რაც ფილიპეს სულაც არ სწყინდა.

ფილიპეს სიკვდილის ცნობამ მთელი საბერძნეთი ააფორიაქა. ანტიმაკედონური პარტიის მეთაური დემოსთენე საზეიმო ტანსაცმელში გამოეწყო, გვირგვინით შემკობილმა ღმერთებს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა და ათენის სახალხო კრებაზე განაცხადა: „ტირანი მოკვდა, მოსულელო ალექსანდრესი შეგვიძლია არ გვეშინოდეს, რადგან ის მაკედონიის საზღვრებიდან გადმოსვლასაც ვერ გაბედავსო“, მაგრამ ალექსანდრეს შეფასებაში დემოსთენე დიდად ცდებოდა. მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტის ბევრი მაძიებელი გამოჩნდა. დიდგვაროვან მაკედონელებს ალექსანდრეს გამეფება არ სურდათ, რადგან იცოდნენ, რომ იგი მამის პოლიტიკას გააგრძელებდა, ამიტომ ყველა სხვა პრეტენდენტს მხარს უჭერდნენ. მაგრამ მაკედონელთა ლაშქარში ალექსანდრეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მეფედ იგი ჯარმა აღიარა. ოლიმპიამ როგორც კი გაიგო ქმრის სიკვდილი, სასწრაფოდ დაბრუნდა ეპირიდან. ისარგებლა იმით, რომ ალექსანდრე ამ დროს არ იყო მაკედონიაში და თავის მეტოქეს გაუსწორდა: კლეოპატრას ჩვილი გოგონა თავით კედელს შეანარცხა და მოკლა, რის შემდეგაც გამწარებულმა კლეოპატრამ თავი ჩამოიხრჩო. როცა ალექსანდრემ ამ ბარბაროსული მკვლელობისა და კლეოპატრას თვითმკვლელობის შესახებ შეიტყო, ძალიან ეწყინა და დედასთან უსიამოვნო საუბარიც ჰქონდა. ფილიპეს მკვლელი, მისი წამქეზებლები და ყველა, ვინც მამის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, ალექსანდრემ სასტიკად დასაჯა. მთავარ დამნაშავედ სპარსელებს თვლიდა და ამას ხშირად იმეორებდა კიდეც.

საბერძნეთში ჩასულ ალექსანდრეს პირველად ათენელებმა მიულოცეს გამეფება. ძვ. წ. 336 წ. მან კორინთოში მოიწვია ბერძნული პოლისების ყრილობა, რომელმაც დაადასტურა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებები და ბერძენ-მაკედონელთა სამხედრო ძალების სარდლად ალექსანდრე დაასახელა, რომელმაც იმავე საბაბით, რა საბაბითაც ფილიპემ, ომი გამოუცხადა სპარსეთს. საბერძენეთ-მაკედონიაში მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ ალექსანდრე მაკედონიის ჩრდილოეთით გაემართა, სადაც ფილიპეს სიკვდილის ამბავის გაგებისთანავე აჯანყდნენ ტრიბალები და მაკედონიის სხვა ოლქებსაც დაემუქრნენ. მან თრაკიელები დაიმორჩილა, მერე დუნაი გადალახა და ტრიბალების მოკავშირე გეტების ტომი დაამარცხა. შემდეგ დიდი ნადავლით დატვირთული ილირიის დასასჯელად გაემართა, რომლებმაც ჩრდილო მაკედონიის ქალაქი პელიონი დაიპყრეს. მათი დამარცხებისას შეატყობინეს, რომ თებე აჯანყდა და ილირიიდან 13 დღეში საბერძნეთში გაჩნდა. როცა დანებებაზე უარი მიიღო, თებე იერიშით აიღო, მოსახლეობა მონებად გაჰყიდა, ქალაქი კი ტაძრებისა და პოეტ პინდარეს სახლის გარდა, მიწასთან გაასწორა.

თებეს განადგურებამ ათენი და სხვა პოლისები ძალიან შეაშინა. ათენელებმა ალექსანდრეს გამარჯვება მიულოცეს და ქალაქში მიიპატიჟეს. მისმა გამოჩენამ საბერძნეთს შიშის ზარი დასცა. მაკედონიაში დაბრუნებული სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის შეუდგა მზადებას. აზიაში გამგზავრების წინ მთელი თავისი ქონება — მამულები, ჯოგები მეგობრებს დაუტოვა. როცა სარდალმა პერდიკამ ჰკითხა: „შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო?“, „იმედსო“,— უპასუხა ალექსანდრემ. „მაშინ ჩვენც, შენი მოლაშქრეები მაგას გავინაწილებთო“, — უთხრა სარდალმა და უარი თქვა ალექსანდრეს მიცემულ ქონებაზე. ლაშქრის შესანახად სულ ცოტა 300 ტალანტი იყო საჭირო, ალექსანდრეს კი სულ 70 ტალანტი ჰქონდა. ჰყავდა 30 000 ქვეითი, 5 000 ცხენოსანი და 160 გემი. ლაშქარი კარგად იყო გაწვრთნილი. წაიყვანა ფილიპე II მიერ შექმნილი საინჟინრო ჯარის ნაწილებიც, რომლებმაც იცოდნენ გზების გაყვანა, ხიდების აგება, სიმაგრეთა სანგრევი ურნალების გამოყენება. ლაშქრობის წინ თავის მოადგილედ, საბერძნეთ-მაკედონიის მმართველად მამამისის ერთგული მეგობარი, უპატიოსნესი

სარდალი ანტიპადრე დატოვა. დაუტოვა ჯარის ნაწილიც და დაავალა დროდადრო, სამხედრო ძალების შესავსებად, გაწვრთნილი ახალგაზრდები მიეშველებინა.

ძვ. წ. 334 წ. გაზაფხულზე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ჯერ კიდევ ფილიპეს მიერ გაგზავნილი ჯარის წყალობით, ალექსანდრემ ადვილად გადალახა ჰელესპონტის სრუტე და მცირე აზიაში გადაიყვანა ჯარი.



მაკედონიის რუკა

ლისიპე. ალექსანდრე მაკედონელი

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა აღმოსავლეთში

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და ბრძოლების შესახებ შემონახულია მდიდარი მასალა. ჩვენამდე მოაღწია ძვ.წ. II ს. მეორე ნახევრის რომაელი ისტორიკოსის არიანეს შრომამ „ალექსანდრეს ანაბაზისი“ 7 წიგნად, რომელშიც მოცემულია ალექსანდრეს ბრძოლების ისტორია; მისი ბიოგრაფია აღწერილი აქვს II ს. ბერძენ ისტორიკოს პლუტარქე ქერონეელს; ძვ. წ. I ს. რომაელი ისტორიკოსი კვინტუს კურციუს რუფუსის „ალექსანდრე დიდის ისტორია“ 10 წიგნად, საიდანაც ჩვენამდე მოღწეულია ყველა წიგნი, გარდა პირველი ორისა. მასში ფრიად საინტერესო მასალაა შენახული. II ს. კომპილატორს იუსტინესაც უსარგებლია ავგუსტუსის დროის ისტორიკოს პომპეუს ტროგუსის „ფილიპეს ისტორიით“. ალექსანდრეს შესახებ საინტერესო ცნობები აქვს თავის გეოგრაფიაში სტრაბონსაც. სამწუხაროდ, ალექსანდრეს თანამედროვე ავტორთა თხზულებებიდან არც ერთმა არ მოაღწია ჩვენამდე. შემონახულია მხოლოდ იმდროინდელი წარწერები და უამრავი მონეტა. ძვ.წ. I ს. ეგვიპტეში შეიქმნა „რომანი ალექსანდრეს შესახებ“, რომელსაც მიაწერენ ფსევდო კალისთენეს. ამ ნაწარმოებში ალექსანდრეს ეპოქის შესახებ დამახინჯებული ცნობებია მოცემული.

ალექსანდრე დაიბადა ძვ. წ. 356 წ. პელაში, იმ დღეს, როცა ქალაქ ეფესოში უგუნურმა ჰეროსტრატემ არტემიდა ეფესელის ტაძარი დაწვა. ალექსანდრეს პატივმოყვარე, თავდაჭერილი, ხორციელი სიამოვნებებისადმი გულგრილი ბავშვი ყოფილა. დინჯი, ამაყი და ზოგჯერ ზომაზე ფიცხი ალექსანდრე არასოდეს ილტვოდა სიმდიდრისა და განცხრომისაკენ. მისი ოცნება და მისწრაფება იყო მამაცობით, დიდებითა და ღირსებით მოსილი სახელის მოხვეჭა.

ალექსანდრეს საყვარელი გმირი იყო აქილევსი. მას ასწავლიდნენ ეთიკას, პოლიტიკას, მუსიკას, მედიცინას, ფილოსოფიას, ლიტერატურასა და გიმნასტიკას. 13 წლის ალესანდრეს ფილიპემ მასწავლებლად ცნობილი ათენელი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ.წ. 384-322 წწ.) ჩამოუყვანა, მაკედონიის სამეფო კარის ექიმის ნიკომაქეს შვილი. ძვ. წ. 345-339 წწ. იგი ალექსანდრეს ასწავლიდა მედიცინას, ლიტერატურას, ფილოსოფიას და ისე შეაყვარა ბერძნული კულტურა, რომ ალექსანდრეს სულ თან დაჰქონდა არისტოტელეს მიერ შესწორებული „ილიადა".

როდესაც ფილიპე II მეზობელ ტომებს ებრძოდა და მაკედონიაში ცნობებს გზავნიდა რომელიმე ქალაქის დაპყრობის შესახებ, ალექსანდრე წუხდა და ამხანაგებს ეუბნებოდა: „მამაჩემი ყველაფერს დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად საგმირო საქმეები რომ ჩავიდინოო". ფილიპეს შვილი ბრძოლებშიც თან ახლდა, ქერონეის ბრძოლის დროს ალექსანდრე მაკედონიის ლაშქრის მარცხენა ფრთას ხელმძღვანელობდა და თებელების „წმინდა რაზმი" გაანადგურა.

დარიოს III კოდომანი, ფრესკა

ფილიპემ შენიშნა, რომ ალექსანდრე ძალდატანებას ვერ იტანდა, კეთილ რჩევას კი პირიქით, ადვილად ემორჩილებოდა. ამიტომ არასოდეს არ ელაპარაკებოდა შვილს ბრძანების ან მუქარის ტონით. ერთხელ თესალიელმა ფილონიკემ ფილიპეს გასაყიდად გაუხედნავი ცხენი მიუყვანა. ცხენს ბუცეფალი ერქვა და მხედარს არ იკარებდა. ფილიპემ ბრძანა ცხენის უკან წაყვანა. ალექსანდრემ აღშფოთებულმა წამოიძახა: „რა ცხენს კარგავენ ეს მხდალები იმის გამო, რომ გამოყენება არ შეუძლიათო". ფილიპე ამ სიტყვებზე გაბრაზდა. ალექსანდრემ უთხრა: „თუ ნებას მომცემ, მე დავიმორჩილებ ამ ცხენს, თუ არა — ცხენის ფასს გადაგიხდიო". მან შეამჩნია, რომ ცხენს თავისი ჩრდილისა ეშინოდა. ამიტომ მზისკენ შეაბრუნა და ისე

მოახტა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მოთვინიერებული ცხენი მოიყვანა. ფილიპემ სიხარულის ცრემლები ვერ დამალა, შვილს აკოცა და უთხრა: „შენი შესაფერი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევსო“. ბუცეფალა ალექსანდრეს საყვარელი ცხენი გახდა. მასთან ერთად ინდოეთამდე ილაშქრა და როცა მოუკვდა მისი სახელობის ქალაქი დააარსა ინდოეთში. ერთხელ ფილიპეს მაკედონიაში არყოფნის დროს სპარსთა ელჩები ეწვივნენ. ალექსანდრე სტუმრებს შეეგება, პატივი სცა, გამოვლილი გზის შესახებ გამოჰკითხა, შემდეგ სპარსთა მეფის შესახებ კითხვები დაუსვა — როგორია მტრების მიმართ, რა სახსრები და ძალები მოეპოვება. თავისი ჭკვიანური კითხვებით სპარსელი ელჩები გააოცა.

ალექსანდრემ სპარსელების წინააღმდეგ ომი ხელსაყრელ დროს დაიწყო, როდესაც მათი სახელმწიფო საშინელ შინაგან რღვევას განიცდიდა. სპარსეთის მეფე არტაქსერქსე III ოქოსი სპარსელ დიდგვაროვანთა თავაშვებულობას ებრძოდა, ამიტომ ძვ. წ. 338 წ. შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ, ორი წელი გრძელდებოდა სპარსეთში მღელვარება და არეულობა. მხოლოდ ძვ.წ. 336 წ. გავლენიანმა სპარსელებმა მეფედ აირჩიეს უკანასკნელი მეფის შორეული ნათესავი დარიოს III კოდომანი, რომელიც სუსტი ნებისყოფის, უინიციატივო და მხდალი ადამიანი იყო. მან ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა თავდაცვითი ღონისძიებები განეხორციელებინა ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ. ყოვლისშემძლე სატრაპები თითქმის დამოუკიდებელ და მემკვიდრეობით მეფეებად გადაიქცნენ თავიანთ სტრატეგიებში და როგორც სურდათ ისე ძარცვავდნენ მოსახლეობას. დაუსრულებელი შიდა ბრძოლების გამო, სპარსეთის ტერიტორიაზე ოდესღაც გაცხოველებული ვაჭრობა-ხელოსნობა დაეცა, ამიტომ სავაჭრო წრეები დიდად უკმაყოფილონი იყვნენ შექმნილი მდგომარეობით.



სპარსული საბრძოლო ეტლი

სპარსეთის უზარმაზარი ლაშქარი შედგებოდა დაპყრობილი ხალხებისაგან, რომლებსაც სრულიად არ აინტერესებდათ სპარსეთის არც ბატონობა და არც მათი სხვა ხალხებზე გამარჯვება. დისციპლინა სუსტი იყო, ჯარისკაცები ხშირად გარბოდნენ. ერთადერთ ორგანიზებულ ძალას სპარსეთში ამ დროს წარმოადგენდა ბერძენთა დაქირავებული ლაშქარი სარდალ მემნონის მეთაურობით, რომელიც სპარსთა მეფეს ურჩევდა ალექსანდრე მაკედონელის მცირე აზიის სიღრმეში შეტყუებას და მის გზაზე ყოველგვარი სურსათ-სანოვაგის მოსპობას, წყაროებისა და ჭების მიწით ამოვსებას, მოსახლეობის აყრას და აღმოსავლეთში გადასახლებას, რათა ალექსანდრეს ლაშქარი შიმშილითა და წყურვილით დაემარცხებინათ. მეფე და მცირე აზიელი სატრაპები არ ეთანხმებოდნენ მემნონს. მათ სულაც არ სურდათ თავიანთი სატრაპიების და მამულების აოხრება. ამასთან მემნონს, როგორც ბერძენს, არ ენდობოდნენ.

მცირე აზიის სანაპიროს რომ მიუახლოვდა, ალექსანდრემ შუბი სტყორცნა ხმელეთს. როგორც კი მცირე აზიის სანაპიროს ფეხი დაადგა, ქალღმერთ ათენას მსხვერპლი შესწირა: შიშველი სხეული ზეთით დაიზილა და აქილევსის ძეგლს რამდენჯერმე შემოურბინა, გვირგვინებით შეამკო და შენატრა: „სიცოცხლეში ბედმა უერთგულესი მეგობარი პატროკლე გარგუნა წილად, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი — შენი გმირობის დიდებული მეხოტბე ჰომეროსიო“. ალექსანდრემ აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს თან წაიყვანა არისტოტელეს დისწული, ისტორიკოსი კლისთელე, აგრეთვე ისტორიკოსი არისტობულე. მათ ევალებოდათ ალექსანდრეს ლაშქრობების შესახებ სისტემატიური წერილობითი ინფორმაციის შედგენა და მაკედონია-საბერძნეთში გადაგზავნა. თან წაიყვანა ფილოსოფოსები ირონი და ანაქსარქე, აგრეთვე გეოგრაფები, ბოტანიკოსები, პოეტები და ექიმები, რომლებსაც ყოველდღიურად უნდა ეწერათ ლაშქრობის დღიურები და ანგარიშები.

ძვ. წ. 334 წ. მაისში მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით მდინარე გრანიკის მარცხენა ნაპირს მიადგა. მოპირდაპირე, უფრო მაღალ ნაპირზე სპარსელები იდგნენ. ასე დაიწყო პირველი ბრძოლა აზიის ტერიტორიაზე. სპარსელების 40.000 ლაშქარმა მდინარეზე გადასვლისას დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ეს

წინააღმდეგობა ალექსანდრემ შეუპოვრობით დაძლია და სპარსელები უკუაგდო. ბერძენთა დაქირავებული ლაშქარი სპარსელებმა ბრძოლაში მოგვიანებით ჩააბეს. მათ ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწიეს ალექსანდრეს. დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ორი ათასი კაცი კი ტყვედ ჩაუვარდა. კორინთოს ყრილობის დადგენილების მიხედვით, როგორც ბერძენ-



დიოგენე და ალექსანდრე

მაკედონელთა საერთო საქმის მოღალატეები, ალექსანდრემ ისინი მაკედონიაში გაგზავნა მონურ სამუშაოებზე. ამის შემდეგ ადვილად აიღო მცირე აზიაში სპარსელთა მთავარი საყრდენი პუნქტი ქალაქი სარდე, აგრეთვე ეფესო და სხვა მცირეაზიური ბერძნული ქალაქები. მათ ალექსანდრეს გრანიკის გმირული ბრძოლის ამბავი უკვე იცოდნენ და როგორც მხსნელს, ისე ხვდებოდნენ. სპარსეთის ლაშქარში მომსახურე ბერძენმა მოქირავნეებმა როცა გრანიკის ბრძოლის შესახებ გაიგეს, ძალიან შეშინდნენ და მილეთსა და ჰალიკარნასში გამაგრდნენ, რომლებსაც ზღვიდან სპარსთა ფლოტი იცავდა მემნონის სარდლობით. ალექსანდრემ იერიშით აიღო ქალაქები, თუმცა დატყვევებულ მოქირავნეებს უკვე აღარ სჯიდა, ათავისუფლებდა და ბევრი შემდეგ ალექსანდრეს ლაშქარს ნებაყოფილობით უერთდებოდა. მცირე აზიის ქალაქებიდან ალექსანდრემ სპარსელი ტირანები გააძევა, ზოგან დემოკრატიული წყობილება დაამყარა, ზოგან ქურუმებს მიანდო ქალაქების მართვა, მაგალითად, ეფესოში. კარიაში კი დედოფალ ადას თავი აშვილებინა.

მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს დაპყრობის შემდეგ ალექსანდრემ ფრიგიის ქალაქ გორდიასაკენ გასწია. გზად, შემთხვევით, ანტიპატრეს სიძის ალექსანდრე ლინკესტიდის შეთქმულება გახსნა, რომელსაც სპარსეთის მეფე დარიოსი მაკედონიის სამეფოს ჰპირდებოდა მის მოკვლაში. მაკედონელმა შეთქმულები საჯაროდ

გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა. ქალაქ გორდიაში ფრიგიის ლეგენდარული მეფე გორდიონის მიერ საომარი ეტლის ხელნაზე გაკეთებული კვანძი ნახა, რომლის შესახებაც არსებობდა თქმულება – ვინც ამ კვანძს გახსნიდა, ის შეიქმნებოდა მთელი აზიის მპყრობელი. ალექსანდრემ კვანძი ხმლით გაჰკვეთა და გამოიღო ხელნა. გორდიაში ლაშქარი შეასვენა. მაკედონიიდან ახალი შევსება მიიღო 3.000 ქვეითი და 600 ცხენოსანი. შემდეგ კილიკიის ვიწრო ხეობით ჩრდილო სირიაში გადავიდა. დაღლილმა ალექსანდრემ მდინარე კოდნოსის ყინულიან წყალში ბანაობის დროს გონება დაჰკარგა. ექიმმა ფილიპე აკარნანელმა იგი შხამიანი წამლით გადაარჩინა, თუმცა პარმენიონი აფრთხილებდა მეფეს, წამალი არ დაელია, ექიმი დარიოსისგან არის მოსყიდულიო. ალექსანდრემ ექიმს ეს წერილი წააკითხა, მის თვალწინ წამალი დალია და განიკურნა.

ძვ. წ. 333 წ. შემოდგომაზე დარიოს III კოდომანმა მრავალრიცხოვან ლაშქარს მოუყარა თავი ჩრდილო სირიაში და მდინარე პინარის მახლობლად დაბანაკდა. იგი იმდენად იყო დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ მთელი ოჯახი, დიდებულები და 100 მზარეულიც კი წაიყვანა მდინარე ისოსთან, რათა ალექსანდრეზე გამარჯვება ზეიმით აღენიშნა, მაგრამ ისოსთან ბრძოლაში დარიოსი სასტიკად დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა. დარიოსის ბანაკი მდიდარი ნადავლით, მეფის მთელი ოჯახი – დედა, ულამაზესი მეუღლე სტატირა, ქალიშვილები და ვაჟი ალექსანდრეს დარჩა. ისოს ბრძოლაში 100.000 სპარსელი დაიღუპა, აქედან 10.000 ცხენოსანი. ალექსანდრეს კი მხოლოდ 300 ქვეითი და 150 ცხენოსანი დაეღუპა.

სპარსელი მოისრეები

დარიოს III კოდომანი 4.000 ბერძენი მოქირავნის თანხლებით ევფრატს გაღმა სამშვიდობოს გავიდა და ალექსანდრეს წერილი მისწერა, რომელშიც გაოცებას



გამოთქვამდა: „ჩვენ სპარსელებს არავითარი საბაბი მტრობისათვის არ მოგვიცია და რატომ გვებრძვითო“. თავისი ოჯახის დაბრუნებას თხოვდა და მეგობრობას სთავაზობდა. ალექსანდრემ უპასუხა: „ყოველგვარი საბაბის გარეშე სპარსელები მაკედონია-საბერძნეთში მოხვედით და მრავალი უბედურება მოგვაყენეთ, მამაჩემს მკვლელები მიუგზავნეთ და ელინთა შორის მტრობა დათესეთ, მე ბერძენ-მაკედონელთა სარდლად ამირჩიეს, რათა ყველაფრისათვის სამაგიერო გადაგიხადოთ: თუ მოხვალ, დამემორჩილები, გაპატიებ ყველაფერს. მე კი როგორც მთელი აზიის მეფეს აღარ მომწერო წერილი, როგორც თანასწორსო“.

ისოს ბრძოლის შემდეგ ალექსანდრემ თითქმის უბრძოლველად დაიმორჩილა სირიისა და ფინიკიის ქალაქები, გარდა ტვიროსისა, რომლის გამაგრებული კუნძულის აღებას 6 თვე მოუნდა. ბოლოს სრუტე ამოავსო, ქალაქი აიღო, დაანგრია და ტვიროსელები მონებად გაყიდა. ტვიროსის იერიშის დროს მან დარიოსის კიდევ ერთი წერილი მიიღო, რომელშიც სპარსეთის მეფე თავის ერთ-ერთ ქალიშვილს ცოლად, ხოლო ოჯახის გამოსასყიდად 10.000 ტალანტს სთავაზობდა, თან მდინარე ევფრატის დასავლეთით მდებარე სპარსეთის სამეფოს ტერიტორიებს უთმობდა. ალექსანდრემ სარდლები შეკრიბა და რჩევა ჰკითხა. პარმენიონმა უთხრა: „ალექსანდრე რომ ვიყო, ამ პირობებზე დავთანხმდებოდიო“. ალექსანდრემ უპასუხა: „პარმენიონი რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდიო“. დარიოსს კი საპასუხო წერილში სრული მორჩილება მოსთხოვა.

ისოსთან ალექსანდრეს გამარჯვებამ მთელ წინა აზიაზე, საბერძნეთსა და მაკედონიაზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით გაიზარდა მისი, როგორც უმამაცესი მეფის რეპუტაცია. ტვიროსის მიუვალი სიმაგრის აღების შემდეგ ანტიმაკედონური მოძრაობა საბერძნეთ-მაკედონიასა და აზიაში

მინელდა, რის შედეგადაც სპარსეთის მრავალრიცხოვანი ფლოტი ფინიკიის ნაპირებთან უბრძოლველად დანებდა ალექსანდრეს და საბერძნეთ-მაკედონიასთან დროებით შეწყვეტილი კავშირი კვლავ აღსდგა. ქალაქი იერუსალიმი ალექსანდრეს უბრძოლველად დანებდა, კლდეზე აღმართულმა პალესტინის პატარა ქალაქმა ღაზამ კი ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია, ამიტომ იერიშით აიღო, დაანგრია, მოქალაქეები კი მონებად გაჰყიდა. მაკედონელის ყოველ წარმატებას საბერძნეთში და მაკედონიაში სპეციალური შიკრიკების წყალობით იგებდნენ, საიდანაც ალექსანდრესკენ გაეშურნენ უსაქმოდ დარჩენილი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და დეკლასირებული ელემენტები, რათა მისი წარმატებები და გამარჯვების ნაყოფი გაზიარებინათ.

ძვ. წ. 332 წ. ალექსანდრე ეგვიპტეს მიადგა. სპარსელი სატრაპი დიდი ზარზეიმით გამოეგება, რადგან უკვე იცოდა მისი გამარჯვების ამბები. მთელი ეგვიპტე თავისი ხაზინიანად ალექსანდრეს გადასცა. მან კი უხვი შესაწირავი მიართვა ეგვიპტის ტაძრებს. როცა სივას ოაზისში ამონის ტაძრის მისანს ჰკითხა — დავიპყრობ თუ არა აზიას? დადებითი პასუხი მიიღო. მისანმა იგი ამონის შვილად აღიარა და ე.ი. ეგვიპტის ფარაონადაც. მან დაათვალიერა ეგვიპტის სასახლეები,ტაძრები და ნილოსის დელტაში ქალაქი ალექსანდრია დააარსა. ეგვიპტის მმართველად თავისი მეგობარი და ნახევარძმა პტოლემაიოს ლაგა დანიშნა, მოადგილეებად კი — ეგვიპტელი დიდებულები.



ბერძენი მეომრები. ლარნაკწერა

ალექსანდრესთან მრავალი ტყვე ქალი მიჰყავდათ და აჩვენებდნენ. ის კი მათ არ ეკარებოდა და ამბობდა: „ვაჟკაცისათვის საკუთარი ვნებების დამორჩილება უფრო სასახელოა, ვიდრე მტერზე გამარჯვებაო“. სანამ დაქორწინდებოდა, სხვა ქალს არ იცნობდა მემნონის ქვრივის ბარსინას გარდა, რომელიც დამასკოს მახლობლად ჩაუვარდა ტყვედ. მას ბერძნული განათლება ჰქონდა მიღებული. ბებიამისი მეფის ასული იყო. ამ ლამაზ და კეთილშობილ ქალს

ალექსანდრე პარმენიონის წაქეზებით დაუახლოვდა. როდესაც ალექსანდრემ გაიგო, რომ პარმენიონის ხელქვეითებმა, მაკედონელმა დამონემ და ტიმოთეოსმა ბერძენი დაქირავებული ჯარისკაცების ცოლებს ნამუსი ახადეს, პარმენიონს მათი სიკვდილით დასჯა მოსთხოვა. წერილში წერდა: „ვერავინ იტყვის ჩემზე დარიოსის ცოლი მენახოს, ან მისი ხილვა მომნატრებოდეს. ის კი არა, უფლებაც კი არ მიმიცია ვინმესთვის, მის შესახებ ესაუბრა ჩემთან". არც ღვინისადმი ჰქონდა მიდრეკილება. დიდხანს იჯდა სუფრასთან, მაგრამ ღვინოს არ სვამდა, საუბრობდა. ყოველ თასს, ჩვეულებრივ, გრძელ სადღეგრძელოებს მოაყოლებდა ხოლმე.

ბერძენ-სპარსელთა ბრძოლა. ალექსანდრე მაკედონლის სარკოფაგის რელიეფი

ალექსანდრე დედას და დებს ბევრ საჩუქარს უგზავნიდა. ოლიმპიას ძალიან უყვარდა სახელმწიფო და საომარ საქმეებში ჩარევა, ალექსანდრე კი ამის უფლებას არ აძლევდა. ერთხელ, როცა ანტიპადრემ წერილში ალექსანდრეს დედამისზე უჩივლა, მან მეგობრებს უთხრა: „ანტიპადრეს არ ცოდნია, რომ დედის ერთი ცრემლი ათას ასეთ წერილს დაგავიწყებსო".

დარიოს III, ალექსანდრეს უარის შემდეგ, ლაშქარი შეაგროვა ტიგროსის მარცხენა ნაპირზე, ნინევიის ნანგრევების მახლობლად, გავგამელას მინდორზე დაბანაკდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადა. ძვ. წ. 331 წ. გაზაფხულზე ალექსანდრე ეგვიპტიდან დაიძრა თავისი ლაშქარით შუამდინარეთისაკენ, ზაფხულში გადალახა მდინარე ევფრატი, სექტემბერში კი — მდინარე ტიგროსი. ჯარი შეაესო ანტიპადრეს მიერ გამოგზავნილი რაზმებით და გავგამელას მინდორზე სპარსთა ლაშქრის პირისპირ განლაგდა. ალექსანდრეს 40.000 ქვეითი და 7.000 ცხენოსანი ჰყავდა, დარიოსს — 500.000 ქვეითი, 15 საბრძოლო სპილო და ბორბლებზე ცელებმიმაგრებული საომარი ეტლები.

გავგამელას ბრძოლა დაიწყო ძვ. წ. 331 წ. 1 ოქტომბერს.

ალექსანდრეს მშვილდოსნებმა ისრების წვიმა დააყარეს მტერს, რამაც სპილოები და ცხენები დააფრთხო და უკან დაახევინა. როცა საომარი ეტლები იერიშზე წამოვიდნენ, მოისრეებმა მეეტლეები დახოცეს, მაკედონურმა ფალანგამ ეტლებს გზა მისცა, თავის რიგებში გაატარა და ზურგში მოაქცია. მერე ფლანგებზე სპარსელები უკუაგდო, ცენტრზე მიიტანა იერიში, სადაც დარიოს III იმყოფებოდა და მტერი სასტიკად დაამარცხა. დარიოსმა მცირე ამალით გაქცევით უშველა თავს. მაკედონელებმა მას 80 კილომეტრზე სდიეს, მაგრამ ვერ შეიპყრეს. ალექსანდრეს დიდი ნადავლი ჩაუვარდა ხელთ ტყვეებისა და საჭურველის სახით. გავგამელას ბრძოლა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრძოლა იყო.

ძვ. წ. 330 წ. მაკედონელმა გადაწყვიტა იბერიის დაპყრობა და თავისი სარდალი აზო ბერძენთა ლაშქრით გაგზავნა ქართლში. აზომ იბერია დაიპყრო, მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა მოაკვლევინა და ჯერ ქართლში გაბატონდა, შემდეგ — ეგრისში, საიდანაც გააძევა ეგრისის ერისთავი ქუჯი. ხალხს მძიმე ხარკი დაადო და იარაღის ტარება აუკრძალა. აზოს ბატონობა 25 წელი გაგრძელდა. ხალხის უკმაყოფილებით ისარგებლა მცხეთის მამასახლისის ძმისწულმა ფარნავაზმა — შესანიშნავმა ვაჟკაცმა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ მან ნადირობის დროს, გამოქვაბულში შემთხვევით იპოვა გადამალული განძი, დაუკავშირდა ქუჯის, იქირავა ოსთა და ლეკთა რაზმები, აზო დაამარცხა, მოჰკლა და 305 წ. ქართლში გამეფდა.

სპარსეთს თადაკვისათვის ფაქტიურად აღარ ჰყავდა ჯარი. ახლის შეგროვების აღარც საშუალება და აღარც დრო არ ჰქონდა. ალექსანდრე მთელი ჯარით ბაბილონისაკენ გაემართა, სადაც ბაბილონის სატრაპი და მოსახლეობა დიდი ზეიმით შეეგება. სატრაპი ისევ ქალაქის მმართველად დატოვა, მაგრამ მარტო ადმინისტრაციული უფლებები დაუტოვა. გადასახადების აკრეფის უფლება და ჯარი კი ბერძენ-მაკედონელ სტრატეგოსებს გადასცა. ალექსანდრემ თავისი ლაშქარი შეასვენა, ახალი ძალებით შეავსო და სუზასაკენ დაიძრა, სადაც ხელთ იგდო სამეფო განძი და ხაზინა 50 ტალანტით, რადგან გავგამელას შემდეგ მას სპარსელთა ორგანიზებული წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. სუზიდან

ალექსანდრე და დარიანი პომპეიდან, ფრესკა

სპარსეთის ცენტრალური ოლქის პერსიდისაკენ გაემართა, სადაც სატახტო ქალაქი პერსეპოლისი მდებარეობდა. სპარსელებმა უღელტეხილებზე სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მარცხი განიცადეს. ალექსანდრემ სპარსთა მეფის სასახლე დაათვალიერა. იქაც საგანძური და ხაზინა — 120 ტალანტი ოქრო ჩაუვარდა ხელთ. სასახლე კი ჯარისკაცებს მისცა გასაძარცვად, მერე ათენელი ჰეტერა-ტაისას რჩევით მისი გადაწვა და დანგრევა ბრძანა, რათა ამგვარად ეძია შური ბერძენ-სპარსელთა ომის დროს ათენის გადაწვისათვის.

ალექსანდრემ პერსეპოლისში გამოიზამთრა და პერსიდის ყველა დასახლებული პუნქტი დაიპყრო. ამ დროს სპარტამ მაკედონელთა ბატონობის წინააღმდეგ საბერძნეთში აჯანყება მოაწყო, მაგრამ ანტიპადრემ ადვილად ჩაახშო ეს ამბოხი და ტყვედჩავარდნილი სპარტელები ალექსანდრეს გაუგზავნა, რომლითაც მან თავისი ლაშქარი შეავსო. ძვ. წ. 330 წ. ალექსანდრე პერსიდიდან მიდიაში გადავიდა, რომლის დედაქალაქ ეკბატანაში დარიოს III იმყოფებოდა თავის მომხრეებთან ერთად, მაგრამ მან ბაქტრიისაკენ დაიხია. ალექსანდრემ ეკბატანში სპარსეთში მოპოვებული განძეულობა და ხაზინა შეინახა, მისი მეთვალყურეობა დაავალა თავის ბავშვობის მეგობარს, მახინჯსა და კოჭლ ჰარპალეს და მამის მეგობარს პარმენიონს, რომელიც აზიაში თავის მოადგილედ გამოაცხადა და ავადმყოფ ჯარისკაცთა მოვლაც დაავალა. თვითონ კი დარიოსს დაედევნა. მაგრამ, როცა კასპიის კარიბჭეები გაიარა და ბაქტრიაში შეავიდა, დარიოსის გვამიღა დახვდა — იგი ბაქტრიის სატრაპმა ბესოსმა და სპარსმა დიდებულმა ნაბარზანმა მოკლეს. შემდეგ

ბესოსმა თავი სპარსეთის მეფე არტაქსერქსე IV გამოაცხადა და შუა აზიისაკენ წავიდა, რათა ჯარი შეეგროვებინა. ალექსანდრემ კი დარიოსის ქალიშვილი შეირთო ცოლად. რის საფუძველზეც, სპარსეთის მეფე გახდა და მოკლული სიმამრისთვის შური იძია: როგორც საკუთარი მეფის მკვლელები ლაშქრის წინ გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე სპარსთა მეფე გახდა, ბერძენ-მაკედონელები და სპარსელი დიდებულები უფლებრივად გაათანასწორა, რამაც პირველთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი განსაკუთრებით შეურაცხყოფილი იყვნენ იმით, რომ ალექსანდრემ სპარსული ტანსაცმლის ტარება დაიწყო და მათგანაც მოითხოვდა სპარსული წესის — ე.წ. „პროსკინეზს", მიწამდე თაყვანისცემას, რასაც მანამდე მხოლოდ სპარსელი დიდებულები ასრულებდნენ. ამან გამოიწვია მაკედონელთა შეთქმულება დიმნეს მეთაურობით. შეთქმულების ამბავი დიმნემ გაანდო ნიკომაქეს. თავის მხრივ ნიკომაქემ საიდუმლო ძმას უთხრა და ძმებიპარმენიონის ვაჟთან, ალექსანდრე მაკედონელის ცხენოსანი ჯარის მეთაურ ფილოტასთან მივიდნენ, ყველაფერი უამბეს, რათა ფილოტას მეფისათვის ეცნობებინა. ფილოტამ არაფერი უთხრა ალექსანდრეს, ისევ შეახსენეს და ისევ უშედეგოდ. ამის შემდეგ შეთქმულების ამბავი ძმებმა მეფესთან დაახლოებულ პირს მეტრონს შეატყობინეს, რომელმაც ყველაფერი დაუყოვნებლივ მოახსენა ალექსანდრეს. მან ბრძანა დიმნეს შეპყრობა, რომელიც დაპატიმრებისას შემოაკვდათ მეომრებს. ამით კი შეთქმულების ძაფი დაიკარგა. ფილოტა აწამეს, მაგრამ შეთქმულთა სახელები ვერ ათქმევინეს. შემდეგ ლაშქრის წინაშე გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. მსტოვრის ხელით ალექსანდრემ ეკბატანაში წერილი აფრინა პარმენიონის თანაშემწეებთან და ისიც მოაკვლევინა, რათა შვილის გამო შური არ ეძია.

შეთქმულების გახსნის მიუხედავად, ალექსანდრეს ურთიერთობა ბერძენ-მაკედონელ ჰეტერებთან გამწვავდა. ისინი ვერ ეგუებოდნენ

სპარსელებთან გათანაბრებასა და "პროსკინეზს". განსაკუთრებით ღელავდა ისტორიკოსი კალისთენე, რომელიც "პროსკინეზს" ბერძენ-მაკედონელთათვის დამამცირებლად თვლიდა და დემონსტრატიულად უარყოფდა ამგვარ თაყვანისცემას. ამასთან მეფეს საჯაროდ ჰკიცხავდა. ალექსანდრე აღაშფოთა მისმა პროტესტებმა და დაპატიმრება ბრძანა. ხის გალიაში ჩასმული კალისთენე რვა თვის პატიმრობის შემდეგ გარდაიცვალა.

ალექსანდრეს აღმოსავლური პოლიტიკა განსაკუთრებით აღიზიანებდა მის ახალგაზრდა პირად მცველებს ე.წ. პაჟებს, რომლებმაც გადაწყვიტეს ალექსანდრეს ძილში მოკვლა, მაგრამ დათქმულ დროს ალექსანდრემ მთელი ღამე ქეიფში და საუბარში გაატარა და როცა დასაძინებლად გაეშურა, დაინახა, რომ მისი წინა ღამის მცველები ისევ იქ იდგნენ, თუმცა მათი შემცვლელები უკვე მოსულები იყვნენ, ესიამოვნა მცველების ერთგულება და შეაქო ისინი.

მონეტა ალექსანდრესა და პორის გამოსახულებით

ქებამ ერთ-ერთ შეთქმულში სინდისის ქენჯნა გამოიწვია და ყველაფერი უამბო ალექსანდრეს. მან შეთქმულები ჯარის წინ გაასამართლა და ჩააქოლინა. აღმოსავლური პოლიტიკის გატარებისას ალექსანდრე უახლოეს ადამიანებსაც არ ინდობდა. ერთხელ შუა აზიაში ლაშქრობის შემდეგ, ნადიმზე, მთვრალმა ძიძის შვილმა კლიტონ შავმა, რომელმაც გრანიკთან ალექსანდრე სიკვდილს გადაარჩინა, ალექსანდრეს უსაყვედურა სპარსული წესების შემოღებისათვის. ალექსანდრემ ერთხელ მოუთმინა, მაგრამ, როცა კლიტონმა საყვედური გაიმეორა, გაშმაგებულმა მეფემ გუშაგს შუბი გამოგლიჯა და კლიტონ შავი სასიკვდილოდ განგმირა.

ძვ. წ. 329 წ. ჰინდკუშის დაბლობში დასვენებული ჯარით ალექსანდრე შუა აზიის დასაპყრობად გაეშურა, სადაც დიდ წინააღმდეგობას წააწყდა სოგდიანელი დიდებულის სპიტამენის მეთაურობით. ალექსანდრემ დაიპყრო ბაქტრიის სატახტო ქალაქი ბაქტრა

და სოგდიანის ქალაქი მარაკდანი. მდინარე იაქსარტის (სირდარიის) ნაპირზე დააარსა ციხე-ქალაქი „უკიდურესი ალექსანდრია“ და რამდენიმე სხვა ქალაქი. ამასობაში შუაზიური ტომები მასაგეტები, სოგდიელები, საკები და სხვები აუჯანყდნენ მას და გაანადგურეს სიმაგრეებში ჩაყენებული ბერძენ-მაკედონელთა გარნიზონები. სამი წელი ებრძოდა ალექსანდრე აჯანყებულებს, როგორც იქნა დაამარცხა სპიტამენი, რომელიც მასაგეტებთან გაიქცა. როცა ალექსანდრემ მისი გადაცემა მოითხოვა, მასაგეტებისგან სპიტამენის მოკვეთილი თავი მიიღო.

შუა აზიის დამორჩილების შემდეგ ალექსანდრემ ზღაპრული ინდოეთის დაპყრობა გადაწყვიტა. სპარსელებს ინდოეთში ერთი სატრაპია ეკუთვნოდათ და მას, როგორც სპარსეთის მეფის მემკვიდრეს, სურდა იქ თავისი უფლებების განმტკიცება. ალექსანდრეს წარმოსახვაში ინდოეთი მსოფლიო ოკეანის საზღვარზე მდებარეობდა და მისი აზრით აზიის კონტინენტის დაპყრობაც ამით დამთავრდებოდა. ინდოეთში გალაშქრებამდე, ალექსანდრემ ცოლად შეირთო ბაქტრიის უძლიერესი მმართველის ოქსიარტეს ქალიშვილი როქსანა, რომელიც გაგიჟებით შეუყვარდა.

ალექსანდრე და ბუცეფალი

ძვ. წ. 327 წ. ბოლოს მდინარე ქაბულის ხეობით ალექსანდრე ინდოეთში შეიჭრა. სპარსეთის ყოფილი სატრაპის ტაქსილის დახმარებით, მისმა არმიამ გადალახა მდინარე ჰინდი, სადაც ტაქსილმა 5.000 ლაშქარი დაახვედრა, რის სანაცვლოდაც ინდოეთის სხვა სამთავროების მიწები მიიღო. ინდოეთში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა პურუს მთავარმა პორმა გაუწია, რომელმაც ალექსანდრეს წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 100 საომარი სპილო გამოიყვანა. ალექსანდრეს მეომრებმა მათ ანთებული მაშხალები დაახვედრეს. შეშინებულმა სპილოებმა პირი იბრუნეს და თავისი ლაშქარი გადათელეს. ტყვედჩავარდნილ პორს ჰკითხა ალექსანდრემ: „როგორ გსურს რომ მოგეპყრობ“, მისი პასუხი: „როგორც მეფესო“ — ისე

მოეწონა, რომ იგი პურუს მმართველად დატოვა და ინდოეთის სხვა მიწებიც მიუერთა. მდინარე ჰიდასპთან კი ორი ქალაქი დააარსა: გამარჯვების აღსანიშნავად — ნიკეა და გარდაცვლილი საყვარელი ცხენის მოსაგონებლად — ბუცეფალია.

ალექსანდრეს ლაშქარს ინდოეთის ჯუნგლებში ბრძოლა ძალიან უჭირდა. მართალია, მაკედონიიდან კარგად გაწვრთნილი ლაშქარი წამოიყვანა, მაგრამ შვიდი წლის ბრძოლებმა მისი ძირითადი ნაწილი გაანახევრა. მართალია, იგი ივსებოდა საბერძენეთ-მაკედონიაში და აზიაში შეკრებილი ჯარისკაცებით, აგრეთვე ბერძენი მოქირავნეებით, მაგრამ ისინი დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ლაშქარში დისციპლინა ძალიან შესუსტდა, მებრძოლები დაღალა გაუთავებელმა ბრძოლებმა. მათ უკვე აღარ აინტერესებდათ მთელი აზიის დაპყრობა და სახლში დაბრუნება სურდათ. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა პენჯაბის (ხუთმდინარეთის) ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე მდინარე ჰიფასის გადალახვის დროს, როცა ლაშქარი აჯანყდა. ჯარისკაცებმა მოსახლეობისგან გაიგეს, რომ მდინარის აღმოსავლეთით ძნელად გადასალახავი საშინელი უდაბნო ტაროა, რომლის შემდეგ — მდიდარი მაგადხას სამეფო. ლაშქრის ურჩობით შეურაცხყოფილ ალექსანდრეს თავის მოკვლაც კი უცდია, მაგრამ სარდლებმა გადაარწმუნეს. ისინი ეუბნებოდნენ, რომ არმია მას ეურჩება ღმერთების ჩაგონებით. მაშინ ალექსანდრემ მსხვერპლი შესწირა და როცა ღმერთებმა ლაშქრობის შემდგომი გაგრძელება არ ურჩიეს, ჯარის ნებას დაჰყვა.

მედალიონი ოლიმპიას გამოსახულებით

ძვ. წ. 325 წ. დასაწყისში ალექსანდრე მაკედონელმა ბერძენ-მაკედონური გარნიზონები ჰინდის და პენჯაბის დაბლობის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში დატოვა და ფლოტის აგების შემდეგ დასავლეთისაკენ დაიძრა. ლაშქარი ორად გაჰყო, გემებზე სურსათ-სანოვაგე, ნადავლი და ავადმყოფი ჯარისკაცები აიყვანა და თავისი ბავშვობის მეგობრის ნეარქოსის ხელმძღვანელობით არაბეთის ზღვის გასწვრივ სპარსეთის ყურისაკენ უბრძანა წასვლა, თვითონ კი დანარჩენი

ლაშქრით სახმელეთო გზით გაჰყვა ზღვის ნაპირს. ფლოტს წყლითა და სურსათ-სანოვაგით უნდა მოემარაგებნა, მაგრამ მხოლოდ ორ-ჯერ მოხერხდა სახმელეთო ჯარის მომარაგება, რადგან სანაპირო ისეთი მაღალმთიანი აღმოჩნდა, რომ შეუძლებელი გახდა მისი გადალახვა, ამიტომ ალექსანდრე იძულებული იყო ხმელეთის სიღრმეში შესულიყო. კარმანიის და ჰედროზიის უდაბნოთა გადალახვა ძალიან გაუჭირდა, სიცხემ, შიმშილმა და წყურვილმა დისციპლინა ძალიან შეარყია. მეგზურებს გზა აებნათ, რადგან ძლიერი სიცხის გამო ღამით მიდიოდნენ. სამი თვის მძიმე მოგზა-ურობის შემდეგ, ძლივს მიაღწიეს სპარსეთის ყურეს. ნეარქოსმა 80-დღიანი მოგზაურობის დროს, ქარიშხლის გამო, 4 გემი დაკარგა.

ძვ. წ. 325 წ. დასაწყისში, ალექსანდრეს ლაშქარმა ტიგროსის და ევფრატის შესართავთან შუამდინარეთს მიაღწია. წლის პირველი ნახევარი ალექსანდრემ სუზაში გაატარა და მონარქიის მოწესრიგებას შეეცადა. მის მიერ დანიშნულ სატრაპებს ბევრი ბოროტება ჩაედინათ, ამიტომ კარმანიის სატრაპი ასპასტე და პერსიდის — ორქსინე სიკვდილით დასაჯა. მიდიაში ბერძენ-მაკედონელთა წინააღმდეგ აჯან-ყებულმა ბარიაკმა მიდია თავის სამეფოდ გამოაცხადა. ალექსანდრემ ისიც დასაჯა სიკვდილით. მისმა მეგობარმა ჰარპალემაც, რომელსაც ეკბატანის ხაზინა ჩააბარა, ხაზინიდან 500 ტალანტი გაიტაცა, მცველად ჯარისკაცები დაიქირავა, ჯერ ბაბილონში იქეიფა, შემდეგ საბერძნეთ-ში ჩავიდა და ალექსანდრეს წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდა, მაგრამ ანტიპადრემ ხელი შეუშალა. ალექსანდრემ ზოგიერთი მაკე-დონელი — კლეანდრე, ბერაკონტე და სიტალკე დასაჯა ხალხის შევიწროებისა და თანამდებობათა ბოროტად გამოყენებისათვის.

სუზაში დაბრუნების შემდეგ, ალექსანდრეს ნება-სურვილის გამტარებელი გახდა მისი ბავშვობის მეგობარი და მოადგილე, პირველი ვეზირი ანუ ქილიარქოსი ჰეფესტიონი, კანცელარიის უფროსი კი — ბერძენი ევმენიოსი. სპარსეთის დაყოფა სატრაპიებად კვლავ ძველებურად დატოვა, მაგრამ ალექსანდრეს იმპერიას ერთიანი ეკონომიკური ბაზა არ ჰქონდა, რადგან დამორჩილებული ქვეყნები განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ. მათი ერთი სისტემით მართვა ძალიან ძნელი იყო და ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ინტერესების ეს დიდი სხვაობა ადრე თუ გვიან გამოიწვევდა მის დაშლას.



ალექსანდრეს სარკოფაგი

ალექსანდრემ ინდოეთიდან დაბრუნებისთანავე 30.000 ბერძენულ-მაკედონურად გაწვრთნილი ახალგაზრდა სპარსელთა ლაშქრის გამოცდა ჩაატარა და მათი ცოდნა-დისციპლინით კმაყოფილი დარჩა. ძირითადი ლაშქარი კი მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ოპისში გაგზავნა და განუცხადა, რომ ასაჩუქრებდა და სახლში აბრუნებდა ყველას, ვინც მასთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ამ ფორმით დემობილიზაციამ ლაშქრის აჯანყება გამოიწვია. ალექსანდრე იძულებული იყო თვითონ ჩარეულიყო მის ჩახშობაში. 13 ყველაზე მყვირალა მეომარი, რომლებიც მას ლაპარაკს არ აცლიდნენ, სიკვდილით დასაჯა, შემდეგ 10.000 ბერძენ-მაკედონელი უხვად დააჯილდოვა და სახლში გაისტუმრა, თითოეულს თითო ტალანტი აჩუქა, მასთან დარჩენილებმა კი პირობა დადეს, რომ აღმოსავლურ პოლიტიკას გაიზიარებდნენ და დაუნათესავდებოდნენ სპარსელებს. ამას მოჰყვა გრანდიოზული ქორწილი სუზაში. 10.000 ბერძენ-მაკედონელმა, მათ შორის 80.000 დიდებულმა და მაღალი თანამდებობის პირმა, ცოლად შეირთო აღმოსავლელი ქალები.. ვისაც შეძლებული მშობლები არ ჰყავდა, ალექსანდრემ გაამზითვა. თვითონ კი ცოლად შეირთო სპარსეთის მეფების დარიოს III და არტაქსერქსე III ოქოსის ქალიშვილები. ასე რომ, როქსანასთან ერთად, მას სამი აღმოსავლელი მეუღლე ჰყავდა. ამ ღონისძიებებით ალექსანდრეს სურდა სპარსეთის ტახტის შენარჩუნება, თავისი მეომრების და სარდლების დაახლოება აღმოსავლეთის ხალხთან.

ძვ. წ. 323 წ. დასაწყისში ალექსანდრემ ქალაქი ბაბილონი თავისი მონარქიის სატახტო ქალაქად გამოაცხადა. ევფრატის კალაპოტი გააწმენდინა, ააშენა გემსაშენი და ააგებინა გემები. მას ახალი გეგმები ჰქონდა — ნეარქეს მეთაურობით ფლოტით არაბეთის ნახევარკუნძულის შემოვლა, მეწამული ზღვიდან სპეციალური არხით

მდინარე ნილოსში ფლოტის შეყვანა, ნილოსიდან ხმელთაშუა ზღვაში გასვლა და შორეული კართაგენის დაპყრობა, მაგრამ მისი გეგმები განუხორციელებელი დარჩა; ალექსანდრემ დედის კატეგორიული მოთხოვნით ანტიპატრე დაიბარა მაკედონიიდან, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან ვერ მოახერხა ჩამოსვლა და ახალი ჯარის ნაწილებით თავისი შვილები კასანდრე და იოლე გამოგზავნა. უმცროსმა იოლემ ალექსანდრე ნადიმზე მიიწვია, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. ნადიმის შემდეგ ალექსანდრე ცუდად გახდა, ციებ-ცხელება დაეწყო და ძვ. წ. 323 წ. 13 ივნისს საღამოს გარდაიცვალა 33 წლის, თითქოს ტროპიკული მალარიისაგან. ზოგიერთის ცნობით კი ანტიპატრეს შვილმა მოწამლა. ასეთივე ციებ-ცხელებით უფრო ადრე გარდაიცვალა ალექსანდრეს მეგობარი და პირველი ვეზირი ჰეფესტიონი, რომელიც ალექსანდრემ დიდხანს იგლოვა და იდარდა.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, მის ცხედართან სარდლებმა და ჯარისკაცებმა კინაღამ ერთმანეთი დახოცეს. ბერძენ-მაკედონელთა ლაშქარს მეფედ ფილიპე II უკანონო შვილი, არანორმალური არადეოსი სურდა, რომელიც თესალიელი მოცეკვავე ქალის ფილინესაგან შეეძინა. პრივილეგირებულ, ცხენოსან ჰეტერთა გვარდიას კი, რომელშიაც ბლომად იყვნენ სპარსელი წარჩინებულები, სურდათ ალექსანდრეს მეუღლის როქსანას ბავშვის გამეფება. იგი მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა და მას ალექსანდრე IV უწოდეს. სარდლები და ლაშქარი საბოლოოდ შეთანხმდნენ და ალექსანდრეს უზარმაზარი იმპერიის მეფეებად აირჩიეს არადეოსი ფილიპე III სახელით და ახლადდაბადებული ალექსანდრე IV. მათ მეურვედ დაუყენეს უხუცესი სარდალი პერდიკოსი, რომელსაც ალექსანდრემ სიკვდილის წინ სამეფო ბეჭედი გადასცა. სარდლებს ალექსანდრეს დაკრძალვა სამშობლოში, სამეფო აკლდამაში უნდოდათ. გვამი რომ არ გახრწნილიყო, თაფლში ჩასვენებული ქვის კუბოთი მიჰქონდათ დასავლეთისაკენ, მაგრამ სირიას რომ მიაღწიეს, მის მიერ ეგვიპტის სატრაპად დანიშნულმა პტოლემაიოს ლაგამ ალექსანდრეს ცხედარი მოიტაცა, ოქროს კუბოში ჩაასვენა და ალექსანდრიაში დაკრძალა.

თავისი ლაშქრობებით ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაანადგურა, ხოლო ბერძნულ

პოლისებში შექმნილი მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური კრიზისი შეანელა და მთელი საბერძენეთ-მაკედონიის ყურადღება აღმოსავლეთისკენ მიმართა. იგი ლაშქრობების დროს არა მარტო სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად, არამედ აღმოსავლეთის ხალხების კულტურის შესწავლასაც. ამიტომ თან მიჰყავდა სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები: ისტორიკოსები, გეოგრაფოსები, ფილოსოფოსები, ექიმები და სხვები. სპარსეთის დაპყრობით მან მოსპო სხვადასხვა ხალხების მჩაგვრელი დესპოტური მონარქია. საუკუნეთა განმავლობაში სპარსეთის მეფეთა საგანძურში უძრავად არსებული ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასეულობა მან გამომზეურა, ხმარებაში გაუშვა, ოქროსა და ვერცხლის ფულის მოჭრა დაიწყო, რომლის მონოპოლია მას ეკუთვნოდა. დაპყრობების დროს ალექსანდრემ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში, საეჭრო გზების გადაკვეთაზე 70 ახალი ქალაქი დააარსა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას. საფუძველი ჩაუყარა ბერძნული და აღმოსავლური კულტურების დაახლოებას. ალექსანდრე დიდ პატივისცემას იჩენდა ყველა სხვა ხალხების რელიგიებისა და ღვთაებებისადმი, ამიტომ დაპყრობილი ხალხების ქურუმები მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. იგი იცავდა აღმოსავლეთში დაკანონებულ წესებს, მან მოითხოვა, რომ ღმერთად ეცნოთ იგი. საბერძნეთში მას ღვთაება დიონისეს სახელით ტაძარი აუგეს და მსხვერპლშეწირვა დაუწყეს.

აღმოსავლეთში ლაშქრობა არ იყო მოულოდნელი. ამგვარი ლაშქრობის იდეა დიდი ხნით ადრე ჩაისახა. ბერძენ-სპარსელთა ომებმა ბერძნები დაარწმუნა თავიანთ სამხედრო უპირატესობაში, 10.000 ბერძნის ლაშქრობამ და მათმა უვნებელმა დაბრუნებამ გამოამჟღავნა სპარსეთის სისუსტე. აღმოსავლეთში ლაშქრობის აგიტატორები ბერძნებს საკმაოდ ჰყავდათ, რომელთა შორისაც ყველაზე მეტი გააკეთა ორატორმა ისოკრატემ. ფილიპე II უდავოდ ძლიერი, კარგი ორგანიზატორი და ნიჭიერი სარდალი იყო, მან ჩამოაყალიბა შესანიშნავი დისციპლინისა და დიდი ბრძოლისუნარის ლაშქარი, მაქსიმალურად გამოიყენა ბერძნების მრავალსაუკუნოვანი სამხედრო გამოცდილება. მან მთელი საბერძნეთი თავის გარშემო გააერთიანა და ნიადაგი მოუმზადა სპარსელებთან ბრძოლისათვის ალექსანდრე მაკედონელს, რომელსაც მცირე აზიის

დაპყრობა და მის აღმოსავლეთით ლაშქრობაც სურდა, მაგრამ სპარსელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ისე ადვილად დაამარცხა, რომ არ შეიძლებოდა ბრძოლა არ გაეგრძელებინა სპარსეთის მეფის სრულ განადგურებამდე.

ალექსანდრეს აღმოსავლეთში ლაშქრობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ალექსანდრე უდავოდ დიდი გაქანების, ნებისყოფისა და ენერგიის ადამიანი იყო, რომელმაც ფილიპე II კარგად გაწვრთნილი, შესანიშნავი ლაშქარი მაქსიმალურად გამოიყენა, ბერძნების გაერთიანებით საჭირო რეზერვები დროულად ჩააბა ბრძოლებში სპარსეთის უზარმაზარი, მაგრამ ფაქტიურად დაშლილი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ალექსანდრე მაკედონელის პიროვნების მთელი სიდიადე და გენიალობა ის იყო, რომ მან სწორად განჭვრიტა, დროულად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას და თავისი ბრწყინვალე სტრატეგიული ნიჭის წყალობით გრანდიოზული დაპყრობები განახორციელა. მისი სახელი არა მარტო საბერძნეთსა და ცივილიზებულ სამყაროში იყო განთქმული, არამედ აღმოსავლეთის ხალხების ზეპირსიტყვიერებაშიც დღემდე ცოცხლობს და „დიდ ისკანდერს“ უწოდებენ.

ალექსანდრეს იმპერია მისი სიკვდილის შემდეგ სარდლებმა გაინაწილეს: ანტიპადრეს ერგო მაკედონია და საბერძნეთი; კანცელარიის უფროსს ევმენიოსს — აღმოსავლეთ მცირე აზია, კაპადოკია და პაფლაგონია; პტოლემაიოს ლაგას — ეგვიპტე და

პალესტინა; ლისიმაქეს — თრაკია; ანტიგონე ცალთვალას და მის ვაჟს დემეტრიოს პოლიორკეტს — მცირე აზიის ცენტრალური და დასავლეთ ნაწილი; სელევკეს კი — წინა აზიის ცენტრალური ნაწილი და ბაბილონია. მისი თანამებრძოლები, დიადოქოსები ალექსანდრეს იმპერიის აღსადგენად ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდნენ და ხოცავდნენ. მათ არ დაინდეს ალექსანდრეს ოჯახიც კი. ანტიპადრეს ვაჟმა კასანდრემ მამის სიკვდილის შემდეგ,რომელიც პერდიკას შემდეგ ითვლებოდა ალექსანდრეს მცირეწლოვანი შვილის მეურვედ, ძვ. წ. 311 წ. ალექსანდრეს მთელი ოჯახი გაანადგურა.

ძველი ბერძნული კულტურა

ანტიკური კულტურა უძველესია ევროპაში. მისი განვითარების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ეგეოსის ზღვის აუზში მცხოვრებ ბერძნულ ტომებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ანტიკურ კულტურას. ისინი ევროპა-აზია-აფრიკის კონტინენტების საზღვაო გზაჯვარედინზე ცხოვრობდნენ და საშუალება ჰქონდათ აეთვისებინათ ძველი ეგვიპტის, წინა აზიის, ბაბილონის, ხეთების კულტურის მიღწევები, დაეხვეწათ და შემდგომში კიდევ უფრო განევითარებინათ.

ძველი ბერძნული კულტურის განვითარება ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან იწყება და დიდ აღზევებას აღწევს. ელინიზმის პერიოდში ბერძნული კულტურის დიდ გავლენას განიცდიდა წინა აზიისა და ჩრდილო აფრიკის ხალხების, შემდეგ კი რომაელებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ძველმა ბერძნულმა პოეზიამ მოგვცა შესანიშნავი საგმირო ეპოსი, პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“. განუმეორებელია ძველი ბერძნული თეატრი თავისი



ორფეოსი, ლამპაკი



პოსეიდონი

ტრაგედიებითა და კომედიებით. არაჩვეულებრივია სახვითი ხელოვნება და ხუროთმოძღვრება, რომელთა შედეგრები დღესაც აღტაცებას იწვევს. თავის აპოთეოზს ძველმა ბერძნულმა კულტურამ ძვ. წ. V-IV სს. მიაღწია.

სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა კი, სადაც მონების შრომა ფართოდ იყო გამოყენებული, შემდგომი განვითარებით ძალიან ჩამორჩა. მონურ შრომაზე დაფუძნებული მონათმფლობელური მეურნეობა არ ვითარდებოდა, რადგან მონები შრომის შედეგებით და შრომის იარაღების შემდგომი ტექნიკური განვითარება-გაუმჯობესებით დაინტერესებული არ იყვნენ. იქ კი, სადაც თავისუფალი შრომა ბატონობდა — ტაძრების მშენებლობაში, ქვის, მარმარილოს და ბრინჯაოს ქანდაკებების ჩამოსხმაში, განსაკუთრებით დიდ განვითარებას აღწევს ბერძნული კულტურა, რადგან თავისუფალი ენთუზიასტები, გენიალური პოეტები, ხუროთმოძღვრები და მოქანდაკეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შედეგრების შექმნაში.

1. რელიგია

ძველ ბერძენთა ღმერთები ანთროპომორფული, ადამიანის მსგავსნი იყვნენ. ბერძნების აზრით, ღმერთებს ახასიათებდათ ადამიანური გრძნობები — სიყვარული, შური და სიძულვილი. ისინი იღლებოდნენ, ეჭვიანობდნენ, სჭირდებოდათ ძილი, დასვენება, საკვები, მხოლოდ ზებუნებრივი ძალითა და უკვდავებით განსხვავდებოდნენ ადამიანებისგან.

ბერძნული ღმერთების მამამთავარი იყო ზევსი — ჭექა-ქუხილისა და ზეცის ღვთაება; მისი მეუღლე ჰერა ჰაერისა და ოჯახის მფარველ ღმერთად ითვლებოდა. ზევსის ერთი ძმა პოსეიდონი ზღვის ღმერთად მიაჩნდათ, მეორე აიდი — ქვესკნელის. ზევსის შვილები იყვნენ ღმერთები: სიყვარულისა და სილამაზის — აფროდიტა, სიბრძნის და ხელოსნობის მფარველი — ათენა პალადა, მზის, ხელოვნების, მეცნიერების, სინათლისა და მისნების — აპოლონი, მთვარის, ნადირთა და მონადირეების — არტემიდა, ომის — არესი, ცეცხლის და მჭედლების — ჰეფესტო, სავაჭრო გზების,

კავშირგაბმულობისა და ქურდების — ჰერმესი, დედამიწისა და მოსავლის — დემეტრა და სხვები. ბერძნების აზრით ღმერთების ადგილსამყოფელი იყო მუდმივი თოვლით დაფარული ოლიმპოს მთა, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო საბერძნეთში, თესალიაში.

ღმერთების თაყვანისსაცემად ძველმა ბერძნებმა დაიწყეს სამლოცველოების, საკურთხეველებისა და ტაძრების აგება, უმღეროდნენ ჰიმნებს, მსხვერპლად სწირავდნენ ცხოველებს. თითოეულ ტაძარს თავისი დადგენილი დღესასწაული ჰქონდა, რომელიც ყოველ წელიწადს იმართებოდა. ეწყობოდა ბაზრობები და შეჯიბრებები. განსაკუთრებული ზეიმებით აღნიშნებოდა ეპირში დიდონას — ზევსის ტაძრის, ოლიმპიაში ზევსის ტაძრის, დელფოში აპოლონის ტაძრის საკრალური დღეები. საბერძნეთში ქურუმთა გავლენა ისეთი ძლიერი არ იყო, როგორც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბერძენი ქურუმები რიგითი პატივცემული მოქალაქეები იყვნენ, მათ შორის ქალებიც და რელიგიურ სამსახურს უთავსებდნენ სხვა ყოველდღიურ საქმიანობას. მაგალითად, ცნობილი პოეტი სოფოკლე ასკლეპიოსის, მკურნალი ღვთაების მთავარი ქურუმიც იყო. თითოეულ ტაძარს თავისი მომწესრიგებელი კომისია ჰყავდა, რომელშიაც შედიოდნენ სხვადასხვა ბერძნული პოლისების წარმომადგენლები. მათ ევალებოდათ ტაძრის მოვლა-შეკეთება, სატაძრო ზეიმების ხელმძღვანელობა და პოლისებს შორის სადაო საკითხების მოგვარება. ზოგიერთ ტაძარს თავისი მისნები და წინასწარმეტყველები ჰყავდა. მაგალითად, დიდონაში საღვთო მუხის ფოთლების შრიალსა და ნაკადულის რაკრაკზე წინასწარმეტყველებდნენ. დელფოს მისანი ქალები — პითიები კი ტაძრის ახლოს მდებარე კლდესთან სამფეხა სკამებზე სხდებოდნენ, საიდანაც გამაბრუებელი მხრჩოლავი გაზი ამოდიოდა, თან ლეღვის ფოთოლს ღეჭავდნენ და გაბრუებულები მკითხაობდნენ.

საბერძნეთში მონათმფლობელური სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან ერთად, მონათმფლობელურმა დემოკრატიამ დიდი გავლენა და მნიშვნელობა მოიპოვა. დემოკრატიის გაძლიერებამ ღმერთების დღესასწაულებსაც სახალხო მნიშვნელობა მიანიჭა, სადაც იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრებები. ყველა თავისუფალ ბერძენს უფლება ჰქონდა იქ მონაწილეობა მიეღო, გამოეწვია დიდგვაროვანი, მდიდარი თუ ღარიბი ბერძენი სპორტის სხვადასხვა სახეობაში —

სირბილში, ჭიდაობაში, კრივში, დისკოს სროლასა ან ბირთვის კვრაში. აქვე იმართებოდა შეჯიბრება პოეზიაში, დრამატურგიაში, რიტორიკაში, ეწყობოდა ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა შეჯიბრიც. სპარსეთზე ბრწყინვალე გამარჯვებამ ბერძნებში განამტკიცა რწმენა, რომ ისინი ბარბაროსებზე, აღმოსავლელ ხალხებზე უფრო ძლიერნი და ჭკვიანები არიან.

2. პოეზია

ძველ საბერძნეთში გავრცელებული იყო თქმულება მუზა კალიოპეს ვაჟის, თრაკიელი პოეტისა და მომღერლის ორფეოსის შესახებ, რომლის სიმღერას გასაოცარი ძალა ჰქონდა — გარეულ მხეცებს ავკადოებდა და მდინარის დინებასაც კი აჩერებდა. მეორე პოეტი თამირიდე კი, ბერძნული ტრადიციის მიხედვით, იგი ლექსების შეთხზვაში მუზებსაც კი ეჯიბრებოდა და ამ კადნიერებისათვის დააბრმავეს. 9 მუზა სინათლისა და ხელოვნების ღვთაება ფებუს-აპოლონს ახლდნენ საზეიმო მსვლელობის დროს. ესენი იყვნენ: 1. კალიოპე — ეპიკური პოეზიის; 2. ევტერპე — ლირიკული პოეზიის; 3. ტერპსიქორე — ცეკვისა და ფერხულის; 4. ერატო — სატრფიალო პოეზიის; 5. მელპომენე — ტრაგედიის; 6. თალია — კომედიის; 7. კლიო — ისტორიის; 8. პოლიჰიმნია — საღვთო ჰიმნების და 9. ურანია — ასტრონომიის მუზა.

აპოლონი და მუზები, ლარნაკწერა

ძველი ბერძენი საგვარეულო ბელადები, ბასილევსები ნადავლისათვის ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს ხმელეთსა და ზღვაზე. მათ თავიანთი საქმიანობის სააგიტაციოდ მეხოტბე, მელექსე აედები სჭირდებოდათ, რომლებიც ლაშქრობას გმირობის რანგამდე აიყვანდნენ, მთელ საბერძნეთში კი მოხეტიალე მომღერლები — რაფსოდები ავრცელებდნენ.

ხალხური ზეპირსიტყვიერების პირველ სახეობას მითები წარმოადგენდნენ. მათში აღწერილი იყო მსოფლიოს წარმოშობა, ამბები ღმერთებისა და გმირების შესახებ. იყო ეპიკური პოემები, ანუ კიკლიკური ეპოსი: „კიპრიები", „ეთიოპიკა", „თებაიდა", „ეპიგონები" და სხვა. „კიპრიებში" მოთხრობილი იყო ტროას მეფისწულის პარისის მიერ მშვენიერი ელენეს მოტაცების ამბავი. „ეთიოპიკაში" — ეთიოპიის მეფის მემნონის შესახებ, რომელიც გარიჟრაჟის ქალღმერთის ეოსის ვაჟი იყო და აქაველების წინააღმდეგ ტროელებს ეხმარებოდა. „თებაიდაში" — გალექსილი იყო 7 წინამძღოლის ბრძოლა თებეს წინააღმდეგ. „ეპიგონებში" — თებეს აღება 7 წინამძღოლის მემკვიდრეების მიერ, რომლებსაც ეხმარებოდა ოიდიპოსის ვაჟი პოლინიკე. ე.წ. „მცირე ილიადებში" აღწერილია ოდისევსის კამათი აიატთან აქილევსის აბჯრის გამო. ამ პოემაში დახატულია პარისის სიკვდილი, რომელიც ფილოკტეტემ ისრით განგმირა. ავტორი მოგვითხრობს აგრეთვე ხის ცხენის ამბავსაც, რომლის გამო ტროა დაიღუპა.



ძველი ბერძნების პირველი მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოებია ჰომეროსის „ილიადა", სადაც პოეტმა საოცარი ოსტატობით აღწერა თესალიის მეფისწულის აქილევსის რისხვა. პოემა 24 სიმღერისაგან შედგება. მასში მოთხრობილია ტროელებსა და აქაველებს შორის წარმოებული ათწლიანი ომის მეათე წელი. პოემა იწყება აქაველთა წინამძღოლის აგამემნონისა და აქილევსის შელაპარაკებით და მთავრდება ტროას მეფის პრიამოსის ვაჟის ჰექტორის დატირება-დაკრძალვით. ჰომეროსის მეორე პოემა „ოდისეაც" 24 სიმღერისგან შედგება, მოგვითხრობს

აქილევსის და ჰექტორის ორთაბრძოლა

ტროას (ილიონის) დანგრევის შემდეგ აქაველთა გმირის ოდისევსის ათწლიან ფათერაკებიან მოგზაურობაზე სამშობლოში, კუნძულ ითაკაზე დასაბრუნებლად. ორივე პოემა საგმირო ეპოსს წარმოადგენს. მათში ასახულია ბერძნების ცხოვრება, ურთიერთბრძოლა ტომებს შორის. ისინი არა მარტო მსოფლიო ლიტერატურული შედევრებია, არამედ შესანიშნავი ისტორიული წყარო იმ პერიოდის საბერძნეთის ისტორიის შესასწავლად.

საბერძნეთში ასევე პოპულარული იყო „თქმულება არგონავტებზე". ეს საგმირო ეპოსი თესალიას ეხება. ქალაქ იოლკოსის მეფე პელიასმა თავის ძმისწულს სამეფო წაართვა და შორეულ კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატანად გაგზავნა.



ბერძნულ პოეტურ თქმულებებს შორის აღსანიშნავია ტროას პოემების ციკლი, რომელშიც აღწერილი იყო ბალკანელი ბერძნების მისწრაფება დაეპყროთ მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, რათა მათი კონტროლის ქვეშ ყოფილიყო შავი ზღვის სრუტეებში მიმავალი სავაჭრო გემები.

ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნაზე მცხოვრებმა ბეოტიელმა გლეხმა ჰესიოდემ შექმნა რამდენიმე ნაწარმოები — პოემები „სამუშაონი და დღენი", „თეოგონია", „ჰერაკლეს ფარი" და „ქალთა კატალგი". ამ ოთხი პოემიდან შედარებით სრულად მოაღწია ჩვენამდე პირველმა სამმა, მეოთხე კი მხოლოდ ფრაგმენტებითაა შემორჩენილი. „სამუშაონი და დღენი" დამრიგებლური, დიდაქტიკური შინაარსის პოემაა, მიძღვნილი მისი ფუქსავატი ძმისადმი, რომელსაც იგი ურჩევს და სთავაზობს სხვადასხვა სახის სამუშაოებს — მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, ვაჭრობას, ზღვაოსნობას და ამ სამუშაოთა მოკლე დახასიათებას იძლევა. ჰესიოდე გვიხატავს მაშინდელი გაბატონებული გვაროვნული არისტოკრატიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს და დაბეჩავებული ღარიბი ბერძენი გლეხების მდგომარეობას. „თეოგონია" ანუ ღმერთების წარმომავლობა, რელიგიური

შინაარსისაა და მასში თითოეული ღმერთის მითოლოგიური ისტორიაა მოცემული. „ჰერაკლეს ფარში“ მოთხრობილია ჰერაკლეს დაბადებისა და ბრძოლების ისტორია, „ქალთა კატალგში“ კი იმ ქალების ისტორია, რომლებმაც თავისი სილამაზით ღმერთების ყურადღება მიიპყრეს და ამ კავშირით წარმოიქმნენ გმირები, რომლებიც შემდეგ არისტოკრატიული გვარების მამამთავრებად იქცნენ. ეს ორი ნაწარმოები შინაარსით არისტოკრატის დაწერილს უფრო გავს, ვიდრე გლეხთა იდეოლოგიასა. ამის გამო ამ ორი ნაწარმოების ავტორად სიმონ ყაუხჩიშვილი არ მიიჩნევს ჰესიოდეს.

ძვ. წ. VII-VI სს. საბერძნეთის პოლისებში მძვინვარებდა სასტიკი ბრძოლა გვაროვნულ არისტოკრატიასა და ხალხს — დემოსს შორის, პოლისებს შორის ტერიტორიებისა და ბატონობისათვის. ამ ბრძოლების პროცესში საფუძველი ეყრება ბერძნულ ლირიკას, ელეგიებს და იამბებს. სახელწოდება „ლირიკა“ წარმოიქმნა შვიდსიმიან მუსიკალურ საკრავ ლირისაგან, რომლის აკომპანიმენტით კითხულობდნენ ლექსებს ბერძენი პოეტები. ელეგია გამამხნევებალი საბრძოლო სიმღერა იყო, იამბი კი მოწინააღმდეგის დამამცირებელი ლექსი-სიმღერაა.

პირველი ლირიკოსი იყო არქილოქე პაროსელი, რომელიც ძვ. წ. VII ს. ცხოვრობდა. იგი დაიბადა კუნძულ პაროსზე წარჩინებული მამისა და მდაბიო დედისაგან, რის გამოც მთელი სიცოცხლე დიდ დამცირებას განიცდიდა, რადგან მოქალაქეობას მოკლებული იყო. არქილოქემ, სხვა ხელმოკლე პაროსელებთან ერთად, კუნძულ თასოსზე დააარსა ახალშენი და მის დასაცავად იარაღით ხელში იბრძოდა. სწორედ მაშინ ასრულებდა შვიდსიმიანი ლირის თანხლებით საბრძოლო სიმღერებს — ელეგიებს. ელეგიების შესანიშნავი შემთხზველები იყვნენ კალინე ეფესელი და ტირტეოსი. ძვ. წ. 640 წ. როდესაც კიმერიელებმა მცირე აზიის ქალაქი სარდე აიკლეს,

კითარისტი, ლარნაკწერა

ეფესოსაც დაემუქრნენ, კალინე საბრძოლო ლექსებით – ელეგიებით მოუწოდებდა თანამოქალაქეებს ეფესოს დასაცავად. ტირტეოსი, გადმოცემით, ათენელი იყო. მეორე მესენიური ომის დროს (ძვ. წ. 685-688 წწ.), როდესაც სპარტას გაუჭირდა, დახმარებისათვის ათენს მიმართა, რომელმაც სპარტელებს კოჭლი პოეტი ტირტეოსი გაუგზავნა. მან თავისი საბრძოლო ელეგიებით ისე არაფრთოვანა სპარტელები, რომ მესენიელებთან ომი მოიგეს.

ელეგიებს წერდა აგრეთვე ცნობილი ათენელი მოღვაწე და კანონმდებელი სოლონი, რომელმაც ძვ. წ. 601 წ. სახელი გაითქვა ელეგია „სალამინით". ლექსმა ისეთი დიდი გავლენა იქონია ხალხზე, რომ კრებამ გააუქმა სალამინის გამო დადგენილება. მოულოდნელი თავდასხმით ათენელებმა მეგარელებს სძლიეს და კუნძული სალამინი დაიბრუნეს. სოლონმა თავის ელეგიებში მთელი თავისი მოღვაწეობა აღწერა.

საფო დობილებთან ერთად

ძვ. წ. VII ს. დასაწყისში სპარტაში მოღვაწეობადა ჰესიოდეს თანამედროვე პოეტი თალეს გორტანელი, რომელმაც ღვთაება აპოლონსა და არტემიდას სადიდებლად შეთხზა ჰიმნი „პეანები", რომლითაც საბერძნეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა. „პეანების" შეთხზვა სხვა ღმერთებზეც დაიწყეს, მოგვიანებით კი ადამიანთა სადიდებელ სიმღერად იქცა. თალესის თანამედროვე სპარტელ ლირიკოს ალკმეასს შექმნილი ჰქონდა ლირიკული პოემები, რომლებსაც სპარტელი ქალიშვილების გუნდი ასრულებდა.

ძვ. წ. VII-VI სს. საბერძეთში ვითარდება ლირიკის ისეთი ჟანრები, როგორებიცაა მელიკა (სიმღერა) და ქორიკა – სიყვარულის, სიხარულის, ლხინის, სევდის, მწუხარების, სასოწარკვეთისა და სხვა გრძნობების გამომხატველი ლექსები. მელიკურ სიმღერებს ცალკეული პირები ასრულებდნენ, ქორიკას კი მომღერალთა გუნდი. მელიკური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ პოეტები: ალკეოსი, საფო და ანაკრეონტი.

ალკეოსი და საფო ძვ. წ. VII ს. დასასრულს და VI ს.

დასაწყისში კუნძულ ლესბოსზე მოღვაწეობდნენ. ალკეოსი კუნძულის არისტოკრატიული ოჯახიდან იყო და თავისი ქალაქის დემოკრატებს ებრძოდა: ძვ. წ. 598 წ. მონაწილეობდა ახალშენ სიგეონისათვის ათენის წინააღმდეგ ბრძოლებში. მას შექმნილი აქვს ღმერთებისათვის მიძღვნილი ჰიმნები, რომლებიც რეალურად ლოცვებია. საუკეთესოა მისი საბრძოლო მელიკებიც. მაგრამ განსაკუთრებით საპატიო ადგილს თავის შემოქმედებაში, იგი სიყვარულის თემას უთმობდა. არანაკლებ შთამბეჭდავია მისი სუფრული მელიკები ანუ სკოლიონები.

პოეტი ქალი საფო ალკეოსის თანამედროვე და მეგობარია. იგი კუნძულ ლესბოსის ქალაქ ერესოდან იყო, თუმცა ძირითადად ქალაქ მიტილენაში ცხოვრობდა. ეკუთვნოდა არისტოკრატიულ ოჯახს, ამიტომ დემოკრატების დევნას თავი გაარიდა და ქმართან ერთად კუნძულ სიცილიაში გადასახლდა საცხოვრებლად. ამნისტიის შემდეგ საფო ისევ მიტილენაში დაბრუნდა. კუნძულ ლესბოსზე ქალები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ ჰქონდათ მუსიკის, სიმღერის, პროზის წრეები, სადაც ახალგაზრდა ქალიშვილები მუსიკალურ და ლიტერატურულ შეჯიბრებებს აწყობდნენ. სიმღერითა და ლექსებით გამოხატავდნენ თავიანთ სიხარულს, მწუხარებას და სხვა განცდებს. წრეებს შორისაც არსებობდა შეჯიბრი და საფო ერთ-ერთ ყველაზე განთქმული მუსიკალურ-მხატვრული-პოეტური წრის ხელმძღვანელი იყო. მასვე ეკუთვნოდა ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები, სატრფიალო და საქორწინო სიმღერები

ალკეოსი და საფო, ლარნაკწერა

ანუ ეპითალამები. საფოს მელიკებს არა მარტო მთელ საბერძნეთში, არამედ რომშიც დიდად აფასებდნენ.

მელიკური პოეზიის მესამე წარმომადგენელი იყო ანაკრეონტ იონელი ქალაქ ტეოსიდან. ძვ. წ. 545 წ. სპარსელმა სარდალმა შარპაგმა იონიაზე თავდასხმა მოაწყო და ქალაქი სარდე აიკლო. შეშინებულმა ტეოსელებმა ქალაქი დატოვეს და თრაკიის ქალაქ აბდერას შეაფარეს თავი. მათ გაჰყვა ანაკრეონტიც, რომელიც ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებული, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლუკმაპურისათვის იძულებული იყო შეეთხზა საბრძოლო სიმღერები, ვიდრე თავისთან არ მიიწვია კუნძულ სამოსის ტირანმა პოლიკრატემ (ძვ. წ. 533-522 წწ.), რომლის სასახლის კარის პოეტიც გახდა. სხვა პოეტებთან ერთად უმღეროდა სიყვარულს, ღვინოს. იგი მალე ყველა ნადიმის სულისჩამდგმელი იყო. ძვ. წ. 522 წ. პოლიკრატე სპარსელებმა მოკლეს. ამის შემდეგ ანაკრეონტი ათენის ტირანმა ჰიპარქემ მიიწვია ათენში, მაგრამ ტირანი მალე, ძვ. წ. 514 წ. ელევსინის დღესასწაულზე მოკლეს, რის შემდეგ იძულებული გახდა თესალიიდან ტირან ექეკრატესთან გადასულიყო. აქაც ღვინოსა და სიყვარულს უმღეროდა. ბოლოს იგი სამშობლოში დაბრუნდა და მცირე აზიაში ქალაქ ტეოსში გარდაიცვალა 85 წლის ასაკში.

ალკეოსისა და საფოს ნაწარმოებებში მეტი სიღრმე, გრძნობა, სულიერება, სინაზე და სევდაა. ანაკრეონტი კი ცხოვრებით კმაყოფილია. სინაზე და სულიერება მის ნაწაროებებს არ ახასიათებს. იგი ესწრაფვის სიხარულსა და ბედნიერებას. ბერძნები ანაკრეონტის გუნდურ სიმღერებს, ელეგიებს და იამბებსაც იცნობდნენ. იგი მეტად პოპულარული იყო და ბევრი მიმბაძველიც ჰყავდა ბიზანტიურ პერიოდამდე.

ძვ. წ. VI-V სს. შეიმჩნევა ლირიკული პოეზიის კრიზისი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებდა. უკანასკნელ ლირიკოსად ითვლება თებელი პოეტი პინდარე (ძვ. წ. 522-448 წწ.). მას „თეთრფრთებიან გედს“ უწოდებდნენ. იგი საბერძნეთის ყველაზე ცნობილი საერო დღესასწაულებისათვის ქმნიდა საზეიმო საგუნდო სიმღერებს ოლიმპიური, პითიის და ნემეის შეჯიბრებებში გამარჯვებულთა სახელზე. პინდარე საგუნდო ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარომადგენელია.

3. ტრაგედიები და კომედიები

ძველ ბერძნულ კულტურასა და ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ტრაგედიებსა და კომედიებს, რომელთა სამშობლო ბალკანეთის საბერძნეთია, კერძოდ ატიკა. ბერძნულ თეატრს საფუძველი ჩაეყარა ათენის ტირანის პიზისტრატეს დროს, რომელიც განსაკუთრებით პატივს სცემდა სოფლის მეურნეობის მფარველს, სოფლის მცხოვრებთა შორის ყველაზე პოპულარულ ღმერთს დიონისეს. პიზისტრატეს დროიდან ათენში წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე ვაზის ყვავილობისა და შემოდგომაზე ყურძნის კრეფის დროს, იმართებოდა დიონისეს სახალხო დღესასწაულები.

ბერძნული ნიღბები

სიტყვა „ტრაგოს“ თხას ნიშნავს, „ოდე“ კი სიმღერას, ტრაგედია — „თხების სიმღერას“. წამყვან მომღერალს, სიმღერის წამომწყებს უწოდებდნენ „კორიფეს“. კორიფეს წამოწყებულ სიმღერას დიონისეს თავგადასავალზე, თხის ტყავმოსხმული სატირების 12-კაციანი ქორო ჰყვებოდა სიმღერითვე.

პირველი ტრაგიკოსი პისისტრატეს თანამედროვე თესპიდე იყო (ძვ. წ. 534 წ.), რომლის არცერთ ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობილია მხოლოდ მათი სახელწოდებები. მეორე ტრაგიკოსი ფრინიქე ცხოვრობდა ძვ. წ. VI-V სს. მას ეკუთვნის ახალი ელემენტების შეტანა სანახაობაში. მაგალითად, ნიღბების ხმარება, ქალების როლის შემსრულებელი მამაკაცები ქალების ნიღბით გამოდიოდნენ. ფრინიქემ თავისი ტრაგედიების თემად ცხოვრებისეული სინამდვილე აიღო. მის ტრაგედიებში „მილეთის აღება“ და „ფინიკიელი ქალები“, აღწერილია სპარსელების მიერ ქალაქ მილეთის აღება და სალამინის ბრძოლის გამოძახილი ფინიკიაში. მომდევნო ტრაგიკოსმა ესქილემ, რომელიც თვითონვე მონაწილეობდა თავისი ნაწარმოებების წარმოდგენაში, თეატრში შემოიღო დეკორაციები და მეორე კორიფე შემოიყვანა, რომელთა დიალოგს ქორო ეხმაურებოდა. ქორო საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა



ბერძნული თეატრის გეგმა

— ეთანხმებოდა, ან უარყოფდა კორიფეთა გამონათქვამებს. მსახიობები ატარებდნენ მაღალ თავსაბურავებს და კოტურნებს (მაღალქუსლიან ფეხსაცმელს).

ძვ. წ. VI ს. თავდაპირველად, წარმოდგენები იმართებოდა მოედნებზე. მსახიობებისათვის კარავი „სკენე“ იდგმებოდა, სადაც ისინი ტანსაცმელსა და ნიღბებს იცვლიდნენ. შემდეგ კი აკროპოლისის კლდოვანი სამხრეთ ფერდობის ძირში, ღია ცის ქვეშ, ამფითეატრის მსგავსად, კლდოვან ფერდობზე ხის სკამები იყო მიმაგრებული, რომელიც 20-30 ათას მაყურებელს იტევდა. წარმოდგენა იმართებოდა ამაღლებულ ხის პატარა მოედანზე „საცეკვაო“ ანუ ორქესტრას ადგილზე, რომლის უკან იყო სკენე. ბერძნებს მრავალი ნიჭიერი ტრაგიკოსი ჰყავდათ, რომელთა შემოქმედებას დღემდე მსოფლიო ჟღერადობა აქვთ. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ სამი ავტორის ტრაგედიების ნაწილმა მოაღწია, ესენია: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე.

ესქილე

ესქილე (ძვ. წ. 525-456 წწ.) ათენის გარეუბან ელევსინიდან იყო. მონაწილეობდა ბერძენ-სპარსელთა ომებში, კერძოდა, მარათონის, სალამინის და პლატეის ბრძოლებში. პირველი გამარჯვება ძვ. წ. 484 წ. პოეტთა შეჯიბრებაში მოიპოვა, თუმცა შემდეგ ათენელებზე განაწყენებული კუნძულ სიცილიაში გადასახლდა და ქალაქ გელაში გარდაიცვალა. იგი 70-მდე ტრაგედიის ავტორია. ჩვენამდე კი მხოლოდ 7 მოაღწია: „აგამემნონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“ (ეს სამი ტრაგედია „ორესტეას“ ტრილოგიის ნაწილებია), „სპარსელები“, „მიჯაჭვული პრომეთე“, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და „მავედრებელი ქალები“.

სოფოკლე

სოფოკლე (ძვ. წ. 496-406 წწ.) ათენის გარეუბნის კოლონოს მოქალაქეა. ხელოსნის შვილმა ბრწყინვალე სპორტული და მუსიკალური განათლება მიიღო, კარგი პოეტი და სტრატეგოსიც ყოფილა. ათენში მკურნალი ღვთაების ასკლეპიოსის ტაძრის ქურუმად ითვლებოდა. სოფოკლემ თავის ტრაგედიებში მესამე მსახიობი — დითირამბი შეიყვანა და ქოროს შემადგენლობა 15-მდე გაზარდა. ვინაიდან სუსტი ხმა ჰქონდა, ტრაგედიებში არ მონაწილეობდა. სოფოკლე ათენის ცნობილი სტრატეგოსის პერიკლეს თანამედროვე იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ათენის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში. მას 123 დრამა დაუწერია, ჩვენამდე კი მხოლოდ 10 მოაღწია: „ანტიგონე," „აიანტი," „ოიდიპოს მეფე," „ელექტრა," „ტრაქინელი ქალები," „ფილოქტე," „ოიდიპოსი კოლონაში," „ევრიპილე," „მეძებარნი," „ინაქე". სამი უკანასკნელი სატირული დრამა ამ ბოლო წლებში აღმოაჩინეს. სოფოკლე ზომიერი დემოკრატიის მომხრე იყო. თავისი შემოქმედებით კი ათენელებს მოუწოდებდა მორიდებოდნენ დემაგოგებს და სოფისტებს.

ევრიპიდე (ძვ. წ. 480-406 წწ.) ათენის წარჩინებულთა გვარს ეკუთვნოდა. სიცოცხლის ბოლო წლებში მაკედონიაში მიიპატიჟა მეფე არქელაოსმა, რომელიც მისი ნიჭისა და შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. იგი 92 პიესის ავტორია. ჩვენამდე მოაღწია თვრამეტმა: 16 ტრაგედიამ და 2 სატირულმა დრამამ. ესენია: „მედეა," „იფიგენია ავლიდში," „იპოლიტე," „კრეტელი ქალები," „ალკმეონე," „ტელეფოსი," „ალკესტიდა" და სხვები. ევრიპიდეს ნაწარმოებებში დახატულია ქალის სხვადასხვა ტიპი, გახსნილია მათი ხასიათები, გრძნობები, მისწრაფებები. მის ქალებს შეუძლიათ უზომო სიყვარულიც და უსაზღვრო შურისძიებაც. მის მიერ შექმნილი ქალთა ტიპები განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზეც და მაყურებელზეც. როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნი-



ევრიპიდე

შნავდა „ევრიპიდემ მსოფლიო ლიტერატურაში დაიმსახურა დემოკრატიული ათენის მხურვალე პატრიოტისა და რეალისტი პოეტ-ტრაგიკოსის სახელი“.

კომედიები საბერძნეთში წარმოიშვა გასართობი სიმღერებიდან — ფალიკებიდან, კომოსიდან და დორიული სცენებიდან. ფალიკურ სიმღერებს სოფლებში ხალხის გასამხიარულებლად ასრულებდნენ დღესასწაულებზე. ღვინით შეზარხოშებულ ახალგაზრდებს წინ მიუძღვოდათ წინამძღოლი, რომელსაც ხელში ეკავა ჯოხზე წამოცმული ბუნების ძალების სიმბოლო — ფალოსი (მამაკაცის ასო). ხალხის გასაცინებლად ოხუნჯობდნენ, უწმაწურ შაირებსა და ნაკვესებს ამბობდნენ, ფალიკურ სიმღერებს ასრულებდნენ. კომოსიც დიონისეს დღესასწაულზე წარმოიქნა. როდესაც სოფლელებს ღვინო გასაყიდად მიჰქონდათ ურმით, ვირებით ან ზურგით, ერთმანეთს ენამოსწრებულად დასცინოდნენ ან ლანძღავდნენ. ღვინის გაყიდვის შემდეგ ისინი იკრიბებოდნენ, ქეიფობდნენ, შემდეგ საღებავებით სახეს ითხუპნიდნენ, რომ არავის ეცნოთ და ჯგუფ-ჯგუფად იწყებდნენ ქალაქში ხეტიალს. ხშირად ხალხის ან თემის წინაშე დამნაშავეთა სახლის წინ შეჩერდებოდნენ და დანაშაულისათვის აგინებდნენ.

არისტოფანე

დორიელ ტომებს შორის გავრცელებული ყოფილა დორიული დრამა და მიმიკური ცეკვის ორი სახეობა — ჰიპოგიპონები და გიპონები. პირველი განასახიერებდა და დასცინოდა ,ყავარჯნებზე დაყრდნობილ მოხუცების ცეკვას, მეორე — ოჩოფეხებზე შემდგარ, ქალის გამჭვირვალე ტანსაცმელში გამოწყობილ ქალაჩუნა მამაკაცებს. დასცინოდნენ აგრეთვე იმ უცხოელებსაც, რომლებმაც ბერძნული ენა ცუდად იცოდნენ და მათი ლაპარაკი მხიარულებას იწვევდა. ანსახიერებდნენ ყურძნის ქურდებს, რომლებსაც ქურდობის დროს მიუსწრეს და ა.შ. „ფალიკური სიმღერების კომოსთან გაერთიანებამ და დორიული დრამის ელემენტებთან შერწყმამ შექმნა ანტიკური კომედია“ — წერს ს. ყაუხჩიშვილი. ანტიკური კომედიის ავტორების სახელებმა მოაღწიეს ჩვენამდე: ქიონიდე, მაგნეტი, ეპიჭარმიტე, ამეიფსია, ლევკონი, კრატინე და ევპოლისი. სამწუხაროდ, მათი ნაწარმოებების მხოლოდ

ზოგიერთი ფრაგმენტი შემოგვრჩა. სამაგიეროდ, არისტოფანეს კომედიების წყალობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რას წარმოადგენდა ანტიკური კომედია.

არისტოფანე (ძვ. წ. 446-338 წწ.) ატიკელი მიწისმფლობელის ოჯახში დაიბადა სოფელ კვიდათენში. მას შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა თავის დროის ტრაგედიებს, კომედიებს და მათ ავტორებს, კარგად ერკვეოდა მიმდინარე პოლიტიკაშიც, რაც მისი ნაწარმოებებიდანაც ჩანს. მას 40 პიესა ჰქონია დაწერილი, ჩვენამდე კი მხოლოს 11 მოაღწია: „კრაზანები," „ღრუბლები," „მხედრები," „ბაყაყები," „აქანელები," „ქალები სახალხო კრებაზე," „ზავი," „ფრინველები," „ლისისტრატე," „თესმოფორიაძუები" (ქალები თესმოფორიას დღესასწაულზე) და „სიმდიდრე". არისტოფანეს ნაწარმოებების სიუჟეტები ძირითადად პოლიტიკურია, რომლებიც ასახავდნენ ათენის ცხოვრების ყველა მოვლენას, განსაკუთრებით კი პელოპონესის ომის (ძვ. წ. 431-404 წწ.) ამბებს. განსაკუთრებით მუქ ფერებში გვიხატავს ათენის პოლიტიკურ დემაგოგებს. მაგალითად, კლეონს, რომელსაც აბრალებს ათენის პოლიტიკური მდგომარეობის გართულებას. მისი კომედიების წყალობით ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოგიდგინოთ როგორი იყო ათენის მონათმფლობელური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა.



აკროპოლისი, პართენონი

4. ხელოვნება

ძველმა ბერძნულმა ხელოვნებამ, ხუროთმოძღვრებამ, ქანდაკებამ, მხატვრობამ უმაღლეს განვითარებას ძვ. წ. V ს. მიაღწია. ბალკანეთის საბერძნეთი მდიდარი იყო სამშენებლო ქვითა და მარმარილოთი, რითაც ძველი ბერძნები აშენებდნენ შესანიშნავ ნაგებობებს. ბერძნები ცხოვრობდნენ სადა,

უბრალო სახლებში, სამაგიეროდ, საზოგადოებრივი ნაგებობანი — ტაძრები, გიმნაზიუმები, დარბაზები და თეატრები დღემდე აოცებს მნახველს თავისი სილამაზითა და გრანდიოზულობით. საბერძნეთში ხუროთმოძღვრების სამი ძირითადი სტილი არსებობდა: ყველაზე ადრეული, მონუმენტური და გრანდიოზული დორიული სტილი იყო, რომელიც წარმოიქმნა პელოპონესში და მთელ საბეძნეთში გავრცელდა; შემდეგ ჩამოყალიბდა ნაზი, მსუბუქი და დახვეწილი იონურ-ატიკური სტილი, იგი ჯერ მცირე აზიაში განვითარდა და შემდეგ ატიკაში; მესამე — მდიდრული და საზეიმო კორინთული სტილი, რომელიც არგოსში ჩაისახა და შემდეგ შუა და სამხრეთ საბერძნეთი მოიცვა.



ბერძნული ტაძრების გეგმა

ძველი ბერძნული ტაძრები, სტილის მიუხედავად, ყველა სწორკუთხოვანი შენდებოდა და ოთხივე მხრიდან სვეტები ამშვენებდა. ტაძრების შიგნით ერთმანეთთან დაკავშირებული სამი დარბაზი იყო განლაგებული: პირველს, მთავარ შესასვლელს პრონაოსს უწოდებდნენ, მეორეს და მთავარ დარბაზს — ნაოსი, სადაც ღმერთების ქანდაკებები იდგა, მესამეს — ეპოსტოდს (ოპისფოდს), რომელიც ტაძრის საკულტო ნივთების, შეწირულობებისა და განძეულობის შესანახად იყო განკუთვნილი. ტაძრის სვეტები რა სტილშიც არ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, ყოველთვის გვირგვინდებოდა ქვის ან მარმარილოს სპეციალური ორნამენტიანი ბალიშით — კაპიტელით, რომელსაც სახურავის ჰორიზონტალური ნაწილი ე.წ. ანტაბლემენტი ეყდნობოდა. სვეტს და გადახურვის მთელ სისტემას კი ორდერი ეწოდებოდა.

ძვ. წ. VI ს. დასაწყისში, სპარსთა მეფე ქსერქსეს ლაშქრობის დროს, მცირე აზია და შუა საბერძნეთი სპარსთა მიერ სასტიკად იქნა განადგურებული. ბერძნებმა გაერთიანებული ძალებით სპარსელები უკუაგდეს და მათზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, სპარსელების ბატონობისაგან ეგეოსის ზღვა, მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო და შავი ზღვის სრუტეები გაანთავისუფლეს, რის შედეგადაც მთელ



19. [illegible] 448 — 432 ძვ. წ.
20. [illegible] 420 — 400 ძვ. წ.
21. [illegible] 175 ძვ. წ.
1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 11. [illegible]

საბერძნეთში დაიწყო აღდგენითი სამუშაოები, განსაკუთრებით კი — ათენში. ათენის პირველი საზღვაო კავშირის ჩამოაყალიბების შემდეგ (ძვ. წ. 478წ.), ათენს საშუალება მიეცა თავისი მოკავშირეების „ფოროსის“ ხარჯზე აკროპოლისზე შესანიშნავი ნაგებობები აეგო.

ათენის ცენტრში მდებარე კლდოვანი მთა აკროპოლისი, ზღვის დონიდან 150 მეტრის სიმაღლეზეა, რომელსაც სამი მხრიდან მიუდგომელი შვეული კლდეები საზღვრავს და მხოლოდ დასავლეთით, დაქანებული ფერდობით შეიძლება ასვლა. აკროპოლისი ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში ჰქონდათ ათვისებული ათენელებს. სოლონის და პისისტრატეს დროიდან კი ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. პერიკლემ აკროპოლისის მშენებლობა ერთიანი გეგმით დაიწყო ძვ. წ. 448 წ. და 404 წ. დაამთავრა. ათენელმა ხუროთმოძღვრებმა იქტინოსმა და კალიკრატემ აკროპოლისის ყველაზე ამაღლებულ ადგილას, 2 000 მეტრის ფართობზე ქალაქ ათენის მფარველი ქალღმერთის ათენა პალადას (ქალწული) ტაძრის მშენებლობა დაიწყეს (ძვ. წ. 448-438 წწ.). ტაძარი მთლიანად პენტელიკონის მარმარილოსაგან ააგეს. დიდმა მოქანდაკე ფიდიასმა სწორედ მისთვის შექმნა ათენას 12 მეტრიანი ქანდაკება, რომელსაც 8 მეტრიანი პიედისტალი ჰქონდა. ქანდაკება შესრულებული იყო ქრისელეფანტინის წესით (სპილოს ძვლითა და ოქროთი მოპირკეთებული ხე). ქანდაკებამ ჩვენამდე არ მოაღწია და მასზე წარმოდგენას გეიქმნის მისი ასლები.

პართენონის ფრონტონზე გამოსახული იყო ათენას დაბადება ზევსის თავიდან, აგრეთვე პოსეიდონის კამათი ათენასთან ქალაქ ათენაზე ბატონობის გამო. პართენონის ტაძარს გრანდიოზული დეკორატიული ანსამბლი ახლდა, რომელიც 550 ქანდაკებისაგან შედგე-

ბოდა. ახ. წ. 390 წ. რომის იმპერიის ბატონობის დროს პართენონი ქრისტიანულ ეკლესიად გადააკეთეს, თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ — მაჰმადიანურ მეჩეთად, 1687 წ. კი — თოფის წამლის საწყობად. ვენეციელებისა და თურქების ომის დროს ჭურვი მოხვდა, საწყობი აფეთქდა და ტაძარი ძალიან დაზიანდა, ქანდაკებების დიდი ნაწილი კი დაიმსხვრა.

ერეხთეიონი კარიატიდებიანი პორტიკი

ძვ. წ. 420 წ. იქტინოსმა და კალიკრატემ დაამთავრეს თეთრი მარმარილოსაგან დორიულ-იონიურ ორდერში გადაწყვეტილი ნიკა აპტეროსის (უფრთებო) პატარა ტაძრის მშენებლობა აკროპოლისის სამხრეთ ნაწილში წინწამოწეულ კლდეზე. ნიკა გამარჯვების ქალღმერთი იყო და მას აუცილებლად ფრთები უნდა ჰქონოდა. მათი შექმნილი ნიკა კი უფრთოა, რათა გამარჯვების ღმერთი ათენიდან აღარასოდეს გაფრენილიყო.

ათენელებმა სპარსელების მიერ დანგრეული ერეხთეიონის ტაძარიც აღადგინეს აკროპოლისის ჩრდილოეთ ნაწილში ატიკურ-იონიურ სტილში. ერთი პორტიკის სახურავი კი, სვეტების მაგივრად, მსუბუქად უკავიათ ქალიშვილების ქანდაკებებს ე.წ. კარიატიდებს. აკროპოლისზე ასასვლელი გზა სვეტებით, საზეიმო ხეივნითა და ჭიშკრით დაამშვენეს, რომელსაც პროპილეუმი ეწოდებოდა. იგი ძვ. წ. 437-432 წწ. ააგო ხუროთმოძღვარმა მნესიკლემ. პროპილეუმის გარეთა სვეტები დორიული სტილისა იყო, შიგნითა — იონური. იგი ასიმეტრიული ნაგებობა იყო, ჩრდილოეთი ნაწილი უფრო დიდი მოცულობით სამხრეთისაზე. სამაგიეროდ, სამხრეთის მხარეს ნიკა აპტეროსის ტაძარი ავსებდა და ამიტომ ასიმეტრიულობა არ შეიმჩნეოდა. აკროპოლისზე პერიკლეს დროსვე აიგო მუსიკალური შეჯიბრებების დარბაზი ოდეონი.

ერეხთეიონი კარიატიდა

შესანიშნავი სანახავი იყო ათენა აქაელის ტაძარი კუნძულ

ეგინაზე, რომლის ფრონტონზე გამოსახული იყო ბერძნების ბრძოლა ტროელებთან. კუნძულ პელოპონესზე, ელიდაში, ქალაქ ოლიმპიაში დორიულ სტილში აგებული ოლიმპიელი ზევსის გრანდიოზული ტაძარი იდგა. ტაძრის სიღრმეში სავარძელში მჯდომი 14 მეტრიანი ზევსის ქანდაკება ფიდიასის მიერ იყო შექმნილი, ათენა პალადას მსგავსად, ქრისელეფანტინისგან. როგორც ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება, ძველი მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად იყო აღიარებული, ასევე იყო სილამაზითა და სინატიფით განთქმული არტემიდას თეთრი მარმარილოს სვეტებიანი ტაძარი მცირე აზიის ქალაქ ეფესოში. ერთმა უგუნურმა ბერძენმა, ჰეროსტრატემ, რომელსაც უნდოდა რითიმე სახელი გაეთქვა, ძვ. წ. 356 წ. გადაწვა ხუროთმოძღვრების ეს შედევრი.



ძველი მსოფლიოს მესამე საოცრება იყო მცირე აზიაში, კარიაში, ქალაქ ჰალიკარნასში ტირან მავსოლის აკლდამა — მავსოლეუმი, რომელიც მისმა მეუღლე არტემისიამ დაამთავრა. ეს ის არტემისიაა, რომელიც ჰეროდოტეს ცნობით, აქტიურად ეხმარებოდა სპარსთა მეფე ქსერქსეს ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ჰალიკარნასის მავსოლეუმი ააგეს ხუროთმოძღვრებმა პითეოსმა და სატირემ. მავსოლეუმი ორსართულიანი ყოფილა. პირველ სართულზე აკლდამა განათავსეს, მეორეზე — იონურ სვეტებზე დაფუძნებული კიბეებიანი პირამიდა, რომელზეც იდგა ბრინჯაოს საომარ კვადრიგაზე (ოთხცხენიანი ეტლი) მდგარი მავსოლის და მისი ცოლის ორმეტრიანი ქანდაკებები. სვეტებს შორის

ჰერმესი, ნიკა

აღმართული იყო გამოჩენილ ადამიანთა სკულპტურები, შესრულებული ძვ. წ. IV ს. საუკეთესო მოქანდაკეების სკოპასის, ლეოქარესის, ბრიაკსისის და ტიმოთეოსის მიერ. მავსოლეუმის არქიტექტურაში შერწყმული იყო ორი სტილი — იონური ორდერი და აღმოსავლური პირამიდა.

პარნასის მთის ძირას დორიული ელემენტებით აგებული აპოლონის ცნობილი დელფოს ტაძარი მთელ ანტიკურ სამყაროში და აღმოსავლეთში ცნობილი იყო წინასწარმეტყველი ქალებით — პითიებით. დელფოს ტაძარი საბერძნეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. მისი საგანძური საბერძნეთის ყველა ტაძრის საგანძურზე მდიდარი ყოფილა. იქ ძვირფასი ნივთების გარდა, ათასამდე სკულპტურული შედევრი ინახებოდა. ტაძარი ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს. გაძარცვეს ფოკიდელმა ბერძნებმა, ძვ. წ. I ს. კი — რომაელმა სარდალმა სულამ. დელფოს ტაძრის მიდამოებში არქეოლოგებმა ბევრი ქანდაკების ნამსხვრევები იპოვეს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკულპტურაა მეეტლის ბრინჯაოს ქანდაკება. ახ. წ. 390 წ. ტაძარი რომის იმპერატორმა თეოდოსიმ გააუქმა. ბერძნები თითქმის ყველა ქალაქში აგებდნენ გიმნაზიუმებს, თეატრებს, თერმებსა და აბანოებს. აღმოჩენილია 55 თეატრი, არკადიის ქალაქ მეგალოპოლისში — 44 000 მაყურებლისთვის. იქვე იპოვეს სათათბირო დარბაზის ნანგრევები.

პოლიკლეტი
დორიპორისი

ლისიპე
აპოქსიომენი

ალესანდროსი
დაჭილი
ამორძალი

ძვ. წ. V-IV სს. განსაკუთრებულ სილამაზესა და დახვეწილობას მიაღწია ქანდაკებამ. სამწუხაროდ, ანტიკური პერიოდის მოქანდაკეების შედევრების მცირე ნაწილმა მოაღწია დღემდე. ადრეანტიკური, კლასიკური რეალიზმის საუკეთესო წარ-

მომადგენელია ბეოტიელი სკულპტორი ელეფთერიდან მირონი, რომელსაც მრავალი, ძირითადად ბრინჯაოს ქანდაკება ჰქონია შექმნილი, მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულია მორბენალი დილასი, ათენა და სატირი მარსია, დისკობოლი და ა. შ.

ნიკე, მარმარილოს რელიეფი

მეორე ცნობილი მოქანდაკე ათენელი ფიდიასი (ძვ. წ. 490-430 წწ.) ცნობილი იყო თავისი სამი მონუმენტური ძეგლით — აკროპოლისზე აღმართული ათენა პრომარქოსის (მებრძოლის) ბრინჯაოს 8 მეტრიანი ქანდაკება, რომელიც შორიდან, ეგეოსის ზღვიდანაც კი ჩანდა. მეორე — ათენა პართენონის (ქალწულის) 12 მეტრიანი შედევრი პართენონის ტაძარში იდგა, ხოლო 14 მეტრიანი ზევსის მონუმენტი ქალაქ ოლიმპიაში ზევსის ტაძარს ამშვენებდა. ფიდიასის ნამუშევრებს ახასიათებდა მონუმენტალობა, კომპოზიციის წონასწორობა, რეალიზმი და გამოსახულების იდეალიზაცია. ჩვენამდე მოაღწია ფიდიასის ქანდაკებების ასლებმა, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის ხელოვნებაზე.

ფიდიასის თანამედროვე არგოსელმა მოქანდაკე პოლიკლეტემ (ძვ. წ. 460-420) არგოსში შექმნა ქალღმერთ ჰერას ქრისელეფანტინის მონუმენტური ქანდაკება. მას ეკუთვნის დაჭრილი ამორძალის, ჭაბუკი ათლეტის დიადუმენის, შუბოსნის (დორიფოროსის) ქანდაკებები. ჩვენამდე მხოლოდ დორიფოროსმა მოაღწია. პოლიკლეტესათვის დამახასიათებელია ადამიანის სხეულის პროპორციული ასახვა. ძვ. წ. 424 წ. მოქანდაკე პოენისმა ქალაქ ოლიმპიაში მესენიელების სფაქტრიასთან გამარჯვების აღსანიშნავად გამოძერწა ფრთოსანი ნიკას ქანდაკება, რომელმაც ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებულმა მოაღწია.

ძვ. წ. V ს. 40-იან წლებში ათენი ხმელთაშუა ზღვის კულტურის ცენტრად იქცა. მისკენ მიისწრაფვოდნენ ცნობილი ოსტატები საბერძნეთის სხვადასხვა კუთხიდან და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ათენში ტაძრების, განსაკუთრებით კი პართენონის მშენებლობაზე. მათ შორის იყო კრეტელი კრესილაოს კიდონელი,

მირონი, დისკობოლი

რომელმაც შექმნა პერიკლეს მუზარადიანი ბიუსტი (მუზარადი მიუთითებდა პერიკლეს სტრატეგოსობაზე). კრესილაოსი პირველია, ვინც სახელმწიფო მოღვაწე გამოსახა. ატიკური კლასიკური რეალიზმის პერიოდში ხელოვანი მიისწრაფვოდა გამოეხატა ადამიანის სხეულის სილამაზე, უბრალოება, სისადავე და კეთილშობილება. ღმერთის კი მიუწვდომლობა, იდუმალება, სიამაყე და დიდბუნებოვნება. ანტიკური ხელოვნების განვითარება ელინისტურ პერიოდშიც გაგრძელდა, როდესაც ხელოვნებამ დაიწყო ადამიანის შინაგანი განცდების ასახვა.

ძვ. წ. V ს. მხატვრების ნაწარმოებებმა ჩვენამდე არ მოაღწია. ვიცით მხოლოდ მათი სახელები: აპოლონ ათენელი, ზევქსისი — სამხრეთ იტალიის ქალაქ ჰერაკლეადან, აგაფარნაქოსი — კუნძულ სამოსიდან, ტიმანთე და პარასია ეფესელი. მხატვარმა აპოლოდორემ, პირველმა ბერძენ მხატვართა შორის, დაიწყო ჩრდილების გამოყენება. V ს. მეორე ნახევრის მხატვრებიდან ყველაზე სახელგანთქმული ყოფილა პოლიგლოტი, მას მოუხატავს დელფოს ტაძრის კედლები მითოლოგიური შინაარსის სურათებით და სცენით „ტროას დაცემა". იგი ხატავდა მრავალფიგურიან სცენებს, იყენებდა უმეტესად თეთრ, ყვითელ, წითელ და შავ საღებავებს.

ლეოქარესი
აპოლონ ბელვედერელი

მეორე საზღვაო კავშირის შექმნის შემდეგ (ძვ. წ. 378 წწ.) ათენელებმა მოქანდაკე კეფისოდოტეს შეუკვეთეს მშვიდობის ღმერთის ირენეს ქანდაკება, რომელსაც ხელში ეკავა პატარა ბიჭი — პლუტოსი (სიმდიდრე). მისი ვაჟი, ძვ. წ. IV ს. მოქანდაკე პრაკსიტელე თეთრ მარმარილოზე მუშაობდა. დიდი ოსტატობით გამოსახავდა ქვაში

არა მარტო ადამიანის ფიზიკურ სილამაზეს, არამედ სულიერ განცდებსაც. მისი შექმნილია აფროდიტეს თეთრი მარმარილოს ქანდაკება. ეს არის უჩვეულო სილამაზისა და აღნაგობის შიშველი ქალის სკულპტურა. პრაქსიტელეს 40 ნამუშევრიდან მხოლოდ რამდენიმემ მოაღწია დღემდე. ჰერმესის ქანდაკება, რომელსაც ხელში უჭირავს ყრმა დიონისე. მას ზევსის დავალებით პატარა დიონისე მიჰყავს ნიმფებთან და დასვენების დროს ჩაფიქრებული ეთამაშება ბავშვს. ეს ნამუშევარი, მართალია, დაზიანებულია, მაგრამ მისი ნახვა დღესაც აღტაცებას იწვევს. აფროდიტა კნიდოსელის ქანდაკებას კი მხოლოდ ასლით ვიცნობთ. პრაქსიტელეს მენატურედ ჰყოლია ულამაზესი ათენელი გეტერა ქალი ფრინა, რომელიც ამავე დროს მისი საყვარელიც ყოფილა.

დელფოელი მეეტლე ბრინჯაო

პრაქსიტელზე უფროსი იყო მისი თანამედროვე ცნობილი ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე სკოპასი (ძვ. წ. IV ს.) კუნძულ პაროსიდან, რომელიც ჰალიკარნასის მავზოლეუმის მშენებლობაში მონაწილეობდა. მან ააგო არკადიის ქალაქ თეგეონში ათენა ალეას ტაძარი და შეამკო სკულპტურული დეკორით. სკოპასზე ამბობდნენ, რომ მან ქანდაკებებს სიცოცხლე შესძინა, სული შთაბერა.

ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის ცნობილი მხატვარი, პორტრეტისტი და მოქანდაკე ლისიპე, ალექსანდრე მაკედონელის საყვარელი ხელოვანი იყო. მას ეკუთვნოდა სამხრეთ იტალიაში, ქალაქ ტარენტოში აღმართული ზევსის დიდი ზომის ქანდაკება, დელფოს ტაძარში კი — აგიასი. მისი ნამუშევრები გამოირჩევა სიმსუბუქითა და სილამაზით. ლისიპეს ყველაზე ცნობილი სკულპტურა იყო აპოქსიომენესის მარმარილოს ქანდაკება. გამოსახულია ათლეტი, რომელიც ჭიდაობის შემდეგ სხეულს იწმენდს. ჩვენამდე მოაღწია მისი ნამუშევრების ასლებმა. მან გამოაქანდაკა ჰერაკლეს და ჰერმესის რამდენიმე გამოსახულება: კერძოდ, ჰერაკლე მცირე შესვენების დროს, ჰერმესი კი ფეხსაცმლის თასმის შეკვრისას. ლომთან

მებრძოლი ჰერაკლე ახლა ერმიტაჟში ინახება. ლისიპეს ეკუთვნის ალექსანდრე მაკედონელის რამდენიმე პორტრეტი და ქანდაკება, რომლის ასლებია შემორჩენილი. ალექსანდრეს დავალებით, ლისიპემ მდინარე გრანიკის ბრძოლაში დაღუპული 25 ცხენოსანი ჰეტერის ნატურალური ზომის ბრინჯაოს ქანდაკება ჩამოასხა. ეს სკულპტურული ჯგუფი ისეთი ოსტატობით იყო შექმნილი, იმდენად ცოცხლად წარმოაჩინა მეომრებიცა და ცხენებიც, რომ, გადმოცემით, მის დანახვაზე ცხენები ჭიხვინს იწყებდნენ და ფრთხებოდნენ. ლისიპეს 1500 დიდი და მცირე სკულპტურა შეუქმნია, რომელთაგანაც მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე.

ოიდიპოსი და სფინქსი ლარნაკი

5. ფილოსოფია

კაცობრიობის ისტორიაში საბერძნეთის მონათმფლობელურმა საზოგადოებამ პირველმა წარმოაჩინა ფილოსოფია, როგორც მეცნიერული დარგი. ბერძნულ ქალაქებს შორის ყველაზე ადრე განვითარებულ მცირე აზიის სავაჭრო ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ხალხებთან — ეგვიპტელებთან, ფინიკიელებთან, სირიელებთან და სხვებთან. მცირე აზიის ამ ქალაქებში ჩაეყარა საფუძველი იონიურ ნატურფილოსოფიას, ანუ ბუნების ფილოსოფიას. იონიელი ფილოსოფოსები იკვლევდნენ ბუნების საერთო პრობლემებს, არკვევდნენ რისგან შედგება სამყარო, რას წარმოადგენს და რისგან არის შექმნილი მსოფლიოს საფუძველი და რა არის მისი დედაარსი.

პირველი იონიელი ფილოსოფოსი იყო თალესი, რომელიც ანტიკურმა სამყარომ შვიდ ბრძენ ბერძენთა რიცხვს მიაკუთვნა. იგი ცხოვრობდა ძვ. წ. VII-VI სს. კარგად იცნობდა ძველ ბაბილონელთა ასტრონომიას და იწინასწარმეტყველა ძვ. წ. 585 წ. 28 მაისს მზის დაბნელება. ასტრონომიული გამოანგარიშებებით ერთ წელიწადს განსაზღვრა ზეთისხილის უზომო მოსავალი მცირე აზიაში, რის წყ-

ალობითაც დიდი თანხა მოიგო. თალესმა შექმნა მთელი რიგი გეომეტრიული თეორემები. მას აინტერესებდა მსოფლიო სუბსტანცია (მსოფლიო მოვლენების არსი. მატერიალისტური გაგებით სუბსტანცია წარმოადგენდა მუდმივმოძრავ და ცვალებად მატერიას, რომელიც დადგენილია საზოგადოებრივი პრაქტიკის შედეგად და მეცნიერების მიერ. იდეალისტური ფილოსოფია კი სცნობს მხოლოდ სულსა და იდეების სუბსტანციას). თალესმა მსოფლიო სუბსტანციის საწყისად წყალი, სინოტივე მიიჩნია.

ჰერაკლიტე

მეორე იონიელი ფილოსოფოსი იყო ანაქსიმანდრე მილეთელი, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. 611-547 წწ. იგი პირველი გეოგრაფოსი იყო, რომელმაც პირველმა შეადგინა მსოფლიოს გეორაფიული რუქა. მისი წარმოდგენით დედამიწა ცილინდრისებურია და მდებარეობს სამყაროს შუაგულში, გარშემო კი აკრავს ცის სფერო. ანაქსიმანდრე არ ეძებდა მსოფლიოს საწყისს, მისი აზრით მსოფლიოს საწყისი რიცხობრივად განუზომელია, თვისობრივად კი — განუსაზღვრელი და უკვდავი. იგი მას უწოდებს „აპეირონს", რომელიც გაიგივებული აქვს მატერიასთან. ანაქსიმანდრეს აზრით საერთო მატერიალურ სუბსტანციას მატერია წარმოადგენდა. „აპეირონი" შეიცავს სითბოს, სიცივეს და წარმოშობილია წყლისგან. წყლის გაშრობით მიწას მივიღებთ, აორთქლებით ჯერ ჰაერს, შემდეგ კი ცეცხლს.

მესამე იონიელი ფილოსოფოსია ანაქსიმენე. მოღვაწეობდა ძვ. წ. 588-524 წწ. მისი აზრით, რაკი საწყისი უსაზღვროა — ეს არ შეიძლება იყოს წყალი, რომელზედაც მიუთითებს თალესი, არამედ ჰაერი, რომელიც გაფართოების გზით ცეცხლს იძლევა, შეკუმშვით — წყალს, მიწას და ქვებს.

მეოთხე იონიელი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ეფესელი, რომელიც ძვ. წ. 546-470 წწ. ცხოვრობდა, სამეფო, არისტოკრატიულ

ფეარს ეკუთვნოდა და დემოკრატიის მოძულე იყო. მისი ფილოსოფია მის თანამედროვეებს არ ესმოდათ და ამიტომ შეარქვეს „ბნელი“. მან მოგვცა დიალექტიკის რამდენიმე დებულება. რაკი ყველაფერი მოძრაობაშია, არაფერია უძრავი და ყოველივე განუწყვეტლივ იცვლება, ერთი და იმავე დროს არსებობს და არც არსებობს. რა წარმოშობს მუდმივ ცვლილებათა პროცესს? ომი, — პასუხობს ჰერაკლიტე, — ყოველივეს მამაა, მეფეა ყოვლისა. მან ერთნი ღმერთებად აქცია, სხვანი ადამიანებად. ერთნი მონებად, სხვანი თავისუფლებად. ამრიგად, ყოველივე არსებულის მოძრაობის წყაროს წარმოადგენს ომი, ანუ უთანხმოება, მოპირდაპირე ძალთა ბრძოლა. ჰერაკლიტეს აზრით მსოფლიო ანუ სამყარო ვითარდება უცვლელი კანონის, გონიერი საწყისის „ლოგოსის“ თანახმად, ყოველივე წარმოიქმნება ბრძოლის გზით და აუცილებლობით. ეს მსოფლიოს წესრიგია, რომელიც ყველაფერს შეიცავს. „მსოფლიო არავის შეუქმნია, არც ღმერთს და არც ადამიანს“, ჰერაკლიტე მსოფლიოს საფუძვლად თვლის მატერიალურ საწყისს — ცეცხლს, რომლის დიალექტიკური სახეცვლილებანი წარმოქმნიან ყოფიერების ყველა ფორმას.

იონიელ ფილოსოფოსთა მოძღვრება მიამიტი, მატერიალისტური ფილოსოფია იყო, რომელიც თანდათან მექანიკურ მატერიალისტურ ფილოსოფიაში გადაიზარდა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ ემპედოკლე, ანაქსაგორე და პარმენიდე.

ემპედოკლე სიცილიის ქალაქ აკარნანიიდან იყო და ცხოვრობდა ძვ. წ. V ს. იგი მონათმფლობელური დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელია, პროფესიით ექიმი. მისი აზრით, ყველაფერი სხვადასხვა ხარისხის და სხვადასხვა რიცხვის ყოფადი ელემენტებისაგან ანუ „ძირებისაგან“ შედგება. ეს „ძირებია“: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. ყველა ელემენტის გაერთიანებისა და გაყრის მიზეზად ემპედოკლე თვლიდა სიყვარულს და სიძულვილს.

ანაქსაგორე კლაზომენელი (ძვ. წ. 500-428 წწ.) ათენის სტრატეგოსის პერიკლეს მასწავლებელი და მეგობარი იყო. მას, თავისი დროის გამოჩენილ ასტრონომს, ეკუთვნის მოსაზრება, რომ მზე და პლანეტები წარმოადგენენ გავარვარებულ სხეულებს. ანაქსაგორემ დაწერა ტრაქტატი „ბუნების შესახებ“, სამყაროს საფუძვლად უს-

აზღვროდ მრავალ ნაწილაკს აღიარებდა და მისი აზრით, ამ ნაწილაკების შერწყმა მსგავს სხეულებს ქმნიდა. ანაქსაგორემ ემპედოკლეს მოძღვრება ოთხი საფუძველის — ცეცხლის, ჰაერის, წყლისა და მიწის შესახებ, ქიმიური მიმართულებით წაიყვანა და ოთხ საფუძვლად აღიარა ოქრო, სისხლი, წყალი და მეთანი, იგი ამბობდა, რომ თითოეული ნივთიერება შედგება ერთნაირი მცირე ნაწილაკებისაგან, რომლებსაც „ჰომიომორები" უწოდა. ისინი დასაბამიდან მოძრაობაში არიან მსოფლიო გონების — „ნუსის" მეოხებით, ნუსი კი ნივთიერებათაგან უწვრილესი და უნაზესია.

პარმენიდე მოღვაწეობდა ძვ. წ. VI-V სს. იგი სამხრეთ იტალიის ქალაქ ელეიდან იყო. მან ელეიელებს შეუქმნა კანონები, რომლებითაც ისინი დიდხანს ხელმძღვანელობდნენ. პარმენიდეს ფილოსოფია ჰერაკლიტეს მოძღვრებას ეწინააღმდეგება. პარმენიდეს მოძღვრებით მსოფლიო საგნობრივი სფეროა, რომელსაც არა აქვს სიცარიელე, მაშასადამე მოძრაობაც შეუძლებელია, რადგან მსოფლიოს მთელი გარემო შევსებულია. ყოველგვარი აზროვნება, ამტკიცებს იგი, ყოველთვის არის აზროვნება არსებულის შესახებ, ამიტომ შეუძლებელია არარსებული გავიაზროთ, არარსებული არ არსებობს, ამიტომ არარსებულის აღმოჩენა და მოსპობაც შეუძლებელია.

დემოკრიტე

ემპედოკლეს და ანაქსაგორეს წინამორბედნი, სტიქიური მატერიალიზმის მიმდევრები მხოლოდ მოძრაობის არსებობას აღნიშნავდნენ, მექანიკური მატერიალიზმის მიმდევრები კი ცდილობდნენ მოძრაობის მიზეზების ახსნას, რაც ერთგვარი პროგრესი იყო აზროვნებაში.

ლევკიდე მილეთელი დემოკრატიული წრეების წარმომადგენელია და ცხოვრობდა ძვ. წ. 460-370 წწ. იგი მცირე აზიიდან აბდერაში გადავიდა, სადაც მისი მოწაფე გახდა დემოკრიტე. ლევკიდეს მოძღვრებით უმიზეზოდ არაფერი არ ხდება, ყველაფერი აუცილებლობის შედეგია. მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ საფუძ-

ველი ჩაუყარა ატომის თეორიას, რომელიც შემდეგ განავითარა დემოკრიტე აბდერელმა.

ანტიკური მატერიალიზმის ფუძემდებელი დემოკრიტე აბდერელი ცხოვრობდა ძვ. წ. 460-370 წწ. მან ბევრი იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყნებში: ინდოეთში, ბაბილონში, ეგვიპტეში და სხვა. იგი ამბობდა „ყველა თანამედროვეზე მეტად, დედამიწის უმეტეს ნაწილს გარს მე შემოვუარე". დემოკრიტემ ანტიკურ მეცნიერებაში დაგროვილი მთელი ცოდნა შეაჯამა. მისი ნაწარმოებებიდან „მსოფლიოს დიდი წესრიგი", „მსოფლიოს მცირე წესრიგი", „გონების შესახებ", „მიწათმოქმედების შესახებ", „პოეზიის შესახებ", „რიტმებისა და ჰარმონიის შესახებ", მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს. რაც ვიცით დემოკრიტეს შესახებ, ისიც არისტოტელესა და მისი კომენტატორების წყალობით.

სოკრატე

დემოკრიტეს მიხედვით მსოფლიო მატერიალურია და საგნები მცირე, განუყოფელი ნაწილაკებისაგან შედგება, რომელსაც მან „ატომი-განუყოფელი" უწოდა, რომ მსოფლიო სიცარიელისაგან შედგება. „არსებობს მხოლოდ ატომები, რომლებიც მუდმივნი არიან". შეგრძნებები — ტკბილი, თბილი, ცივი, ფერები, სინამდვილეში არ არსებობენ. არსებობს მხოლოდ სიცარიელე და ატომები. ისინი ქმნიან მრავალფეროვანი მსოფლიოს, დაუსრულებელ სამყაროს, რომელიც ატომების შეერთება-განცალკევებით ყალიბდება. მსოფლიოში ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი და ყველაფერი ემორჩილება ბუნების აუცილებელ კანონებს. მეცნიერების ამოცანაა — ეს კანონები აღმოაჩინოს. „არ არსებობს ღმერთი, ბუნება განსაზღვრავს სამყაროს განვითარებას". დემოკრიტეს აზრით, ადამიანის სული მატერიალურია და შედგება მრავალი, სწრაფადმოძრავი ატომებისაგან. სულისა და სხეულის განცალკევება წარმოადგენს სიკვდილს. სული ისევე, როგორც სხეული მოკვდავია. დემოკრიტე სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილების მომხრე იყო.

დემოკრიტეთი მთავრდება ანტიკური ფილოსოფიის პირველი პერიოდი. მეორე პერიოდში საბერძნეთის მონათმფლობელური საზოგადოების აღმავლობამ და სოციალურმა დიფერენციაციამ მოითხოვა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნის თავისებური დახარისხება. საჭირო გახდა ზუსტი, სწორი და არასწორი მასალის გადარჩევა, დანაწილება. ამის დადგენა და გარკვევა იკისრეს მოხეტიალე ფილოსოფოსებმა, რომლებიც თავის თავს სიბრძნის მასწავლებლებს ანუ „სოფისტებს" უწოდებდნენ („სოფოს" — ბერძნულად „ბრძენს" ნიშნავს). სოფისტები ასწავლიდნენ მეცნიერებს მსჯელობას, აზრების თანამიმდევრულად დამტკიცება-ჩამოყალიბებას. საბერძნეთში დემოკრატიული პოლისების განვითარებამ გამოიწვია ორატორული ხელოვნებისაკენ სწრაფვა. ათენის სახალხო კრებაზე და სასამართლოში განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი გახდა ჩამოყალიბებული, დალაგებული, დასაბუთებული აზრების სწორად გამოხატვა.

სოფისტთა უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ პროტაგორე აბდერელი და გორგია ლეონტიელი.

მჭერმეტყველების მასწავლებელი, სოფისტი პროტაგორე აბდერელი ცხოვრობდა ძვ.წ. 481-411 წწ. ხშირად ჩადიოდა ათენში და მისი აგიტაციის წყალობით ათენელებმა დააარსეს ახალშენი თურიე. მან ღმერთებზე დაწერა თხზულება, რომლის გამო ათენელებმა უღმერთობა დასწამეს, მისი წიგნი საჯაროდ დაწვეს და აიძულეს წასულიყო ათენიდან, მაგრამ გემით მგზავრობისას ქარიშხლის დროს დაიღუპა. ცნობილია მისი გამონათქვამი „ადამიანი თვითონ არის ყველა საგნის საზომი".



პლატონი

იმავე პერიოდში მოღვაწეობდა სოფისტი გორგია ლეონტიელი (ძვ.წ. 483-375 წწ.). მან შექმნა ტრაქტატი „ბუნების შესახებ", რომელშიც სკეპტიცისტური სენტენციები ჭარბობს. არაფერი არ არსებობს,

თუ არის რაიმე არსებული, იგი შეუცნობელია და მიუწვდომელი ადამიანისათვის. თუ იგი შესაცნობია — გამოუხატავი და გამოუცნობია.

უფროსი თაობის სოფისტები ცდილობდნენ რელიგიური რწმენის კრიტიკულად გააზრებას. მათ ერთი გარკვეული მიმართულება არ ჰქონდათ. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ განაცხადეს „არ არსებობს ჭეშმარიტების კრიტერიუმი". ათენელი ფილოსოფოსი სოკრატე კი აცხადებდა, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმი არსებობს და მან იგი იპოვა.

სოკრატე ათენელი (ძვ. წ. 471-399 წწ.), ღარიბი მოქანდაკის შვილი, პირველ ხანებში თვითონაც მოქანდაკედ მუშაობდა, მაგრამ ფილოსოფიამ ისე გაიტაცა, რომ მოქანდაკეობას თავი მიანება და სოფისტობა დაიწყო. იყო ათენელ ოლიგარქოსთა იდეოლოგი. მას არაფერი დაუწერია. ზეპირი თხრობით ასწავლიდა თავის მოწაფეებს და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ათენის არისტოკრატ ახალგაზრდებს შორის. ითვლება ბერძნული ლოგიკის ფუძემდებლად. მოკამათეებს შეუმჩნევლად აწვდიდა თავის იდეებს და ამბობდა, რომ იგი, „როგორც მეანი ადამიანებს შველის დაბადონ მასში არსებული ჭეშმარიტება". გამონათქვამები შემოგვრჩა მისი ცნობილი მოწაფეების ისტორიკოს ქსენოფონტეს და ფილოსოფოს პლატონის წყალობით, რომლებიც სოკრატეს აიდეალებდნენ თავიანთ ნაწარმოებებებში. სოკრატე ამბობდა: „კამათში ვლინდება ჭეშმარიტებაო". კამათის მისეული მეთოდი ცნობილია: როცა ვინმეს ეკამათებოდა, მოცემული საკითხების საშუალებით ავლენდა მასში არსებულ ჭეშმარიტებას. „ადამიანის მიზანი სათნოება უნდა იყოს. შეუძლებელია სამართლიანად მოიქცე თუ არ იცი რა არის სამართლიანობა. შეუძლებელია არ იყო სამართლიანი, თუ იცი რა არის სამართალი",— ამბობდა იგი. სოკრატე აშკარად, ღიად ილაშქრებდა ათენის დემოკრატიის წინააღმდეგ. ამბობდა, რომ „პოლიტიკურ მოღვაწედ შეუძლია იყოს ის, ვისაც ეს საქმე გაეგება". ჰგმობდა კენჭისყრით არჩევას და ხალხთა მასების ბატონობას სახელმწიფოსთვის დამღუპველად თვლიდა. სოკრატე ამტკიცებდა, რომ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება და იგი საჭიროა ეთიკის დარგში. სოკრატეს მოწაფეებმა მისი მოძღვრება მორალური ნორმებისა და ობიექტურობის შესახებ, მთელ ფილოსოფიურ სისტემად

აქციეს და განავითარეს. სწორედ სოკრატედან იღებს სათავეს იდეალისტური ფილოსოფია. როცა ათენის დემოკრატიულმა ძალებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს, სოკრატე სამართალში მისცეს. ბრალად წაუყენეს ღმერთების უარყოფა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. თავის უდანაშაულობაში დარწმუნებულმა სოკრატემ საწამლავით სავსე ფიალა სახალხოდ ვაჟკაცურად გამოსცალა.

პლატონ ათენელი (ძვ. წ. 427-347 წწ.) ათენის წარჩინებულ, კოდრიდების სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. მისი ნამდვილი სახელი არისტოკლე იყო, პლატონი კი მეტსახელია, ბერძნულად „გულმკერდგანიერს“ ნიშნავს. მას ეს სახელი სოკრატემ დაანათლა. პლატონს ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული, კარგად იცოდა მათემატიკა, მუსიკა, ხატვა. წერდა ლექსებსა და ტრაგედიებს. იმოგზაურა ეგვიპტეში, კვირენაში, იტალიასა და სიცილიაში. მის საყვარელ მასწავლებელ სოკრატეს კი, რომელსაც იგი თაყვანს სცემდა, დიალოგი უძღვნა. ძვ. წ. 386 წ. პლატონმა ათენში, ცნობილი გმირის აკადემის ჭალაში, ჩამოაყალიბა ფილოსოფიური სკოლა „აკადემია“, სადაც იგი თავის მეგობრებთან და მოწაფეებთან ერთად მსჯელობდა ფილოსოფიურ საკითხებზე. ფილოსოფიურ-ეთიკურ თემებზე მან ბევრი ნაწარმოები დაწერა. მისი 42 დიალოგიდან ყველაზე ცნობილია „სოკრატეს აპოლოგია“, „კრიტონი“ (კანონის მორჩილება), „პროტაგორე“ (სათნოების შესახებ), „გორგია“ (მჭერმეტყველების შესახებ), „ნადიმი“ (სიყვარულის შესახებ), „ფედონე“ (უკვდავების შესახებ), „ტიმეოსი“ (სამყარო), ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ტრაქტატებმა: „პოლიტეა“ და „კანონები“, რამდენიმე განმარტებამ და 12 წერილმა. პლატონის ფილოსოფიური შეხედულებები შეიძლება ორად დაიყოს: მეტაფიზიკა — მოძღვრება ყოფიერების შესახებ და მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები.

პლატონის მსოფლმხედველობა იდეალისტურია. მისი ფილოსოფიური ცნება „იდეისგან“ წარმოსდგება. ეს სახელწოდება, პლატონის აზრით, განმარტავს სამყაროს დედაარსს, რომელიც იდეებისგან შედგება. იდეა არის მხოლოდ ობიექტურად არსებული ზოგადი ცნება, რომელიც „გონებით მისაწვდომ“ სამყაროშია და რომელსაც ადამიანი მარტო ინტუიციით შეიცნობს. ეს სამყარო იმყოფება სადღაც უძრავ ვარსკვლავთა საზღვრის მიღმა. იქ

არიან დასადგურებული იდეები, ყოველი ნივთის მარადიული, მშვენიერი და არამატერიალური პროტოტიპები. მარტივი იდეები მორჩილებენ უფრო მაღალ იდეებს. ყველა იდეას კი მბრძანებლობს უზენაესი იდეა, იდეა „ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზისა". რა დამოკიდებულება აქვს მიწიერ მატერიალურ სამყაროს იდეათა სამყაროსთან? პლატონი მატერიას „არარსებულს" უწოდებდა. მარტო მათ შეუძლიათ მატერიის ფორმირებაო. არსებობს ნივთების, ანუ საგნების რეალური სამყარო, რომლებშიც ასახულია იდეები.

არისტოტელე

იდეები კი ცხოვრობენ არა ნივთებში, არამედ მათგან განცალკევებულ, ზეგრძნობიერ, უსივრცო სამყაროში. საგნები არის იდეების სუსტი ანაბეჭდი.

ტრაქტატში „პოლიტეა" პლატონმა შექმნა იდეალისტური კონცეფცია იდეალურ სახელმწიფოს მოწყობაზე. მისი აზრით, დემოკრატიამ დაღუპა ათენი, რადგან დემოკრატიას აკლდა სრულყოფა, რომ შეექმნა კარგი სახელმწიფო აღჭურვილი სიკეთით, სამართლიანობითა და ვაჟკაცობით. ადამიანთა შეგრძნება ასახავს ჭეშმარიტი არსის, უკვდავების მხოლოდ აჩრდილს. აბსოლუტურად არსებობს მხოლოდ იდეა. სახელმწიფოც, ადამიანთა კოლექტივი უნდა მოეწყოს ამ იდეათა საფუძველზე. ვინაიდან იდეათა აგება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც შესწევს ფილოსოფიური ჭვრეტის უნარი, ამიტომ სახელმწიფოს აგებაც მხოლოდ ფილოსოფოსს შეუძლია, რომელიც სათავეში ჩაუდგება იდეალურ სახელმწიფოს. პლატონის „იდეალური სახელმწიფოს" თავისუფალი მოქალაქეები შრომის განაწილების მიხედვით სამ ფენად იყოფიან: პირველ ფენას შეადგენენ მმართველები ანუ ფილოსოფოსები — სამართლიანი და გონიერი ადამიანები; მეორე ფენას — მეომრები, რომლებიც სახელმწიფოს იცავენ. ფილოსოფოსებს და მეომრებს ოჯახი და კერძო საკუთრება არა აქვთ, ყველაფერი საერთოა. მესამე ფენა

მიწათმოქმედები, ხელოსნები და ვაჭრები არიან, რომლებსაც ოჯახებიც უნდა ჰყავდეთ და კერძო საკუთრებაც, რათა პირველი ორი ჯგუფის მოქალაქეები შეინახონ. 3-6 წლამდე ბავშვებს ევალებოდათ ტაძართან სიმღერა-თამაში, 7-12 წლამდე — სახელმწიფო სკოლებში წერა-კითხვას, ანგარიშს და მუსიკას ასწავლიდნენ, 13-16 წლამდე — ემატებოდათ ფიზიკური აღზრდა, 16-18 წლამდე — არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია, 18-20 წლამდე — სამხედრო წვრთნას გადიოდნენ, რის შემდეგ ნაწილი არმიაში მიდიოდა, ნაწილი კი — დამატებით განათლებას იღებდა ფილოსოფიაში 30-35 წლამდე. მათ ფიზიკური შრომა საერთოდ ეკრძალებოდათ. ქალებისათვის დაწყებითი და სამხედრო განათლება ისევე სავალდებულოდ ითვლებოდა, როგორც კაცებისათვის. პლატონის ფილოსოფიაში გამომჟღავნდა ანტიკური არისტოკრატიის მსოფლმხედველობა. მისი იდეალური სახელმწიფო რეაქციულია, რადგან მასში მხოლოდ საზოგადოების ორ ფენას აქვს უფლება იბატონოს.

პლატონის მოწაფე არისტოტელე სტაგირელი (ძვ. წ. 384-322 წწ.) მაკედონიის სამეფო კარის ექიმის ნიკომაქოსის შვილი იყო. 18 წლის პლატონის სკოლაში ჩავიდა ათენში, სადაც 20 წელი იცხოვრა და შესანიშნავი განათლება მიიღო. იმოგზაურა მცირე აზიაში, ტროაში, კუნძულ ლესბოსზე. ძვ.წ. 343-339 წწ. ფილიპე II მიწვევით მაკედონიაში, ქალაქ პელაში იმყოფებოდა, სადაც ასწავლიდა ალექსადრე მაკედონელს. შემდეგ ათენში დაბრუნდა და დააარსა ფილოსოფიური სკოლა „ლიკეიონი“ ანუ „პერიპატეტიკოსების სკოლა“ („პერიპტეიონ“ ბერძნულად სიარულს ნიშნავს). არისტოტელეს ჩვევა ჰქონდა — სწავლის დროს დადიოდა. ამ სკოლას მთელ საბერძნეთში პირველი და ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა ეკუთვნოდა. ალექსადრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ათენში ანტიმაკედონური მოძრაობა დაიწყო და არისტოტელე იძულებული გახდა გაქცეულიყო კუნძულ ევბეაზე, სადაც ძვ. წ. 322 წ. გარდაიცვალა კიდეც.

არისტოტელეს ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა. მან სისტემაში მოიყვანა ფილოსოფიის მეცნიერული ცოდნა. იგი ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ითვლება, ეთიკისა და სოციოლოგიური მეცნიერებების უდიდესი წარმომადგენელია. პირველ ხანებში არისტოტელეს ფილოსოფიური აზროვნება მერყეობ-

და იდეალიზმსა და მატერიალიზმს, პლატონისა და დემოკრიტეს შეხედულებებს შორის, მაგრამ ნათლად ჩანს სწრაფვა მატერიალიზმისაკენ. არისტოტელე ფილოსოფიის ამოცანად თვლიდა ჭეშმარიტებას და ამბობდა: „პლატონი მიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მიყვარს“-ო. მის შრომებსა და ბიბლიოთეკას დიდხანს იცავდნენ მისი მოწაფეები და მიმდევრები, მაგრამ მითრიდატესთან პირველი ომის შემდეგ (ძვ. წ. 88-85 წწ.), რომის სარდალმა სულამ სასტიკად გაძარცვა საბერძნეთი და არისტოტელეს შრომები და ბიბლიოთეკა რომში გადაიტანა, სადაც ციცერონის მეგობარმა, ბერძენმა გრამატიკოსმა ტირანიოსმა და ანდრონიკე როდოსელმა მისი მეცნიერული მემკვიდრეობა წესრიგში მოიყვანეს.

არისტოტელეს შრომები შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფში ერთიანდება ლოგიკისადმი მიძღვნილი შრომები, რომელსაც „ორგანონი“ ეწოდება; მეორეში — ფილოსოფიის პრობლემები ანუ „მეტაფიზიკა“, მესამეში — საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო შრომები; მეოთხეში კი ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის გამოკვლევები საზოგადოების, სახელმწიფოსა და მოქალაქეობის შესახებ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საგნის ფორმას და მის სხვადასხვაობას, რადგან, მისი აზრით, ფორმა სწორედ ისაა, რაც ქმნის ნივთს, ამიტომ ფორმების შეცნობა და კლასიფიკაცია ნივთების არსის გაგებასაც ნიშნავს. მან ფორმა მატერიას დაუკავშირა. რომ არსებობს ერთი წმინდა მატერიისგან განყენებული ყველა ფორმათა ფორმა. ეს არის აზრი, შემოქმედებითი გონი (ნუს), „აზროვნების აზროვნება“, ყოველნაირი მოძრაობის პრინციპი, ღმერთი, რომელმაც მთელი სამყარო მოძრაობაში მოიყვანა.

არისტოტელე ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგია. მან შექმნა მონობის დაცვის ფართოდ დამუშავებული თეორია, რადგან მონობა ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა. ბუნებამ შექმნა ადამიანები, რომლებიც ბატონობენ, მბრძანებლობენ და ადამიანები, რომლებიც მორჩილებენ, რადგან მონები თავისი გარეგანი და სულიერი შინაარსით შექმნილი არიან მორჩილებისათვისო. იგი სახელმწიფოებრივ წყობილებათა დახასიათებაში სწორ და არასწორ ფორმებს განასხვავებს. მისთვის სწორი ფორმაა: მონარქია, არისტოკრატია — რჩეულთა ჯგუფის მმართველობა და დემოკრა-

ტია ანუ ხალხის, ყველას მმართველობა. მაგრამ მისი აზრით, თითოეული ეს სახელმწიფოებრივი ფორმა შეიძლება გადაიზარდოს არასწორ, უარეს ფორმაში: მონარქია — ტირანიაში, არისტოკრატიის ბატონობა — ოლიგარქიაში, დემოკრატია — ბრბოს ბატონობა ოლხოკრატიაში, რაც არისტოტელეს აზრით მოხდა ძვ. წ. IV ს. ათენში. ამის გამო არისტოტელე პლატონის მსგავსად დემოკრატიული წყობილების მოწინააღმდეგე იყო.

არისტოტელე ამართლებს ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბებულ საკუთრების სისტემას და როგორც მონათმფლობელური კლასის იდეოლოგი, ფიქრობს, რომ ამ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს თავისუფალი მოსახლეობის ბატონობა მონებზე. მონა მონათმფლობელების სრული საკუთრებაა. სახელმწიფოს მთავარი უჯრედია ოჯახი, ოჯახის უფროსი მეფის უფლებებითაა მოსილი. მოქალაქეთა ურთიერთობა სახელმწიფოსთან ისეთივე უნდა იყოს, როგორც მეზღვაურის — ხომალდის ეკიპაჟთან. მათ ყველას აერთიანებს საერთო მიზანი — მშვიდობიანი და ბედნიერი მოგზაურობა. მონათმფლობელური საზოგადოების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით ხელისუფლება მუდამ ანგარიშს უნდა უწევდეს საზოგადოების საშუალო ელემენტებს. მხოლოდ იქ შეიძლება სახელმწიფო მტკიცე იყოს, სადაც მოსახლეობის საშულო ელემენტი ჭარბობს დანარჩენ ორ უკიდურესობას — მდიდრებსა და ღარიბებს. არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დაცვისა და შენარჩუნებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: პირველი — თანამდებობის პირებმა პოლიტიკური ხელისუფლება არ უნდა გახადონ ანგარებისა და უკანონო შემოსავლის წყაროდ და მეორე — უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდობის ღირსეული აღზრდა. ყველაზე უკეთესი სახელმწიფოს არსებობას კი უკავშირებდა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. მისი მტკიცებით, ბუნებრივი მდებარეობით ელადა ყველაზე მოხერხებულია იდეალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. მართლაც, საზღვაო და სახმელეთო გზების გზა-

ჰომეროსი

ჯვარედინზე მდებარე, საუკეთესო კლიმატური პირობების მქონე, ნიჭიერი ხალხით დასახლებულმა საბერძნეთმა შექმნა შესანიშნავი კულტურა.

ქსენოფონტე

6. ისტორია

ისტორიულ-გეოგრაფიული შინაარსის პირველი ნაწარმოებები ისევე, როგორც ძველი ბერძნული ეპოსი, შეიქმნა მცირე აზიაში ლოგოგრაფოსების ინიციატივით („ლოგოს" ბერძნულად სიტყვას ნიშნავს „გრაფეო" — ვწერ. „ლოგოგრაფოსები" კი — პროზად დამწერს ნიშნავს). ისინი წერდნენ წარსულის ამბებს, ცდილობდნენ არსებული მითების საშუალებით აღეწერათ ბერძენი ხალხის, ცალკეული ქალაქების, ან არისტოკრატული ოჯახების წარმოშობის ისტორია. წერისას ხშირად მეზობელი ბარბაროსი ტომებისა და ხალხების ისტორიასაც ეხებოდნენ. მათ ნაწერებში არამარტო ისტორიულ-მითოლოგიურ სიუჟეტებს ვხვდებით, არამედ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული შინაარსის მონაცემებსაც.

კადმოს მილეთელმა ძვ. წ. VI ს. აგვიწერა „მილეთის დაარსება". ჰეკატეოს მილეთელი (ძვ. წ. VI-V ს.) აანალიზებდა ძველ გადმოცემებს. მას ორი შრომა ეკუთვნის: „გენეალოგიები" და „დედამიწის აღწერა". პირველში გადმოგვცემს წარჩინებულ ბერძენთა ისტორიას, მეორეში — ძვირფასი ცნობები აქვს ევროპისა და აზიის ქვეყნებზე. ჰელანიკე მიტილენელს, ჰეროდოტეს თანამედროვე ლოგოგრაფოსს, რამდენიმე მითოგრაფიული შინაარსის თხზულება ჰქონდა: „ფირონიდი", რომელშიც არგოსის ისტორიაა აღწერილი და „ასოპიდი", სადაც ლაპარაკია ასოპოსის მოდგმაზე. მათში მრავალი ძვირფასი ცნობაა საბერძნეთის უძველეს ტომებზე.

ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (ძვ. წ. 484-425 წწ.) პირველი ბერძენი ისტორიკოსია. მას რომაელმა ორატორმა ციცერონმა „ისტორიის მამა" უწოდა. იგი ბერძენ-სპარსელთა ომების თანამედროვეა. ბევრს მოგზაურობდა მცირე აზიაში, ეგვიპტეში, იტალიასა და საბერძნეთში, მან ოლიმპიურ შეჯიბრებაში ორჯერ გაიმარჯვა.

ჰეროდოტეს ეკუთვნის „ისტორია“ 9 წიგნად. ეს შრომა საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. I-IV წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ევროპისა და აზიის ქვეყნების, შავი ზღვისპირეთის, სკვითების, კოლხეთის, სპარსეთის, წინა აზიისა და ეგვიპტის ურთიერთობა. V-IX წიგნებში აღწერილია ბერძნულ-სპარსული ომების ისტორია. ჰეროდოტეს ისტორია ძალიან ჰგავს ლოგოგრაფოსების მონათხრობს. მას სჯერა სიზმრების, მისნებისა და ბედისწერის. მიუხედავად ამისა, მისი ისტორიის მნიშვნელობა ძალიან დიდია ძველი საბერძნეთის, სპარსეთის, კოლხეთისა და ეგვიპტის ისტორიის შესწავლისათვის. ჰეროდოტე ძვ. წ. 444 წ. ათენიდან იტალიაში გადასახლდა, ათენის ახალშენ თურიეში, სადაც დაასრულა თავისი სიცოცხლე.

გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე ოლორეს ძე ცხოვრობდა ათენში ძვ. წ. 461-395 წწ. მისი ოჯახი თრაკიის ქალაქ ამფიპოლისიდან, მდიდარი და წარჩინებული გვარიდანაა. მან დაწერა „პელოპონესის ომის ისტორია“ 8 წიგნად. იგი იყო ამ ომის მონაწილე, ათენის ერთ-ერთი სტრატეგოსი, ამიტომ ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საბუთზე მიუწვდებოდა ხელი. ძვ. წ. 423 წ. ზამთარში თრაკიის სანაპიროზე სასტიკი მარცხი განიცა-

ორატორის გამოსვლა სახალხო კრებაზე

და სპარტელებთან და ამის გამო ოსტრაკიზმოთი გააძევეს ათენიდან. პელოპონესის ომზე თხრობა ძვ. წ. 411 წ. მიიყვანა და თავისი შრომა ვერ დაასრულა. თუკიდიდემ, პირველმა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში, გამოიყენა ისტორიული კვლევის ხერხები. იგი ამოწმებდა თავისი წყაროების სიზუსტეს და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებდა მათ. თუკიდიდე ღრმა ანალიზს უკეთებდა ყველა ფაქტს, მის მიზეზს და შედეგს, ამიტომ მისი ყველა ნაშრომი ძვ. წ. V ს. საბერძნეთის ისტორიის შესასწავლისას ფასდაუდებელია.

თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორია" გააგრძელა ქსენოფონტემ „ჰელანიკაში", სადაც ძვ. წ. 362 წ. მომხდარი ამბები მოგვითხრო. ქსენოფონტე ათენელი (ძვ. წ. 430-355) მხედართა წრეს ეკუთვნოდა. იგი დემოკრატიის დიდი მოწინააღმდეგე და ოლიგარქიული წყობის მომხრე იყო. სოკრატესგან ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. გაიარა საუკეთესო სამხედრო წვრთნაც. დიდი მოტრფიალეა სპარტის ოლიგარქიული წყობისა და ამის გამო, იძულებული გახდა სპარტაში გაქცეულიყო. შემდეგ ცხოვრობდა კორინთოში. ძვ. წ. 401 წ. მონაწილეობა მიიღო სპარსეთის უფლისწულ კიროს უმცროსის ავანტიურაში სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს წინააღმდეგ. თუკიდიდე 120 თხზულების ავტორია. თუმცა მისი ნაწერები ძალზე ტენდენციურია — დემოკრატიას აკრიტიკებს, ოლიგარქებს კი ხოტბას ასხამს, მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეობისა და შესანიშნავი სტილისათვის მას „ატიკის ფუტკარი" უწოდეს.

ქსენოფონტეს ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებაა „ანაბაზისი" (უკან დახევა), რომელშიც აღწერილია 10 000 დაქირავებული ბერძენის ლაშქრობა სპარსეთში ძვ. წ. 401 წ. ნაშრომი მემუარული ხასიათისაა და აღწერილია ის ქვეყნებიც, რომლებიც ბერძნებმა გაიარეს სპარსეთიდან უკან დახევის დროს. თხზულებაში „მეურნეობის შესახებ", მოცემულია ძვ. წ. IV ს. საბერძნეთის მეურნეობის აღწერა. რაც შეეხება მის „ლაკედემონის პოლიტეას", აქ იგი ხოტბას ასხამს სპარტის სამხედრო არისტოკრატიულ წყობილებას.

ქსენოფონტეს ნაშრომთა შორის შორის აღმოჩნდა „ათენის პოლიტეა", რომლის შინაარსის შესწავლამ ისტორიკოსები დაარწმუნა, რომ ეს ტრაქტატი არც სტილითა და არც შინაარსით

ქსენოფონტეს არ ეკუთვნის. მართალია, ავტორი ათენური ოლიგარქიის მოტრფიალეა და მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ათენის შესახებ, ამიტომ მეცნიერებმა ამ ნაწარმოებს „ფსევდო-ქსენოფონტეს პოლიტეა“ უწოდეს.

7. რიტორიკა

ძვ. წ. V-IV სს. მონათმფლობელური დემოკრატიის აყვავების პერიოდში ვითარდება რიტორიკული პროზა. ათენის დემოკრატიულმა სისტემამ ხელი შეუწყო მჭერმეტყველების განვითარებას. მოქალაქეებს საშუალება ეძლეოდათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სახალხო კრებაში, ხუთასთა საბჭოში, მსაჯულთა სასამართლოში და სხვა. ხალხის სიმპათიები რომ მოეპოვებინათ, საჭირო იყო მჭერმეტყველური ხერხების ცოდნა მსმენელების დასარწმუნებლად. ამ მხრივ სოფისტებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ისინი ხალხს ასწავლიდნენ დამაჯერებელ ლოგიკურ ლაპარაკს. რიტორიკული პროზის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: ლისია, ისოკრატე და დემოსათენე.

დემოსთენე

ლისია (ძვ. წ. 459-380 წწ.) მდიდარი სირაკუზელი მოქალაქის კეფალოსის შვილი იყო. მისი მამა პერიკლეს დროს გადმოსახლდა ათენში, ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და შვილს ბრწყინვალე განათლება მიაღებინა. ძვ. წ. 413 წ. იძულებული იყო ათენის ახალშენ თურიეში გადასახლებულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ ათენში დაბრუნდა, მთელი ქონება დაჰკარგა და ვექილობით ირჩენდა თავს. მან თავისი ძმის პოლემარქოსის მკვლელის ერატოსთენეს წინააღმდეგ ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა და ამით ბევრი კლიენტი მიიზიდა. ლისია საერთოდ სულ 425 სიტყვით გამოსულა, ჩვენამდე კი მხოლოდ 34 მჭერმეტყველების ნიმუშმა მოაღწია; მათგან ერთი საზეიმო, ერთი პოლიტიკური შინაარსისაა, დანარჩენი — სასამართლო რიტორიკას ეკუთვნის.

ისოკრატე ათენელი (ძვ. წ. 436-333 წწ.) სალამურის სახ-

ელოსნოს მფლობელის შვილი იყო და შესანიშნავი განათლება მიიღო სოფისტ ფილოსოფოსებთან — პროდიკესთან, გორგიასთან, ტესიასთან და თერამენესთან. იგი ჯერ ლოგოგრაფოსობდა, შემდეგ რიტორიკის სკოლა დააარსა კუნძულ ქიოსზე, სადაც სპეციალური პროგრამაც კი შექმნა რიტორთა განათლებისათვის. ეს პროგრამა მან „სოფისტების წინააღმდეგ" სიტყვაში გადმოგვცა. თავისი მსოფლმხედველობითა და პოლიტიკური შეხედულებებით ისოკრატე მონათმფლობელური არისტოკრატიის წარმომადგენელია, მონარქიის მომხრე და ათენის დემოკრატიის მტერი. ჩვენამდე მოაღწია ისოკრატეს 21 სიტყვამ და 9 წერილმა, ამათგან 6 სასამართლო რიტორიკას ეკუთვნის. მჭერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებია მისი სიტყვები „პანეგირიკოსი", „არეოპაგიტიკოსი" და „პანათენაიკოსი". მისი ენა დახვეწილია, სიტყვები ბრძნული. ისოკრატე მაკედონიის მეფე ფილიპე II აქეზებდა სპარსელთა წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ფილიპემ საბერძნეთის დაპყრობა მოინდომა, ისოკრატე იარაღით ხელში შეუერთდა ბერძნებს და ქერონეის ბრძოლაში დაიღუპა კიდეც.

დემოსთენე ათენელი (ძვ. წ. 384-322 წწ.) მდიდარი იარაღის საწარმოს მფლობელის შვილი იყო. მცირეწლოვანს მამა გარდაეცვალა. ამით ისარგებლეს მისმა მეურვეებმა და მთელი ქონება დაიტაცეს. როდესაც დემოსთენე სრულწლოვანი გახდა, ძვ. წ. 364-363 წწ. საქმე აღძრა ყოფილი მეურვეების წინააღმდეგ და ისეთი ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა, რომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. დემოსთენეს კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი. კარგად იყო დაუფლებული რიტორიკულ და იურიდიულ ხერხებს და სულ მალე ცნობილი რიტორი გახდა. იგი ათენის დემოკრატიისა და ანტიმაკედონური პარტიის ბელადი იყო. მან ფილიპე II წინააღმდეგ წარმოსთქვა რამდენიმე ბრწყინვალე მამხილებელი სიტყვა, რომელსაც „ფილიპიკები" დაარქვა. მათში დემოსთენე ფილიპე II ტირანს უწოდებდა. დემოსთენე პოლიტიკური რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენელია. იგი გარდაიცვალა ძვ. წ. 322 წ. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ.



ლიტერატურა

1. აბაშმაძე ვ. ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1977.
2. ალექსანდრია, რ. მიმინოშვილის თარგმანი, თბილისი, 1980.
3. ალექსიშვილი მ. აი რას ამბობს ისტორია, თბილისი, 1953.
4. ალექსიშვილი მ. ალექსანდრე მაკედონელი, თბილისი, 1950.
5. ალექსიშვილი მ. მონობა და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში, თბილისი, 1974.
6. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის თარგმანი, თბილისი, 1975.
7. არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო წყობილება, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, ქუთაისი, 1935.
8. არისტოტელე, მეტაფიზიკა, თ. კუკავას თარგმანი, თბილისი, 1964.
9. ბერძნული მითების სამყარო, არგონავტები, თხრობა და კომენტარები რ. გორდეზიანის, თბილისი, 1999.
10. ასათიანი ნ. ლორთქიფანიძე მ. თბილისი, 1996.
11. ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები, თხრობა და კომენტარები ნ. ტონიასი, თბილისი, 1998.
12. ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე ღვთაებანი, თხრობა და კომენტარები ვ. ჯუღელის, თბილისი, 1998.
13. ბერძნული მითების სამყარო, პრომეთე და ადამიანთა მოდგმა, მითიური ხალხები, ლეგენდარული მომღერლები, მისნები, თბილისი, 1998.
14. ბერძნული მითების სამყარო, ქაოსიდან კოსმოსამდე, თხრობა და კომენტარები რ. გორდეზიანის, თბილისი, 1997.
15. გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1983.
16. გოზალიშვილი გ. ძველი ისტორიის ქრესტომატია, ტ. I, თბილისი, 1951.
17. გოზალიშვილი გ. ძველი ისტორიის ქრესტომატია, ტ. II, თბილისი,

1958.
18. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი I, თბილისი, 1988.
19. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი II, ნაწილი 1, თბილისი, 1997.
20. გორდეზიანი რ. „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი, 1986.
21. დანელია ს. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი, 1983.
22. დანელია ს. სოკრატეს ფილოსოფია, თბილისი, 1936.
23. ელადის მუზა, რ. მიმინოშვილის თარგმანი, თბილისი, 1963.
24. ევრიპიდე, მედეა, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, 1996.
25. ევრიპიდე, მედეა, ბაკხი ქალები და იფიგენია ავლიდში, გ. სარიშვილისა და ზ. კიკნაძის თარგმანი, თბილისი, 1979.
26. ევრიპიდე, ესქილე, ორესტეა, აგამემნონი, ქოეფორები და ევმენიდები, გ. სარიშვილის თარგმანი, თბილისი, 1996.
27. კახიძე ა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975.
28. კერამი კ. ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები, თბილისი, 1972.
29. ს. საბერძნეთის ისტორია, თბილისი, 1938.
30. კუნი ნ. ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბილისი, 1965.
31. ლორთქიფანიძე ო. ფიდიასი, თბილისი, 1966.
32. ლორთქიფანიძე ო. ანტიკური არქეოლოგია, თბილისი, 1971.
33. ლუკიანე, პრომეთე, მ. ფიჩხაძის თარგმანი, თბილისი, 1990.
34. ლინდემანი გ. ხელოვნების ლექსიკონი, ნაწილი I, თბილისი, 1992.
35. ლონგი, დაფნისი და ქლოე, ი. ქავჟარაძის თარგმანი, თბილისი, 1984.
36. მიმინოშვილი რ. ჰომეროსის სამყარო, თბილისი, 1988.
37. მიმინოშვილი რ. გვიამბობს მოხუცი ჰომეროსი, თბილისი, 1988.
38. მიქაბერიძე ა. ელინური მითები, თბილისი, 1938.
39. ნეიჰარტი ა. შიშოვა ი. ქვეყნიერების შვიდი საოცრება, თბილისი,

1963.
40. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, აკ. ურუშაძის თარგმანი, თბილისი, 1987.
41. სანიკიძე ლ. ალექსანდრე მაკედონელი, თბილისი, 1984.
42. სანიკიძე ლ. ანტიკური ქვეყნების ისტორია, თბილისი, 1957.
43. სანიკიძე ლ., არესის სამსხვერპლოზე, თბილისი, 1974.
44. სანიკიძე ლ., სამას-სამასი, თბილისი, 1971.
45. ქავთარია პ., თარგმანი ბერძენი და რომაელი ავტორებისა, თბილისი, 1962.
46. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1949.
47. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1950.
48. ყაუხჩიშვილი ს., ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1949.
49. ჩედვიკი ჯ., მიკენური სამყარო, თბილისი, 1989.
50. წერეთელი ალ., ძველი საბერძნეთის ისტორია, თბილისი, 1956.
51. წერეთელი ალ., ძველი საბერძნეთის წყაროთმცოდნეობა, თბილისი, 1963.
52. წერეთელი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1973.
53. ჰომეროსი, ოდისეა, ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანი, თბილისი, 1975.
54. ჰეროდოტე, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, ტ. I, თბილისი, 1975.
55. ჰეროდოტე, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, ტ. II, თბილისი, 1976.
56. Аристотель, Аналитики, перевод с гречкского под редакцией Иткиса М. Москва, 1952.
66. Дрейзен И. История Эллинизма в трех томах, Москва, 1880.
67. Дельбрук Г. История военного искуства, в рамках политической истории, 1-2 т. Москва, 1936.
68. Жебелёв С. Ковалев С. Античный способ производства в источниках, Ленинград, 1933.
69. История дипломатии, т.1, Москва, 1941.

70. История древнего мира, под редакцией Дьяконова В. Никольского Н. Москва, 1952.
71. История древней Греции, под редакцией Ковалева С. т.1, 1936, т.3. Москва, 1937.
72. История древнего мира, под редакцией Крушкол Ю. часть вторая, Москва, 1971.
73. История древней Греции, под редакцией Авдиева В, Бокшанинова А. и Пикуса И. Москва, 1962.
74. История древнего мира, под редакцией Дьяконова В. и Ковалева С. Москва, 1962.
75. История древнего мира, Древняя Греция, под редакцией Барака А. Воинича И. Волчек Н. и другие, Харвест, 1998.
76. Ксенофонт, Греческая история, перевод Лурье С. Ленинград, 1935.
77. Ксенофонт, Киропедия, подготовили Борухович В. Фролов Э. Москва, 1977.
78. Ксенофонт, Анабвзис, перевод Максимова , Москва, 1951.
79. Ковалев С. Александр Македонский, Москва, 1936.
80. Колобова К. Древняя Спарта (X-VI веках до н.э.), Ленинград, 1957.
81. Колобова К. Гускина Л. Очерки истории древней Греции, Ленинград, 1958.
82. Лурье С. Заговарившие таблички, Москва, 1960.
83. Легенды и сказания древной Греции и древнего Рима, Составлена Неихартом А. Москва, 1987.
84. Лосев А. Сонкина Г. Тимофеева Н. и Черемухина Н. Греческая трагедия, Москва, 1958.
85. Мейрович , Шлиман, Москва, 1966.
86. Мишулин А. Античная история Греции и Рима, Москва, 1944.
87. Одисея Гомера, перевод с греческого Вересаева . Москва, 1927.
88. Павсаний, Описание Эллады, перевод Кондратева, 1-2 часть, 1938-1939.

89. Страбон, Описание, В Д И, Москва, 1939. №2.
90. Сергеев С. История древней Греции, под редакцией Струве В. и Каллистратова Д. Москва, 1963.
91. Тронский И. История Античной литературы, Ленинград, 1951.
92. Фукидид, История, перевод Мищенко Ф. т.1-2, Москва, 1915.
93. Хрестоматия по история древней Греции, под редакцией Каллистратова Д. Москва, 1964.
94. Шахунян Г. Когда погибла Миносская культура, газ. "Известия", №249 (22056), 6 IX, 1987.
95. Ефремов И. Таис Афинская, историчский роман, Алма-Ата,1908.



შინაარსი

შესავალი 3
ძველი საბერძნეთის ბუნება და მოსახლეობა 5
ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროები 9
კრეტა-მიკენის პერიოდი 18
საბერძნეთი ძვ. წ. XI-IX სს. ანუ ჰომეროსის საბერძნეთი 28
ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბება და ბერძნული
კოლონიზაცია 34
ძველი სპარტა ძვ. წ. IX-IV სს. 42
ატიკა ძვ. წ. VII-VI სს. 56
ბერძენ-სპარსელთა ომები 79
ათენის პირველი საზღვაო კავშირი და ათენის
აგრესია 100
პელოპონესის ომი 125
საბერძნეთის პოლისების კრიზისი ძვ. წ. IV ს. პირველ
ნახევარში 142
მაკედონია და ფილიპე II 159
ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები აღმოსავლეთში 174
ძველი საბერძნეთის კულტურა 194
1. რელიგია 195
2. პოეზია 197
3. ტრაგედიები და კომედიები 204
4. ხელოვნება 208
5. ფილოსოფია 217
6. ისტორია 229
7. რიტორიკა 232
ლიტერატურა 234

ნატალია კვეზერელი-კოპაძე

ნატალია ნიკოლოზის ასული კვეზერელი-კოპაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი დაიბადა 1913 წელს. 1929 წელს დამთავრა თბილისის მე-7 საშუალო სკოლა, 1936 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1938 წელს – ასპირანტურა ძველი მსოფლიოს ისტორიის სპეციალობით. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ელეოპოლიტთა აჯანყება პერგამონში". 1938 წლიდან კითხულობს ლექციებს ძველი მსოფლიოს ისტორიაში პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, თელავის სამასწავლებლო სასწავლებელში და სხვა. არის ორი სახელმძღვანელოს – „ძველი საბერძნეთის ისტორიის" და „ელინიზმის ისტორიის", აგრეთვე 30-მდე სამეცნიერო გამოკვლევისა და სტატიის ავტორი.

გადაეცა წარმოებას 17.09.04.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.09.04
ქაღალდი ოფსეტური 60X84 1/16
გარნიტურა „ლიტერატურული"
შპ.ს. „პოლიგრაფისტი", სურამის ქ. 13
ტელ: 95-0097